



Հայր Ալիև  
Ահա մասնաւուն կազմակերպություն է հանդիսավոր գործություն

იაშარ სეიიდლი, ნაილა ალიევა, ჰუსარ აჰმედგეილი

# ჩიოლოგია



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასისათვის ბიოლოგიის საგნის  
სახელმძღვანელო

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება,  
შენიშვნები და წინადაღებები გამოაგზავნოთ [bn@bakineshr.az](mailto:bn@bakineshr.az) და  
[derslik@edu.gov.az](mailto:derslik@edu.gov.az) ელექტრონულ მისამართებზე.  
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

B A K I N E S H R



ბაქო – 2017

# 9

## ბიოლოგია

შინაარსი

სახელმძღვანელოს გაცნობა . . . . . 8

1. ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი თვისებები . . . . . 10
2. ცოცხალი ორგანიზმების ორგანიზაციის დონეები . . . . . 14

### | განყოფილება

#### უჯრედი და ორგანიზმი, როგორც ცოცხალი სისტემების საფუძველი

თავი |

ცოცხალი ორგანიზმების ძირიული შემადგენლობა

3. უჯრედის ქიმიური შემადგენლობა . . . . . 18
4. უჯრედის შემადგენელი არაორგანული ნივთიერებები . . . . . 21
5. უჯრედის შემადგენელი ორგანული ნივთიერებები: ნახშირწყლები, ლიპიდები . . . . . 24
6. უჯრედის შემადგენელი ორგანული ნივთიერებები: ცილები და მათი აგებულება . . . . . 28
7. ცილების თვისებები და ბიოლოგიური ფუნქციები . . . . . 31
8. ნუკლეინის მჟავები . . . . . 33
  - პროექტი . . . . . 36
  - შემაჯამებელი დავალებები . . . . . 37

## თავი II

უჯრედი – ცოცხალი ორგანიზმის აგებულებისა და  
განვითარების უმარტივესი ერთეული

9. უჯრედის შესწავლა. უჯრედული თეორია . . . . .	39
10. არაუჯრედული ორგანიზმები. ვირუსები . . . . .	42
11. უჯრედული სტრუქტურები და მათი ფუნქციები . . . . .	45
12. ნივთიერებათა ცვლა და ენერგიის გარდაქმნა ცოცხალ ორგანიზმებში . . . . .	48
13. მემკვიდრეობითი ინფორმაცია და გენეტიკური კოდი . . . . .	51
14. ცილების ბიოსინთეზი . . . . .	54
15. ნივთიერებათა და ენერგიის ცვლა ავტოტროფულ ორგანიზმებში . . . . .	57
16. ნეოთერიზმა და ენერგიის ცვლა ჰეტეროფროფულ ტიპს კვლებს მქონე ორგანიზმებში . . . . .	61
17. უჯრედის სასიცოცხლო ციკლი. ქრომოსომები. . . . .	64
18. უჯრედის გაყოფა. მიტოზი . . . . .	67
19. უჯრედის გაყოფა. მეიოზი. . . . .	70
• პროექტი . . . . .	73
• შემაჯამებელი დავალებები . . . . .	74

## თავი III

ორგანიზმი, ორგონიზ ერთიანი სისტემა

20. ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნება . . . . .	76
21. ორგანიზმების გამრავლების ფორმები . . . . .	79
22. სასქესო უჯრედების წარმოქმნა და განაყოფიერება . . . . .	82
23. სქესობრივი გამრავლება მცენარეებში . . . . .	85
24. ორგანიზმების ინდივიდუალური განვითარება . . . . .	88
• პროექტი . . . . .	92
• შემაჯამებელი დავალებები . . . . .	92

## II განყოფილება ორგანული სამყაროს ევოლუცია

### თავი IV არაულაცია. სახეობა

25. სახეობა და მისი მახასიათებლები . . . . .	95
26. პოპულაციის სტრუქტურა და მრავალფეროვნება . . . . .	98
27. ორგანული სამყაროს ევოლუცია და კლასიფიკაცია. ევოლუციური მოძღვრების წარმოშობა . . . . .	101
28. ჩარლზ დარვინის ევოლუციური მოძღვრება. . . . .	104
29. არსებობისათვის ბრძოლა . . . . .	106
30. ბუნებრივი გადარჩევა და ორგანიზმების შეგუება (საცხოვრებელ) გარემოსთან . . . . .	110
31. მიკროევოლუცია. ახალი სახეობების წარმოქმნა. . . . .	113
32. სოციალური ფაქტორების ზეგავლენა ადამიანის ფორმირების პროცესზე . . . . .	116
• პროექტი . . . . .	119
• შემაჯამებელი დავალებები. . . . .	119

### თავი V უმაღლესი ნერვული მოქმედება

33. უმაღლესი ნერვული მოქმედება. უპირობო რეფლექსები . . . . .	121
34. პირობითი რეფლექსები. რეფლექსების შეკავება . . . . .	123
35. გონივრული მოქმედება. მეტყველება. აზროვნება . . . . .	126
36. ემოციები. მეხსიერება . . . . .	129
37. ძილი . . . . .	132
38. უმაღლესი ნერვული მოქმედების ძირითადი ტიპები . . . . .	134
39. ხასიათი და შესაძლებლობები . . . . .	139
• პროექტი . . . . .	141
• შემაჯამებელი დავალებები . . . . .	142

### III განყოფილება ეკოლოგიური სისტემები. ადამიანი და გარემო

#### თავი VI

##### ცოცხალი ორგანიზმები და გარემო

40. ორგანიზმის საარსებო გარემო. ეკოლოგიური ფაქტორები . . . . .	145
41. ბუნებრივი თანასაზოგადოებები და ეკოლოგიური სისტემები . . . . .	149
42. ბიოლოგიური რიტმები . . . . .	154
43. გარემოს დაბინძურება . . . . .	157
44. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. აზერბაიჯანის ეკოლოგიური პრობლემები . . . . .	161
• პროექტი . . . . .	164
• შემაჯამებელი დავალებები . . . . .	169


#### თავი VII

##### გარემოს ზეოპარადება ადამიანის ჯანმრთელობაზე

45. გარემოს ფაქტორების ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. სტრესი . . . . .	171
46. ადამიანის მემკვიდრეობითობა და გარემოს როლი მის ფორმირებაში . . . . .	175
47. ადამიანის მემკვიდრეობითობის შესწავლის მეთოდები . . . . .	178
48. მემკვიდრეობითი დავადებები . . . . .	182
49. სქესის ქრომოსომული განსაზღვრა. სქესთან დაკავშირებული (შეჭიდული) მემკვიდრეობითობ . . . . .	186
50. ადამიანის ცხოვრების წესი . . . . .	190
51. რეპროდუქტიული ჯანმრთელობა . . . . .	193
• პროექტი . . . . .	195
• შემაჯამებელი დავალებები . . . . .	196
• ბიოლოგიური ტერმინები და ცნებები . . . . .	198


## სახელმძღვანელოს გაცნობა

### 6 პრაკტიკული რეაქციების გათვალისწინება. ტოლენი და გათი აგენტები




- რატომ მდგრადი გარეული გარეული მიმოსილერების?
- რომელ გრძელი იყონება?
- რომელ მიმოდეტექსტონი გაზედება გალუშის ფოლიში?

ტოლენი რეაქციული ნივთერები - ბიოპოლიმერებია, რომლთა მონომერებს ამინომჟევების ნიმუშებია. ნაწილში არაბრონი 150 სახსს ამინომჟევე, მაგრამ მხოლოდ 20 მათგანი შედას ციტრინის შეასაფენს ლინეარულია.



ყველა ამინომჟევე მსგავსია იმით, რომ შეიცავს კარბოისილის ჯგუფს (-COOH) და ამინოგვეუფას (NH<sub>2</sub>), მაგრამ განსხვავდება ურისმატესადან რადგიკალუებით. ამინომჟევების ზოგადი აგენტულება ასეთია:



- მსჯელობისთვის
- რომელ შენდლება კოლონ სტრუქტურა უკუმინდოვნებელი მის ფორმულასა და ფუნქციებს?

28

მოტივაცია. ინფორმაციის მიწოდება ან კითხვების დასმა წინა გაკვეთილებზე მიღებულ ინფორმაციებს შორის ურთიერთება გამოსავლენად.

განმარტება. აქ იპოვით პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც გაგიჩინდებათ გაკვეთილის შესწავლისას და გაეცნობით გაკვეთილის ძირითად შინაარსს.

საქმიანობა. მოცემულია სხვადასხვა დავალებები და ლაბორატორიული სამუშაოები გამოკვლეულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად. ეს დავალებები დაგენერირებათ გაანალიზოთ მიღებული ინფორმაცია, ჩაატაროთ ცდები და გამოკვლევები.

მსჯელობისათვის.

შემამოწმებელი დავალებები გაკვეთილის უკეთ ასათვისებლად.

5 ეს საინტერესოა. სხვადასხვა მაგალითები და საინტერესო მეცნიერება და სამუშაო კვერცხების უნარი და სხვ. ასევე განვითარება განვითარებულად.

დრულ ფარმაცეტებს ეცნობენ. ინტერესის ფონზე, ამ თუ ის შეცნობული სკოლური მდგრადულება, მუსიკალური, ცეკვის, სპორტული მონაცემები, მათგანაური არის უნარი და სხვ. ასევე განვითარება განვითარებულად.

### 6 საინტერესოა

- ზოგიერთი წინამ-თეატრები, მაგალითად, სისხლის აქტორი და მუსიკონა არა განვითარება

საკუთრის გარეული მიმოდეტექსტონის შენიშვნელის განვითარებული განვითარებისას, დაუყოფა შემცირდება:

- საკუთრის წინამ-თეატრები, რომლისთვის შენიშვნელი მიმოდეტექსტონის შენიშვნელი არა არის;
- მეტი და დღის განვითარების დანართის რიცობის მიზანდებით მარკინის მრავალი დაუყოფა განვითარება;
- კულტურულ თაობის წარმატებული რეალურობის გადამდებარების და მიმოდეტექსტონის შენიშვნელის განვითარება.

ასევე საკუთრის წინამ-თეატრები მიმოდეტექსტონის დაუყოფა გადამდებარების და მიმოდეტექსტონის შენიშვნელის განვითარება.

8

სარეკომენდაციო მასალები დამახსოვრებისათვის. ინფორმაცია გაკვეთილის თემის უკეთ გაგებისათვის.

7

საკვანძო სიტყვები. შესასწავლი თემის ძირითადი ცნებები.

**ცოლების ფუნქციები.** ზოგიერთ ცოლ უჯრედი ძირითადობით ასახული მისამართის როლის პროცესებს, სადაც ქალაქების ფუნქციების უზრუნველყოფა განვითარება. საფრ. კულტურული მისამართის ისეთ პროცესებში, როგორიცებიცაა მილევებულების ტრანსპორტირება, კოლბობა, ცინინისა, ნახ-მიწისუბის და ა. შ. დამატება და სიზუსტი კოცელად უჯრედი არც ერთი რეზუსია რომ მიმღებისას ფუნქციების მონიტორინგის გარეშე ფუნქციური ტურ (კულტურული) ფუნქციების გარდა კოლბობა უჯრედში სხვა ფუნქციებას ასრულებს, ეპიზოდულ სატრანსპორტო, სამშრობლებო, დაუკავშირობისას და ა. შ. 1 გ კოლბობის სიუსტა დაშლისას გამოიყოფა 17,6 კჯ ერთობა.

#### ცოლების ნიჭებები

დამუშავებულია  
დაგენერაციული  
ფუნქციები

ეს საცავი

8

მიღებული ცოდნის შემონმება და გამოყენება. დავალებები და ცდები მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად.

**გამარტინი ცოდნის სარგენერაცია ან ევოლუცია**

1. რამარტინი სტეპები:

  - კოლობის ფანჯრებისას მიზანისას
  - 2. რამარტინის დონატურული შეკვევადა და შეკვევაული?
  - 3. გამოყენება შემოსავაზეცული ცოდნის და ანტირეტ ინგრენის მიმღიღვევა?

#### პროცესი, ფუნქციური, ანტირეტუ, კულტურული მიმღიღვევა

4. ჰასტერეტი კოდეგები:

  - მაღალ შეკვეცების ცოდნა კურატობის, რატონი დეგრადაციებისას ქსოვილი 90-100°C გამოიყენება დონის?
  - 1 გ ცოლის დონატურული დონის გამოყენება მიღწეული ერწოდა, რაც 1 გ ნამდინალის დაფინანსებას რატონი იყენებს ინგრენის ცოდნის ცენტრული საფუძვლის სურათი, უკალებეს შემთხვევაში?
  - გამილაციონურული ცოდნის, ანტისტერილული, მანჯურებელი ინგრენის მიზანდას ჸუჭის სხვადასხვა ცოდნის რამარტინის ულიცის ასეთ შემთხვევაში?

32

9

პროექტები. დამოუკიდებელი სამუშაოსათვის. დაგეხმარებათ თვალსაწიერის გაფართოებაში.

**კორექტი საცავი**

1. დანერეტი სცენარი ქვემოთ შემოაგებულ ნებისმიერ თემაზე რადიოთი გამოყენებისთვის, სარკულამი როლის კონკრეტული მიზანის ფუნქციის სტატიისათვის:

**შემაცნებელი და დაგენერაცია**

1. დანერეტი სცენარი:

ა) ილებას ინგრენის ნინალმდევრებას სტრუქტურის მიმღიღვებისას ამ საცავის შემთხვევაში შეიძლება მარტინის ან

10

შემაჯამებელი დავალებები. შეკვითხები და დავალებები დაგეხმარება შევამონმოთ თუ როგორ აკითოვისეთ განვლილი თავის მასალა.

**ბიოლოგიური ტერმინები და ცნებები**

აგრეტურულები (ლერ. „autos“ – ოჯია, „trophe“ – დკვპა) – ინგრენის, როგორიცაა თემის რამარტინის მიზანულ ნივთების ან ასამარტინულ მიზის ან მამაკანულ მიზის გამო.

11

ბიოლოგიური ტერმინები და ცნებები. სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინებისა და ცნებების მნიშვნელობა.

**1**

## ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი თვისებები

ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება  
მქოდროდ არს ერთმანეთთან  
დაკავშირებული, ამიტომ ძნელია,  
გამოყოფილი ისეთი ნიშან-თვისება,  
რომელიც მხოლოდ ცოცხალი  
ორგანიზმებისთვისაა  
დამახასიათებელი.



- რა ნიშანის მიხედვით შეიძლება თბიექტი ცოცხალ ორგანიზმად მივიჩიოთ?
- თქვენი აზრით, რატომ ითვლება მცენარეები ცოცხალ ორგანიზმებად?



## საქმიანობა

განიხილეთ გრაფიკი,  
რომელიც მწერის  
მატლის (ლარვის) ზრდას  
გამოხატავს.  
რომელი ორა დღის  
განმავლობაში შეიმჩნევა  
მწერის მაქსიმალური  
ზრდა ზომებში?



შეარჩიეთ მტკუცება, რომელიც ზუსტად ასახავს მწერის მატლის (ლარვის) განვითარებას მე-14 დღიდან 22-ე დღემდე.

- პერიოდის დასაწყისში მატლის ზომები მკვეთრად მატულობს, შემდეგ ზრდა თანდათანობით მიმდინარეობს;
- მთელი პერიოდის განმავლობაში ზრდა თანდათანობით ხდება;
- ზომები არ იცვლება;
- პერიოდის დასაწყისში მატლის ზომები მკვეთრად მატულობს, შემდეგ კი ხდება ზრდის შეწერება.

ცოცხალი არსებების ძირითადი თვისებები:

- ქიმიური შემადგენლობის თავისებურებები.** ცოცხალი ორგანიზმებისა და არაცოცხალო ბუნების სხეულების ქიმიური შემადგენლობა ერთნაირია. ძირითადი ქიმიური ელემენტები, რომლებიც შედის ცოცხალი ორგანიზმების შემადგენელ ნივთიერებებში არის ჟანგბადი, ნახშირბადი, აზოტი და ნიკალბადი.
- ნივთიერებათა ცვლა და ენერგიის გარდაქმნა.** ცოცხალ ორგანიზმებში ნივთიერებათა ცვლის საფუძველს წარმოადგენს ისეთი პროცესები, როგორებიცაა კვება, აირთა ცვლა და გამოყოფა. ნივთიერებათა ცვლის დროს ორგანიზმი ხდება ორგანული ნივთიერებების სინთეზი – ასიმილაცია და ორგანული ნივთიერებების დაშლა – დისიმილაცია. ენერგიის გარკვეული ნაწილი, რომელიც დისიმილაციის დროს წარმოიქმნება, ასიმილაციის პროცესში იხარჯება.

## ამოცანა

დაცუშვათ, რომ ოცი კოლორადოს ხოჭო 30 დღის განმავლობაში ანადგურებს 4000 სმ<sup>2</sup> ფოთოლს. კოლორადოს მატლი თავისი განვითარების პერიოდში ჭამს, დაახლოებით, 50 სმ<sup>2</sup> კარტოფილის ფოთოლს. გამოიანგარიშეთ რა ფართობის ფოთოლს გაანადგურებს 1000 კოლორადოს ხოჭო. რამდენი მატლი შეძლებს იმავე ფართობის ფოთოლის განადგურებას?



## მსჯელობისთვის

– ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი რა ნიშნები შეიძლება  
აღმოვაჩინოთ არაცოცხალ ბუნებაში?

**3. გამრავლება.** ცოცხალი ორგანიზმებს ახასიათებთ თავიანთი მსგავსის წარმოქმნის უნარი, რაც განაპირობებს კიდევ სიცოცხლის უწყვეტობას. თავისივე მსგავსი შთამომავლობის წარმოქმნა მემკვიდრეობითობის საშუალებით არის შესაძლებელი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს ცვლილება ზემოქმედებას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე და, შესაბამისად, შთამომავლობა მშობლის იდენტური არ არის, ანუ ადგილი აქვს ცვალებადობას.

**4. ზრდა და განვითარება.** ზრდა არის ორგანიზმის მატება მასასა და ზომებში. ზრდის პრიცესში, რომელსაც თან ახლავს განვითარებაც, ორგანიზმში თვისობრივი ცვლილებები ხდება.

### ამოცანა

**ამოხსენით ამოცანა.** კასპიური სელაპის ახალშობილი ნაშიერის მასა, დაახლოებით, 4 კგ-ია. ძუძუს წოვების პერიოდში მისი მასა ყოველდღიურად მატულობს 0,5 კგ-ით. ძუძუს წოვების პერიოდი 30 დღე გრძელდება. როგორი იქნება პატარა სელაპის მასა ამ პერიოდის გავლის შემდეგ?



**5. მოძრაობა.** ცოცხალი ორგანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება მოძრაობის, ანუ სივრცეში გადაადგილების უნარია. ნეპისმიერი ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში ადგილი აქვს ციტოპლაზმის მოძრაობას. რაღაც სუბსტრატზე მიმაგრებულ ორგანიზმებსაც კი ახასიათებს მოძრაობის (გადაადგილების) შეზღუდული უნარი. ცოცხალ ორგანიზმებს ახასიათებს აქტიური და პასიური მოძრაობა.

**6. გალიზიანებადობა.** ცოცხალი ორგანიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია გარემოს ფაქტორების ზემოქმედებაზე საპასუხო რეაქცია. გალიზიანებადობის თვალსაჩინო მაგალითია ამების გადაადგილება საკვების მიმართულებით ან სუფრის მარლის კრისტალის სანინალმდევრო მიმართულებით, მცენარეების საპასუხო რეაქცია ტენიანობასა და მზის სინათლეზე.

**7. საბინადრო გარემოსთან შეცუებულობა.** ცხოვრების ნირი ცოცხალ ორგანიზმებში იწვევს ცვლილებებს აგებულებაში, ფუნქციებსა და ქცევაში. ამის შედეგად ცოცხალი სისტემა გარკვეულ საბინადრო პირობებში ცხოვრებას ეგუება.

- 8. ისტორიული განვითარების თავისებურებები.** ცოცხალი ბუნების ისტორიული განვითარების პროცესს მარტივიდან რთულისკენ ევოლუცია ეწოდება.

### მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

#### 1. შეავსეთ ცხრილი:

ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშნები	აღწერა
ქიმიური შემადგენლობის თავისებურებები	
ნივთიერებათა ცვლა და ენერგიის გარდაქმნა	
საბინადრო პირობებთან შეგუებულობა	
ისტორიული განვითარების თავისებურებები	

- 2. დაამტკიცეთ, რომ მოცემული ორგანიზმი ცოცხალია. ამისათვის არგუმენტებად გამოიყენეთ ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშნები:**

ძროხა, მუხა, ხვლიკი, ფუტკარი, ბუზიჭერია

- 3. დაადგინეთ შესაბამისობა ცოცხალი ორგანიზმების ნიშან-თვისებებსა და მათ მახასიათებლებს შორის:**

ცოცხალი ორგანიზმების ნიშნები	მათი დახასიათება
1. ნივთიერებათა ცვლა და ენერგიის გარდაქმნა	ა. სხეულის ზრდის უნარი
2. თვითრეგულაცია	ბ. სუნთქვა, კვება, გამოყოფა
3. გაღიზიანებადობა	გ. თავისივე მსგავსის წარმოქმნის უნარი
4. მოძრაობა	დ. გარემოს ცვლილების აღქმის უნარი
5. აგზებადობა	ე. სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნების უნარი

## 2 ცოცხალი ორგანიზმების ორგანიზაციის დონეები

ცოცხალი ბუნება სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემებისგან შედგება – უჯრედები, ქსოვილები და სხვ., რომლებიც მჭიდრო კავშირშა ერთმანეთათან. ეს სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება ზომებით, სტრუქტურით და სხვა თვისებებით.




საკვანძო  
სიტყვები

- ბიოცენოზი
- ბიოსფერო
- პოპულაცია
- ჰისტოლოგია

- რისგან შედგება ქსოვილი?
- რა სასის ქსოვილები არსებობს?
- რა ორგანოებს ქმნის ეს ქსოვილები?

საქმიანობა

განსაზღვრეთ რა არის გამოსახული ა, ბ და გ სურათებზე. აღწერეთ სურათებზე გამოსახული ობიექტების თავისებურებები.




- რა უნდა იყოს კითხვის ნიშის ნაცვლად?
- როგორ შეძლება გავაგრძელოთ შემოთავაზებული სქემა?
- რას გამოხატავს ეს სქემა?

ცოცხალი ორგანიზმების შესწავლა ორგანიზაციის შემდეგ დონეებზე ხდება:




**მოლეკულური დონე.** ორგანიზაციის სირთულის მიუხედავად ყველა ცოცხალი არსება შედგება ცილების, ნუკლინის მჟავების, პლისაქარიდებისა და სხვა მოლეკულებისგან. ბევრი ბიოლოგიური პროცესის (ნივთიერებათა ცვლა, მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემა და ა. შ.) შესწავლა მოლეკულურ დონეზე იწყება. ცოცხალი ორგანიზმების ქიმიურ შემადგენლობას და იმ ქიმიურ პროცესებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ ცხოველებებას, შეისწავლის პიოქიმია.




**უჯრედული დონე.** უჯრედი წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის უმცირეს სტრუქტურულ და ფუნქციურ ერთეულს. უჯრედის აგებულებას, მის ქიმიურ შემადგენლობას, მისი გამრავლებისა და განვითარების თავისებურებებს შეისწავლის ციტოლოგია.

**ორგანულ-ქსოვილური დონე.** მრავალუჯარედიან ორგანიზმებში წარმოშობით, აგებულებითა და ფუნქციებით მსგავსი უჯარედების ერთობლიობა ქსოვილს ქმნის. ქსოვილოვან დონეზე ორგანიზმებს ჰისტოლოგია იყვლევს. ქსოვილების გაერთიანებით გარკვეული აგებულებისა და ფუნქციების მქონე ორგანოები იქმნება.



**ორგანიზმული დონე.** ცალკეულ ინდივიდთა აგებულება და მათი ცხოველებისა თანამდებობის დონეზე შეისწავლება. ეს შესწავლა მოიცავს ინდივიდის განვითარების პროცესს დაბადებიდან სიკვდილამდე.



**პოპულაციურ-სახეობრივი დონე.** სიცოცხლის ორგანიზაციის ამ დონის სტრუქტურულ და ფუნქციურ ერთეულს წარმოადგენს სახეობა. ინდივიდები, რომლებიც ერთ სახეობას მიეკუთვნებიან და ცხოვრის ბოლოების სტორიულად ჩამოყალიბებულ გარკვეულ ტერიტორიაზე, ქმნიან პოპულაციებს. ცალკეული პოპულაციები, რომლებიც სახეობას ქმნიან, ბინადრობენ ერთმანეთისა გან მეტ-ნაკლებად იზოლირებულ ტერიტორიებზე. პოპულაციურ-სახეობრივ დონეზე მიმდინარე განვითარების ისტორიულმა პროცესებმა შეიძლება ახალი სახეობას წარმოშობა გამოიწვიოს.



### მსჯელობისთვის

- რა ურთიერთობები არსებობს ერთი სახეობის პოპულაციებს შორის?

**ბიოგეოცენოზური დონე.** ეს დონე გულისხმობს სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლების ერთობლივ ცხოვრებასა და ურთიერთმოქმედებას გარკვეული გარემოს ზეგავლენით.



**ბიოსფერული დონე.** ბიოსფერო ეს არის სისტემა, რომელსაც ერთობლიობაში ქმნის ყველა ბიოგეოცენოზი. სიცოცხლის ორგანიზაციის ამ დონეზე ხდება ცოცხალი ორგანიზმების ცხოველებეფებით განპირობებული ნივთიერებათა წრებრუნვა და ენერგიის ცვლა.

ატმოსფერო



ჰიდროსფერო



ლითოსფერო



ბიოსფერო

...

**1. შეავსეთ ცხრილი:**

№	დონის სახელწოდება	დონის შემქმნელი კომპონენტები	ძირითადი პროცესები
1			
...			
7			

**2. ცხრილის გრაფებში მიუთითეთ ორგანიზაციის შესაბამისი დონის ნომერი:**

1. მოლეკულური
2. უჯრედული
3. ორგანულ-ქსოვილური
4. ორგანიზმული
5. პოპულაციურ-სახეობრივი
6. ბიოგეოცენოზური
7. ბიოსფერული

- ა) სიცოცხლის ორგანიზაციის უმაღლესი დონე
- ბ) ორგანიზმის ცხოველქმედების პროცესის ნერვულ-ჰუმორული რეგულაცია
- გ) შეინიშნება ციტოპლაზმის მოძრაობა
- დ) ინყება მეტკვიდრული ინფორმაციის გადაცემა
- ე) ჩრდილოეთის ირმების მიგრაცია
- ვ) ამ დონეზე შეინიშნება ბირთვის გაყოფა
- ზ) ამ დონეზე შეინიშნება ვაშლის ხის ყვავილობა
- თ) ამ დონეზე შეისწავლება ცილის მოლეკულის აგებულება და ფუნქციები

ა)	ბ)	გ)	დ)	ე)	ვ)	ზ)	თ)

3. ჩამონერეთ ციფრები, რომლებითაც აღნიშნულია სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები მათი გართულების მიხედვით – უმარტივესიდან ურთულესამდე:
  1. ადამიანის ორგანიზმი
  2. უჯრედის შემადგენლობაში შემავალი ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები
  3. ნეირონი
  4. გონიერი ადამიანი
  5. გულის აგებულება
  6. ჯირკვლოვანი ეპითელიუმი
4. გამოიყენეთ ინფორმაციის დამატებითი წყაროები და მოამზადეთ ელექტრონული პრეზენტაცია ციტოლოგიის, ჰისტოლოგისა და ბიოქიმიის კვლევის მეთოდებსა და თანამედროვე მიღწევებზე.

განყოფილება |

## უკარედი და ორგანიზმი, როგორც ცოცხალი სისტემის საფუძველი

1

თავი I

- ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შემადგენლობა •

თავი II

- უკარედი – ცოცხალი ორგანიზმის აგებულებისა და განვითარების უმარტივესი ერთეული •

თავი III

- ორგანიზმი, როგორც ერთიანი სისტემა •


## 1

თავი |

# ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შემადგენლობა

## 3 ჟარების ქიმიური შემადგენლობა

თუ შევადარებთ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედის ქიმიურ შემადგენლობას არაცოცხალი ბუნების იპიქტების ქიმიურ შემადგენლობას, ალმოჩნდება, რომ ცოცხალი უჯრედი არ შეიცავს რამებ ისეთ განსაკუთრებულ ელემენტს, რომელიც მხოლოდ ცოცხალი ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ ატომურ დონეზეც ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება ერთმანეთისგან არ განსხვავდება, რაც მათ ერთიანობაზე მეტყველებს. განსხვავდას ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის მხოლოდ მოლუკულურ დონეზე ჩნდება.



- რა არის ქიმიური ელემენტი?
- რა განსხვავდას ელემენტსა და ნივთიერებას შორის?

## საქმიანობა

## 1

## გაანალიზეთ ცხრილი და უპასუხეთ კითხვება:

ელემენტი	ცოცხალ ორგანიზმებში %	დედამიწის ქერქში %	ზღვის ნყალში %
ჟანგბადი	65–75	49,2	85,8
ნახშირბადი	15–18	0,4	0,0035
ნყალბადი	8 – 10	1,0	10,67
აზოტი	1,5–3,0	0,04	0,37
ფოსფორი	0,2–1,0	0,1	0,003
გოგირდი	0,15–0,2	0,15	0,09
კალიუმი	0,15–0,4	2,35	0,04
ქლორი	0,05–0,10	0,2	0,06
კალციუმი	0,04–2,00	3,25	0,05
მაგნიუმი	0,02–0,03	2,35	0,14
ნატრიუმი	0,02–0,03	2,4	1,4
რკინა	0,01–0,015	4,2	0,00015

- ცოცხალ ორგანიზმში შემავალი რომელი ქიმიური ელემენტია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ზღვის ნყალში?
- რატომ არის ცოცხალ ორგანიზმებსა და ზღვის ნყალში ჟანგბადისა და ნყალბადის რაოდენობა დაახლოებით ერთნაირი?
- ცოცხალ ორგანიზმში შემავალი რომელი ორი ელემენტის შემცველობა მერყეობს ყველაზე მეტად სხვებთან შედარებით?

უჯრედის შემადგენელი ელემენტები. უჯრედში გვხვდება პერიოდული სისტემის 110 ელემენტიდან 80. მათგან მხოლოდ 27 ელემენტის ფუნქციაა გარკვეული.

ელემენტებს, რომელთა შემცველობა უჯრედში მეტია 0,001%-ზე, მაკროელემენტებს უწოდებენ, ხოლო ელემენტებს, რომელთა რაოდენობა 0,001%-0,000001%-ის ფარგლებშია – მიკროელემენტებს.

## საქმიანობა

2

**გაანალიზეთ ცხრილი და დახასიათეთ უჯრედის ელემენტური შემადგენლობა.**

დაყავით ელემენტები ჯგუფებად უჯრედში მათი პროცენტული შემცველობისა და მნიშვნელობის მიხედვით:

- მაკროელემენტები (0,001%-ზე მეტი)
- მიკროელემენტები (0,001%-0,000001%)
- ორგანიზმში შემავალ რომელ ნივთიერებებში შედის  
მიკროელემენტები და რა როლს ასრულებს ისინი ცოცხალი  
ორგანიზმების ცხოველემედების პროცესში?

ქიმიური ელემენტების პროცენტული შემადგენლობა უჯრედში


ელემენტი	ელემენტი	რაოდენობა %
ჟანგბადი	O	65–75
ნახშირბადი	C	15–18
ნეულბადი	H	8 – 10
აზოტი	N	1,5–3,0
ფოსფორი	P	0,2–1,0
კალიუმი	K	0,15–0,4
გოგირდი	S	0,15–0,2
ქლორი	Cl	0,05–0,10
კალციუმი	Ca	0,04–2,00
მაგნიუმი	Mg	0,02–0,03
ნატრიუმი	Na	0,02–0,03
რკინა	Fe	0,01–0,015
თუთია	Zn	0,0003
სპილენდი	Cu	0,0002
იოდი	J	0,0001
ფლორი	F	0,0001

მაკროელემენტებს მიაკუთვნებენ ჟანგბადს, ნახშირბადს, ნეულბადს, აზოტს, ფოსფორის, კალიუმს, გოგირდს, ქლორის, კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმსა და რკინას. ეს ელემენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედში. მაგალითად, მაგნიუმი ქლოროფილის სტრუქტურულ კომპონენტს წარმოადგენს, რკინა კი ჰემოგლობინში შედის. კალციუმი და ფოსფორი ძვლოვანი ქსოვილის უჯრედში ნივთიერების წარმოქმნაში მონაწილეობს და სიმტკიცეს ანიჭებს ძვლებს. გარდა ამისა, კალციუმი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სისხლის შედედებაში.

ისეთ ელემენტებს, რომორებიცაა თუთია, სპილენდი, იოდი, ფლორი, კობალტი, სელენი უწოდებენ მიკროელემენტებს. მიუხედავად უჯრედში მათი მცირე შემცველობისა, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნივთიერებათა ცვლის პროცესში. მაგალითად, თუთია კუტვევება ჯირკვლის პორმონის, ინსულინის, შემადგენლობაში შედის, იოდი – ფარისებრი ჯირკვლის პორმონის, თიროჭისინის, ძირითადი კომპონენტია, რომელიც ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისა და ზრდის პროცესში არეგულირებს.

ქიმიური ელემენტები ნივთიერებათა შემადგენლობაში ან იონების სახით მონაწილეობს ორგანიზმის შენებაში. მაგალითად, ნახშირბადი, ნეულბადი და ჟანგბადი შედის ნახშირნეულებისა და ცხიმების შემადგენლობაში. ცილების შემადგენლობაში, გარდა ამ ელემენტებისა, შედის აზოტი, გოგირდი, რკინა, მაგნიუმი, იოდი და სხვა ელემენტები. თუ წყალი და ნატრიუმის ქლორიდი გვხვდება როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ ბუნებაში, ორგანული ნაერთები მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმებში გვხვდება.

ქიმიური ელემენტების შემადგენლობა უჯრედში




## საკვანძო სიტყვები

- მაკროელემენტი
- მიკროელემენტი



• ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმი გარემოს ქიმიური მდგომარეობის ინდიკატორის როლს ასრულებს, რადგან გარკვეული ქიმიური ელემენტების დაგროვება შეუძლია ორგანოებსა და ქსოვილებში.

**ცხოველები**, რომლებსაც შეუძლიათ ზოგიერთი ქიმიური ელემენტის დაგროვება. მარცხნიდან მარჯვნივ: სხივები (კალციუმი, სტრონციუმი), ფესვფეხიანები (ბარიუმი, კალციუმი), ასციდიები (ვანადიუმი).



**მცენარეები**, რომლებსაც შეუძლია ზოგიერთი ქიმიური ელემენტის დაგროვება. მარცხნიდან მარჯვნივ: წყალმცენარეები (იოდი), ბაია (ლითიუმი), წყლის პერი, ანუ ლემნა (რადიუმი).



## აიღაბული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

### 1. დაასრულეთ სქემა:

ქიმიური ელემენტი	მაკროელემენტები	
	მიკროელემენტები	
ნივთიერება	ორგანული	
	არაორგანული	

2. დაათვალიერეთ მცენარეები ბიოლოგიის კაბინეტში ან სახლში. ყურადღება მიაქციეთ ფოთლების ფორმასა და ფერს. გამოიყენეთ სურათი და განსაზღვრეთ, რომელი ქიმიური ელემენტი აკლია ამა თუ იმ ოთახის მცენარეს.



### 3. მოძებნეთ შესაბამისობა

- ა. მაგნიუმი
- ბ. თუთია
- გ. კალციუმი
- დ. იოდი
- ე. რკინა

1. მონაწილეობს სისხლის შედედებაში;
2. ნარმოადგენს ქლოროფილის სტრუქტურულ კომპონენტს;
3. ნარმოადგენს ჰემოგლობინის სტრუქტურულ კომპონენტს;
4. შედის ინსულინის შემადგენლობაში;
5. ნარმოადგენს ჰორმონ თიროქსინის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს.

### 4. ამოარჩიეთ მართებული პასუხი:

- ა) განსხვავება ორგანულ და არაორგანულ სამყაროს შორის არსებობს ატომური /მოლეკულური ორგანიზაციის დონეზე.
- ბ) მიკროელემენტებს მიეკუთვნება  $I$ ,  $F$ ,  $Cu$ ,  $O$ ,  $H$ ,  $C$ ,  $N$
- გ) იოდი ნარმოადგენს ფარისებრი/კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონის – თიროქსინის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს.
- დ) სახშირბადის, წყალბადისა და უანგბადის გარდა ცილის/ცხიმის შემადგენლობაში შეძლება შედოდეს მაგნიუმი.

## 4 უჯრედის არაორგანული ნივთიერებები



უჯრედის ცხოველქმედებაში განსაკუთრებული როლი აესრია მის შემადგენლობაში მყოფი ისეთი ნაერთებს, როგორებიცაა წყალი, მიზრალური მარილები, ცილები, ცხიმები და ნახშირწყლება.



- რა არაორგანულ ნაერთებს იცნობთ?

- რომელი არაორგანული ნაერთები გვხვდება უჯრედის შემადგენლობაში?

### მსჯელობისთვის

- რა თვისებები ახასიათებს წყალს?

**საქმიანობა**

**პრაქტიკული სამუშაო**

#### ნივთიერების ხსნადობა წყალში.

**აღჭურვილობა:** ოთახის ტემპერატურის მქონე ხუთი წლიანი ჭიქა, სუფრის მარილი, ეთილის სპირტი, საქართვის, მცენარეული ზეთი, უმი კვერცხის ცილა.


**მუშაობის მსვლელობა:**

ჩამოთვლილი ნივთიერებები ჩაამატეთ წყლიან ჭიქებში და აურიეთ.

- რა შეამჩნიერები? რა და რა ჯაუფებად შეიძლება დაგვირთ ნივთიერებები მათი წყალში ხსნადობის მიხედვით? თევენი აზრით, რატომ იხსნება ზოგიერთი ნივთიერება წყალში, ზოგიერთი კი – არა?

უჯრედის არაორგანულ ნივთიერებებს მიეკუთვნება წყალი და მინერალური მარილები. ყველაზე დიდი რაოდენობით უჯრედში არის წყალი. უჯრედში მისი რაოდენობა დამოკიდებულია ორგანიზმზე, საბინადრო პირობებზე, უჯრედის ტიპსა და ფუნქციაზე. მაგალითად, ძვლის ქსოვილში წყლის რაოდენობა დაახლოებით 20%-ია, ხოლო თავის ტვინის ნერვულ უჯრედებში – 85%. უჯრედში წყლის რაოდენობა გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლის პროცესის ინტენსივობაზე.

#### უჯრედის ნივთიერებები



### მსჯელობისთვის

- როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება გამოიწვიოს უჯრედში წყლის რაოდენობის შემცირებამ მისი დალუპვა?

### საკვანძო სიტყვები

- ჰიდროფილი
- ჰიდროფობი

წყალი განსაზღვრავს უჯრედის მოცულობას და სიმტკიცეს ანიჭებს მას. უჯრედში ქიმიური პროცესები წყლიან გარემოში მიმდინარეობს. წყალი უზრუნველყოფს უჯრედის ცხოველქმედების პროცესების მიმდინარეობას და გარემოს მუდმივობას.

ნივთიერებები გახსნილ მდგომარეობაში შედის უჯრედში და გამოიდის უჯრედიდან. ნივთიერებებს, რომლებიც კარგად იხსნება წყალში, ჰიდროფილურს უწოდებენ, (ბერძ. „hidro“ – წყალი, „fileo“ – სიყვარული), ხოლო წყალში უხსნად ნივთიერებებს კი – ჰიდროფობურს (ბერძ. „hidro“ – წყალი, „fobos“ – შიში).

### ს საინტერესოა

- ოთხი ძირითადი ელემენტის (ჟანგბადი, ნახშირბადი, წყალბადი, აზოტი) შემდეგ მე-5 ადგილზე ცოცხალ ორგანიზმებში რაოდენობრივი შემცველობის მიხედვით არის კალციუმი. ზრდასრული ადამიანის ძვლოვანი ქსოვილიდან ყოველდღიურად გამოიყოფა 700 მგ კალციუმი და იმდენივე კვლავ ნარმილებია. შესაბამისად ძვლოვანი ქსოვილი ორგანიზმში არა მარტო საყრდენ ფუნქციას ასრულებს, არამედ ნარმოადგენს კალციუმისა და ფოსფორის დეპოს. საკვებში ამ ნივთიერებების ნაკლებობის შემთხვევაში ორგანიზმი ძვლებიდან ივსებს დეფიციტს. მაგალითად, ატმოსფერული ნეევის დაცემისას ორგანიზმს წონასწორობის შესანარჩუნებლად უფრო მეტი კალციუმი ესაჭიროება, ვიდრე ჩვეულებრივ მდგომარეობაში. და რადგან სისხლში კალციუმის სათანადო მარაგი არ არსებობს, ორგანიზმი საჭირო კალციუმს ძვლებიდან იღებს. ასაკის მატებასთან ერთად ხშირად ირლევა ეს პროცესები და მოხუცებიც სისტემატურად უჩინვიან ძვლების ტკივილს და ამას ცუდ ამინდს უკავშირებენ.

**მინერალური მარილები.** უჯრედის არაორგანულ ნივთიერებებს მიეკუთვნება მინერალური მარილები. ისინი უჯრედში ჩვეულებრივ იონების (კათიონები  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ ,  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$  და ანიონები  $\text{HPO}_4^{2-}$ ,  $\text{H}_2\text{PO}_4^-$ ,  $\text{Cl}^-$ ,  $\text{HCO}_3^-$ ) ან ქიმიური ნაერთების სახით გვხვდება. ზოგიერთი მცენარის, მაგ., ბეგონიის, სახვის, ლელვის უჯრედის მიკროსკოპით დათვალიერებისას, შეიძლება, დავინახოთ კალციუმის მარილების უხსნადი კრისტალები.


### მარილების კრისტალების დაგროვება



ლელვის ფოთლის  
უჯრედებში



ბეგონიის ფოთლის  
უჯრედებში



ხახვის კანის  
უჯრედებში

მარილების იონები ორგანიზმში ბევრ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. მაგ., კალიუმისა და ნატრიუმის ქლიორიდები მონაწილეობს ადამიანის ნერვულ და კუნთოვან ქსოვილებში ელექტრული იმპულსების წარმოქმნასა და გატარებაში. მიუხედავად იმისა, რომ უჯრედის ცხოველქმედების პროცესში განუწყვეტლივ წარმოიქმნება სხვადასხვა ნივთიერებები მისი შინაგანი შემადგენლობა პრაქტიკულად უცვლელია.

## მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

### 1. ამოარჩიეთ მართებული პასუხი:

- 1) უჯრედში გვხვდება 27/80 ქიმიური ელემენტი.
- 2) ნივთიერებებს, რომლებიც წყალში კარგად იხსნება ჰიდროფილურს/ჰიდროფობურს უწოდებენ.
- 3) ჰიდროფობურ ნივთიერებებს მიეკუთვნება მარილები/ცხიმები.
- 4) უჯრედში წყალი წარმოადგენს ენერგიის წყაროს/გარემოს ქიმიური რეაქციებისთვის.
- 5) წყალს მაქსიმალური სიმკვრივე 4°C/90°C ტემპერატურაზე აქვს.

### 2. უპასუხეთ კითხვებს:

- 1) წყლის ორთულის მოლეკულური მასა არის 18 გ/მოლ, თუ წყალი სითხის სახით არის მოლეკულური მასა ამ მაჩვენებელზე მეტია. რას მიუთითებს ეს ფაქტი?
- 2) როგორ ეგუებიან მცენარეები და ცხოველები წყლის ნაკლებობას?
3. გამოიყენეთ სახელმძღვანელო და ინფორმაციის დამატებითი წყაროები, შეაგროვეთ შემდეგი ინფორმაცია წყალსა და სხვა არაორგანულ ნივთიერებებზე.
  - 1) წყლის ქიმიური შემადგენლობა (მოლეკულური სტრუქტურა, კავშირების სახე და ა.შ.).
  - 2) წყლის სიმკვრივე, სითბოტევადობა და სითბოგამტარობა.
  - 3) მასალა პრეზენტაციისთვის „არაორგანული ნივთიერებების როლი ცოცხალ ორგანიზმში“.
4. მოამზადეთ ინფორმაცია მინერალური ნივთიერებების ნაკლებობის შემთხვევაში ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ცვლილებების შესახებ.

## 5 უკანასკნელი ნივთიერებები: ნახშირწყლები, ლიაიზეპი



- რომელ ნახშირწყლებსა და ლიპიდებს იცნობთ?
- რა მნიშვნელობა აქვს ცოცხალი ორგანიზმებისათვის ნახშირწყლებსა და ლიპიდებს?

ცოცხალი ორგანიზმების ორგანულ ნაერთებს მიეკუთვნება ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ნუკლეინის მჟავები, ატფ და ვიტამინები. ორგანულ ნაერთებს შეიძლება ჰქონდეს როგორც პატარა მოლეკულის სახე, ისე დიდი მოლეკულის – პოლიმერის სახე.

**ბიოპოლიმერები.** პოლიმერები შედგება ღიდი რაოდენობით დაბალმოლეკულური ნაერთების – მონომერებისგან. თუ პოლიმერს წარმოვიდგენთ როგორც გრძელ ჯაჭვს, მაშინ მონომერები შეიძლება წარმოვიდგინოთ მის ცალკეულ რგოლებად. ზოგიერთი პოლიმერი აგებულია ერთნაირი მონომერებისაგან, ზოგიერთი კი – განსხვავებული მონომერებისაგან. პოლიმერებს, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმების შემადგენლობაში შედის, ბიოპოლიმერებს უწოდებენ. ისინი ცოცხალი ორგანიზმების უჯრედების შიგთავსის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

საქმიანობა

პრაქტიკული სამუშაო

### ცხიმებისა და ნახშირწყლების განსაზღვრა.

შეასრულეთ ერთ-ერთი შემოთავაზებული დავალება:

I **ალქურვილობა:** თეთრი პურის ნაჭერი, მზესუმზირას თესლები, იოდის სპირტიანი ხსნარი, ქალალდის ხელსახოცი.

#### მუშაობის მსვლელობა:

- 1) იოდის სპირტიანი ხსნარი გახსენით წყალში მაგარი ჩაის ფერის მიღებამდე და დაალპეთ მასში პურის ნაჭერი.
- 2) მზესუმზირას თესლები მოათავსეთ ქალალდის ხელსახოცის ფენებს შორის და გასრისეთ. ამის შემდეგ გაშალეთ ქალალდი და სინათლეზე დაათვალიერეთ.

II **ალქურვილობა:** სახამებელი, შაქრის ფხვნილი, ორი ჭიქა ცივი წყალი, სპირტქურა.

#### მუშაობის მსვლელობა:

- 1) სამი ჩაის კოვზი სახამებელი ჩაყარეთ ერთ ჭიქაში, ხოლო სამი ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი – მეორე ჭიქაში და აურიეთ.
- 2) ორივე ჭიქაში ჩაამატეთ თითო წვეთი იოდის ხსნარი.
- 3) ორივე ჭიქა გააცხელეთ სპირტქურაზე.

რა შეამჩნიეთ? რას ამტკიცებს ეს?

**ნახშირწყლები.** ნახშირწყლები უჯრედის შემადგენლობი ერთ-ერთი ძირითადი ნივთიერებაა. მათ შემადგენლობაში შედის ნახშირბადი, წყალბადი და ჟანგბადი. აგებულების მიხედვით იყოფა მარტივ (მონოსაქარიდები და დისაქარიდები) და რთულ (პოლისაქარიდები) ნახშირწყლებად.

## მსჯელობისთვის

თქვენი აზრით, რატომ თამაშობს ნახშირწყლები დღიდ როლს უჯრედის ცხოველქმედებაში?

მონოსაქარიდები ტკბილი გემოსია და ადვილად იხსნება წყალში. ყველაზე გავრცელებული მონოსაქარიდებია გლუკოზა, ფრუქტოზა, გალაქტოზა და ნუკლეინის მჟავებსა და ატფ-ის მოლეკულაში შემავალი დეზოქსირიბოზა და რიბოზა. ორი მონოსაქარიდის შეერთებით მიიღება დისაქარიდი. დისაქარიდები თავისი თვისებებით მონოსაქარიდების მსგავსია – ტკბილი გემო აქვს და წყალში კარგად იხსნება. დისაქარიდებს მიეკუთვნება ჭარხლისა და ლერწმის შაქარი (საქაროზა) და რძის შაქარი (ლაქტოზა).

დიდი რაოდენობით მონოსაქარიდების შეერთებით მიიღება პოლისაქარიდები. პოლისაქარიდებში მონოსაქარიდული როლების მატებასთან ერთად მცირდება მათი ხსნადობა წყალში და ტკბილი გემოც ქრება. პოლისაქარიდებს მიეკუთვნება ძირითადად მცენარეულ უჯრედებში შემავალი სახამებელი და ცელულოზა, ცხოველური წარმომობის უჯრედებში შემავალი გლიკოგენი, მწერების გარეგანი ჩინჩხის წარმომქმნელი ქიტინი და სხვ.



- პროდუქტები, რომლებიც დიდი რაოდენობით **ცელულოზას** შეიცვალავთ ზემოქმედებას ახდენს ნანლავების მუშაობაზე, სანალვლებზე, ხელს უწყობს საკვების გადაადგილებას ნანლავებში. ასეთ პროდუქტებს მიეკუთვნება კომბისტო, ჭარხაღლი, ბარდა, ქაჭო და სხვ.
- ნივთიერება **პექტინიც** პოლისაქარიდებს მიეკუთვნება. იყი ძირითადად ხილის რბილობში გვხვდება. პექტინს გააჩნია ზოგიერთი მომშამველი ნივთიერების, მათ შორის მძიმე მეტალების, აპსორბციის უნარი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს პექტინს გოგრის რბილობი.



**ნახშირწყლების ბიოლოგიური როლი.** ნახშირწყლებს ორგანიზმში ძირითადად ენერგეტიკული ფუნქცია აქვს. ორგანიზმის ცხოველქმედების ისეთი პროცესები, როგორებიცაა მოძრაობა, სეკრეცია, ბიოსინთეზი, ნათება და ა. შ. ენერგიის ხარჯვით მიმდინარეობს.

ამ ენერგიის მთავარი წყარო ნახშირწყლებია. დაუანგვის შედეგად ნახშირწყლები იშლება ნახშირორჟანგად და წყლად. 1 გ ნახშირწყლების სრული დამლისას გამოიყოფა 17,6 კჯ ენერგია.

### საკვანძო სიტყვები

- ბიოპოლიმერი
- მონოსაქარიდი
- დისაქარიდი
- პოლისაქარიდი

გარდა ამისა, ნახშირნყლებს გააჩნია სამშენებლო ფუნქციაც. მცენარეთა უჯრედის კედელი ძირითადად ცელულოზით არის „აგებული“. მაგ., ბამბის ბოჭკო ცელულოზისაგან შედგება. სოკოებისა და ცხოველების უჯრედებში გვხვდება ქიტინი.

### მსჯელობისთვის

- რატომ შეიცავს მცენარეული უჯრედები უფრო დიდი რაოდენობით ნახშირნყლებს, ვიდრე ცხოველური უჯრედები?

**ლიპიდები.** ლიპიდები წყალში უხსნადი ორგანული ნაერთებია და ყველა ცხოველური და მცენარეული უჯრედის შემადგენლობაში გვხვდება.

ყველაზე გავრცელებული ლიპიდები – ცხიმებია. ცხიმების შემცველობა უჯრედებში მასში შემავალი ნივთიერებების მშრალი მასის 5-15%-ს შეადგენს. ცხიმოვანი ქსოვილის შემადგენლობაში ცხიმების შემცველობა 90%-ს აღწევს. ცხოველებში ასეთი უჯრედები გვხვდება კანქვეშ, სარძევე ჯირკვლებში და ბადექონში. ყველა იურუმწოვარი ცხოველის რძე შეიცავს ცხიმს. მცენარეებში ცხიმი ძირითადად თესლებსა და ნაყოფში გროვდება, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება ცხიმები ისეთი მცენარეების თესლებსა და ნაყოფებში, როგორებიცაა: მაგ., მზესუმზირა, თხილი, კაკალი, სელი, ბამბა, ზეთისხილი და ა. შ.

### ვს საინტერესოა

ზოგიერთი ცხიმი კრიტიკულ ტემპერატურაზე იშლება და ნარმოქმნის მომშაბველ ნივთიერებებს, რომლებიც განსაკუთრებით აზიანებს ღვიძლს.

ზოგიერთი ცხიმის კრიტიკული ტემპერატურა	ცხიმები, რომლებიც მგრძნობიარეა ტემპერატურისა და სინათლის მიმართ
სიმინდის ზეთი – 140°C კუნუტის ზეთი – 150°C ყურძნის ნიპწების ზეთი – 150°C მზესუმზირას ზეთი – 170°C ზეთისხილის ზეთი – 210°C	სელის ზეთი გოგრის თესლის ზეთი ნიგვზის ზეთი



**ცხიმების ბიოლოგიური როლი.** ცხიმებს ბევრნაირი ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა ისინი ენერგიის წყაროა. 1 გ ცხიმის სრული დაშლისას გამოიყოფა 38,9 კჯ ენერგია. ცხიმები მონაწილეობს ორგანიზმის თერმორეგულაციის პროცესში. მაგ., ძუძუმწოვრებსა და ფრინველებში კანქვეშა ცხიმოვანი შრე უზრუნველყოფს სხეულის მუდმივ ტემპერატურას, რაც ესმარება ცხოველებს ზამთრის სეზონში აქტიურობის შენარჩუნებაში.

ცხიმები ორგანიზმს უზრუნველყოფს სამარაგო წყლითაც. მაგ., 1 კგ ცხიმის სრული დაუანგვისას ნარმოიქმნება 1,1 კგ წყალი. ლიპიდები ორგანიზმში სამშენებლო ფუნქციასაც ასრულებს, კერძოდ, თავისი ჰიდროფობურობის გამო ლიპიდები უჯრედული მებრანის შემადგენლობაში შედის და უჯრედს მთელი რიგი ნივთიერებების შექრისგან იცავს.

## მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

### 1. შეავსეთ ცხრილი

ნახშირწყლების ჯგუფი	ნახშირწყლების მაგალითი	სად გვხვდება	თვისებები
მონოსაქარიდები			
დისაქარიდები			
პოლისაქარიდები			

### 2. ამოარჩიეთ სწორი პასუხი

(1)

- ამოარჩიეთ სამი ფუნქცია, რომელსაც ასრულებს უჯრედში  
ნახშირწყლები:
- საშენებლო
  - ფერმენტული
  - ენერგეტიკული
  - საიგნალო
  - სამარაგო
  - სატრანსპორტო

(2)

- ამოარჩიეთ სამი ფუნქცია,
  - რომელსაც ასრულებს ლიპიდები:
- სამშენებლო
  - ფერმენტული
  - ენერგეტიკული
  - საიგნალო
  - სამარაგო
  - სატრანსპორტო

### 3. ამოხსენით ამოცანა:


- ცხიმის დაუანგვისას ნარმოიქმნა 5,5 გ წყალი. რა რაოდენობის ნახშირწყლები უნდა დაიშალოს, რომ იმავე რაოდენობის ენერგია გამოიყოს?

### 4. ამოარჩიეთ მართებული მტკიცებები ლიპიდების შესახებ.

- 1 გ-ის სრული დაშლისას ნარმოიქმნება დიდი რაოდენობით ენერგია.
- ცხოველებში ნარმოების კანქვეშა ფენას, რომელიც მონაწილეობს სხეულის ტემპერატურის რეგულირებით.
- ცხოველებსა და მცენარეებში გროვდება სამარაგო სახით.
- ზოგიერთი ცხოველისათვის ნარმოადგენს წყლის დამატებით წყაროს.
- შედის მწერების საფარველის შემადგენლობაში.

6

## ქარის ორგანული ნივთიერებები. ცილები და მათი აზეპულება





- რატომ მიეკუთვნება ცილები ბიოპოლიმერებს?
- რომელ ცილებს იცნობთ?
- რომელ პროცესში გვხვდება ცილები?


ცილები რთული ორგანული ნივთიერებები – ბიოპოლიმერებია, რომელთა მონომერებს ამინომჟავები წარმოადგენს. ბუნებაში არსებობს 150 სახის ამინომჟავა, მაგრამ მხოლოდ 20 მათგანი შედის ცილების შემადგენლობაში.

### საქმიანობა


- განიხილეთ ზოგიერთი ამინომჟავის აგებულება და უპასუხეთ კითხვებს.
- რა მსგავსება და განსხვავებაა წარმოდგენილი ამინომჟავების სტრუქტურაში?
  - ამინომჟავის მოლეკულის რომელი ნაწილი განაპირობებს თითოეული ამინომჟავის სპეციფიკურ თავისებურებებს?



ვალინი (ვალ)




ცისტეინი (ცის)



თიროზინი (თირ)

ყველა ამინომჟავა მსგავსია იმით, რომ შეიცავს კარბოქსილის ჯგუფს (-COOH) და ამინოჯგუფს (NH<sub>2</sub>), მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისგან რადიკალებით. ამინომჟავების ზოგადი აგებულება ასეთია:



### მსჯელობისთვის

- როგორ შეიძლება ცილის სტრუქტურა უკავშირდებოდეს მის თვისებებსა და ფუნქციებს?

**ცილის მოლეკულის აგებულება.** კარბოქსილსა და ამინოჯავუფებს შეუძლია დაუკავშირდეს ერთმანეთს პეპტიდური ბმებით. ერთმანეთთან შეკავშირებული ამინომჟავების ნაშები ქმნის პოლიპეპტიდურ ჯაჭვს – ცილის პირველად სტრუქტურას. ჯაჭვზე ამინომჟავების სხვადასხვა თანამიმდევრობის მიხედვით ცილები ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. ცილის მოლეკულებს შეუძლია შექმნას არა მარტო პირველადი, არამედ მეორეული, მესამეული და მეოთხეული სტრუქტურაც კი.

ცილის პირველადი სტრუქტურა წარმოდგენილია ერთმანეთთან გარკვეული თანამიმდევრობით დაკავშირებული ამინომჟავების ძაფით. ჩვეულებრივ ეს ძაფი შემდეგში სპირალისებურად იხვევა. სპირალისებურად დახვეულ ძაფს ცილის მეორეული სტრუქტურა ეწოდება. ასეთი ფორმის მთავარი მიზეზი სპირალის ხვეულებს შორის წარმოქმნილი წყალბადური ბმებია. წარმოქმნილი სპირალი აგრძელებს დახვევას და ღებულობს რთულ სივრცობრივ სტრუქტურას (კონფიგურაციას). მრავალჯერადი დახვევის შედეგად ცილის მოლეკულა სფეროს (გლობულის) ან გორგლის ფორმას იღებს და ზომებში მნიშვნელოვნად მცირდება. ეს უკვე მესამეული სტრუქტურაა. მესამეული სტრუქტურის ცილა ბიოლოგიურად აქტიური ხდება.

#### საკვანძო სიტყვები

- ამინომჟავა
- რადიკალი
- პოლიპეპტიდური ჯაჭვი



- ცილის მოლეკულების უმრავლესობა საკმაოდ ვრძელია და დიდი მოლეკულური მსინთაც ხსიათდება. მაგალითად, ინსულინის მოლეკულური მასა 5700, ფერმენტ რიბონუკეაზის – 127000, ალბუმინის (კვერცხის ცილის) – 36000, ჰემოგლობინის – 65000 მ.ა.ე. (მასის ატომური ერთეული). სხვადასხვა ცილების შემადგენლობაში სხვადასხვა რაოდენობის განსხვავებული ამინომჟავა შედის. მაგალითად, ფერმენტი რიბონუკლეაზა 19 სახის ამინომჟავას შეიცავს, ინსულინი – 18-ს.




ამრიგად, ცილების უმრავლესობა თავის ბიოლოგიურ ფუნქციას მესამეული სტრუქტურის მიღების შემდეგ ასრულებს. ამასთან ერთად, გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად ორგანიზმს ესაჭიროება უფრო მაღალი სტრუქტურული ორგანიზაციის მქონე ცილებიც. ასეთ სტრუქტურას

- თავი 10 ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შემადგენლობა

წარმოადგენს ცილის მეოთხეული სტრუქტურა. მეოთხეული სტრუქტურა იქმნება მესამეული სტრუქტურის მქონე რამდენიმე ცილოვანი ჯაჭვის გაერთიანებით. მეოთხეული სტრუქტურის მქონე ცილაში, ჩვეულებრივ, არაცილოვანი კომპონენტიც შედის. მაგალითად, ჰემოგლობინი, რომელიც ოთხი გლობულისგან შედგება, შეიცავს არაცილოვან ნაწილს – ჰემს.

### ცილის მოლეკულის აგებულება




### აიღაგული ცოდნის გაორიგენა და გაორიგენა

#### 1. შეავსეთ ცხრილი

სტრუქტურის ტიპი	აგებულება	თავისებურებები
პირველადი		
მეორეული		
მესამეული		
მეოთხეული		

#### 2. განსაზღვრეთ ცილებისა და რთული ნახშირწყლების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.



#### 3. მოძებნეთ შეცდომა მტკიცებებში და შეადგინეთ მართებული ფორმულირებები:

- ცილების მონომერებს მონოსაქარიდები წარმოადგენს.
- ამინომჟავები ამინოჯავუფებით განსხვავდება ერთმანეთისგან.
- ცილის მოლეკულებში მხოლოდ ამინომჟავები შედის.
- ცილის პირველადი სტრუქტურა დაკაცშირებულია პოლიპეპტიდური ჯაჭვის სპირალურად დახვევასთან.
- ცილების მეორეული სტრუქტურა განპირობებულია ამინომჟავების ნაშთების თანამიმდევრობით.
- ჰემოგლობინის პოლიპეპტიდური ჯაჭვი აგებულია მხოლოდ ამინომჟავებისგან.

#### 4. ამოხსენით ამოცანა იმ დაშვებით, რომ ერთი ამინომჟავის მოლეკულური მასა დაახლოებით შეადგენს 110 მ.ა.ე?

ადამიანის შრაგში შემაგალი ცილა ალბუმინის მასა დაახლოებით 68400 მ.ა.ე. მოძებნეთ ამინომჟავების ნაშთების დაახლოებითი რიცხვი ამ ცილის მოლეკულაში.

7

## ცილების თვისებები და პიოლოგიური ფუნქციები

ცილებს მიეკუთვნება ცოცხალი ორგანიზმების შემადგენელი ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა ალბუმინი (კვერცხის ცილი), ინსულინი – კუტქევება ჯირკვლის პირმონი, ტრიფსინი – საჭმლის მომნელებელი ფერმენტი. მათ გააჩნია სპეციფიკური თვისებები და უჯრედში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს.



- რატომ ასრულებს ცილები ასეთ მნიშვნელოვან როლს ცოცხალ ორგანიზმებში?
- თქვენი აზრით, რატომ არის ცნება „ცილა“ გაიგივებული ცნება „სიცოცხლესთან“?

საქმიანობა

ლაბორატორიული სამუშაო

**ცილების დენატურაციის შესწავლა**

**ალტუროლობა:** რძიანი და კვერცხისცილიანი სინჯარები, ძმარმჟავა, სპირტქურა, პიპეტი. მუშაობის მსვლელობა:

1. ერთ სინჯარში ჩაასხით 10-15 მლ კვერცხის ცილის ხსნარი და შეათბეთ.
2. მეორე რძიან სინჯარას დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ძმარმჟავა.

- რა შეამჩნიეთ?
- რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ კვლევის შედეგად?

**ცილების თვისებები.** სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების (სპირტის, მჟავების, ტუტეების, მაღალი ტემპერატურის, რადიაციის და სხვ.) ზეგავლენით ცილის მოლეკულა კარგავს თავის თვისებებს, სპირალი კი გაშლას იწყებს. ცილის ბუნებრივი სტრუქტურის რღვევის პროცესს დენატურაცია (ლათ. „de“ – არ არსებობა, რაღაცის წართმევა, „natura“ – ბუნება) ეწოდება. დენატურაცია შეიძლება იყოს შექცევადი ან შეუქცევადი.

დენატურაციის დროს ჯერ იღლვევა ცილის მეოთხეული სტრუქტურა, შემდეგ მესამეული და ბოლოს მეორეული სტრუქტურა. თუ რაღაც ფაქტორის ზემოქმედებით ცილის პირველადი სტრუქტურაც დაირღვა, მაშინ დენატურაცია შეუქცევადი ხდება. მაგალითად, კვერცხის ცილის დენატურაცია  $60-70^{\circ}\text{C}$  ხდება. თუ ცილის პირველადი სტრუქტურა შენარჩუნებულია, მაშინ მოლეკულას უნარი აქვს თავის ბუნებრივ პირველად მდგომარეობას დაუბრუნდეს. ამ პროცესს შექცევადი დენატურაცია, ანუ რენატურაცია ეწოდება. ეს ნიშნავს, რომ ცილის მოლეკულის აგებულებისა და ფუნქციების ყველა თავისებურება განსაზღვრულია მისი პირველადი სტრუქტურით.



• თავი 10 ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შემადგენლობა.

**ცილების ფუნქციები.** ზოგიერთი ცილა უჯრედში ბიოლოგიური კატალიზატორის როლს ასრულებს, ზრდის ქიმიური რეაქციების სიჩქარეს და მასში მიმდინარე პროცესებს არეგულირებს. ასეთ ცილებს ფერმენტებს უწოდებენ. გარდა ამისა, ფერმენტები მონაწილეობს ისეთ პროცესებში, როგორებიცაა მოლეკულების ტრანსპორტირება, ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების და ა. შ. დაძლა და სინთეზი. ცოცხალ უჯრედში არც ერთი რეაქცია არ მიმდინარეობს ფერმენტების მონაწილეობის გარეშე. ფერმენტული (კატალიზური) ფუნქციების გარდა, ცილები უჯრედში სხვა ფუნქციებსაც ასრულებს, კერძოდ, სატრანსპორტო, სამშენებლო, დაცვით, მოძრაობით და ა. შ. 1 გ ცილის სრული დამლისას გამოიყოფა 17,6 კვ ენერგია.

#### საკვანძო სიტყვები

- დენატურაცია
- რენატურაცია
- ფერმენტი

## ეს საინტერესოა

- სტრესის დროს ორგანიზმს განსაკუთრებით ესაჭიროება გარკვეული ამინომჟავები. ასეთი ამინომჟავების არარსებობის შემთხვევაში ორგანიზმის იმუნიტეტი ირდევება.
- ადამიანის ორგანიზმში ყველაზე გრძელი ამინომჟავური ჯაჭვი აქვს ცილა ტიტინს. იგი შედგება 38138 ამინომჟავისგან.
- ყოველი 5-6 თვის განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში ცილების უმრავლესობა ახლით იცვლება.
- რვაცებას და სხვა მოლუსკების და ობობების სისხლს მოცისფრო ელფერი დაპროცეს, რადგან შეიცავს არა ჰემოგლობინს, რომელიც სისხლს წითელ შეფერილობას აძლევს რვინის შემცველობის გამო, არამედ ჰემოციანინს, რომელიც სპილენის ატრებს შეიცავს.

#### მიღებული ცოდნის შემოხეპა და გამოყენება

##### 1. დაასრულეთ სქემა:



2. რატომ არის დენატურაცია შექცევადი და შეუქცევადი?
3. გამოიყენეთ შემოთავაზებული ცნებები და აღწერეთ ორგანიზმში მიმდინარე პროცესები.
4. უპასუხეთ კითხვებს:
  - შალი შეიცავს ცილა კერატინს. რატომ დგება (პატარავდება) შალის ქსოვილი 90-100°C გარეცხვის დროს?
  - 1 გ ცილის დაჟანგვის დროს გამოიყოფა იმდენივე ენერგია, რაც 1 გ ნახშირწყლის დაჟანგვისას. რატომ იყენებს ორგანიზმი ცილებს, როგორც ენერგიის წყაროს, უკიდურეს შემთხვევაში?
  - განსაკუთრებული ცილები – ანტისეცულები – ანადგურებს ორგანიზმში მოხვედრილ უცხო სხეულებს. ცილის რომელი თვისება ვლინდება ასეთ შემთხვევაში?


## 8 ნუკლეინის მჟავაპი

ტერმინი ნუკლეინის მჟავები წარმოქმნილია უჯრედის ბირთვის (ლათ. „nukleus“ – ბირთვი) სახელწოდებიდან, რაღაც სწორედ ბირთვში აღმოაჩინეს ისანი პირველად. შემდგომში დადგინდა, რომ ნუკლეინის მჟავები უჯრედის სხვა ორგანიუმიდებშიც (მიტოქონდრიებში, პლასტიდებში) გვხვდება.



- რა როლს ასრულებს ბირთვი უჯრედში?
- უჯრედის რომელი სტრუქტურებია დაკავშირებული მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემასთან?

ნუკლეინის მჟავები ბუნებრივი მაღალმოლექულური ორგანული ნივთიერებებია. ეს მოლეკულები უზრუნველყოფს მემკვიდრული ინფორმაციის შენახვასა და შთამომავლობისთვის გადაცემას. თავისი აგებულების მიხედვით ნუკლეინის მჟავები ბიოპოლიმერებია, რომელთა მონომერებს ნუკლეოტიდები წარმოადგენს. თითოეული ნუკლეოტიდი შედგება ნახშირწყლის, აზოტოვაზი ფუძისა და ორთოფოსფორმჟავას (ფოსფორმჟავას) ნაშთისგან.



### მსჯელობისთვის


- უჯრედის რა თავისებურებებს განაპირობებს ნუკლეინის მჟავების მოლეკულაში ნუკლეოტიდების თანამიმდევრობა?

ნუკლეინის მჟავების სახეები. უჯრედში არსებობს ორი სახის ნუკლეინის მჟავა: დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ) და რიბონუკლეინის მჟავა (რნმ).

### საქმიანობა

დააკვირდით ნუკლეინის მჟავების ჯაჭვების სქემატურ აგებულებას.  
აღწერეთ მათი აგებულების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

– რა კანონზომიერება შეიინიშნება დნმ-ის ირგმაგი ჯაჭვის აგებულებაში?



- თავი 10 ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შემადგენლობა.

**დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ).** უჯრედების უმრავლესობაში მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელს წარმოადგენს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ). ეუკარიოტულ ორგანიზმებში დნმ გვხვდება ბირთვში და ზოგიერთ სხვა ორგანოიდშიც – პლასტიდებსა და მიტოქონდრიებში. პროკარიოტულ ორგანიზმებში ჩამოყალიბებული ბირთვი არ არსებობს, ამიტომ დნმ ასეთ ორგანიზმებში უშუალოდ ციტოპლაზმაშია.


### საკვანძო სიტყვები

- ნუკლეოტიდი
- აზოტოვანი ფუძე
- დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა(დნმ)
- რიბონუკლეინის მჟავა (რნმ)


ული ჯაჭვი შედგება ნუკლეიტიდებისგან. დნმ-ში გვხვდება ოთხი სახის აზოტოვანი ფუძე: ადენინი (A), გუანინი (G), ციტოზინი (C) და თიმინი (T). დნმ-ის ორმაგ ჯაჭვში აზოტოვანი ფუძეები სპირალის შიგნით არის მიმართული და წყალბადური ბმებით უავშირდება ერთმანეთს. ნუკლეოტიდების შეერთებას შემთხვევითი ხასიათი არ აქვს, არამედ გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება, რომლის მიხედვითაც ადენინის საპირისპიროდ ყოველთვის თიმინი მდებარეობს, გუანინის საპირისპიროდ – ციტოზინი. ნუკლეოტიდების ასეთ შეწყვილებულ შეერთებას კომპლემენტარობა (ლათ. „complementum“ – დამატება) ეწოდება.

F – ფოსფორმჟავას ნაშთი  
P – ნახშირნყალი (პენტოზა)

### დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის აგებულება (სქემა)



**რიბონუკლეინის მჟავა (რნმ)** წარმოადგენს პოლიმერს, რომლის მონომერები ნუკლეოტიდებია. აგებულების მიხედვით დნმ-ის მსგავსია, მაგრამ მხოლოდ ერთი სპირალისგან შედგება. რნმ-ში აზოტოვანი ფუძე თიმინის ნაცვლად გვხვდება აგებულებით მისი მსგავსი ურაცილი (U). გარდა ამისა, რნმ-ში შემავალი ნახშირნყალი არის რიბოზა (დნმში ღეზოქსირიბოზა). სწორედ ამიტომაც უწოდებენ მას რიბონუკლეინის მჟავას. რნმ-ის მოლეკულა უჯრედში გვხვდება ბირთვში, ციტოპლაზმასა და ზოგიერთ სხვა ორგანოიდშიც.



**რნმ-ის სახეები.** უჯრედში გვხვდება რიბოსომული, ინფორმაციული და სატრანსპორტო რნმ, რომლებიც ცილის სინთეზში მონაწილეობს. სამივე სახის რნმ დნმ-ზე სინთეზდება.

რიბოსომული რნმ (რ-რნმ) წარმოადგენს რიბოსომის შემადგენელ ნანილს. ინფორმაციულ რნმ-ს (ი-რნმ) ინფორმაცია ცილის პირველადი სტრუქტურის შესახებ გადააქვს დნმ-დან ცილის სინთეზის ადგილზე. სატრანსპორტო რნმ (ტ-რნმ) ამინომჟავებს იერთებს და მათ ტრანსპორტირებას ახდენს ცილის სინთეზის ადგილზე – რიბოსომაში. ამრიგად, სამივე ტიპის რნმ ცილის ბიოსინთეზში მონაწილეობს.

### მიღაგული ცოდნის შემოხევა და გამოყენება


#### 1. შეავსეთ ცხრილი:

ნიშნები	დნმ	რნმ
ადგილმდებარეობა უჯრედში		
მოლეკულის აგებულება		
ნუკლეოტიდის აგებულება		


2. 1) მიუთითოთ დნმ-ის მეორე ჯაჭვში ნუკლეოტიდების თანამიმდევრობა, თუ პირველ ჯაჭვში მათი თანამიმდევრობა ასეთია:

A-G-T-C-A-G-T-A-C-C-G-T-G-C-T

2) მოძებნეთ შეცდომები დნმ-ის მოლეკულის სტრუქტურაში:



#### 3. შეავსეთ სქემა



#### 4. ამოხსენით ამოცანები:

- დნმ-ის მოლეკულაში ციტოზინიანი ნუკლეოტიდები 27%-ია. განსაზღვრეთ დანარჩენი ნუკლეოტიდების პროცენტული თანაფარდობა.
- დნმ-ის მოლეკულაში 680 გუანინიანი ნუკლეოტიდია, რაც ნუკლეოტიდების საერთო რიცხვის 16%-ს შეადგენს. რამდენი ადეზინიანი, თიმინიანი და ციტოზინიანი ნუკლეოტიდია დნმ-ის მოცემულ მოლეკულაში?

## პროექტი

1. გამოიყენეთ ექსკურსიაზე მიღებული დაკვირვების შედეგები, სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა ან ინტერნეტით მოპოვებული ცნობები და შეაგროვეთ ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმის (ან სხვა ცოცხალი ორგანიზმების) შესწავლის მეთოდების შესახებ ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე. მოამზადეთ ელექტრონული ინფორმაცია Power Point-ის პროგრამით შემდეგი გეგმის მიხედვით:
  - ორგანიზმი.
  - ორგანიზაციის დონე.
  - შესასწავლი სისტემა.
  - გამოყენებული მეთოდი.
  - გამოკვლევის (შესწავლის) მნიშვნელობა.
2. ინტერნეტის გამოყენებით მოიძიეთ ინფორმაციები სხვადასხვა ქიმიური ელემენტების ნაკლებობით გამოწვეული ადამიანის დაავადებების შესახებ. გამოვყითხეთ თქვენი ოჯახის წევრები, ნაცნობი ექიმები ან სხვა სპეციალისტები ადამიანისათვის საჭირო ქიმიური ელემენტების შესახებ. მოამზადეთ გამოსვლა თემაზე – ქიმიური ელემენტების ნაკლებობით გამოწვეული დაავადებები, მათი მკურნალობა და პროფილაქტიკა. გააფორმეთ მასალა თქვენი არჩევანის მიხედვით.
3. გამოიყენეთ შესაბამისი წყაროები (სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან და ა.შ.) ან მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით და მოამზადეთ ფოტო-კოლაჟი (A3 ფორმატის ფურცელზე) თემაზე: „ბუნებრივი და ხელოვნური ნახშირწყლების, ცხიმებისა და ცილოვანი ბუნების ნივთიერებების გამოყენება ადამიანის მიერ“.
4. გამოიყენეთ პლასტილინი და დრეკადი მავთული და შეეცადეთ შექმნათ ცილის მოლეკულის სივრცული მოდელი. მოდელის მიხედვით მოახდინეთ დენატურაციისა და რენატურაციის პროცესების დემონსტრაცია, ახსენით ცილის ბუნებრივი სტრუქტურის რღვევის მიზეზები.

**1. ამოარჩიეთ მართებული მტკიცებები:**

- 1) პეპელა ცოცხალი სისტემაა ორგანიზმულ დონეზე.
- 2) ინფუზორია და ვირუსი ერთი ღონის ცოცხალი ორგანიზმებია.
- 3) სახეობა – მალარიის გამოწვევი კოლო – არის სისტემა პოპულაციის დონეზე.
- 4) ცოცხალი არსებების ჯგუფები, რომლებიც შეგუებული არიან განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთად ცხოვრებას, საბინადრო გარემოსთან ერთად ქმნიან ბიოსფეროს.
- 5) ქლოროპლასტი არის სისტემა უჯრედულ დონეზე.
- 6) ღვიძლის ორპირა არის იმავე ღონის სისტემა, როგორიც ღვიძლი, რომელშიც ის პარაზიტობს.
- 7) ქსოვილურ დონეზე ცოცხალ ორგანიზმებს შეისწავლის მეცნიერება ჰისტოლოგია.

**2. ალნიშნეთ სწორი პასუხი:**

- 1) ამინომჟავები ერთმანეთისგან განსხვავდება რადიკალით/აზოტოვანი ფუძით.
- 2) ჰემოგლობინის შემადგენლობაში შედის  $Mg/Fe$ -ის იონები.
- 3) ცილის მეორეული სტრუქტურა ნარმოდენილია ჯაჭვით/სპირალით.
- 4) ადენინი დნმ-ში ქმნის კომპლემენტარულ კავშირს ურაცილთან/თიმინთან.
- 5) მონოსაქარიდებს მიეკუთვნება ცელულოზა/გლუკოზა.
- 6) უფრო მეტი ენერგია გამოიყოფა 10 გ ცილის/ცხიმის დაშლის დროს.
- 7) თუ დნმ-ის ჯაჭვი შეიცავს 28% ადენინიან ნუკლეოტიდებს, გუანინიანი ნუკლეოტიდების რაოდენობა იქნება 28%/22%.
- 8) ცილის ბუნებრივი სტრუქტურის რღვევის პროცესს რენატურაცია/დენატურაცია ეწოდება.

**3. რა თვისებები ახასიათებს დნმ-ის და რნმ-ის მოლეკულებს? გადაიხაზეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ.**

- 1) მემკვიდრულ ინფორმაციას ინახავს.
- 2) შედგება ერთი პოლინუკლეოტიდური ძაფისგან.
- 3) შეიცავს ნუკლეოტიდებს: ადენინანს, ურაცილიანს, ციტოზინანს, გუანინიანს.
- 4) შედგება ორი სპირალურად დახვეული პოლინუკლეოტიდური ძაფისგან.
- 5) შეიცავს ნუკლეოტიდებს: ადენინს, თიმინს, ციტოზინს, გუანინს.
- 6) გადააქვს მემკვიდრული ინფორმაცია ბიორთვიდან რიბოსომამდე.

დნმ	რნმ

**4. მოცემულია ორი სახის ნუკლეოტიდური თანამიმდევრობა:**

- 1... CAC ACA CTG AGA TGG...
- 2... CGA AGG UCG AUA AGC

განსაზღვრეთ, რომელი მათგანია დნმ-ის მაკოდირებელი ჯაჭვის ფრაგმენტი და რომელი ინფორმაციული რნმ-ის უბანი.

5. მცირე დოზის ულტრაიისფერი დასხივებით მოხდა ცილის დენატურაცია. დასხივების შეჩერების შემდეგ ცილის ფუნქციები აღდგა. როგორ ფიქრობთ, ცილის სტრუქტურის რომელი დონე დაზიანდა დენატურაციის დროს?
- ა) მხოლოდ მეორეული სტრუქტურა;
  - ბ) მხოლოდ პირველადი სტრუქტურა;
  - გ) მხოლოდ მესამეული სტრუქტურა;
  - დ) მეორეული და მესამეული სტრუქტურა;
  - ე) მესამეული, მეორეული და პირველადი სტრუქტურა.
6. უპასუხეთ კითხვები:
- რა იგულისხმება ნივთიერებათა ცვლაში? რა პროცესებს მოიცავს იგი?
  - რა საშიშროება ემუქრება ორგანიზმს გაღიზიანებადობის დაკარგვით?
  - რატომ ჰგავს შთამომავლობა მშობლებს?

## თავი II

# უჯრედი – ცოცხალი ორგანიზმის აგებულებისა და განვითარების ელემენტარული ერთეული

9

## უჯრედის შესავალა. უჯრედული თეორია



ციტოლოგია (ბერძ. „*kytos*“ – უჯრედი, „*logos*“ – მეცნიერება) არის მეცნიერება უჯრედის შესახებ. ცოცხალი ორგანიზმების უფლების უმრავლესობა უჯრედებისგან შედგება. უჯრედი ცოცხალი ორგანიზმების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციონირების ელემენტარული ერთეულია.



- რა არის უჯრედი?
- დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ცოცხალ ორგანიზმს აქვს უჯრედული აგებულება?
- რა და რა ჯგუფებად შეიძლება დაყყოთ ცოცხალი ორგანიზმები უჯრედული აგებულების მიხედვით?

## საქმიანობა


მცენარეების, ცხოველებისა და სოკოების უჯრედების მიკროსკოპით დაზვალიერება.

**მიზანი:** სხვადასხვა უჯრედების აგებულების თავი-სებურებების შესწავლა და შედარება.

**აღჭურვილობა:** მიკროსკოპი, მცენარის, ცხოველისა და სოკოს უჯრედების მიკროპრეპარატები, პლაკატები სხვადასხვა სახის უჯრედების გამოსახულებით.

**მუშაობის მსვლელობა:**

1. მიკროსკოპით დაათვალიერეთ მცენარეების, ცხოველებისა და სოკოების უჯრედები.
2. შეისწავლეთ სურათი „ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმების სხვადასხვა ფორმის უჯრედები“.
3. მიკროსკოპით ნანახი შეადარეთ სურათზე გამოსახულ ობიექტებს. სამუშაო რვეულში ჩაიხატეთ მიკროსკოპით ნანახი ობიექტები და უჯრედის ნაწილებს სახელწოდებები მიუწერეთ.
4. შეადარეთ უჯრედები ერთმანეთს.



უჯრედის სახე	უჯრედის სქემატური გამოსახულება	უჯრედის აგებულების თავისებურებები

– რა განსხვავება და მსგავსებაა ამ უჯრედებს შორის?

ციტოლოგია შეისწავლის ორგანიზმის უჯრედების აგებულებას, ქიმიურ შემადგენლობას, ფუნქციებს, გამრავლებასა და განვითარებას და საარსებო გარემოსთან შეეუების თავისებურებებს. სადღეისოდ, ციტოლოგია კომპლექსურ მეცნიერებად ითვლება. სხვა ბიოლოგიური მეცნიერებების გარდა, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიკასთან, მათემატიკასთან, ქიმიასთან და ა. შ. ამიტომ გამოყოფენ მეცნიერების ფართო დარგს, რომელსაც უჯრედის ბიოლოგიას უწოდებენ.

**უჯრედის შესწავლის ისტორია.** მეცნიერება ციტოლოგიის განვითარება

### საკვანძო სიტყვები

- ციფოლოგია
- უჯრედის ბიოლოგია
- უჯრედული თეორია

დაკავშირებულია მიკროსკოპის შექმნასთან. პირველი მიკროსკოპები ჯერ კიდევ XVI ს-ში შეიქმნა ჰილანდიაში. მეცნიერული კვლევისათვის მიკროსკოპი პირველად ინგლისელმა ფიზიკოსმა და ბოტანიკოსმა რობერტ ჰენრი ჰენრი კუკმა გამოიყენა. 1665 წ. რობერტ ჰენრი კუკმა მის მიერ კონსტრუირებული მიკროსკოპით საცოპის ანათალის დაკვირვებისას აღმოაჩინა, რომ საცოპი შედგება მრავალი, ფიჭის მსგავსი უჯრედისგან, რომელთაც მეცნიერმა „*kytos*“ – უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰენრი ფაქტობრივად, ხედავდა არა უჯრედს, არამედ მის გარსს, ტერმინი „უჯრედი“ ბიოლოგიაში მყარად დამკვიდრდა.

### მსჯელობისთვის

– რა მეთოდებით შეიძლება უჯრედის აგებულებისა და ფუნქციონირების შესწავლა?

ერთუჯრედიანი ცოცხალი ორგანიზმები პირველად 1680 წ. აღმოაჩინა ანტონი ვან ლევენჰუქმა. მისი მიკროსკოპი ობიექტს 270-ჯერ ადიდებდა. მიკროსკოპის შემდგომმა სრულყოფამ XIX საუკუნეში მეცნიერებს საშუალება მისცა სერიოზული ინფორმაცია დაეგროვებინათ ცხოველური და მცენარეული უჯრედების აგებულების შესახებ. ამ პერიოდში გერმანელმა მეცნიერმა მათიას შლეიდენმა შეაგროვა და განაზოგადა მასალები მცენარეული უჯრედის აგებულების შესახებ. უჯრედის აგებულების შესახებ დაეგროვილმა ცოდნამ საფუძველი მოუმზადა თეორიორ შვანის მიერ 1839 წ. უჯრედული თეორიის შექმნას. თეორიორ შვანმა შეაჯერა მისი და მათიას შლეიდენის კვლევის შედეგები და დაადგინა, რომ ცხოველური და მცენარეული უჯრედების აგებულება მსგავსია. ამით დაამტკიცა, რომ უჯრედი წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმების აგებულების საერთო ელემენტარულ ერთეულს.

### ეს საინტერესოა

- ადამიანის ორგანიზმი შეიცავს დაახლოებით  $10^{14}$  უჯრედს.
- ყოველ წამში იღუპება და ახლით იცვლება დაახლოებით 2,5 მლნ. ერთორციტი.
- ჩვეულებრივ მცენარეული და ცხოველური უჯრედები ზომებში 5-20 მკმ-ის ფარგლებში მერყეობს. თუმცა მცენარეული ბოჭკოების ცალკეული უჯრედებისა და ნერვული მორჩების სიგრძე შეიძლება 1 მ-ს აღნევდეს.
- ყველაზე მსხვილი უჯრედი არის ფრინველის კვერცხი, მაგ., სირაქლემას კვერცხის გული 0, 5 კგ-ს იწონის.

უნდა აღინიშნოს, რომ შვანი და შლეიდენი ცდებოდნენ, როცა თვლიდნენ, რომ ორგანიზმში უჯრედები არაუჯრედული აგებულების ნივთიერებებისგან წარმოიქმნება. ეს მოსაზრება უარყო გერმანელმა მეცნიერმა რუდოლფ ვირხოვმა. 1858 წ. მან გააკეთა ასაკინა, რომ „ყველა უჯრედი წარმოიქმნება დედისეული უჯრედის გაყოფით“. მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში კარლ ბერმა ძუძუმწოვრების კვერცხუჯრედი აღმოაჩინა და დაადგინა, რომ ყველა მრავალუჯრედიანი ორგანიზმი ვითარდება განაყოფიერებული კვერცხუჯრედის – ზიგოტისგან. ამით მან დაამტკიცა, რომ უჯრედი არა მარტო აგებულების ერთეულია, არამედ ცოცხალი ორგანიზმების განვითარების ერთეულსაც წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ ცოცხალი ორგანიზ-

მების დიდ უმრავლესობას აქვს აგებულებითა და ფუნქციებით მსგავსი უჯრედები, რაც წარმოადგენს მათი საერთო წარმომავლობის დამატები-ცებელ მთავარ არგუმენტს.

**უჯრედული თეორია.** დროთა განმავლობაში თეოდორ შვანის უჯრე-დული თეორია გამდიდრდა ახალი დებულებებით, რამაც მიგვიყვანა თა-ნამედროვე უჯრედულ თეორიამდე. თანამედროვე უჯრედული თეორია მოიცავს შემდეგ დებულებებს:

1. უჯრედი არის ყველა ცოცხალი ორგანიზმის აგებულებისა და გან-ვითარების უმცირესი ერთეული.

2. ყველა ორგანიზმის უჯრედები მსგავსია აგებულების, ქიმიური შე-მადგენლობის, ცხოველქმედებისა და ნივთიერებათა ცვლის მიმდინარეო-ბის მიხედვით.

3. უჯრედების გამრავლება ხდება მათი გაყოფის გზით. ყოველი ახალი უჯრედი წარმოიქმნება დედისეული უჯრედის გაყოფის შედეგად.

4. რთული მრავალუჯრედიანი ორგანიზმების უჯრედები სპეციალიზ-დება გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად და ქსოვილებსა და ორ-განობებს ქმნის.

5. ქსოვილები და ორგანობი ნერვული და ჰუმორული სისტემებით რეგულირდება.

უჯრედების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადებათა გამომწვევი მიზეზების დასადგენად. მაგალითად, შაქრიან დიაბეტს იწვევს კუჭქვეძა ჯირკვლის უჯრედების ფუნქციის მოშლა.

### მიღებული ცოდნის შემოხვევა და გამოყენება

1. მიუთითეთ იმ მეცნიერთა სახელები, რომელთაც ეკუთვნით მტკიცებები:

- 1) „უჯრედი ცოცხალი არსებების აგებულების ერთეულია“ ...
- 2) „უჯრედი ცოცხალი არსებების განვითარების ერთეულია“ ...
- 3) „უჯრედები წარმოიქმნება დედისეული უჯრედის გაყოფის გზით“ ...

2. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

- ტერმინი „უჯრედი“ პირველად გამოიყენა რ. ჰუკმა/ა. ლევენცუკმა.
- რ. ჰუკმა/ა. ლევენცუკმა კორპის საცობის თხელი ანათალის მიკროსკოპით დათვალიერებისას პირველად შეამჩნია, რომ საცობი შედგება ფიჭის მსგავსი უჯრედებისგან.
- ერთუჯრედიანი ცოცხალი ორგანიზმები პირველად აღმოაჩინა რ. ჰუკმა/ა. ლევენცუკმა.

3. სწორ თანამიმდევრობით დაალაგეთ თანამედროვე უჯრედული თეორიის დებულებები:

- ა) რთული მრავალუჯრედიანი ორგანიზმების უჯრედები სპეციალიზდება გარ-კვეული ფუნქციების შესასრულებლად და ქსოვილებსა და ორგანობებს ქმნის.
- ბ) უჯრედი არის ყველა ცოცხალი ორგანიზმის აგებულებისა და განვითა-რების უმცირესი ერთეული.
- გ) უჯრედების გამრავლება მათი გაყოფის გზით ხდება.
- დ) ყველა ორგანიზმის უჯრედები მსგავსია აგებულების, ქიმიური შემადგენლო-ბის, ცხოველქმედებისა და ნივთიერებათა ცვლის მიმდინარეობის მიხედვით.
- ე) ქსოვილები და ორგანობი ნერვული და ჰუმორული სისტემებით რეგულირდება.

1	2	3	4	5

## 10 პირუსების მრგანიზმი. ვირუსები



- რომელ ვირუსულ დაავადებებს იცნობთ?
- როგორ შეიძლება დასწოვნდეს ადამიანი ვირუსული დაავადებით?

ვირუსები (ლათ. „virus“ – შხამი) მცირე ზომის, არაუჯრედული სიცოცხლის ფორმებია. ისინი შედგება გენეტიკური მასალის (დნმ ან რნმ), რომელიც მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელია და დამცავი ცილოგანი საფარველის – კაფსიდისგან. ვირუსები არ შეიცავს ორგანული ნივთიერებების ნარმომქმნელ სტრუქტურებს. ამის გამო ცხოველებების პროცესისათვის ისინი მასპინძლის (იმ არსების, რომელშიც ცხოვრობს) უჯრედების რესურსებს იყენებს. ვირუსების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ გამრავლება სხვა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებში შეუძლია. მათი გამრავლება მხოლოდ კი უჯრედის სიკვდილს იზევს. როცა ვირუსის მემკვიდრული მასალა ხვდება უჯრედში, ინერგება მასპინძლის უჯრედის მემკვიდრულ მასალაში და ცვლის მას. ცოცხალი ორგანიზმები შეიძლება დასწოვნდნენ რამდენიმე სახის ვირუსით.

### საქმიანობა

შეადარეთ ბაქტერიისა და წყალმცენარის უჯრედის აგებულება თამბაქოს მოზაიკის ვირუსს. დასვით ნიშანი +, სადაც მოცემული სტრუქტურები გვხვდება.

ორგანოდები	ბაქტერიის უჯრედი	წყალმცენარის უჯრედი	თამბაქოს მოზაიკის ვირუსი
უჯრედის გარსი			
ციტოპლაზმა			
ბირთვი			
მემკვიდრული მასალა (დნმ ან რნმ)			
ნამნამები			
ქრომატოფორი			



### ბაქტერიის უჯრედი

– რა ნიშნის მიხედვით ითვლება ვირუსი ცოცხალ ორგანიზმად?

### წყალმცენარის უჯრედი

### თამბაქოს მოზაიკის ვირუსი

ვირუსული დაავადებებით ადამიანის დასწოვნების გზები. ვირუსები ადამიანში განსხვავებული გზებით იჭრება და სხვადასხვა დაავადებებს იზევს. შექრის ერთ-ერთი გზა უხარისხო საკვების მიღებაა. მაგალითად, A ჰეპატიტის ვირუსი სწორედ ასეთი გზით ხვდება ადამიანის ორგანიზმში. გარდა ამისა, ვირუსები ორგანიზმში ხვდება სისხლით, გაუსტერილებელი ინსტრუმენტებით, გადაეცემა დედიდან ნაყოფს პლაცენტის საშუალებით.

## მსჯელობისთვის

- როგორ შეუძლია ადამიანს თავი დაიცვას ვირუსული დაავადებებისაგან?

B ჰეპატიტის, ცოფის, იმუნოდეფიციტის და სხვ. ვირუსები ადამიანიდან ადამიანს სისხლის გზით გადაეცემა.

ზოგიერთი ვირუსი დაავადებული ადამიანის მიერ ჰაერში გამოფრქვეული (ხველის, ცემინების და ა. შ.) ჰაერ-წვეთოვანი გზით ხვდება მეორე ადამიანის სასუნთქ გზით. ასეთი ვირუსები განსაკუთრებით საშიშია, რადგან ადვილად შეუძლია ეპიდემიების გამოწვევა. ასეთი გზით ვრცელდება გრიპი, ყვავილი და სხვ.

გრიპის გამოწვევს წარმოადგენს გრიპის ვირუსი, რომელიც ძირითადად სასუნთქ გზებს აზიანებს. დაავადება ერთი ადამიანიდან მეორეს ჰაერ-წვეთოვანი გზით გადაეცემა. ყვავილის ვირუსიც ჰაერ-წვეთოვანი გზით გადაეცემა ადამიანს. ყვავილის დროს თავიდან ზიანდება სასუნთქი გზები, შემდეგ – კანი.

წითელა წვეთოვან ინფექციებს მიეკუთვნება. ეს ვირუსი თავიდან სასუნთქ გზებს აზიანებს – პირის ღრუდან დაწყებული ბრონქებამდე – შემდეგ – კანსა და ნაწლავებს.

ბავშვებში ხშირად გვხვდება ვირუსული დაავადება, რომელსაც პოლიომიელიტი ეწოდება. პოლიომიელიტის დროს სასისა და ნაწლავების მამოძრავებელი ნეირონები ზიანდება, მძიმე შემთხვევებში კი ზურგის ტვინიც. პოლიომიელიტის ვირუსი გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით, წყლისა და საკვების მეშვეობით, დაბინძურებული საგნებით, დაავადებული ადამიანის ფეკალიებით (ვირუსის გადამტანები ბუზები არიან). ადამიანის გარდა, ვირუსები აზიანებს ბაქტერიებს, სოკოებს, მცენარეებსა და ცხოველებს.

## ეს საინტერესო

### ვირუსული დაავადებების პროფილაქტიკა

- ვაქცინაცია.** ვაქცინაციის დროს ერთი ვირუსი გამოიყენება მეორესთან საბრძოლებლად. 1885 წ. ფრანგმა მეცნიერმა ლუი პასტერმა გამოიგონა ცოფის სანინალმდებო ვაქცინა. ვაქცინის შეყვანის შემდეგ ადამიანი არ ავადება, მაგრამ დაავადების გამოწვევი ვირუსის წინალმდეგ ორგანიზმი შეინცა აქტიური იმუნიტეტი ვითარდება.
- ქიმიური თერაპია.** ეს მეთოდი დამყარებულია ვირუსებზე ქიმიური პრეპარატების ზემოქმედებაზე. სირთულე იმში მდგომარეობს, რომ ვირუსები უჯრედის შეგნით მისი სტრუქტურების ხარჯზე მრავლდება და ქიმიური წივთიერებების ვირუსებზე ზემოქმედებისას უჯრედიც ზიანდება.
- ინტერფერონი.** ეს ნივთიერება თავად ორგანიზმის მიერ გამოიყოფა ვირუსული ინფექციის საპასუხოდ. ეს ცილა ხელს უძლის ვირუსის გამრავლებას უჯრედის შეგნით. დაკვირვებული აჩვენა, რომ რაც უფრო მცირე რაოდენობით გამოიყოფა ორგანიზმი ინტერფერონი, მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს ვირუსული დაავადება.



### საკვანძო სიტყვები

- ვირუსი
- ჰოლიომიელიტი
- ჰეპატიტი

**1. დაადგინეთ შესაბამისობა:**

დასნებოვნების გზები	დაავადება
ა. დაპინძურებული საკვებით ბ. სისხლის გზით გ. ჰაერ-წვეოვანი გზით	1) A ჰეპატიტი 2) B ჰეპატიტი 3) იმუნოდეფიციტი 4) გრიპი 5) ყვავილი

2. შეადარეთ ვირუსები და ბაქტერიები. გაითვალისწინეთ მართებულია თუ არა თქვენი მტკიცება ბაქტერიებისათვის ან ვირუსებისათვის, ან ორივესათვის. პასუხი ცხრილში შეიტანეთ.

1. იწვევს ინფექციურ დაავადებებს და ეპიდემიებს;
  2. ნარმოადგენს სიცოცხლის არაუჯრედულ ფორმას;
  3. ზოგიერთი ავტოტროფუ ნარმოადგენს;
  4. გადაადგილდება შოლტების საშუალებით;
  5. მრავლდება უჯრედის შიგნით;
  6. თავის გენეტიკურ ინფორმაციას ნუკლეინის მჟავებში ინახავს;
  7. აქვს უჯრედის კედელი;
  8. აქვს ცილოვანი გარსი;
  9. შეუძლია მასპინძლის გენომში ჩანერგვა;
  10. არა აქვს ჩამოყალიბებული ბირთვი;
  11. მრავლდება გაყოფით.
3. გამოიყენეთ ინფორმაციის დამატებითი წყაროები და მოამზადეთ მოხსენება ვირუსული დაავადებების გამოვლინებების შესახებ. ინფორმაცია ცხრილში შეიტანეთ.

მხოლოდ ვირუსები	მხოლოდ ბაქტერიები	მართალია როგორც ვირუსების-თვის, ისე ბაქტერიებისთვის

ადამიანის დაავადებები	ცხოველების დაავადებები	მცენარეების დაავადებები

**4. უპასუხეთ კითხვებზე:**

- ზოგიერთი ვირუსი ადამიანის ორგანიზმი ლორწოვანი გარსის გავლით იჭრება. სწორი იქნება თუ არა იმის მტკიცება, რომ ვირუსი ადამიანის ორგანიზმი თვალის ლორწოვანის გავლით შეიძლება მოხვდეს?
- რატომ უნოდებენ კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც სისტემას აზიანებს, ვირუსებს?

## 11 ჟარედული სტრუქტურები და მათი ფუნქციები



- რა საერთო სტრუქტურები ახასიათებს ცხოველურ და მცენარეულ უჯრედებს?
- რასთან არის დაკავშირებული განსხვავებული სტრუქტურების არსებობა ამ უჯრედებში?

უჯრედის სტრუქტურების უმრავლესობა ციტოპლაზმისგან მემბრანითაა (ლათ. „membrane“ – გარსი, კანი) გამოყოფილი. მემბრანა ორი ლიპიდური შრისა და მათში ჩაშენებული ცილებისგან შედგება. უჯრედის სტრუქტურებს, რომლებსაც მემბრანა აქვს, მემბრანულ ორგანოდებს უწოდებენ. ზოგიერთი ორგანოდი ციტოპლაზმისგან მემბრანით არ არის გამოყოფილი. ასეთ ორგანოდებს არამემბრანული ორგანოდები ეწოდება.

**მემბრანული ორგანოდები.** მემბრანული ორგანოდები შეიძლება იყოს ერთმემბრანიანი და ორმემბრანიანი. ერთმემბრანიან ორგანოდებს მიეკუთვნება ენდოპლაზმური ბადე, გოლჯის კომპლექსი, ლიზოსომები, ორმემბრანიანებს – მიტოქონდრიობი, პლასტიდები.

**ერთმემბრანიანი ორგანოდები.** ენდოპლაზმური ბადე წარმოადგენს ერთმანეთისგან მემბრანებით გამოყოფილი არხებისა (მილაკების) და ღრუების (პარკების) სისტემას. იგი შეიძლება იყოს გლუვი ან ხორკლიანი ტიპის. ხორკლიანი ენდოპლაზმური ბადის მემბრანებზე განლაგებულია რიბოსომები, რომლებიც განაპირობებს კიდეც ბადის ხორკლიანობას. სწორედ აქ ხდება ცილების სინთეზი. გლუვ ენდოპლაზმურ ბადეზე ნახშირნყლები და ლიპიდები სინთეზდება. ენდოპლაზმური ბადე არა მარტო „აგროვებს“ თავის არხებსა და ღრუებში ნივთიერებებს, არამედ უზრუნველყოფს კიდეც უჯრედში ამ ნივთიერებების ტრანსპორტირებას.

გოლჯის კომპლექსი (აპარატი) უჯრედში წარმოდგენილია ერთმანეთზე დასტებად დალაგებული სხვადასხვა ფირფიტოვანი ღრუებით (ცისტერნებით), არხებითა და ბუშტუკებით. ენდოპლაზმურ ბადეზე სინთეზირებული ცილები, ცხიმები და ნახშირნყლები გოლჯის აპარატში გადაიტანება. შემდეგ ეს ნივთიერებები გროვდება ღრუებში, ხოლო იქიდან ბუშტუკების სახით გადადის ციტოპლაზმაში ან უჯრედიდან გამოდის. გარდა ამისა, გოლჯის კომპლექსი მონანილეობს ლიზოსომების ფორმირებასა და პლაზმური მემბრანის განახლებაში.

ლიზოსომები (ბერძ. „lysis“ – გახსნა, „soma“ – სხეული) – მცირე ზომის ბუშტუკებია, რომლებიც ცილების, ცხიმებისა და ნახშირნყლების დამშლელ ფერმენტებს შეიცავს. ლიზოსომების მთავარი ფუნქცია უჯრედში საკვების მონელების პროცესში მონანილეობა.

**ორმემბრანიანი ორგანოდები.** ორმემბრანიან ორგანოდებს მიეკუთვნება მიტოქონდრიობი და პლასტიდები. მიტოქონდრია (ბერძ. „mitos“ – ძაფი, „chondrion“ – მარცვალი, გრანულა) ოვალური ან ჩხირისებრი ფორმის ორგანოდია. მიტოქონდრიობს თავის დნმ აქვს, ამიტომ გაყოფით გამრავლება შეუძლია. მიტოქონდრიობში მიმღინარეობს უჯრედული სუნთქვის პროცესი. ენერგიის ნაწილი, რომელიც ამ დროს მიტოქონდრიებში წარმოქმნება ქიმიური ნაერთების სახით მარაგდება (ატფ-ის სახით). ამ ენერგიის უჯრედის სხვა სტრუქტურები იყენება.

### საკვანძო სიტყვები

- მემბრანა
- მემბრანული ორგანოდები
- არამემბრანული ორგანოდები

პლასტიდები (ბერძ. „*plastidis, plastos*“ – ფორმირებული, გამოქვერნილი). ეს ორგანოიდები, როგორც წესი, მცენარეულ უჯრედებში გვხვდება. მათაც, მიტოქონდრიების მსგავსად, საკუთარი დნმ გააჩნია, ამიტომ გაყოფით შეუძლია გამრავლება. პლასტიდებს განასხვავებენ ფერის მიხედვით. ლეიკოპლასტები უფეროა, მათში გროვდება სამარაგო საკვები ნივთიერებები. ქრომოპლასტები შეიცავს პიგმენტებს, რომლებიც მცენარეს სხვადასხვა ფერს აძლევს. ქლოროპლასტები მწვანე ფერისაა. მწვანე შეფერილობას მათ პიგმენტი ქლოროფილი აძლევს. ქლოროფილს მზის ენერგიის შთანთქმის უნარი აქვს. სინათლეზე ქლოროპლასტებში ფოტოსინთეზის პროცესი მიმდინარეობს. ამასთან ერთად, მზის სინათლის ენერგიის ნაწილი ქიმიური ნაერთების სახით მარაგდება.

### საქმიანობა

#### განსაზღვრეთ ცხრილში მითითებული ორგანოიდების სახელწოდებები

მემბრანული ორგანოიდები		
1		<ul style="list-style-type: none"> <li>○ სხვადასხვა ზომის არხებისა და ლრუების (პარკების) სისტემა.</li> <li>○ არსებობს გლუვი ან ხორკლიანი ტიპის.</li> </ul>
2		<ul style="list-style-type: none"> <li>○ შედგება ერთმანეთზე დასტებად დალაგებული ლრუებისგან (ცისტერნებისგან).</li> <li>○ მათ ზედაპირზე წარმოიქმნება ბუშტუკები.</li> </ul>
3		<ul style="list-style-type: none"> <li>○ მემბრანით შემოსაზღვრული ბუშტუკებია, რომლებშიც საჭმლის მომნელებელი ფერმენტებია.</li> </ul>
4		<ul style="list-style-type: none"> <li>○ ორმემბრანიანი ორგანოიდია.</li> <li>○ უჯრედის ენერგიის წყაროა.</li> </ul>
5		<ul style="list-style-type: none"> <li>○ არსებობს სამი სახის (ლეიკოპლასტები, ქრომოპლასტები და ქლოროპლასტები).</li> </ul>


**არამემბრანული ორგანოიდები.** ასეთ ორგანოიდებს მიეკუთვნება რიბოსომები და უჯრედის ცენტრი.

რიბოსომები (რიბონუკლეინის მუავა; ბერძ. „*soma*“ – სხეული) არა-მემბრანული აგებულების მქონე ორგანოიდებია. თითოეული რიბოსომა ორი – დიდი და მცირე ნაწილისგან შედგება. რიბოსომების ფუნქცია ცილის სინთეზია. ცილის სინთეზისათვის ისინი გროვებად – პოლისომებადაა – განლაგებული.

უჯრედის ცენტრი ბირთვთან ახლოს მდებარე წარმონაქმნა, რომელიც ორი ცენტრული და განლაგებული ცენტრიოლისგან შედგება. ცენტრიოლები აგებულია მიკრომილაკებისგან. უჯრედის ცენტრი უჯრედის გაყოფის პროცესში მონაწილეობს. უმაღლეს მცენარეებს ცენტრიოლები არ გააჩნია.

### მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

#### 1. შეავსეთ სქემა.




#### 2. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

- ფოტოსინთეზი ქლოროპლასტებში/ლეიკოპლასტებში მიმდინარეობს.
- ცილების, ცხმებისა და ნახშირნყლების დამშლელ ფერმენტებს რიბოსომები/ლიზოსომები შეიცავს.
- ცხიმები და ნახშირნყლები რიბოსომებში/ენდოპლაზმურ ბადეში წარმოიქმნება.
- ცილები, ცხიმები და ნახშირნყლები სამარავოდ გროვდება გოლჯის კომპლექსში/რიბოსომებში.
- ბირთვი/უჯრედის ცენტრი ორგანოიდი არ არის.

#### 3. მტკიცებების ნომრები განალაგეთ ვენის დიაგრამის შესაბამის ნაწილში.

1. აქვს დნმ.
2. ზოგიერთ ფორმებს შეუძლია სამარავო საკვები ნივთიერებების დაგროვება.
3. ზოგიერთი ფორმები ფერად პიგმენტებს შეიცავს.
4. ზოგიერთ ფორმებში ფოტოსინთეზის პროცესი მიმდინარეობს.
5. ორმემბრანიანი აგებულება აქვს.
6. უჯრედულ სუნთქვას განაპირობებს.
7. შეუძლია ენერგიის მომარავება ატფ-ის სახით.
8. მრავლდება გაყოფით.




#### 4. როგორ უჯრედებში – პროკარიოტებსა თუ ეუკარიოტებში – არის მოვალეობები უფრო მაღალ დონეზე გადანაწილებული? პასუხი დაასაბუთეთ.

## 12 ნივთიერებათა ცვლა და ენერგიის გარღვევა ცოცხალის მრგვანიზმი



- რა პროცესებისათვის ესაჭიროება ორგანიზმს ენერგია?
- საიდან იღებენ ცოცხალი ორგანიზმები ენერგიას?

გარემოდან უჯრედში მუდმივად შედის ნივთიერებები და უჯრედიდანაც გარეთ მუდმივად გამოიყოფა დაშლის პროდუქტები. ამ პროცესს ნივთიერებათა ცვლა ან მეტაბოლიზმი (ბერძ. „metabol“ – გარდაქმნა) ეწოდება.



ნივთიერებათა ცვლის საფუძველს ანაბოლიზმისა და კატაბოლიზმის პროცესები წარმოადგენს.

ანაბოლიზმი (ბერძ. „anabole“ – აზევა), ანუ ასიმილიცია (ლათ. „assimilatio“ – შეთვისება, შერწყმა) – წარმოადგენს ორგანიზმის ქსოვილებისა და უჯრედის სტრუქტურული ნაწილების განახლებისა და აგების პროცესს. ხშირად ამის გამო ანაბოლიზმს პლასტიკურ ცვლასაც (ბერძ. „plastikos“ – გამოძრნვა) უწოდებენ. ანაბოლიზმის პროცესის დროს ხდება რთული მოლეკულების ბიოსინთეზი პირველადი ან გარემოდან შემოსული მარტივი მოლეკულებისგან. შედეგად წარმოიქმნება ორგანიზმისთვის აუცილებელი ცილები, ნუკლეინის მჟავები, ნახშირნები. ანაბოლიზმის პროცესი ზრდის პერიოდში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. ანაბოლიზმის

დროს წარმოქმნილ ნაერთებში ენერგია აკუ-  
მულირდება ქიმიური ბმების სახით. ეს ენერგია  
მიიღება ნივთიერებების დაშლის დროს გამოთა-  
ვისუფლებული ენერგიისგან, ანუ უჯრედში მიმ-  
დინარე კატაბოლიზმის პროცესების შედეგად.

კატაბოლიზმი (ბერძ. *katabole* – ვარდნა,  
დაშლა), ანუ დისიმილაცია არის რთული ორგა-  
ნული მოლეკულების დაშლა მარტივ ნაერთებად, რომელსაც თან ენერგიის  
გამოყოფა ახლავს. კატაბოლიზმის პროცესები ენერგიით უზრუნველყოფს  
ყველა ბიოქიმიურ პროცესს. ამიტომ ამ პროცესს ენერგეტიკულ ცვლასაც  
უწოდებენ. ორგანულ ნივთიერებებში ქიმიური ბმების გახლების შედეგად  
გამოთავისუფლებული ენერგია აკუმულირდება ქიმიურ ნივთიერებაში,  
რომელსაც ადენოზინტრიფოსფორმჟავა (ატფ) ეწოდება.

### საკვანძო სიტყვები

- ანაბოლიზმი
- კატაბოლიზმი
- ასიმილაცია
- პლასტიკური ცვლა
- ენერგეტიკული ცვლა

### მეტაბოლიზმი (ნივთიერებათა ცვლა)

**ანაბოლიზმი** (ასიმილაცია, პლასტიკური  
ცვლა) – რთული მოლეკულების წარმოქმნა  
მარტივისგან:  $A + B \Rightarrow AB$   
**ენერგია შთანთქმება**

**კატაბოლიზმი** (დისიმილაცია, ენერგეტიკული  
ცვლა) – რთული ორგანული მოლეკულების  
გახლება მარტივ ნივთიერებებად:  $AB \Rightarrow A + B$   
**ენერგია გამოყოფა**




- უჯრედის რომელ ნაინილებში მიმდინარეობს ბიოენერგეტიკული პროცესები?
- რომელი ნივთიერება ერთვება ენერგეტიკულ ცვლაში?

### საქმიანობა

შეადარეთ ატფ-ის  
აგებულება დნმ-ისა და  
რნმ-ის ნუკლეოტიდების  
აგებულებას.  
– რა მსგავსი და  
განმასხვავებელი  
ნიშნები აქვთ მათ?

### ატფ-ის მოლეკულის აგებულება



**ადენოზინტრიფოსფორმჟავა (ატფ)** – ორგანული ნივთიერებაა, რომელიც  
უჯრედს ენერგიით უზრუნველყოფს. ატფ ენერგიის უნივერსალურ წყა-  
როდ ითვლება. ქიმიური შემადგენლობით ატფ ნუკლეოტიდია. მის შე-  
მადგენლობაში შედის აზოტოვანი ფუძე ადენინი, რიბოზა (ნახშირწყალი)  
და ორთოფოსფორმჟავას ნაშთები. ატფ-  
ში ენერგია მარაგდება ძირითადად ორ-  
თოფოსფორმჟავას ნაშთებს შორის არსე-  
ბულ ბმებში, რომელსაც მაკროერგული  
ბმები ეწოდება. ერთი მაკროერგული  
ბმის გახლებისას ატფ-ს სცილდება ორ-  
თოფოსფორმჟავას ერთი ნაშთი და შე-  
დეგად გამოყოფა 40 კჯ ენერგია.



- უჯრედში ნებისმიერი ბიოქიმიური  
რეაქციის მიმდინარეობისათვის  
საშუალოა ატფ-ის ენერგია.  
მაგალითად, კუნთებში ატფ-ის  
ენერგიის მარაგი საცმარისია 20-30  
შეკუმშვაზე. ამიტომ უჯრედში  
მუდმივად მიმდინარეობს ატფ-ის  
სინთეზი.

ორთოფოსფორმჟავას ერთი ნაშთის მოცილებისას წარმოიქმნება – ადენოზინდიფოსფორმჟავა (ადფ). ეს ნაერთი ისევ შეიძლება გადაიქცეს ატფ-ად. ატფ-ის გარდაქმნა ადფ-ად და, პირიქით, უჯრედში ენერგიის გამომუშავების ძირითადი მექანიზმია.

საჭირო შემთხვევაში ადფ-ს შეიძლება მოსცილდეს კიდევ ერთი ორ-თოფოსფორმჟავას ნაშთი და მორიგი მაკროერგული ბმის გახლების შედეგად გამოიყოფა 40 კჯ ენერგია. ამასთან ადფ გარდაიქმნება ადენოზინმონფოსფატად (ამფ), რომლის შემადგენლობაში რჩება ერთი ორთოფოსფორმჟავას ნაშთი. ატფ-ის ენერგიით მდიდარი მაკროერგული ბმების ხარჯზე უჯრედს შეუძლია დააგროვოს და საჭიროების შემთხვევაში გახარჯოს ენერგია.

**ატფ-ის როლი უჯრედში:** უჯრედში ბიოსინთეზის პროცესების, მოძრაობის, სითბოს წარმოქმნის, ნერვული იმპულსის წარმოშობისა და სხვა სასიცოცხლო პროცესების დროს გამოიყენება ატფ-ის ენერგია.

### აიღიაზლი ცოდნის შემოხვევა და გამოყენება

#### 1. დაადგინეთ შესაბამისობა

- ა. ასიმილაცია
- ბ. ფისიოლოგია

1. ორგანული ნივთიერებების დაშლა
2. ორგანული ნივთიერებების სინთეზი
3. ენერგიის გამოყოფა
4. ფოტოსინთეზი
5. ცილების ბიოსინთეზი
6. ენერგიის შთანთქმა


#### 2. ამოარჩიეთ სწორი პასუხები:

- ადფ-ის მოლეკულაში სამი მაკროერგული ბმაა;
- ატფ-ის ენერგია იხარჯება სხვადასხვა სასიცოცხლო პროცესების დროს;
- ორთოფოსფორმჟავას ერთი ნაშთის მოცილებისას წარმოიქმნება 17,6 კჯ ენერგია.
- ატფ-ის მოლეკულებში არსებული მაკროერგული ბმების ხარჯზე უჯრედი აგროვებს ენერგიას და იყენებს მას.

#### 3. სქემაზე გამოსახულია ატფ-ის შემადგენელი ელემენტები:

რისგან შედგება ეს ელემენტები?

- ა) ...;
- ბ) ...;
- გ) ...;



ყურადღებით დააკვირდით სქემას. განსაზღვრეთ ამფ-ის, ადფ-ის და ატფ-ის ნუკლეოტიდები და დაწერეთ ამ მოლეკულების სრული სახელწოდება.

- 1) ...;
- 2) ...;
- 3) ...;

რა არის აღნიშნული ასო D-თი? ...

## 13 გენეტიკული ინფორმაცია და გენეტიკური კოდი



- როგორია ცილების აგებულება?
- რატომ განსხვავდება თითოეული ორგანიზმის ცილები ერთმანეთისგან?

ცოცხალი ორგანიზმების ისეთი თვისებები, როგორებიცაა თავისივე მსგავსის წარმოშობის უნარი, მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა თავს იჩენს მოლეკულურ დონეზე. ამის გამო მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემის პრინციპის დადგენა შესაძლებელი გახდა დნმ-ის მოლეკულის შესწავლის შემდეგ.

### მსჯელობისთვის

- როგორ ფიქრობთ, ერთ გენში მომხდარი ცვლილება რატომ შეიძლება განმეორდეს შთამომავლობის გენებში?


**დნმ და გენი.** მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელი არის დნმ-ის მოლეკულა. ინფორმაცია ცილის პირველადი სტრუქტურის შესახებ ინახება დნმ-ის მოლეკულის შესაბამის უბნებში, რომლებსაც გენებს უწოდებენ. ამრიგად გენი (ბერძ. „genos“ – წარმოშობა, გვარი) – ეს არის დნმ-ის უბანი (მონაკვეთი), რომელიც შეიცავს ინფორმაციას ცილის მოლეკულის პირველადი სტრუქტურის შესახებ.

**გენეტიკური კოდი.** გენებში ინახება ინფორმაცია ამა თუ იმ ცილის ამინომჟავების თანამიმდევრობის შესახებ. შემდეგში ეს ინფორმაცია კომპლექტარობის პრინციპით იწერება ინფორმაციულ რნმ-ზე (ი-რნმ) და გადაიტანება რიბოსომასთან.

**დნმ-ზე ამინომჟავების კოდირების ზოგადი სქემა**

### საკვანძო სიტყვები

- ტრიპლეტი
- გენეტიკური კოდი



ინფორმაცია ცილის პირველადი სტრუქტურის შემადგენლობაში შემავალი თითოეული ამინომჟავის შესახებ „ჩანერილია“ დნმ-სა და რნმ-ზე სამი ნუკლეოტიდის კომბინაციის სახით, რომელსაც ტრიპლეტს უწოდებენ.

დნმ-ისა და ი-რნმ-ის მოლეკულებში ცილის პირველადი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის ჩაწერის მეთოდს ნუკლეოტიდების განსაზღვრული თანამიმდევრობის მიხედვით გენეტიკური კოდი ეწოდება.

### საქმიანობა

განიხილეთ ცხრილი და კომპლემენტარობის პრინციპის მიხედვით განსაზღვრეთ ტრიპ-ლეტები, რომლებიც კითხვის ნიშნების მაგივრად უნდა იყოს. რომელი ტრიპლეტებით ხდება კოდირება ი-რნმ-ზე ამინომჟავების ვალინისა და გლუტამინის?

დნმ	I ჯაჭვი	TTT	GTT	?	?	CAC	?
	II ჯაჭვი	?	?	TTA	CTT	?	AAT
ი-რნმ		UUU	?	AAU	?	CAC	UUA
ამინომჟავები *	ფენ	ვალ	ასპ	გლუ	ცის	ლეი	

\* ფენ – ფენილალანინი, ვალ – ვალინი, ასპ – ასპარაგინი, გლუ – გლუტამინი, ცის – ცისტეინი, ლეი – ლეიცინი

– რამდენი ტრიპლეტისგან შედგება თითოეული კოდი და რამდენ ამინომჟავას შეესაბამება იგი?

**გენეტიკური კოდის თვისებები.** გენეტიკურ კოდს მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს. ასე მაგალითად, კოდი ტრიპლეტურია, ანუ თითოეული ამინომჟავის კოდირებაში სამი ნუკლეოტიდი მონანილეობს.

თითოეული ამინომჟავის გენეტიკურ კოდს ერთი ტრიპლეტი შეესაბამება, მაგრამ ზოგიერთი ამინომჟავა შეიძლება კოდირებული იქნეს ერთი ან რამდენიმე ტრიპლეტით. გენეტიკურ კოდში გენებს შორის არსებობს ტრიპლეტები, რომლებიც ყოფს მათ, მაგრამ არაფერს არ კოდირებს. ყველა ცოცხალ ორგანიზმში ერთსა და იმავე ამინომჟავებს ერთი და იგივე ტრიპლეტები შეესაბამება.

### დაიმახსოვრეთ

1. ერთი ნუკლეოტიდის სიგრძე = 0,34 ნმ.
2. ერთი გრის სიგრძე = ერთი ნუკლეოტიდის სიგრძე  $\times$  n (ნუკლეოტიდების რაოდენობა)
3. ამინომჟავების რაოდენობა = ნუკლეოტიდების რაოდენობა/3
4. ერთი გენის მასა = ნუკლეოტიდების რაოდენობა  $\times$  ერთი ნუკლეოტიდის მასაზე
5. ერთი ნუკლეოტიდის მოლეკულური მასა  $\approx$  300 მ. ა.ე.
6. ერთი ამინომჟავის მოლეკულური მასა  $\approx$  110 მ. ა.ე.
7. დნმ-ის მოლეკულაში ნუკლეოტიდების თანაფარდობა ასეთია –  $A + G/T + C = 1$

## მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

**1. დნმ-ის ერთ ჯაჭვში ნუკლეოტიდების თანამიმდევრობის საფუძველზე ააგეთ მეორე ჯაჭვი:**

დნმ-ის პირველი ჯაჭვი...

დნმ-ის მე-2 ჯაჭვი AAA-ACC-AGC-ATT-ATG-AAG

ააგეთ დნმ-ის პირველი ჯაჭვის შესაბამისი ი-რნმ-ის ჯაჭვი.

**2. დნმ-ის და რნმ-ის მონომერია:**

ა) აზოტოვანი ფუძე;

ბ) დეზოქსირიბოზა ან რიბოზა;

გ) აზოტოვანი ფუძე და ორთოფოსფორმჟავას ნაშთი;

დ) ნუკლეოტიდები

**3. რომელ პასუხშია სწორად აღნიშნული განსხვავებები, რომლებიც განარჩევს დნმ-ის მოლეკულას რნმ-ის მოლეკულისგან?**

ა) ერთჯაჭვიანია, შეიცავს დეზოქსირიბოზას, მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელია.

ბ) ორი ჯაჭვისგან შედგება, შეიცავს რიბოზას, გადააქვს მემკვიდრული ინფორმაცია.

გ) ორჯაჭვიანია, შეიცავს დეზოქსირიბოზას, წარმოადგენს მემკვიდრული ინფორმაციის გადამტანს.

**4. ამოხსენით ამოცანები:**

- გაითვალისწინეთ, რომ ცილა ინსულინის შემადგენლობაში შედის 51 ამინომჟავა და გამოთვალეთ ამ ცილის მაკოდირებელ გენში ნუკლეოტიდების რაოდენობა.
- დნმ-ის მოლეკულა შეიცავს ადენინის 80000 ნაშთს, რაც შეადგენს მოლეკულაში ნუკლეოტიდების საერთო რიცხვის 16%-ს. განსაზღვრეთ დანარჩენი ნუკლეოტიდების რაოდენობა და მოცემული დნმ-ის მოლეკულის სიგრძე.

Cap üçün deyi!!

## 14 ცილაპის პიოსინთეზი



- რა კომპონენტებისგან შედგება ცილები და ნუკლეინის მჟავები?
- როგორ არის დამოკიდებული უჯრედში ცილების სტრუქტურა ნუკლეინის მჟავების აგებულებაზე?

უჯრედში განუჩყვეტლივ წარმოიქმნება ახალი ნივთიერებები. ამ პროცესს ბიოსინთეზი (ბერძ. „*bios*“ – სიცოცხლე, „*synthesis*“ – შეერთება) ეწოდება. ბიოსინთეზის პროცესში წარმოიქმნება ცილები, ცხიმები, ხახირწყლები და სხვა ორგანული ნივთიერებები.


**ცილების ბიოსინთეზი.** ყოველი უჯრედი შეიცავს მისთვის დამახასიათებელ ცილებს. ინფორმაცია მათი პირველადი სტრუქტურის შესახებ კოდირებულია დნმ-ში ნუკლეოტიდების თანამიმდევრობის სახით. ცილის მოლეკულის სინთეზის დროს დნმ-ში არსებული ინფორმაცია გადაიტანება რიბოსომასთან ი-რნმ-ის საშუალებით.

### საქმიანობა

განიხილეთ სურათი და უპასუხეთ კითხვებს:

1. სად მდებარეობს დნმ-ის მოლეკულა?
2. სად და როგორ ხდება ი-რნმ-ის მოლეკულის სინთეზი?
3. როგორ ხდება ინფორმაცია ცილის სტრუქტურის შესახებ უჯრედის ბირთვიდან ციტოპლაზმაში?
4. სად მიემართება ი-რნმ ციტოპლაზმაში?
5. სად გვხვდება სატრანსპორტო რნმ-ის (ტ-რნმ) მოლეკულები?
6. რას იერთებს ტ-რნმ?
7. რა სინთეზდება რიბოსომაში?

### ეუკარიოტულ უჯრედში ცილის სინთეზის სქემა



ეს პროცესი ორ ეტაპად მიმდინარეობს: ტრანსკრიფცია და ტრანსლაცია.


**ტრანსკრიფცია.** ცილის სინთეზის მოსამზადებელ ეტაპზე კოდირებული ინფორმაცია ამინომჟავების თანამიმდევრობის შესახებ კომპლემენტარობის პრინციპით გადაიწერება დნმ-ის ერთი ჯაჭვიდან ი-რნმ-ზე. ამ პროცესს ტრანსკრიფცია (ლათ. „*transcriptio*“ – გადაწერა), ანუ ინფორმაციის

გადაწერა ეწოდება. წარმოქმნილი ორნები ბირთვიდან ციტოპლაზმაში გადადის.

**ტრანსლაცია.** ცილის ბიოსინთეზის მოდევნო (მეორე) ეტაპს ტრანსლაცია ეწოდება (ლათ. „*translatio*“ – გადათარგმნა).

ტრანსლაციის ფროს ინფორმაცია ცილის აგებულების შესახებ, რომელიც ჩაწერილია ორნებზე ნუკლეოტიდების გარკვეული თანამიმდევრობის სახით, რიბოსომებში გადაიქცევა ამ კოდის მიხედვით სინთეზირებულ ამინომჟავების თანამიმდევრობად. ანუ ტრანსლაციის პროცესში „ნუკლეოტიდების ენაზე“ ჩაწერილი ინფორმაცია „ამინომჟავების ენაზე“ ითარგმნება. შედეგად მიღება პოლიპეპტიდური ჯაჭვი. ტრანსლაციის პროცესი რიბოსომებში ხდება.

### ტრანსლაცია



სინთეზის დასრულების შემდეგ პოლიპეპტიდური ჯაჭვი სცილდება ორნებს და იწყებს სპირალურად დახვევას, რის შედეგადაც მიღება ჯერ ცილის მეორეული, ხოლო საბოლოოდ ამ ცილისთვის სპეციფიკური მესამეული სტრუქტურა. ცილების სინთეზი მხოლოდ ცოცხალ უჯრედში ხდება.

არაცილოვანი მოლეკულების სინთეზის დროს ჯერ წარმოქმნება სპეციფიკური ცილა – ფერმენტი და შემდეგ მისი მონაწილეობით სინთეზება ნახშირწყლები ან ლიპიდები.

- ! • 1954 წელს მოხერხდა ცილის პირველადი სტრუქტურის გაშიფვრა. ეს ცილა იყო ინსულინი, რომელიც სისხლში გლუკოზის დონეს არეგულირებს. კვლევა თითქმის 10 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ინსულინის მოლეკულა შედგება ორი პოლიპეპტიდური ჯაჭვისგან. ერთი მათგანი შეიცავს 21 ამინომჟავის ნამთს, მეორე კი – 30-ს.
- დღეისათვის უკვე შესაძლებელია ხელოვნური გზით ინსულინის მიღება. ერთი პოლიპეპტიდური ჯაჭვის მისაღებად საჭიროა 89 რეაქციის ჩატარება, მეორის მისაღებად კი – 138. ცოცხალ ორგანიზმებში ცილის სინთეზი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს.

### საკვანძო სიტყვები

- ტრანსკრიფცია
- ტრანსლაცია

### 1. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:


- რა ორგანოიდები მონაწილეობს ცილის სინთეზში?
  - ა) გოლჯის კომპლექსი;
  - ბ) რიბოსომები;
  - გ) ლიზოსომები.

- რა ეწოდება ნუკლეოტიდების თანამიმდევრობის შესახებ ინფორმაციის გადაწერას დღნ-დან ი-რნმ-ზე?
  - ა) კომპლექსური ჯაჭვის სინთეზი;
  - ბ) ტრანსკრიფცია;
  - გ) ტრანსლაცია.

- რამდენი სახის ამინომჟავა შედის ცილების შემადგენლობაში?
  - ა) 20;
  - ბ) 25;
  - გ) 40.

### 2. დაადგინეთ ცილის ბიოსინთეზის პროცესის თანამიმდევრობა უჯრედში:

- ი-რნმ-ის სინთეზი;
- ტ-რნმ-ის საშუალებით ამინომჟავის მიტანა რიბოსომასთან;
- ი-რნმ-ის გადაადგილება ბირთვიდან რიბოსომისკენ;
- პოლიპეტიდური ჯაჭვის სინთეზი რიბოსომაზე;
- ი-რნმ-ის მოლეკულის მიერთება რიბოსომასთან.



### 3. შეადარეთ და ახსენით ტრანსკრიფციისა და ტრანსლაციის პროცესების მნიშვნელობა.

### 4. შეავსეთ ცხრილი:

მოლეკულები	როლი ბიოსინთეზში
ი-რნმ	...
ტ-რნმ	...
ფერმენტები	...
ატფ	...

## 15 ნივთიერებებისა და ენერგიის ცვლა ავტოფროფულ ორგანიზმებში



- ორგონორგანიზმებს უწოდებენ ავტოფროფებს?
- უმაღლესი მცენარეების ორგანოებში მიმდინარეობს ფოტოსინთეზი?
- რა წარმოიქმნება ფოტოსინთეზის შედეგად?


ავტოფროფულ ორგანიზმებს თავად შეუძლია საჭირო ორგანული ნივთიერებების სინთეზირება. ორგანიზმთა ნაწილი ორგანული ნივთიერებების სინთეზისთვის მზის ენერგიას იყენებს. ასეთ ორგანიზმებს ფოტოტროფებს უწოდებენ. ფოტოფროფების მაგალითს ფოტომასინთეზებელი ორგანიზმები წარმოადგენს.

### საქმიანობა

დააკვირდით ქვემოთ მოცემულ გრაფიკს და უპასუხეთ კითხვებს:

- რა ფაქტორები ახდენს გავლენას ფოტოსინთეზზე?
- როგორ მოქმედებს ამ ფაქტორების შეცვლა ფოტოსინთეზის პროცესის სიჩქარეზე?

### სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენა ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე




**ფოტოსინთეზი.** ფოტოსინთეზის დროს (ბერძ. „photos“ – სინათლე, „synthesis“ – შეერთება) მზის სინათლის მონაწილეობით არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული ნივთიერებები წარმოიქმნება. ეს პროცესი მიმდინარეობს მწვანე მცენარეებსა და ბაქტერიებში, რომლებიც ქლოროფილს შეიცავს. შედეგად უჯრედში, როგორც პირველადი პროდუქტი, წარმოიქმნება მონისაქარილი (გლუკოზი). შემდგომში ეს პროდუქტი გამოიყენება პოლისაქარიდების, რთული აგებულების ცილების, ცხიმების, ნუკლეინის მჟავების და სხვა ორგანული ნივთიერებების ბიოსინთეზში.

**ქლოროპლასტები.** ქლოროპლასტები მცენარეთა შემადგენელი რთული აგებულების ორგანოდებია, რომლებიც ციტოპლაზმისგან ორმაგი მემბრანითაა გამოყოფილი. შიგნითა ნაწილი, რომელსაც სტრომას (ბერძ. „stroma“ – საფენი, საგებელი) უწოდებენ, სავსეა უფერული სითხით. ქლოროპლასტის შიდა მემბრანა ჩაზრდილია სტრომაში და წარმოქმნის სვეტებს – გრანებს.


პიგმენტ ქლოროფილის გამო ქლოროპლასტებს მწვანე შეფერილობა აქვს.

### ქლოროპლასტის აგებულება



**ფოტოსინთეზის ფაზები.** ფოტოსინთეზის პროცესში გამოყოფენ ორ ფაზას: სინათლის და სინელის.

ფოტოსინთეზის სინათლის ფაზა. მზის სინათლის ზემოქმედებით მწვანე მცენარის ფოთოლში არსებული ქლოროფილის ელექტრონები აგზნებულ მდგომარეობაში გადადის. ელექტრონების ნაწილი ადფ-ს უერთებს ერთ ფოსფორმჟავას, რის შედეგად მიღება ატფ:




ელექტრონების მეორე ნაწილი წყლის დაშლაში მონაწილეობს, რის შედეგადაც მიღება მოლეკულური ჟანგბადი, წყალბადის იონი და ელექტრონები. ამ პროცესს წყლის ფოტოლიზი (ბერძ. „fotos“ – სინათლე, „lizis“ – დაშლა) ეწოდება.



წყალი	ელექ-	წყალ-	ჟანგბადი
ტრო-	ტრო-	ბადის	
ნები	იონები		

### ფოტოსინთეზის სქემა



წყლის დაშლისას მიღებული წყალბადის იონი ფოტოსინთეზის შემდეგ ფაზაში გამოიყენება და ნარმოქმნის ქიმიურ ნაერთს. ენერგია ამ ნაერთში აკუმულირდება და პირველი ფაზა მთავრდება. რადგან ამ ფაზისთვის სინათლის არსებობა აუცილებელია, ამიტომ მას სინათლის ფაზას უწოდებენ.

სინათლის ფაზის ძირითადი პროცესი ატფ-ია. წყლის დაშლისას გამოყოფილი უანგბადი პროცესის გვერდითი (არაძირითადი) პროდუქტია და უჯრედული სუნთქვის დროს გამოიყენება.

სიბნელის ფაზის მიმდინარეობისას სინათლის არსებობა აუცილებელი აღარაა. სწორედ იმის გამო, რომ ეს პროცესი შეიძლება სიბნელეში წარიმართოს, მას სიბნელის ფაზას უწოდებენ. სიბნელის ფაზაში ხდება ჰაერიდან შთანთქმული ნახშირორჟანგის ათვისება და მარტივი ნახშირწყლების წარმოქმნა. ამ ფაზაში სინათლის ფაზაში წარმოქმნილი პროდუქტები

### საკვანძო სიტყვები

- ფოტოფიროფი
- ფოტოლიზი
- გრანა
- სტრომა
- ქემოსინთეზი

გამოიყენება. შედეგად წარმოქმნება  $C_6H_{12}O_6$ -ის მოლეკულები. სიბნელის ფაზაში წარმოქმნილი მარტივი ნახშირწყლებისგან (გლუკოზისგან) შემდგომში წარმოქმნება სხვადასხვა პოლისაქარიდები – სახამებელი, ცელულოზა და სხვა ორგანული ნივთიერებები.

## ეს საინტერესოა

• **ზღვის ლოქორა** (*Elysia chlorotica*) წყალმცენარეების ქრომატოფორებიდან მიღებული გლუკოზის ხარჯზე არსებობს. ლოქორას საჭმლის მომნელებელი სისტემის ზოგიერთ უჯრედს უნარი შესწევს აითვისოს ეს ქრომატოფორები. ამის შემდეგ ინყება ფოტოსინთეზის პროცესი – ლოქორას გენომი აკოდირებს ცილებს, რომლებიც ქრომატოფორებს ესაჭიროებათ ამ პროცესისთვის, „სამაგიეროდ“ ლოქორა იღებს სინთეზირებულ გლუკოზას.



**ფოტოსინთეზის მნიშვნელობა.** ფოტოსინთეზის პროცესში ენერგიით ღრმიბი ნივთიერებებისგან – ნახშირორჟანგისა და წყლისგან – წარმოქმნება ენერგიით მდიდარი ნივთიერება გლუკოზა. ამავე დროს სინათლის ენერგია (მცენარის ფოთოლი იყენებს მის ზედაპირზე მოხვედრილი მზის ენერგიის 1%-ს) ამ ნივთიერებაში აკუმულირდება ქიმიური ბმების სახით. გარდა ამისა, ფოტოსინთეზის პროცესში აგმოსფეროში გამოიყოფა უანგბადი, რომელსაც სხვა ორგანიზმები სუნთქვისთვის იყენებენ. ფოტოსინთეზის პროცესი შეიძლება ქიმიურად ასე გამოვსახოთ:



ჰეტეროფროფული ორგანიზმები იყენებს ფოტოსინთეზის პროდუქტებს და მათი დაშლით იღებს ატფ-ს.


**ქემოსინთეზი.** ზოგიერთ ბაქტერიასაც შეუძლია არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანულის მიღება. ამისათვის ბაქტერიები იყენებს არა სინათლის ენერგიას, არამედ ქიმიური ბმების ენერგიას. ამ პროცესს ქემოსინთეზი ეწოდება.

**1. შეავსეთ ცხრილი**

თავისებურებები	სინათლის ფაზა	სიბნელის ფაზა
პროცესის მიმდინარეობის ადგილი		
რა პროცესი მიმდინარეობს		
მიღებული პროდუქტი		

**2. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:**

- ქლოროფილის მოლეკულა იმყოფება სტრომაში/გრანებში;
- ფოტოსინთეზის პირველადი მასალაა წყალი და ჟანგბადი/ნახშირორუანგი;
- ფოტოლიზი არის გლუკოზის ფერმენტული დაშლა/სინათლის ზემოქმედებით ქლოროპლასტებში წყლის მოლეკულების დაშლა;
- ფოტოსინთეზის სიბნელის ფაზაში ხდება წყლის დაშლა/ნახშირწყლების სინთეზი;
- თავისუფალი ჟანგბადი წარმოიქმნება ფოტოსინთეზის სინათლის/სიბნელის ფაზაში;
- პლასტიდები მიეკუთვნება უჯრედის ერთმეტბრანიან/ორმეტბრანიან ორგანოიდებს;
- მწვანე წყალმცენარეები/გოგირდის ბაქტერიები – ქემოტროფებია;
- ფოტოსინთეზის დროს თავისუფალი ჟანგბადი წარმოიქმნება ატფ-ის/წყლის დაშლის შედეგად.

**3. რა უნდა იყოს ჩანარილი 1 და 2 უჯრებში ფოტოსინთეზის შემაჯამებელ რეაქციაში?****4. უპასუხეთ კითხვებს:**

- ცნობილია, რომ მაღალი ინტენსივობის განათებისას ქლოროფილი დაშლას იწყებს და ფოტოსინთეზის პროცესიც სუსტდება. როგორ იცავს მცენარეთავს მზველი სხივებისგან?
- რატომ იწყებს მცენარის ღერო სიბნელეში წაგრძელებას?
- ზომიერ კლიმატურ სარტყელებში ფოტოსინთეზისთვის ოპტიმალური ტემპერატურა 25°C. როდესაც ჰაერის ტემპერატურა 35°C-ზე მაღლა ადის, ფოტოსინთეზის პროცესი ფერხდება. რა არის მიზეზი?

## 16 ნივთიერებათა და ენერგიის ცვლა ჰატეროფროფული ფიცის კვების მპონე ორგანიზმში




- რა პროცესები შეადგენს ნივთიერებათა ცვლას?
- ნივთიერებათა ცვლის რა პროცესის დროს გამოიყენება ენერგია?
- რა ნივთიერების მოლეკულებში მარაგდება ენერგია უჯრედში?

უჯრედში ენერგია წარმოიქმნება ნივთიერებების დაშლის დროს. ფერმენტების მონაწილეობით ორგანული ნაერთების მოლეკულების დაშლის რეაქციების ერთობლიობას ენერგეტიკული ცვლა ეწოდება. ცოცხალი ორგანიზმების მიერ ენერგიის ძირითად წყაროდ, უპირველეს ყოვლისა, ნახშირწყლები და ცხიმები გამოიყენება. ცილები უჯრედისთვის ძალიან ძვირფასი მასალაა. ამიტომ ისინი ენერგიის წყაროდ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გამოიყენება, კერძოდ უჯრედში სხვა ორგანული ნივთიერებების ნაკლებობის დროს.

**მიტოქონდრია.** მიტოქონდრიას არმემბრანიანი აგებულება აქვს. შიგნითა მემბრანა მრავალრიცხოვან ქედებს – კრისტებს (ლათ. „*Krista*“ – თხემი) ქმნის. კრისტებს შორის მიტოქონდრიის თხევადი შიგთავსი – მატრიქსია – მოთავსებული. ორგანული ნივთიერებების დაშლა სწორედ მატრიქსში ხდება.

### მიტოქონდრიის აგებულება



### საქმიანობა

გადაიხაზეთ ცხრილი რევულში და შეავსეთ. უჯრედში ჩაწერეთ იმ წინადაღებების ნომრები, რომელც ამა თუ იმ ორგანოდს განეკუთვნება:

მიტოქონდრიები	
ქლოროპლასტები	
რიბოსომები	

1. შედგება აგებულებითა და ზომებით განსხვავებული ორი ნაწილისგან;
  2. შიგნითა მემბრანა კრისტებს ქმნის;
  3. შიგნითა მემბრანა გრანებს ქმნის;
  4. განლაგებულია ენდოპლაზმური ბადის მემბრანებზე;
  5. გვხვდება მხოლოდ მცენარეულ უჯრედში;
  6. გვხვდება ყველა უჯრედში;
  7. მთავარი ფუნქცია – ატო-ის სინთეზია;
  8. უშუალოდ მონაწილეობს ცილის სინთეზში;
  9. ახორციელებს ფოტოსინთეზს.
- რა საერთო და განსხვავებული ნიშნები აქვს მიტოქონდრიებსა და ქლოროპლასტებს?

**ენერგეტიკული ცვლის ეტაპები.** დაშლის რეაქციების მიმდინარეობისას გამოიყოფა ენერგია. არაორგანული ნაერთების დაშლისას გამოყოფილი

ენერგიის ნაწილი მარაგდება ატფ-ის სახით. ენერგეტიკული ცვლა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს.

პირველ ეტაპს მოსამზადებელი ეტაპი ენოდება. ამ ეტაპზე რთული ორგანული ნაერთები მარტივ ნაერთებად იშლება. წარმოქმნილი პატარა მოლეკულები ქსოვილების უჯრედებში აღნევს. პირველ ეტაპზე გამოყოფილი ენერგია სითბოს სახით გარეთ გმოიყოფა.


#### საკვანძო სიტყვები

- გლიკოლიზი
- უანგბადიანი ეტაპი
- კრისტები
- მატრიქსი

ენერგეტიკული ცვლის მეორე ეტაპი უჯრედის ციტოპლაზმაში მიმდინარეობს. რადგან ეს ეტაპი უანგბადის მონაწილეობის გარეშე მიღის, ამიტომ მას უუანგბადო ეტაპსაც უწოდებენ. ამ ეტაპზე გლუკოზის დაშლა ხდება და ხშირად ამ პროცესს გლიკოლიზსაც (ბერძ. „glykys“ – ჭკბილი და „lysis“ – დაშლა) უწოდებენ. პროცესი ფერმენტების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. გლიკოლიზის პროცესში გლუკოზის ერთი მოლეკულის დაშლისას წარმოქმნება ორი მოლეკულა სამნახშირბადიანი ნაერთი – პიროყურძნის მჟავა ( $C_3H_4O_3$ ) და ორი ატფ-ის მოლეკულა.

ენერგეტიკული ცვლის მესამე ეტაპს უანგბადიან ეტაპს უწოდებენ. ეს ეტაპი მიტოქონდრიობში მხოლოდ უანგბადის მონაწილეობით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე პიროყურძნის მჟავა უანგბადის მონაწილეობით იუანგება ნახშირორუანგისა და წყლის წარმოქმნამდე. უანგბადიან ეტაპზე გლუკოზის თითოეული მოლეკულის დაუანგვისას ატფ-ის 36 მოლეკულა წარმოქმნება. ამ ეტაპს უჯრედულ სუნთქვასაც უწოდებენ. უჯრედული სუნთქვა მიტოქონდრიოების კრისტებში არსებული ფერმენტების მონაწილეობით მიმდინარეობს; ისინი ორგანული ნივთიერების დაუანგვის პროცესებს ააქტიურებს.

#### ენერგეტიკული ცვლის ეტაპები



ამრიგად, გლუკოზის ერთი მოლეკულის სრული დაშლისას საბოლოოდ წარმოქმნება ატფ-ის 38 მოლეკულა: 2 მოლეკულა გლიკოლიზის ეტაპზე

და 36 მოლეკულა ჟანგბადიან ეტაპზე. ეს ენერგია შემდგომ ახალი ნივთიერებების სინთეზზე იხარჯება.

ატფ-ის მოლეკულების მაკროერგულ ბმებში აკუმულირებული ენერგია შემდგომში შეიძლება სხვა სახის ენერგიად გადაიცეცეს. მაგალითად, ნერვულ უჯრედებში ნერგული იმპულსის გადაცემისას ეს ენერგია ელექტრულ ენერგიად გადაიქცევა, უმარტივესების შოლტების მოძრაობისას და სხვა ცხოველების კუნთების შეკუმშვისას – მექანიკურ ენერგიად.

## მიღებული ცოდნის შემოხვევა და გამოყენება

### 1. დაადგინეთ შესაბამისობა

ა) ენერგეტიკული ცვლის  
II ეტაპი

ბ) ენერგეტიკული ცვლის  
III ეტაპი

- 1) ქიმიური რეაქციები ჟანგბადის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს;
- 2) ხდება გლიკოლიზი;
- 3) ნარმოიქმნება ნეალი;
- 4) ნარმოიქმნება ატფ-ის 2 მოლეკულა;
- 5) ნარმოიქმნება ატფ-ის 36 მოლეკულა;
- 6) რეაქციები ჟანგბადის მონაწილეობით მიმდინარეობს;
- 7) პროცესები მიტოქონდრიებში მიმდინარეობს;
- 8) პროცესები ციტოპლაზმაში მიმდინარეობს;
- 9) გლუკოზა იშლება პიროყურძნის მჟავამდე.

### 2. ამოარჩიეთ სწორი პასუხები:

- ენერგეტიკული ცვლის ხარჯზე უჯრედი უზრუნველყოფილია ცილებით/ნახშირნყლებით/ატფ-ის მოლეკულებით.
- ორგანული ნივთიერებების დაშლის რეაქციები უჯრედში მიმდინარეობს ენერგიის გამოთავისუფლებით/მზის ენერგიის გამოყენებით/ბიოპოლიმერების ნარმოქმნით.
- ბიოპოლიმერების დაშლის პროცესი მონომერებამდე მცირე რაოდენობის ენერგიის გამოყოფით სითბოს სახით დამახასიათებელია ენერგეტიკული ცვლის მოსამზადებელი ეტაპისთვის/ენერგეტიკული ცვლის უჟანგბადო ეტაპისთვის/ენერგეტიკული ცვლის ჟანგბადიანი ეტაპისთვის.
- გლუკოზის დაუანგვის მნიშვნელობა გამოიხატება უჯრედის უზრუნველყოფით ფერმენტებით/ვიტამინებით/ენერგიით.
- ყველაზე დიდი რაოდენობის ენერგია გამოიყოფა ცილების/პოლისაქარიდების/ცხიმების დაშლისას.

### 3. მოიყვანეთ პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლის ურთიერთდამოკიდებულების მაგალითები.

## 17 უჯრედის სასიცოცხლო ციკლი. ქრომოსომები



- რა არის ქრომოსომა?
- როგორი აგებულებისაა დნმ-ის მოლეკულა?
- როგორია დნმ-ის გაორმაგების ბიოლოგიური მნიშვნელობა?

წარმოქმნიდან სიკეთიდამდე უჯრედში მიმდინარეობს ისეთი პროცესები, როგორებიცაა ზრდა, განვითარება და გამრავლება. ამას უჯრედის სასიცოცხლო ციკლს უწოდებენ. უჯრედების სასიცოცხლო ციკლების ხანგრძლივობა განსხვავებულია. ერთი ორგანიზმის სხვადასხვა უჯრედშიც კი იგი სხვადასხვანაირია. მაგალითად, ადამიანის ეპითელური ქსოვილის უჯრედების სასიცოცხლო ციკლი – 10-15 სთ-ია, ღვიძლის უჯრედებში კი მისი ხანგრძლივობა ზოგიერთ შემთხვევაში 1 წელსაც აღწევს. სასიცოცხლო ციკლი ორი პერიოდისგან შედგება – ინტერფაზისა და უჯრედის გაყოფის.

### ეს საინტერესოა


- უჯრედის ციკლის ხანგრძლივობა უჯრედის ტიპზეა დამოკიდებული. მაგალითად, ნერვული უჯრედები ემბრიონული განვითარების დასრულების შემდეგ ალარიფოვა, ალარ იცვლება მთელი სიცოცხლის მანძილზე და კვდება ორგანიზმთან ერთად. ამრიგად, ნერვული უჯრედების სასიცოცხლო ციკლი რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. ამავე დროს, კანისა და ნანლავების ეპითელური უჯრედები მუდმივად იყოფა და მათი სასიცოცხლო ციკლი 2-3 დღიდან 2-3 კვირამდე გრძელდება, შემდეგ კი ახალი უჯრედებით იცვლება.

**ინტერფაზა.** ეს არის ფაზა უჯრედების ორ გაყოფას შორის. ინტერფაზაში (ლათ. „*inter*“ – შორის და ბერძ. „*phasis*“ – წარმოქმნა) უჯრედი აქტიურად ფუნქციონირებს. ამ პერიოდში უჯრედის ცხოველებების უზრუნველსაყოფად მასში მიმდინარეობს ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესები. უჯრედი სწრაფად იზრდება – ორგანოდების რაოდენობა მატულობს. ინტერფაზის უმთავრეს მოვლენას დნმ-ის გაორმაგება წარმოადგენს. ატფ-ის ინტენსიური სინთეზის შედეგად ენერგია მარაგდება. ინტერფაზის ხანგრძლივობა უჯრედის ტიპზეა დამოკიდებული. ინტერფაზის ბოლოს უჯრედი გაყოფისთვის ემზადება.

#### საქმიანობა

##### დნმ-ის გაორმაგების სქემა

- რომელი ნუკლეოტიდებია აღნიშნული ნომრებით 1-4?
- გახსნილ ჯაჭვს, რომელიც წარმოქმნება დნმ-ის ნუკლეოტიდებს შორის წყალბადური ბმების გასლეჩით, გარემონტინ უერთდება ნუკლეოტიდები და წარმოქმნება პირველის ანალოგიური ჯაჭვი. რა პრინციპით ხდება ეს პროცესი?



**ქრომოსომები.** უჯრედულ ციკლში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქრომოსომები (ბერძ. „*chroma*“ – ფერი, „*soma*“ – სხეული). გარდა იმისა, რომ არეგულირებს უჯრედში ნივთიერებათა ცვლას, ქრომოსომები მონაწილეობს ერთი თაობიდან მეორეში მემკვიდრული ნიმუშების გადაცემაში. დნმ-ის გაორმაგების შემდეგ თითოეული ქრომოსომა დნმ-ის ორი მოლეკულისგან შედგება.

დნმ-ის მოლეკულის ორი ასლიდან ნებისმიერს ქრომატიდს (ბერძ. „chroma“ – ფერი, „eidos“ – სახე) უწოდებენ. ქრომატიდები ერთმანეთთან შეერთებულია მონაკვეთით, რომელსაც ცენტრომერი (ლათ. „centrum“ – შეუ, „meros“ – ნაწილი) ეწოდება.

უჯრედში ქრომოსომების ფორმა, ზომები და რაოდენობა მხოლოდ გაყოფისას შეიძლება განვსაზღვროთ, როდესაც ისინი მაქსიმალურად გამსხვილებული და სპირალიზებულია. სწორედ ამ დროს ჩანს ისინი კარგად სინათლის მიკროსკოპით.

**უჯრედის ქრომოსომული ნაკრები.** ყოველი ორგანიზმის უჯრედი შეიცავს ქრომოსომების განსაზღვრულ ნაკრებს, რომელსაც კარიოტიპი (ბერძ. „karion“ – ბირთვი, „tipos“ – სახე) ეწოდება.

ყოველ ორგანიზმს ახასიათებს ქრომოსომების სპეციფიკური ნაკრები, მაგალითად, ადამიანის კარიოტიპში 46 ქრომოსომაა, დროზოფილას კარიოტიპში – 8 ქრომოსომა. დადგენილია, რომ ორგანიზმის სხვადასხვა უჯრედებს აქვს ერთმაგი (ჰაპლოიდური) ან ორმაგი (დიპლოიდური) ქრომოსომების ნაკრები. ქრომოსომების ერთმაგი ნაკრები აღინიშნება ლათინური ასო  $n$ -ით, ორმაგი –  $2n$ -ით.

**ჰიპოტეზა ქრომოსომების დიპლოიდური ნაკრების მქონე ორგანიზმებს გააჩნია ნევილი ქრომოსომები, რომლებიც იდენტურია ზომებით, ფორმით და მემკვიდრული ინფორმაციის ხასიათით. ასეთ ქრომოსომებს ჰიპოტეზა ქრომოსომები (ბერძ. „homos“ – ერთნაირი, მსგავსი). ჰიპოტეზა ქრომოსომები გარეგნულად ერთნაირია, მათი ცენტრომერები მდებარეობს ერთსა და იმავე უბანზე, ასეთ ქრომოსომებში გენების ერთნაირი თანამიმდევრობაა.**

ამრიგად, ადამიანის სხეულის უჯრედებში 46 ქრომოსომა ქმნის 23 ჰიპოტეზა ნევილს. მათგან 22 ნევილი ერთნაირია კაცებსა და ქალებში; მათ აუტოსომებს უწოდებენ. ქრომოსომების ერთი ნევილი განსხვავდებულია კაცებსა და ქალებში: ქალებში ეს ნევილი აღნიშნება ლათინური ასოებით XX, ხოლო კაცებში კი – XY. ამ ქრომოსომებს სასქესო ქრომოსომებს უწოდებენ. სასქესო უჯრედებში ქრომოსომების ჰაპლოიდური ( $n$ ) კომპლექტია. ადამიანის სასქესო უჯრედებში 23 ქრომოსომაა.

### საკვანძო სიტყვები

- ინტერფაზა
- უჯრედული ციკლი
- კარიოტიპი
- აუტოსომები
- ჰიპოტეზა ქრომოსომები



ადამიანის  
ქრომოსო-  
მების  
ნაკრები

აუტოსომური  
ქრომოსომები


1	2	3	4	5	6	7
X	X	X	X	X	X	X
8	9	10	11	12	13	14
X	X	X	X	X	X	X
15	16	17	18	19	20	21
X	X	X	X	X	X	X
22	23					

სასქესო ქრომოსომები  
მარცხნივ: X ქრომოსომა;  
მარჯვნივ Y ქრომოსომა

### 1. ამოარჩიეთ სწორი პასუხები

- ორი შვილეული ქრომოსომის დაკავშირების ადგილს ეწოდება ცენტრი-ოლი/ცენტრომერი;
- ინტერფაზა/პროფაზა – ეს არის პერიოდი უჯრედების გაყოფას შორის;
- სასქესო უჯრედების ქრომოსომული ნაკრები ჰაპლოიდურია/დიპლოიდურია;
- ქრომოსომების წყვილს, რომლებიც არ განსხვავდება ზომების, ფორმის და მეტკვიდრული ინფორმაციის ხასიათით, ეწოდება ანალოგიური/ჰომოლოგიური ქრომოსომები;
- ადამიანის კარიოტიპი შეიცავს 23 წყვილ/45 წყვილ ქრომოსომას.
- მამაკაცის სასქესო ქრომოსომები აღინიშნება XX/XY-ით.

2. რა არის გამოსახული სურათზე? რა ნაწილებია აღნიშნული ციფრებით 1-3?



3. აღნიშნეთ ინტერფაზისთვის დამახასიათებელი პროცესები:

- უჯრედი სწრაფად იზრდება;
- უჯრედში ორგანოდების რაოდენობა კლებულობს;
- მიმდინარეობს უჯრედის ცხოველქმედებასთან დაკავშირებული ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესები;
- აქტიურდება ატფ-ის სინთეზი;
- უჯრედის ზრდის ინტენსივობა იკლებს;
- იზრდება უჯრედის ორგანოდების რაოდენობა;
- უჯრედში ბიოსინთეზის პროცესები ჩერდება;
- დღმი ორმაგდება.

## 18 უჯრედის გაყოფა. მიტოზი

- რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისთვის უჯრედის გაყოფას?  
უჯრედის გაყოფის რა გზები არსებობს?



უჯრედის გაყოფა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. უჯრედის გაყოფის ყველაზე გავრცელებული ხერხია მიტოზი (ბერძ. „mitos“ – ძაფი).


**მიტოზური გაყოფა.** მიტოზური გაყოფის დროს დედისეული უჯრედი იყოფა მსგავსი მემკვიდრული თავისებურებების მქონე ორ შვილეულ უჯრედად. უჯრედის მიტოზური გაყოფის შედეგად ხორციელდება ორგანიზმის ზრდა, რეგენერაცია და განახლება.

**მიტოზის ფაზები.** ინტერფაზის შემდეგ ინწყება უჯრედის მიტოზური გაყოფა, რომელიც ოთხი ფაზისგან შედგება: პროფაზა, მეტაფაზა, ანაფაზა, ტელოფაზა.


პროფაზა შა. პროფაზაშა მიტოზის ყველაზე ხანგრძლივი ფაზაა. ამ ფაზაში დნმ-ის ძაფები სპირალიზდება. ამ დროს ინტენსიურად მიმდინარეობს ქრომატინის სპირალიზაცია, რის შედეგადაც ქრომოსომები მიღება. პროფაზაში ქრომოსომები გაორმაგებულია. თითოეული ქრომოსომა ორი ნახევრისგან – ქრომატიდისგან შედგება. ისინი დნმ-ის იდენტურ მოლეკულებს შეიცავს. ქრომატიდებს ერთმანეთთან ცენტრომერი – სარტყელი აკავშირებს. ცვლილებებს განიცდის სხვა სტრუქტურებიც: ქრება ბირთვაკი, ნელ-ნელა იშლება ბირთვის გარსი. პროფაზაში ცენტრილები ორმაგდება და მათი წყვილები უჯრედის საპირისპირო მხარეს მიემართება. მათ შორის კი მიკრომილაკებისგან გაყოფის თითოსტარა იგება. ბირთვის გარსის სრულად დაშლის შემდეგ ქრომოსომები ციტოპლაზმაში გამოდის და ქაოსურად ლაგდება.

### საკვანძო სიტყვები

- მიტოზი
- პროფაზა
- მეტაფაზა
- ანაფაზა
- ტელოფაზა




**მეტაფაზა.** ამ ფაზაში უკვე გაყოფის თითოსტარას ბოლომდე ფორმირებული ძაფები ქრომოსომების ცენტრომერებს ემაგრება.




ქრომოსომები უჯრედის ცენტრში ლაგდება (ეკვატორზე) და მეტაფაზურ ფირფიტას ქმნის. ამ დროს ყველაზე იოლია სინათლის მიკროსკოპით ქრომოსომების დათვალიერება და დათვლა.

ანაფაზა. ქრომატიდები ერთმანეთს სცილდება და თითისტარის საშუალებით პოლუსებისკენ გადაადგილდება. ამ მომენტიდან ქრომატიდები და-მოუკიდებელ ქრომოსომებად ითვლება. ქრომატიდებიდან შვილეული ქრომოსომების წარმოქმნის ხარჯზე ანაფაზაში ქრომოსომების რიცხვი ორმაგდება.



ტელოფაზა. მიტოზის დასკვნითი ფაზაა. უჯრედის პოლუსებთან მიახლოებული ქრომოსომები დესპირალიზაციას განიცდის, ძაფების ფორმას იღებს და უხილავი ხდება. ტელოფაზაში წარმოქმნება ბირთვების გარსები და ბირთვაკები, გაყოფის თითისტარა კი ქრება, ანუ უჯრედში ორი ბირთვი ყალიბდება.



ბირთვის გაყოფის შემდეგ გაყოფას იწყებს ციტოპლაზმაც და შედეგად ერთი დედისეული უჯრედისგან წარმოქმნება ორი შვილეული უჯრედი. ორგანიზმისა და უჯრედის ტიპის მიხედვით მიტოზი შეიძლება რამდენიმე წოდან რამდენიმე სთ-მდე გაგრძელდეს. თუმცა ყველა შემთხვევაში მიტოზის ხანგრძლივობა ინტერფაზაზე ნაკლებია.

#### საქმიანობა

#### ლაბორატორიული სამუშაო

##### შილოზის პროცესზე დაკვირვება

**სამუშაოს მიზანი:** მიტოზის შესწავლა მცენარეული უჯრედების გაყოფის მაგალითზე მზა მიკროპრეპარატების გამოყენებით.

**ალტუროვლობა:** მიკროსკოპი, ხახვის ფესვისა და კანის უჯრედების მიკროპრეპარატები.

##### მუშაობის მსვლელობა:


- დაათვალიერეთ მზა პრეპარატები მიკროსკოპის ჯერ მცირე, შემდეგ კი დიდი გადიდებით.
- მოძებნეთ მიკროპრეპარატზე უჯრედები, რომლებიც იყოფა. განსაზღვრეთ გაყოფის რომელ ფაზას აკვირდებით.
- რა ნიშნების მიხედვით განსაზღვრეთ მიტოზის ფაზა?
- სქემატურად დახაზეთ მიტოზის ფაზები სამუშაო რვეულში.

**მიტოზის პიოლოგიური მნიშვნელობა.** მიტოზის ძირითადი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ გაყოფისას მემკვიდრული მასალა შვილეულ უჯრედებში თანაბრად ნაწილდება. ასეთი გაყოფის შედეგად დედისეული უჯრედიდან, რომელიც შეიცავს ქრომოსომების დიპლოიდურ ნაკრებს, წარმოქმნება დედისეული უჯრედის იდენტური ორი დიპლოიდური შვილეული უჯრედი.

## მიღებული ცოდნის გამოყენება და შესაბამისად

### 1. განიხილეთ სურათი „მიტოზის სხვადასხვა ფაზები“;

ა) სქემაზე განათავსეთ აღნიშვნები მიტოზის ფაზების შესაბამისად:



ბ) რა არის აღნიშვნული სურათზე ციფრებით 1-4?

გ) რომელ ეტაპზე შეინიშნება ორქრომატიდანი ქრომოსომები?

### 2. დაადგინეთ შესაბამისობა.

- |  |  |
|--|--|
| <b>I. პროფაზა</b><br><b>II. მეტაფაზა</b><br><b>III. ანაფაზა</b><br><b>IV. ტელოფაზა</b> | ა) ქრება გაყოფის თითისტარა;<br>ბ) დნმ სპირალიზაციას განიცდის;<br>გ) ქრომოსომები უჯრედის ეკვატორზე ლაგდება;<br>დ) ქრომატიდების დაცილების შედეგად ქრომოსომების რიცხვი ორმაგდება;<br>ე) ქრება ბირთვის გარსი და ბირთვაკი;<br>ვ) ინყება გაყოფის თითისტარას წარმოქმნა;<br>ზ) გაყოფის თითისტარას ძაფები ემაგრება ქრომოსომების ცენტრომერებს;<br>თ) ერთი დედისეული უჯრედიდან წარმოიქმნება ორი შვილული უჯრედი;<br>ი) ქრომოსომების ქრომატიდები თითისტარას დახმარებით უჯრედის პოლუსებისკენ მიემართება;<br>კ) უჯრედის პოლუსებთან მიახლოებული ქრომოსომები დესპირალიზაციას განიცდის;<br>ლ) უჯრედის ცენტრის გაორმაგებული ცენტრიოლები პოლუსებისკენ მიემართება;<br>მ) ამის შემდეგ ქრომატიდები დამოუკიდებელ ქრომოსომებად ითვლება;<br>ნ) წარმოიქმნება ბირთვის გარსი და ბირთვაკები. |
|--|--|

### 3. ამოხსენით ამოცანა:

- რა რაოდენობის უჯრედები და ქრომოსომების როგორი ნაკრებით წარმოიქმნება მიტოზის დროს, თუ გაიყო 100 უჯრედი 12 წყვილი ქრომოსომით?

4. შეუძლია თუ არა გარემოს ფაქტორებს ზეგავლენა მოახდინოს მიტოზის პროცესზე? რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ცოცხალ ორგანიზმებს ამ ფაქტორების ზემოქმედებამ?

## 19 უჯრედის გაყოფა. მეოზი




- როგორი აგებულება აქვს ცხოველების სასქესო უჯრედებს?
- რატომ ჰგვანან შეილები მშობლებს, მაგრამ მათ ასლს არ წარმოადგენერა?

უმრავლესობის ორგანიზმთა სხეულების უჯრედები მიტოზის შედეგად წარმოიქმნება. ამ უჯრედების ბირთვებში არის ქრომოსომების ორმაგი (დიპლოიდური) ნაკრები. მაგრამ სასქესო უჯრედების წარმოქმნა ძირითადად მეოზური ტიპის გაყოფით ხდება. ასეთი გზით წარმოქმნილ უჯრედებს, როგორც წესი, აქვს ქრომოსომების ერთმაგი (ჰაპლოიდური) ნაკრები.

**მეოზური გაყოფა** ორ სტადიას მოიცავს. ისევე, როგორც მიტოზის დროს, თითოეული სტადია შედგება ოთხი ფაზისგან – პროფაზის, მეტაფაზაზის, ანაფაზის და ტელოფაზისგან. მეოზური გაყოფის დროსაც უჯრედი თავიდან გადის ინტერფაზის პერიოდს. ინტერფაზაში უჯრედთა ზომები იზრდება, ქრომოსომების დნმ ორმაგდება.

/ პროფაზა. პირველი გაყოფა (I მეოზი) იწყება პროფაზა I-ით. ამ ფაზაში ორქრომატიდურიანი ქრომოსომები სპირალიზდება, მსხვილდება და კარგად ჩანს სინათლის მიკროსკოპით. ჰომოლოგიური ქრომოსომები მიახლოებისას მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს მთელ სიგრძეზე. ამ პროცესს კანიუგაციას უწოდებენ. გარკვეულ უბნებზე შეერთებული ქრომოსომები წყვილებს ქმნის. წყვილების შემქმნელი ჰომოლოგიური ქრომოსომების დნმ-ის ძაფების გარკვეულ მიერთებულ ნაწილებში ხდება უბნების გაცვლა. შედეგად თითოეულ ჰომოლოგიურ ქრომოსომაში წარმოქმნება ახალი გენური კომბინაციები.

### მეოზური გაყოფა



ამ პროცესს ქრომოსომების გადაკვარედინება ან კროსინგოვერი (ინგლ. „crossing over“ – გადაკვეთა) ეწოდება. შედეგად მიიღება კომბინაციური ნიშნები, რომელიც მშობლებში არ აღინიშნება. ისევე, როგორც მიტოზის დროს გაორმაგებული ცენტროლები ჰოლუსებისკენ მიემართება, წარმოქმნება გაყოფის თითისტარა. პროფაზის ბოლოს ბირთვის გარსი და ბირთვაკი ქრება და ქრომოსომები ციტოპლაზმაში გამოდის.

მეტაფაზა I-ის დროს ქრომოსომული ნეიტონი უჯრედის ეკვატორზე - ცენტრში ლაგდება. შემდგომში ანაფაზა I-ის დროს გაყოფის თითისტარას დახმარებით ჰომოლოგიური ქრომოსომები სცილდება ერთმანეთს და უჯრედის პოლუსებისკენ გაორმავებული მიემართება. ტელოფაზა I-ის დროს პირველი მეიოზური გაყოფა მთავრდება და წარმოქმნება ორი შვილული უჯრედი ქრომოსომათა ჰაპლოიდური რაოდენობით. თითოეული ქრომოსომა ორი ქრომატიდისგან შედგება. რადგან ამ გაყოფის დროს ქრომოსომული ნაკრები ორჯერ მცირდება, ასეთ გაყოფას რედუქციულ გაყოფასაც უწოდებენ.

პირველი გაყოფის შემდეგ ისევ ინტერფაზა იწყება. ეს სტადია ძალიან ხანმოკლეა და დღნ-ის გაორმავება არ ხდება.

მეიოზური გაყოფის II სტადია იწყება პროფაზა II-ით. ტელოფაზა I დროს წარმოშობილი შვილული უჯრედები, ისევე, როგორც მიტოზური პროფაზის შემთხვევაში, ცვლილებებს განიცდის. მათშიც პროფაზის ბოლოს ქრება ბირთვი და წარმოქმნება გაყოფის თითისტარა. მეტაფაზა II-ში ქრომოსომები უჯრედის ეკვატორის გასწროვ ლაგდება. აქაც, ისევე როგორც მიტოზის დროს, ანაფაზა II-ში ორივე შვილული უჯრედის პოლუსებისკენ ქრომატიდები გადაადგილდება. ამ მიზეზით ანაფაზა II-ში ქრომოსომული ნაკრები ორმაგდება. ტელოფაზა II-ის დროს პოლუსებისკენ გადაადგილებული ქრომოსომები დესპირალიზდება და ბირთვის მემბრანა გარს შემოეკვრება. წარმოქმნება ბირთვაკი. შემდეგ იყოფა ციტოპლაზმა და შედეგად წარმოქმნება ოთხი შვილული უჯრედი ქრომოსომების ჰაპლოიდური ნაკრებით, რომელთაგანაც ფორმირდება სასქესო უჯრედები. ამრიგად, მეიოზის პროცესში ერთი დიპლოიდური უჯრედისგან მიიღება ოთხი ჰაპლოიდური უჯრედი.

#### საკვანძო სიტყვები

- კონიუგაცია
- კროსინგოვერი
- რედუქციული გაყოფა

#### საქმიანობა

**შეადარეთ მიტოზისა და მეიოზის პროცესები:**


მაჩვენებლები	მიტოზი	მეიოზი
1. მიმდინარეობის ადგილი		
2. გაყოფათა რაოდენობა		
3. როგორი უჯრედები წარმოქმნება		
4. წარმოქმნილი უჯრედების რაოდენობა		
5. ქრომოსინგოვერის არსებობა		
6. ქრომოსომების რაოდენობა შვილულ უჯრედებში		

- რა მნიშვნელობა აქვს ჰაპლოიდური სასქესო უჯრედების წარმოქმნას?

**მეიოზის ბიოლოგიური მნიშვნელობა.** იმის გამო, რომ მეიოზის პროცესის დროს ქრომოსომების რიცხვი ნახევრდება, გამეტების შერწყმისას ეს რაოდენობა აღდგება და ნარჩუნდება მუდმივად მომდევნო თაობებშიც. გარდა ამისა, მამისა და დედის ქრომოსომების შეერთებისას ზიგოტაში წარმოქმნება ახალი გენური კომბინაციები, რაც განაპირობებს ახალი ნიშან-თვისებების წარმოშობას.

1. განიხილეთ სურათი. განსაზღვრეთ, რომელი სურათები შეესაბამება მიტოზს და რომელი – მეიოზს. ახსენით, რა ნიშნების გათვალისწინებით დაადგინეთ ამ პროცესებს შორის განსხვავება. დაალაგეთ ციფრული აღნიშვნა (1-12) მათი მიმღინარეობის თანამიმღევრობის მიხედვით.

მიტოზი	მეიოზი



## 2. მოარჩიეთ სწორი პასუხი:

- მეიოზის შედეგად ერთი დიპლოიდური უჯრედიდან წარმოიქმნება ოთხი უჯრედი ქრომოსომების დიპლოიდური/ჰაპლოიდური ნაკრებით;
- ცხოველების უჯრედებში კროსინგოვერი ხდება მიტოზის/მეიოზის დროს;
- ქრომოსომების გადაჯვარედინება ხდება მეიოზის/ტრანსკრიფციის პროცესში;
- მეიოზის შედეგად ქრომოსომების რიცხვი წარმოქმნილ ბირთვში ორმაგდება/ორჯერ მცირდება;
- მეიოზის შედეგად წარმოიქმნება კუნთის/სასქესო უჯრედები;
- მეიოზის დროს კროსინგოვერის არსი გამოიხატება ჰომოლოგიური უბნების გაცვლაში/ქრომოსომების დაცილებაში;
- პირველი მეიოზური გაყოფის მეტაფაზაში თითოეული ქრომოსომის შემადგენლობაში არის ერთი ქრომატიდი/ორი ქრომატიდი;
- უჯრედის მომზადებას გაყოფისთვის ეწოდება ანაფაზა/ინტერფაზა.

## 3. დაადგინეთ შესაბამისობა მეიოზის ფაზებსა და თითოეულ ფაზაში მიმღინარე პროცესებს შორის:

### მიმღის ფაზა

- ა) პროფაზა I  
ბ) ანაფაზა I  
გ) ტელოფაზა I  
დ) მეტაფაზა II  
ე) ანაფაზა II

### პროცესები

- 1) ქრომატიდების დაცილება და მათი გადაადგილება პოლუსებისკენ;
- 2) კონიუტაცია ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის;
- 3) ჰომოლოგიური ქრომოსომების გადანაცვლება საწინააღმდეგო პოლუსებზე;
- 4) გაორმაგებული ქრომოსომების ჰაპლოიდური წარმოქმნა; მქონე უჯრედების წარმოქმნა;
- 5) ქრომოსომების განლაგება ეკვატორზე.

### პროექტი

1. გამოიყენეთ ინტერნეტი და შეაგროვეთ ინფორმაცია თემაზე „უჯრედის აღმოჩენის ისტორია. უჯრედული თეორია“. შედეგები წარმოადგინეთ კარტოთეკის სახით, რომელიც შედგება ცალკეული ბარათებისგან.

აღმოჩენის დრო	მეცნიერი	აღმოჩენის მნიშვნელობა

2. გამოიყენეთ ინტერნეტი, პროგრამაში Publisher ან Word (A4 ფორმატის ფურცელზე) შეადგინეთ ბუკლეტი თემაზე „შიდსი: დანებოვნების გზები და პროფილაქტიკა“ ან „ჰეპატიტის ვირუსი: დასწრებოვნების გზები და პროფილაქტიკა“.
3. გამოიყენეთ პოპულარული ლიტერატურა და ინტერნეტი და შეაგროვეთ ინფორმაცია ძველ და თანამედროვე მიკროსკოპებზე. ინფორმაცია წარმოადგინეთ ელექტრონული პრეზენტაციის სახით შემდეგი გეგმით:
- მიკროსკოპის ვიზუალური გამოსახულება, მისი ტექნიკური შესაძლებლობები
  - შექმნის თარიღი
  - ავტორი
  - აღმოჩენები, რომლებიც ამ მიკროსკოპის გამოყენებით მოხდა
4. გამოიყენეთ ინტერნეტი და შეაგროვეთ ინფორმაცია თემაზე „ფოტოსინთეზის აღმოჩენის ისტორია“. შედეგები წარმოადგინეთ კარტოთეკით, რომელიც ცალკეული ბარათებისგან შედგება.

აღმოჩენის თარიღი	მეცნიერი	დამსახურება


5. გამოიყენეთ სახელმძღვანელოს ტექსტი და საიტის <http://festival.1september.ru/articles/515676/> მასალები...  
შექმნით მოდელი-აპლიკაცია „მიტოზი“

Çap üçün deyil

**1. აღნიშნეთ სწორი პასუხი:**

- 1) მიკროსკოპით ერთუჯრედიან ორგანიზმებს პირველად დააკვირდა ა. ლე-ვენკუკი/თ. შვანი;
- 2) სიცოცხლის არაუჯრედულ ფორმებს მიეკუთვნება ბაქტერიები/ვირუსები;
- 3) ადამიანის იმუნური სისტემის დათრგუნვას იწვევს პოლიომიელიტის/ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი;
- 4) ძუძუმწოვრების კვერცხუჯრედი აღმოაჩინა კ. ბერმა/რ. ვირხოვდა;
- 5) ბირთვის შემადგენელი მთავარი კომპონენტებია რიბოსომები/ქრომოსომები;
- 6) ნივთიერებათა ცვლა უჯრედსა და გარემოს შორის რეგულირდება პლაზმური მემბრანით/ციტოპლაზმით.

**2. ჯერ აღნიშნეთ ცხოველური და მცენარეული უჯრედები, შემდეგ კი ამ უჯრედებში არსებული ორგანოები.**



1	_____
2	_____
3	_____
4	_____

**3. დაასრულეთ წინადადებები, გამოტოვებულ ადგილებზე ჩასვით შესაბამისი სტრუქტურებს ნომრები.**

- ა) უზრუნველყოფს ნივთიერებების ტრანსპორტს უჯრედის შიგნით –
- ბ) აგროვებს უჯრედში წარმოქმნილ ნივთიერებებს –
- გ) მონანილეობს უჯრედშიგა მონელების პროცესში –
- დ) აგროვებს წარმოქმნილ ენერგიას ატფ-ის სახით –
- ე) შეუძლია მზის ენერგიის შთანთქმა –
- ვ) ახორციელებს ცილების ბიოსინთეზს –

- 1) გოლჯის კომპლექსი;
- 2) ლიზოსომა;
- 3) რიბოსომა;
- 4) ენდოპლაზმური ბადე;
- 5) პლასტიდები;
- 6) მიტოქონდრია.

4. დაადგინეთ ფოტოსინთეზის პროცესების თანამიმდევრობა. გადაიხაზეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ:

- წყლის ფოტოლიზი;
- ქლოროფილის მოლეკულის მიერ სინათლის ენერგიის შთანთქმა;
- თავისუფალი უანგბადის გამოყოფა;
- ნახშირორუანგის შეერთება წყალბადის პროტონებთან;
- გლუკოზის წარმოქმნა;
- ქლოროფილის მოლეკულის მიერ ელექტრონის დაკარგვა.

1	2	3	4	5	6

5. დაადგინეთ შესაბამისობა:

1. ტრანსკრიფცია  
2. ტრანსლაცია

- ი-რნმ-ის სინთეზი;
- ტ-რნმ-ის საშუალებით ამინომჟავების მიტანა რიბოსომასთან;
- რიბოსომის მიერ ინფორმაციის წაკითხვა ი-რნმ-დან;
- ი-რნმ-ის მიტანა რიბოსომასთან;
- ი-რნმ-ის ნუკლეოტოდების თანამიმდევრობის გადათარგმნა ამინომჟავების თანამიმდევრობად.

6. ტრანსლაციის პროცესში მონაწილეობა მიიღო ტ-რნმ-ის 45-მა მოლეკულამ. განსაზღვრეთ სინთეზირებულ ცილაში შემავალი ამინომჟავების რიცხვი და ტრიპლეტებისა და ნუკლეოტიდების რაოდენობა გენში, რომელიც ამ ცილას აკოდირებს:

ამინომჟავები – . . .  
ტრიპლეტები – . . .  
ნუკლეოტიდები – . . .

7. დაადგინეთ მიტოზის დროს პროცესების თანამიმდევრობა. გადაიხაზეთ სქემა სამუშაო რვეულში და შეავსეთ:

- ქრომატიდების გადაადგილება უჯრედის პოლუსებისკენ;
- ქრომოსომების სპირალიზაცია;
- შვილეული ბირთვების წარმოქმნა;
- ქრომოსომების განლაგება უჯრედის ეკვატორზე;
- ქრომოსომების მიმაგრება გაყოფის თითისტარას ძაფებზე;
- ბირთვის გარსის გაქრობა.



## 3

თავი III

## ორგანიზმი, როგორც ერთიანი სისტემა

20

### ცოდნალი ორგანიზმების ფორმების მრავალფეროვნება



– რა და რა სამეფოებად ყოფენ ორგანიზმებს?

ორგანიზმი ითვლება ბიოლოგიურ სისტემად, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ერთიანი, მთლიანი სისტემა. დედამიწაზე ბინადრობს უთვალავი ორგანიზმი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება აგებულებითა და კვების ტიპით. ყველაზე მარტივი აგებულების ორგანიზმებად ითვლება ერთუჯრედიანები.

საქმიანობა

დაყავით ჩამოთვლილი ორგანიზმები ჯგუფებად სამეფოების მიხედვით. დაასახელეთ სამეფო, აღნიშნეთ რომელი ორგანიზმები მიეკუთვნება ერთუჯრედიანებს.

- 1) აბედა სოკო;
- 2) ქლამიდომინადა;
- 3) რუხი მგელი;
- 4) გუგულის სელი;
- 5) ტუბერკულოზის ჩხირი;
- 6) ქოლერის ვიბრიონი;
- 7) თეთრი პლანარია;
- 8) პურის ობის სოკო;
- 9) მაისის ხოჭო;
- 10) ქლორელა;
- 11) ულვა;
- 12) პენიცილიუმი;
- 13) თამბაქოს მოზაიკის ვირუსი;
- 14) მინდვრის შვიტა;
- 15) ასკარიდა;
- 16) ამება.

სამეფო	?	?	?	?
ორგანიზმები				

– ჩამოთვლილთაგან რომელი ორგანიზმი არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე სამეფოს?

ორგანიზმების უმრავლესობას უჯრედული აგებულება აქვს. ერთუჯრედიანი ორგანიზმები. ერთუჯრედიანი ორგანიზმები ერთი უჯრედისგან შედგება. ამ უჯრედს ახასიათებს ცოცხალი ორგანიზმის ყველა თვისება. ორგანოიდები უჯრედში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს.

ხელსაყრელ პირობებში ერთუჯრედიანები ინტენსიურად მრავლდება. არახელსაყრელ პირობებში მათი უმრავლესობა იფარება სქელი გარსით, წარმოქმნის ცისტას ან სპორას. ერთუჯრედიანები გვხვდება ბაქტერიებს, მცენარეებს, სოკოებსა და ცხოველებს შორის.

ერთუჯრედიანი მცენარეების მაგალითებია წყალმცენარეები: ქლორელა, ქლამიდომონადა და პლევროკოკი (ზოოქლორელა), სოკოების – საფუარა სოკოები. ერთუჯრედიანი ცხოველებია: ამება, ევგლენა, ინფუზორია – ქალამანა და ა. შ. ისინი ეუკარიოტული ორგანიზმებია. პროკარიოტული ორგანიზმები – ბაქტერიები – შედგება მხოლოდ ერთი უჯრედისგან.

## ეს საინტერესოა

- მსოფლიო ოკენის ფსკერზე 10641 მ სიღრმეზე ალმოაჩინეს გიგანტური ერთუჯრედიანი ორგანიზმები – ქსენოფიოფორები. მეცნიერებმა ეს წყალმცენარეები ალმოაჩინეს მარიანის ლრმულის ყველაზე ღრმა ადგილზე, სადაც ვერ აღწევს სინათლის სხივები და ჟანგბადიც ძალიან მცირე რაოდენობითაა. ეს წყალმცენარეები ზოგჯერ 10 სმ დიამეტრისაა. ქსენოფიოფორები შედგება ციტოპლაზმისა და მასში თანაბრად განანილებული მრავალრიცხვანი ბირთვებისგან. ამ ორგანიზმებს შეიძლება ჰქონდეს ტეტრაედრის ან ნრის ფორმა.

ქსენოფიოფორა



**მრავალუჯრედიანი ორგანიზმები.** მცენარეების, ცხოველებისა და სოკოების უმრავლესობა შედგება მრავალი უჯრედისა და უჯრედშორისი ნივთიერებისგან. მათი ორგანიზმის უჯრედების ჯგუფები მორგებულია განსაზღვრული ფუნქციის შესრულებას. უმრავლესობა მრავალუჯრედიანი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალური განვითარება, რომელიც სათავეს იწყებს ერთი უჯრედიდან – ზიგოტიდან ან სპორისგან. კვების ტიპის მიხედვით მრავალუჯრედიანი ორგანიზმები იყოფა ავტოტროფებად, ჰეტეროტროფებად და მიქსოტროფებად. ავტოტროფებს მიეკუთვნება მწვანე მცენარეები, ჰეტეროტროფებს კი – ცხოველების უმრავლესობა, სოკოები და მცენარეები, რომლებსაც ქლოროფილი არ აქვს. ჰეტეროტროფებს შორის გვხვდება საპროცესიტები (სოკოების უმრავლესობა) და პარაზიტები, რომლებიც სხვა ორგანიზმების ხარჯზე ცხოვრობენ და ზიანს აყენებენ მათ (თასმისებრი ჭიები, მწოველები და სხვა).

### საკვანძო სიტყვები

- ცისტა
- სპორა
- მიქსოტროფული კვება

მიქსოტროფები იკვებება როგორც ჰეტეროტროფული, ისე ავტოტროფული გზებით. მაგალითად, მწერიჭამია მცენარე ნეპენტესი ფოტოსინთეზის დროს ავტოტროფულად იკვებება, ხოლო მწერების დაჭერის დროს – ჰეტეროტროფულად.

## ეს საინტერესოა

- ჰეტეროტროფული ორგანიზმები, რომლებსაც საჭმლის მომნელებელი სისტემა გააჩნიათ, იკვებებიან ჰოლოზოური ხერხით. ასეთი კვების ძირითადი თავისებულებებისა საკვების დაჭერა, გადაყლავა, მონელება და შენოვა. თუ ჰოლოზოური კვების ორგანიზმები მცენარეული საკვებით იკვებებიან, მათ ბალაზისმჭამელებს უწოდებენ, თუ ცხოველური საკვებით – მტაცებლებს, ხოლო მათ, რომლებიც საკვებად იყენებენ მცენარეებსაც და ცხოველებსაც – ნაირმჭამელებს.

### მიღებული ცოდნის შემონახვა და გამოყენება

1. მოიყვანეთ ერთუჯრედიანი ორგანიზმების მაგალითები, რომლებიც სხვადასხვა სამეფოს მიეკუთვნება.

საქეფო	ერთუჯრედიანი ორგანიზმები

2. ამოარჩიეთ სწორი მტკიცებები:

- 1) საპროფიტები სხვა ორგანიზმების ხარჯზე ცხოვრობენ და ზიანს აყენებენ მათ;
- 2) ცოცხალ ორგანიზმებში გვხვდება ის ქიმიური ელემენტები, რომლებიც არაცოცხალ ბუნებაში გვხვდება;
- 3) ნივთიერებათა ცვლა დამახასიათებელია მხოლოდ მრავალუჯრედიანი ორგანიზმებისთვის;
- 4) მცენარე ნეპენტესში მიმდინარეობს ფოტოსინთეზი და იგი შესაბამისად იკვებება მხოლოდ ავტოტროფულად;
- 5) *Homo sapiens* – ცხოველთა სამეფოს წარმომადგენელია;
- 6) ვირუსები პროკარიოტებს მიეკუთვნება;
- 7) გალიზიანებადობა მხოლოდ ცხოველებისთვისაა დამახასიათებელი;
- 8) ცილები, ცხიმები, ნუკლეიის მჟავები ცოცხალი არსებების ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია.

3. უპასუხეთ კითხვებს:

- ა) რატომ აქვს მრავალუჯრედიანი ორგანიზმების უჯრედებს უფრო მარტივი აგებულება, ვიდრე ერთუჯრედიანებს?
- ბ) ადამიანის ორგანიზმის უჯრედების მაგალითზე დაამტკიცეთ, რომ მრავალუჯრედიანი ორგანიზმი უბრალოდ ბევრი უჯრედის ერთობლიობა კი არ არის, არამედ ერთიანი სისტემა.

## 21 მრგანიზმების გამრავლების ფორმები

ცოცხალი ორგანიზმების ერთ-ერთი უმთავ-  
რესი ნიშან-თვისება გამრავლების უსარია.  
გამრავლების დროს ორგანიზმები თავის  
შესგავს შთამომავლობას წარმოშობს.



- რა არის გამრავლება?
- გამრავლების რა და რა ფორმები  
არსებობს?

ორგანიზმებს ახასიათებს ორი ტიპის გამრავლება – უსქესო და სქე-  
სობრივი.

### საქმიანობა

### ლაბორატორიული სამუშაო

**უსქესო გამრავლების ფორმების შესწავლა.**

სამუშაოს მიზანი: უსქესო გამრავლების ფორმების შესწავლა მცენარეებში.

მუშაობის მსვლელობა:

1. დაათვალიერეთ ჰერბარიუმი.
2. ძოიფიქტეთ (გაიხსენეთ) უსქესო გამრავლების ფორმები ჩამოთვლილი მცენარეებისთვის.
3. შეავსეთ ცხრილი.

№	მცენარის სახელწოდება	უსქესო გამრავლების ფორმები
1	ჩვეულებრივი ხახვი	
2	ია	
3	მხოხავი ჭანგა	
4	კარტოფილი	
5	ბოლოკი	


– რაში გამოიხატება უსქესო გამრავლების ბიოლოგიური მნიშვნელობა?

**უსქესო გამრავლება.** ასეთ გამრავლებაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მშობელი და არ წარმოიქმნება სასქესო უჯრედები – გამეტები. რადგან მშობელ ფორმას შეუძლია ყველა თავისი მემკვიდრული ნიშანი გადასცეს შთამომავლობას, ამიტომ წარმოიქმნება შვილეული ინდივიდები, რომლებიც მშობლის ასლს წარმოადგენს. არსებობს უსქესო გამრავლების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: გაყოფა, ვეგეტატიური გამრავლება, დაკვირტვა, სპორებით გამრავლება.

გაყოფით გამრავლება. ზოგიერთი ორგანიზმი გაყოფით მრავლდება. გაყოფა მთავრდება დედისეული უჯრედის ორად (ან მეტად) გაყოფით.

### გამრავლება

### ჩვეულებრივი ამება




### მწვანე ევგლენა

ერთუჯრედიანი ორგანიზმების უმრავლესობა – მაგალითად, ჩვეუ-  
ლებრივი ამება, მწვანე ევგლენა – მრავლდება უჯრედის ორად გაყოფით.  
თუმცა მალარიის პარაზიტის ან სხვა შოლტიანების უსქესო გამრავლება  
მიმდინარეობს ერთი უჯრედის გაყოფით რამდენიმე უჯრედად.

ვეგეტატიური გამრავლება. ზოგიერთ ორგანიზმს სხეულის ნაწილებით შევძლია გამრავლება. ასეთ გამრავლებას ვეგეტატიურს უწოდებენ. ვეგეტატიური გამრავლება ძირითადად მცენარეებში გვხვდება. სოფლის მეურნეობაში ამ მეთოდს კარგად იყენებენ დედისეული ნიშნების შთამომავლობაში შენარჩუნების და შთამომავლობის მოკლე პერიოდში მიღების მიზნით.

### ვეგეტატიური გამრავლება მცენარეებში


1. შროშნა (ფესურით)
2. მოცხარი (ღროს კალმებით)
3. მარწყვი (ულფაშებით)
4. ტიტა (ბოლქვებით)
5. ბეგონია (ფოთლით)




ზოგიერთ შემთხვევაში ღრუბლების (ზღვის ცხოველი), ნაწლავლრუინების, ბრტყელი ჭიების (პლანარია), კანეკლიანების სხეულის ფრაგმენტებისგან შეიძლება ახალი ორგანიზმი განვითარდეს. სხეულის ნაწილებით ასეთი ტიპის გამრავლებას ფრაგმენტაცია ეწოდება. ეს მეთოდი ძირითადად ისეთ ორგანიზმებში გვხვდება, რომლებიც მიმაგრებულ ცხოვრებას ეწევიან.

დაკვირტვით გამრავლება. დაკვირტვით გამრავლება გვხვდება საფუარა სოკოებში, ღრუბლებში და ნაწლავლრუიანებში. ამ ღროს დედისეული ორგანიზმის გარკვეულ ნაწილზე წარმოიქმნება წანაზარდი, რომელიც კვირტს მოგვაგონებს. განვითარების შემდეგ მისგან ახალი ორგანიზმი წარმოიქმნება.

### დაკვირტვით გამრავლება



საფუარა სოკოები



ნაწლავლრუიანები


სპორებით გამრავლება. წყალმცენარეები, გვიმრანაირები და სოკოები სპორებით მრავლდება. სპორა სქელი გარსით დაფარული უჯრედია. ასეთ მდგომარეობაში მას დიდი ხნის განმავლობაში შეუძლია იარსებოს არახელსაყრელ პირობებში. ხელსაყრელ პირობებში მოხვედრისას სპორა ლივდება და ახალი ორგანიზმი ვითარდება.

### სპორებით გამრავლება



ხავსები

სპორები



გვიმრანაირები



სპორები

სპორები

**სქესობრივი გამრავლება.** სქესობრივ გამრავლებაში, როგორც წესი, ორი მშობელი ინდივიდი მონაწილეობს და მათ უვითარებათ სასქესო უჯრედები – გამეტები. სქესობრივი გამრავლების დროს გამეტების შეწყვის შედეგად წარმოქმნა წება ახალი ორგანიზმი, რომელიც ორივე მშობლის ნიშან-თვისებებს ატარებს. ასეთი ორგანიზმები უფრო გამძლენი არიან ცვალებადი არახელსაყრელი გარემოს მიმართ.

#### საკვანძო სიტყვები

- ვეგეტატიური გამრავლება
- დაკვირტვა
- სპორების წარმოქმნა


### ეს საინტერესოა



ეგვიპტეში აღმოჩენილი უძველესი ხელნაწერების თანახმად, ქვეყანაში სოფლის მეურნეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ამ ეპოქის ნახატებზე გამოსახულია ვაზის მოვლის სცენები. ამ პერიოდში ეგვიპტეში, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ ამ მცენარის (და სხვა მცენარების) კალმებით გამრავლების მეთოდებს. ამისათვის ეგვიპტელები იყენებდნენ სპეციალურ ნამგლისებური ფორმის პატარა დანებს.

### მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

1. უსქესო გამრავლების რომელი ფორმებია სურათზე გამოსახული? მიუთითოთ ა, ბ და გ ორგანიზმების სახელწოდება და გამრავლების ფორმები.



2. კითხვის ნიშნების ნაცვლად ჩასვით ლოგიკურად დასაბუთებული ცნებები:

სპორა – უსქესო გამრავლება გამეტა – ?	გაყოფა – მწვანე ეპლენა ? – ჰიდრა
? – სპორა თესლი – ნაძვი	საფუარა სოკოები – დაკვირტვა ჩვეულებრივი ამება – ?
ინფუზორია-ქალამანა – ერთი უჯრედი ? – მრავალი უჯრედი	სქესობრივი გამრავლება – ორი მშობელი უსქესო გამრავლება – ?

3. რატომ გვხვდება ზოგიერთ ორგანიზმში სქესობრივი და უსქესო გამრავლების მონაცვლეობა? მოიყვანეთ მაგალითები.

## 22 სასქესო უჯრედების ნარმოქმნა და განაყოფილება



- როთ განსხვავდება მამრობითი სასქესო უჯრედები მდედრობითისგან?
- რასთანაა დაკავშირებული მათ შორის განსხვავება?

საქმიანობა

ლაპორატორიული სამუშაო

სასქესო უჯრედების აგებულება.

სამუშაოს მიზანი: სასქესო უჯრედების თავისებურებების შესწავლა.

მუშაობის მსვლელობა:

1. დაათვალიერეთ სასქესო უჯრედების მზა მიკროპრეპარატები.

2. შეავსეთ ცხრილი.


ნიშნები	სპერმატოზოიდი	კვერცხუჯრედი
აგებულება და ფორმა		
მოძრაობის უნარი		
საკვები ნივთიერებების მარაგი		
ზომა		
რაოდენობა		
ქრომოსომების ნაკრები		

- რაში გამოიხატება სასქესო უჯრედების ბიოლოგიური მნიშვნელობა?

**გამეტების (სასქესო უჯრედების) ნარმოქმნა და განვითარება.** სასქესო უჯრედების ნარმოქმნის პროცესს გამეტოგენეზი ეწოდება. სასქესო უჯრედები ნარმოქმნება მშობლების სპეციალურ ორგანოებში – სათესლებსა და საკვერცხებში – (ცხოველთა სასქესო ორგანოებში). თავისი განვითარების საწყის სტადიაზე პირველადი სასქესო უჯრედები მიტოზის გზით იყოფა და მათი რაოდენობა მატულობს.

გამეტოგენეზი

სასქესო უჯრედების ნარმოქმნა და განვითარება



მეორე სტადიაზე ხდება პირველადი სასქესო უჯრედების მომზადება გაყოფისათვის. ამ პერიოდში უჯრედები იზრდება და მათში დნმ ორმაგ-

საკვანძო სიტყვები

- გამეტოგენეზი
- პართენოგენეზი
- პერმაფროდიტი

დება. შემდეგ სტადიას უწოდებენ მომწიფების სტადიას. პირველადი სასქესო უჯრედები მეორზური გზით იყოფა.

პირველადი მდედრობითი სასქესო უჯრედის ციტოპლაზმის არათანაბარი გადანაწილების ხარჯზე მეორზის დროს წარმოიქმნება ერთი დიდი და სამი პატარა უჯრედი (პოლარული სხეულაკები), რომლებიც იმლება. ამრიგად, პირველადი მდედრობითი უჯრედი განვითარებისას წარმოქმნის მხოლოდ ერთ მსხვილ სრულფასოვან უჯრედს, რომელიც დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებას შეიცავს. შემდგომში ის კვერცხუჯრედად გადაიქცევა.

პირველადი მამრობითი სასქესო უჯრედისგან ვითარდება ოთხი ერთნაირი უჯრედი, რომელთაგან მნიშვნელოვანია სპერმატოზოდები.

**განაყოფიერება.** მამრობითი და მდედრობითი გამეტების შერწყმის პროცესს, რომლის დროსაც წარმოიქმნება ზიგოტა, განაყოფიერება ეწოდება. განაყოფიერება ხდება სპერმატოზოიდის კვერცხუჯრედში შეღწევის შედეგად. განაყოფიერების შემდეგ ზიგოტა გაყოფას იწყებს და წარმოიქმნება დიპლოიდური ჩანასახი, რომლისგანაც შემდგომში ახალი ორგანიზმი ფორმირდება.

**სქესობრივი გამრავლების ფორმები.** ცხოველების უმრავლესობაში, მაგრამ მრგვალ ჭიებში, ორსაგდულიან მოლუსკებში, ფეხსახსრიანებში და ა.შ. მდედრობითი და მამრობითი სასქესო ორგანოები სხვადასხვა ინდივიდებს გააჩნია. ასეთ ცხოველებს ცალსქესიანებს უწოდებენ. მაგრამ ზოგიერთ ინდივიდებს, მაგალითად ბრტყელ და რგოლოვან ჭიებს, გააჩნია როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სასქესო ორგანოები. ასეთ ორგანიზმებს ჰქონია ფორმირდით უწოდებენ.

ზოგიერთ შემთხვევში სქესობრივი გამრავლების დროს განაყოფიერება არ ხდება, თუმცა გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედიდან ახალი ინდივიდი ვითარდება. ახალი ორგანიზმის წარმოქმნას გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედიდან პართენოგენეზის (ბერძ. „parthenos“ – ქალწული, „genesis“ – წარმოქმნა) უწოდებენ. პართენოგენეზი გვხვდება მეთაფლია ფუტკრებში, დაფნიებში, ბუგრებში და სხვა ცხოველებში.

### მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოხვევა

1. მდედრობითი სასქესო უჯრედის გამეტოგენეზის დროს მიმდინარე მოვლენები სწორი თანამიმდევრობით განალაგება.



- (ა) მსხვილი უჯრედი კვერცხუჯრედად გადაიქცევა;
- (ბ) პირველად სასქესო უჯრედებში დნმ-ის რაოდენობა ორმაგდება;
- (გ) პირველად სასქესო უჯრედები იზრდება;
- (დ) პირველად სასქესო უჯრედები იყოფა მეორზური გზით;
- (ე) განვითარებული პირველად მდედრობითი სასქესო უჯრედი საწყისს აძლევს ერთ მსხვილ უჯრედს დიდი ყვითრით;



• ბუგრების გამრავლება ძირითად ცოცხალმშობით და პართენოგენეზით ხდება. ბუგრების ზოგიერთ წარმომადგენელში უკვე ახალშობილის სხეულში ვითარდება კვერცხუჯრედი და 10-15 დღის შემდეგ განაყოფიერების გარეშე ახალი ბუგრი იბადება.




- ვ) პირველადი სასქესო უჯრედები მიზოზის გზით იყოფა;  
 ზ) პირველადი მდედრობითი სასქესო უჯრედის გაყოფის შედეგად ნარმოიქმნება ერთი მსხვილი უჯრედი და სამი პატარა პოლარული სხეულაკი.

## 2. მოძებნეთ მცდარი მტკიცებები და გაასწორეთ:

- ზრდის ფაზის დროს დნმ-ის გაორმავება ხდება;
- რგოლოვანი ჭიები ჰერმაფორნოდიტ არსებებს მიეკუთვნებიან;
- გაუნაყოფიერებლი გამეტიდან ახალი ორგანიზმის განვითარებას პართენოგენეზი ეწოდება;
- მომზიფების ფაზაში მეორზის შედეგად სამი კვერცხუჯრედი და ერთი პოლარული სხეულაკი წარმოიქმნება;
- მეორე მეორზური გაყოფისას პირველადი მამრობითი სასქესო უჯრედიდან ნარმოიქმნება ოთხი ერთნაირი უჯრედი, რომელთაგან ფორმირდება სპერმატოზოიდები;
- პართენოგენეზი გვხვდება ბრტყელ ჭიებში;
- გამეტოგენეზის შედეგად დიპლოიდური სპერმატოზოიდები და კვერცხუჯრედები წარმოიქმნება;
- მამრობითი და მდედრობითი გამეტების შერწყმის პროცესს, რომელიც ზიგოტის ნარმოებით მთავრდება, გამეტოგენეზს უწოდებენ.

3. ყურადღებით დაათვალიერეთ სქემა. რა არის სქემზე აღნიშნული ა და ბ ასოებით და 1-დან 9-მდე ციფრებით?

-  პომოლოგიური ქრომოსომები;
-  გაორმაგებული ჰიმოლოგიური ქრომოსომები



## 23 სქესობრივი გამრავლება მცენარეებში

- როგორ ხდება გვიმრებისა და ხავსების გამრავლება?  
 – რით განსხვავდება ამ მცენარეების გამრავლება ფარულთესლოვანი მცენარეების გამრავლებისაგან?


არახელსაყრელ პირობებში წყალმცენარეები, როგორც წესი, სქესობრივი გზით მრავლდება. ამავე დროს წყალმცენარეების ზოგიერთ ნარმომადგენელს (ქლამიდომონადას, ულოტრიქსს და სხვ.) უვითარდება ერთი და იმავე ტიპის გამეტები ქრომოსომათა ჰაპლოიდური ნაკრებით. გამეტების შერჩყმით ნარმოიქმნება ზიგოტა. ზიგოტა სქელ გარსს იკეთებს და ასე გამოიზამთრებს, ხელსაყრელ პირობებში კი მიტოზის გზით იყოფა და ოთხ ახალ ინდივიდს წარმოქმნის.

მრავალუჯრედიან მწვანე წყალმცენარე სპიროგირაში სქესობრივი პროცესი კონიუგაციის ტიპით მიმდინარეობს. კონიუგაციის დროს ერთი წყალმცენარის უჯრედის შიგთავსი მეორე წყალმცენარის უჯრედში აღწევს, მათი ბირთვების შერჩყმით მიღებული ზიგოტიდან კი ახალი წყალმცენარე ვითარდება.

ზოგიერთი მრავალუჯრედიანი წყალმცენარის (ლამინარიის, პორფირას) გამრავლების პროცესში თაობათა მონაცელეობა შეინიშნება, ანუ სქესიანი და უსქესო თაობები ერთმანეთს ენაცვლება.

### საქმიანობა

- რომელი მცენარეების გამრავლებაა გამოსახული ა და ბ სურათებზე?



გამეტოფიტი \* – სქესიანი თაობა      სპოროფიტი \* – უსქესო თაობა.

გააანალიზეთ სურათები, გამოიყენეთ შექნილი ცოდნა, შეავსეთ ცხრილი:

	მცენარის სახელნდება	სპოროფიტი	სპოროფიტის ქრომოსომული ნაკრები	გამეტოფიტი	გამეტოფიტის ქრომოსომული ნაკრები
ა					
ბ					

- რა განსახვავება და მსგავსებაა ამ მცენარეების სასიცოცხლო ციკლებს შორის?

**თაობათა მონაცელეობა უმაღლეს მცენარეებში.** უმაღლეს სპოროვან მცენარეებში სპოროდან ვითარდება ჰაპლოიდური სქესიანი თაობა, რომელსაც სასქესო უჯრედები უვითარდება. ხავსებში (მაგალითად, გუგულის სელში) სქესიანი თაობა მრავალწლიანი ზრდასრული მცენარეა. ამის გამო ხავსებში სქესიანი თაობა ჭარბობს. გვიმრებსა და თესლოვან მცენარეებში სქესიანი თაობა სუსტადაა განვითარებული და სიცოცხლის ხანგრძლივობაც დიდი არ აქვს. გვიმრანაირების სპორისაგან წარმოიქმნება წინაზრდილი, რომელიც რიზოდების საშუალებით ემაგრება ნიადაგს. წინაზრდილის ზედაპირზე სასქესო უჯრედები ვითარდება. ხავსებისა და გვიმრანაირების სქესობრივი გამრავლება მჭიდროდაა დაკავშირებული წყლიან გარემოსთან. სპერმატოზოდები წყლის საშუალებით გადაადგილდება კვერცხუჯრედისკენ.

### საკვანძო სიტყვები

- გამეტოფიტი
- სპოროფიტი
- ორმაგი განაყოფიერება

ვითარდება. ხავსებისა და გვიმრანაირების სქესობრივი გამრავლება მჭიდროდაა დაკავშირებული წყლიან გარემოსთან. სპერმატოზოდები წყლის საშუალებით გადაადგილდება კვერცხუჯრედისკენ.

### თაობათა მონაცელეობა უმაღლეს მცენარეებში



თუ ხავსებში სქესიანი თაობა ჭარბობს, გვიმრანაირებში მას წინაზრდილის ფორმა აქვს. თესლოვან მცენარეებს გააჩნია სხვადასხვა სქესის გამეტოფიტები, რომელიც სხვადასხვა სპორისგანაა განვითარებული. მიკროსპორები დასაბამს აძლევს მამრობით სასქესო უჯრედებს, ხოლო მაკროსპორები – მდედრობით თაობას. თესლოვან მცენარეებში სქესიანმა თაობამ (გამეტოფიტმა) მკვეთრი რედუქცია განიცადა.

ყვავილოვანი მცენარეების მამრობით გამეტოფიტს წარმოადგენს მტვრის მარცვალი, რომელიც მტვრიანას სამტვრე პარკშია და მიკროსპორებისგან წარმოიქმნება. მომწიფებისას მტვრის მარცვლებში წარმოიქმნება ორი ბირთვი – **ვეგეტატიური და გენერაციული**.


მდედრობითი გამეტოფიტი მაკროსპორებისგან ვითარდება და შედგება ჩანასახოვანი პარკისგან, რომელიც თესლკვირტშია მოთავსებული. ჩანასახოვან პარკში მიმდინარეობს რამდენიმე გაყოფა, რომელთა შედეგად წარმოიქმნება 6 ჰაპლოიდური უჯრედი, კვერცხუჯრედის ჩათვლით და ერთი დიპლოიდური ცენტრალური უჯრედი.

**ორმაგი განაყოფიერება.** 1898 წელს რუსმა მეცნიერმა ს. ნავაშინმა აღმოაჩნა განაყოფიერების განსაკუთრებული ტიპი ფარულთესლოვან (ყვავილოვან) მცენარეებში, რომელსაც ორმაგი განაყოფიერება უწოდა.

დამტვერვის დროს მტვერი მტვრიანადან ბუტკოს დინგზე ხვდება და გაღივებას იწყებს. მისაგან სამტვრე მილი იწყებს ზრდას, სადაც გენერაციული უჯრედი მიტოზის გზით იყოფა და ორ მამრობით გამეტას – სპერმიტებს – წარმოქმნის. შოლტების არარსებობის გამო სპერმიტები დამუკიდებლად გადაადგილების უზარს მოკლებულია. სამტვრე მილი ჩაიზრდება ნასკვში და ჩანასახოვან პარკს მიემაგრება. სპერმიტები სამტვრე მილის გავლით ხვდება ჩანასახოვან პარკში. ერთი მათგანი კვერცხუჯრედს ერწყმის და ზიგოტას წარმოქმნის, მეორე კი ცენტრალურ უჯრედს უერთდება და წარმოიქმნება ტრიპლოიდური (3n) უჯრედი რომლის დაყოფითაც მიიღება ენდოსპერმი. ამ პროცესს ორმაგი განაყოფიერება ეწოდება. იგი მხოლოდ ყვავილოვან მცენარეებში გქრვდება.

### ორმაგი განაყოფიერება

1. თესლის კანი
2. ჩანასახი
3. ენდოსპერმი
4. სპერმის შერწყმა ცენტრალურ უჯრედთან
5. სპერმის შერწყმა კვერცხუჯრედთან
6. მდედრობითი სასქესო უჯრედის წარმოქმნა
7. მამრობითი სასქესო უჯრედის წარმოქმნა



ორმაგი განაყოფიერების შედეგად ყვავილოვანი მცენარეების თესლის ჩანასახი კარგადაა მომარაგებული საკვები ნივთიერებებით, რომელსაც გაღივების დროს მოიხმარს. ნაყოფსაფარი იცავს თესლს და უზრუნველყოფს მის ეფექტურ გავრცელებას.

### მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

#### 1. აღმოაჩინეთ შეცდომები წინადადადებებში და გაასწორეთ ისინი:


- 1) ხელსაყრელ პირობებში წყალმცენარეები, როგორც წესი, სქესობრივი გზით მრავლდება;
- 2) უმაღლესი მცენარეების სასქესო უჯრედები წარმოიქმნება სპორებისგან განვითარებულ დიპლოიდურ სქესიან თაობაში;
- 3) ხავსებში ჭარბობს უსქესო თაობა;
- 4) გუგულის სელის ზრდასრული მცენარე წარმოადგენს უსქესო თაობას;
- 5) ყვავილოვანი მცენარეების სამტვრე პარკი მამრობითი გამეტოფიტია.

#### 2. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

- ყვავილოვან მცენარეებში დამტვერვისას მტვრიანას მტვერი/ძაფი ხვდება ბუტკოს დინგზე და იწყებს გაღივებას;
- სამტვრე მილში გენერაციული უჯრედი იყოფა და წარმოიქმნება ორი მამრობითი გამეტა – სპერმიტები/სპერმატოზოიდები.

- სამტვრე მილი იზრდება და ემაგრება ბუტკოს დინგს/ჩანასახის პარკს.
- ჩანასახის პარკში შეჭრილი ერთი სპერმია ერწყმის ცენტრალურ უჯრედს და ქმნის უჯრედს ქრომოსომის დიპლოიდური/ტრიპლოიდური ნაკრებით;
- ორმაგი განაყოფიერება დამახასიათებელია ყვავილოვანი/შიშველთესლოვანი მცენარეებისთვის;
- განაყოფიერების შემდეგ ნაყოფი წარმოიქმნება თესლკვირტიდან/ნასკვიდან;
- განაყოფიერებული ცენტრალური უჯრედიდან ვითარდება ენდოსპერმი/თესლის ჩანასახი.

3. დაათვალიერეთ სურათი „სამტვრე მილის ზრდა და ორმაგი განაყოფიერება“. რომელი სტრუქტურები (1-9) და პროცესები (10, 11) აღნიშნულია ამ ციფრებით?



4. უპასუხეთ კითხვებს:

- როგორი ქრომოსომული ნაკრებია დამახასიათებელი ფიჭვის მტვრის მარცვლისა და სპერმიებისთვის?
- როგორი ქრომოსომული ნაკრებია დამახასიათებელი ყვავილოვანი მცენარეების თესლთა სპერმიებისა და ენდოსპერმის უჯრედებისთვის?

## 24 ცრავის ინდივიდუალური განვითარება



- რა ენდება განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს?
- როგორ ხდება მწერების, თევზების, ამფიბიების და ფრინველების ჩანასახების განვითარება?


ორგანიზმის ინდივიდუალურ განვითარებას ჩასახვის მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე ონტოგენეზს (ბერძ. „ontos“ – არსება, არსებული, „genesis“ – წარმოშობა) უწოდებენ. ორგანიზმებში, რომლებიც სქესობრივი გზით მრავლდება, ინდივიდუალური განვითარება იწყება განაყოფიერების შემდეგ ზიგოტის გაყოფით.

**ონტოგენეზის პერიოდები და სტადიები.** მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ონტოგენეზში გამოყოფენ ემბრიონულ და პოსტემბრიონულ პერიოდებს.

ემბრიონული პერიოდი. ეს არის პერიოდი ზიგოტის გაყოფის მომენტიდან ახალი ორგანიზმის კვერცხის ან ჩანასახის გარსიდან გამოსვლამდე.

### ონტოგენეზის ემბრიონული პერიოდი

- 1 – ზიგოტა
- 2-5 – ბლასტომერები
- 6 – ერთშრიანი ჩანასახი
- 7 – ჩანასახის შრების წარმოქმნა




განაყოფიერების შემდეგ ზიგოტა იწყებს გაყოფას. ერთმანეთის მომდევნო რამდენიმე მიტოზური გაყოფის შემდეგ ერთი მსხვილი განაყოფიერებული უჯრედიდან წარმოიქმნება ბევრი პატარა უჯრედი – ბლასტომერები. შემდგომში ამ უჯრედებისგან ყალიბდება მრავალუჯრედიანი ჩანასახი. ჩანასახის უჯრედების გაყოფის შედეგად წარმოიქმნება ჩანასახის შრეები, ორგანოები და ორგანოთა სისტემები.

პოსტემბრიონული პერიოდი. ეს პერიოდი იწყება დაბადებით ან ჩანასახის გარსებიდან გამოსვლით. პოსტემბრიონულ პერიოდსაც თავისი სტადიები აქვს – ჩამოყალიბებისა და ზრდის, სიმწიფის და სიბერის, რომელიც სიკვდილით მთავრდება.

## ეს საინტერესოა

- ბაყაყი ***Rheobatrachus silus***, რომელიც ავსტრალიაში ბინადრობდა და 1980-იან წლებში გადაშენდა, გამოირჩეოდა შთამომავლობის ტარების სპეციფიკური მეთოდით.



მდედრი ბაყაყი განაყოფიერებულ კვერცხებს ყვავებავდა. კვერცხების მფარავი წივთიერება პროსტაგლანდინი ხელს უშლიდა კუჭის წვენის გამომუშავებას, ამიტომ ამ პერიოდის განმავლობაში კუჭი თავის ძირითად მოვალეობას ვრც ასრულებდა. განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ ბაყაყი თავკომბალებს ამოანთხევდა.

**ცხოველების განვითარების ტიპები.** ცხოველთა პოსტემბრიონული განვითარება ორი ტიპისაა – პირდაპირი და არაპირდაპირი.

### საქმიანობა

შეავსეთ ცხრილი, დასვით ნიშანი „+“ ან „-“ შესაბამის უჯრებში. მიუთითეთ თითოეული ორგანიზმისათვის დამახასიათებელი განვითარების ტიპი.


	ზიგოტა	ლარვა	ჭუპრი	ზრდასრული ინდივიდი
სწორფრთიანები				
ქერცლფრთიანები				
წყალხმელეთა ცხოველები				
ფრინველები				
ადამიანი				

– რა თავისებურებებით განსხვავდება ცოცხალი ორგანიზმების განვითარების ტიპები?

პირდაპირი განვითარების დროს არ არსებობს ლარვის სტადია და წარმოიქმნება ორგანიზმი, რომელიც ზრდასრულ ორგანიზმს

ჰერცის. განვითარების ასეთი ტიპი დამახასიათებელია ბევრი ცოცხალი არსებისთვის, მაგალითად, ქვეწარმავლებისთვის, ფრინველებისა და ძუძუმწოვრებისთვის. ქვეწარმავლებისა და ფრინველების კვერცხი დიდი რაოდენობით ყვითრს შეიცავს. ჩანასახის განვითარება კვერცხის შიგნით ხდება. ჩანასახის უზრუნველყოფა საკვები ნივთიერებებით ყვითრით ხდება. პლაცენტური ძუძუმწოვრების კვერცხუჯრედში საკვები ნივთიერებები პრაქტიკულად არ არის. ჩანასახის უზრუნველყოფა საკვები ნივთიერებებით დედის ორგანიზმის ხარჯზე ხდება. ამიტომ განვითარების ასეთ ტიპს საშვილოსნოსშიდა განვითარებას უწოდებენ.

#### არაპირდაპირი განვითარების ფორმები



არაპირდაპირი განვითარების დროს ცხოველებში არის ლარვის სტადია. კვერცხიდან გამოსული ლარვა მხოლოდ რამდენიმე სტადიის გავლის შემდეგ ემსგავსება ზრდასრულ ინდივიდს. კვერცხუჯრედში საკმაო რაოდენობითაა ყვითრი ლარვის ჩამოყალიბებისათვის. არაპირდაპირი განვითარებაა დამახასიათებელი ამფიბიებისთვის, სციფროიდური მედუზებისთვის, მწერებისა და ზოგიერთი სხვა ცხოველისთვის. ამ ცხოველების ლარვებს ახასიათებს შეგუებისათვის საჭირო სპეციფიკური ნიშნები, რაც უზრუნველყოფს მათ განვითარებას ამ სტადიაზე. მაგალითად ბაყაყის ლარვას – თავკოძალას – ახასიათებს სხეულის გარსშემოდენილი ფორმა, ლაყუჩებით სუნთქვა, კუდი, გვერ-

#### საკვანძო სიტყვები

- ემბრიონული პერიოდი
- პოსტემბრიონული პერიოდი
- ბლასტომერი
- პირდაპირი განვითარება
- არაპირდაპირი განვითარება
- საშვილოსნოსშიდა განვითარება

დითი ხაზი – თავისებურებები, რომლებიც ეხმარება მას წყალში ცხოვრებაში. ასეთი საშუალებით მას შეუძლია ცურვა. შემდეგ თავკომბალაში ხდება ცვლილებები, შეგუების ეს ნიშნები ქრება და იგი ზრდასრულ ბაყაყად გადაიქცევა.

ცხოველებისგან განსხვავებით, მცენარეებში ორგანოებისა და ქსოვილების ჩამოყალიბება ხდება არა მარტო ჩანასახოვან პერიოდში, არამედ გრძელდება პოსტემბრიონულ პერიოდშიც.

## მიღაბული ცოდნის შაომრეაბა და გამოყვანება

### 1. შეავსეთ ცხრილი

ონტოგენეზის პერიოდები	პერიოდის თავისებურებები
ემბრიონული	
პოსტემბრიონული	

### 2. ამოარჩიეთ სწორი განსაზღვრებები:

- ა) უმაღლეს პლაცენტურ ძუძუმწოვრებში კვერცხუჯრედი დიდი რაოდენობის ყვითრს შეიცავს.
- ბ) პირდაპირი განვითარების დროს ლარვის სტადია არ არსებობს.
- გ) ფრიველებისთვის დამახასიათებელია განვითარების არაპირდაპირი გზა.
- დ) მიტოზური გაყოფის შედეგად ზიგოტისგან ვითარდება დიდი რაოდენობით ბლასტომერები.
- ე) არაპირდაპირი განვითარების ცხოველებში პოსტემბრიონულ პერიოდში ყალიბდება ორგანიზმი, რომელიც ზრდასრულ ინდივიდს ჰგავს.
- ვ) მცენარეების ჰაპლოიდურ სქესიან თაობას გამეტოფიტი ენოდება.
- ზ) ფარულთესლოვანი მცენარეების სასიცოცხლო ციკლში ჭარბობს სპოროფიტული თაობა.

### 3. ონტოგენეზის პროცესის დამახასიათებელი ნიშნები გაანაზილეთ სქემის შესაბამის უჯრებში.

- 1) სრული გარდაქცევა;
- 2) სქესობრივი მომწიფების სტადიის მიღწევა;
- 3) ერთშრიანი მრავალუჯრედიანი ჩანასახის წარმოქმნა;
- 4) ინტენსიური ზრდა, სხეულის პროპორციების ცვლა;
- 5) ზიგოტის ნარმოქმნა;
- 6) მრავალშრიანი ჩანასახის ჩამოყალიბება;
- 7) ქსოვილებისა და ორგანოების ჩამოყალიბება;
- 8) სამწიფის პერიოდი;
- 9) სიბერე და ბუნებრივი სიკვდილი.




## პროექტი

- გამოიყენეთ შესაბამისი ლიტერატურა ან ინტერნეტი, მოამზადეთ პროგრამაში Publisher ან Word (A4 ფორმატის ფურცელი) ბუკლეტი თემაზე „აზერბაიჯანელი მეცნიერი-პიოლოგები“. ინფორმაციის სისტემატიზაციისთვის გამოიყენეთ გეგმა:
  - მეცნიერის გვარი, სახელი, მამის სახელი
  - ფოტო
  - სიცოცხლის წლები
  - მოკლე ბიოგრაფია
  - მეცნიერული მინწევები
- გამოიყენეთ სამეცნიერო-პიოლოგიული ლიტერატურა ან ინტერნეტი და შეაგროვეთ საინტერესო ფაქტები ცოცხალი ბუნების სხვადასხვა სამეცნიერომადგენლების აგებულებისა და ცხოველქმედების შესახებ. ინფორმაცია წარმოადგინეთ ელექტრონული პრეზენტაციის სახით.
- გამოიყენეთ ინტერნეტი, შეაგროვეთ ინფორმაცია და დაწერეთ რეფერატი თემაზე „კლონირება: არსი და მნიშვნელობა. კლონირების თანამედროვე ასპექტები“. მოაწყვეთ დებატები თემაზე „კლონირება: დადებითი და უარყოფითი მხარეები“.
- გამოიყენეთ შესაბამისი ლიტერატურა და რესურსი და შეაგროვეთ ინფორმაცია აზერბაიჯანში მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანის შესახებ. ინფორმაციის სისტემაში მოყვანის შემდეგ წარმოადგინეთ ის ელექტრონული პრეზენტაციის სახით.
- შეაგროვეთ ინფორმაცია შესაბამისი ლიტერატურის (ჟურნალები, საგაზითო სტატიები და ა. შ.) ან ინტერნეტის საშუალებით და მოამზადეთ ფოტოკოლაჟი თემაზე „სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფების (ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები) წარმომადგენლების ონტოგენეზის თავისებურებების შესახებ“.

## შემაჯამებელი დავალებები

- გადაიხაზეთ სქემა რვეულში და დაასრულეთ იგი.



## 2. ამოარჩიეთ სწორი პასუხი

- მწვანე ევგლენა მრავლდება დაკვირტვით/ორად გაყოფით.
- თეოტრი პლანარიას/ინფუზორია ქალამანას სხეულის ნაწილებიდან შეიძლება ახალი ორგანიზმი წარმოიქმნას.
- უსქესო გამრავლებაში ჩეცულებრივ მონანილეობს ერთი/ორი ინდივიდი.
- მცენარეთა ვეგეტატური გამრავლება ხდება ღეროს/ნაყოფის საშუალებით.
- წყალმცენარეები/ერთლებნიანი მცენარეებისპორებით მრავლდება.
- სქესობრივი გამრავლების გზით განვითარებული ორგანიზმი გამძლეა/არ არის გამძლე ცვალებადი გარემოს ზემოქმედების მიმართ.

## 3. დაასრულეთ წინადადებები, გამოიყენეთ საკანძო სიტყვები:

- ა) გამეტების წარმოქმნის პროცესს ეწოდება...
- ბ) პირველადი სასქესო უჯრედები განვითარების პირველ ეტაპზე იყოფა... გზით
- გ) პირველადი მამრისითი სასქესო უჯრედების... გზით წარმოიქმნება ოთხი მსგავსი უჯრედი.
- დ) მამრობითი და მდედრობითი სასქესო უჯრედების შერწყმას ეწოდება...
- ე) განაყოფიერების გარეშე ახალი ორგანიზმის წარმოქმნის ეწოდება....
- ვ) ორგანიზმებს, რომლებსაც გააჩნია ორივე ტიპის სასქესო ორგანო, უწოდებენ...

**საკანძო სიტყვები:** მეოთხი, განაყოფიერება, გამეტოვენები, პერმაფორმიტი, პართენოგენეზი, მიტოზი

## 4. დააგდინეთ ორმაგი განაყოფიერების ეტაპების თანამდევრობა. გადაიხაზეთ სქემა რევულში და შეავსეთ:

- ა) ერთი სპერმია უერთდება კვერცხუჯრედს და წარმოქმნის ზიგოტას;
- ბ) მტკერი ხვდება ბუტკის დინგზე და იწყებს გაღივებას;
- გ) სამტკრე მილში გენერაციული უჯრედი იყოფა და წარმოქმნის ორ მამრობით გამეტას – სპერმიებს;
- დ) მეორე სპერმია ერწყმის ცენტრალურ უჯრედს და წარმოქმნის უჯრედს ტრიპლო-იდური ქრომოსომული ნაურებით;
- ე) სამტკრე მილით აღილება აღწევს ჩანასახის პარკში;
- ვ) სამტკრე მილი იზრდება და უერთდება ჩანასახოვან პარკს.



## 5. განსაზღვრეთ მართებული მტკიცებები:

- 1) მწერიჭმია მცენარე ნეპტინებია – ავტოტროფული ორგანიზმია.
- 2) არახელსაყელ პირობებში ერთუჯრედიანი ორგანიზმების უმრავლესობა იკეთებს სქელ გარსს და ცასტად გადაიქცევა.
- 3) ჰეტეროტროფულ ორგანიზმებს მორის გვხვდება საპროცესოებიც და ბარაზიტებიც.
- 4) არაპრიდაპირი განვითარებისას ორგანიზმები გადის ლარვის სტადიას.
- 5) პოლიომიელიტის ვირუსი ლვიდლს აზიანებს.
- 6) წყალმცენარე ქლორელასა და მწვანე ევგლენას ერთუჯრედიან ორგანიზმებს აკუთვნებენ.
- 7) პირდაპირი განვითარება დამახასიათებელია ქვეწარმავლებისა და ფრინველებისთვის.
- 8) ჩანახვის მომენტიდან სიკვდილამდე ორგანიზმის ინდივიდუალურ განვითარებას გამეტოვენები ეწოდება.

განყოფილება ||

## ორგანული სამყაროს ევოლუცია

2

თავი IV

- პოპულაცია. სახეობა •

თავი V

- უმაღლესი ნერვული მოქმედება •

## 25 სახეობა და მისი პრიტერიულებები



– რა ნიშნების მიხედვით აკუთხნებენ ცალკეულ ინდივიდებს ერთ სახეობას?

– რატომ ითვლება სახეობა სისტემატიკის ძირითად სტრუქტურულ ერთეულად?

სახეობა საერთო მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური თავისებურებების მქონე ინდივიდთა ჯგუფია. ერთი სახეობის ინდივიდები ბუნებაში გარკვეულ არეალს იკავებენ, თავისუფლად ეჯვარებიან ერთ-მანეთს და ნაყოფიერ შთამომავლობს იძლევიან. ერთი სახეობა მეორი-საგან მთელი რიგი ნიშნებითა და თავისებურებებით განსხვავდება. ამ თავისებურებების ერთობლიობას კრიტერიუმებს უწოდებენ.

## საქმიანობა

## ლაბორატორიული სამუშაო

სახეობის მორფოლოგიური კრიტერიუმის შესწავლა  
სამუშაოს მიზანი: სხვადასხვა სახეობის ორი მცე-  
ნარის აღნირილობის შედეგის, მათი შედარება და  
მსგავსება-განსხვავების შესახებ დასკვნის  
გაცემება.

## სამუშაოს მსვლელობა:

1. ყურადღებით დაათვალიერეთ შემოთავაზებული მცენარეები ან მათი სურათები.
2. მცენარეთა მორფოლოგიური აგებულებების მონაცემები ჩანაწერეთ ცხრილში. გამოიტა-  
ნეთ დასკვნა მათი მსგავსებისა და განსხ-  
ვავების მიზეზების შესახებ.

მცენარის აღწერის გეგმა	ლობიო	მზესუმზირა
1. ფესვთა სისტემა		
2. ლერო (სწორმდგომი, მხოხავი და ა.შ.)		
3. ფოთოლებანლაგება		
4. ფოთოლის აგებულება (მარტივი, რთული)		
5. ყვავილები, ყვავილედები		
6. ნაყოფი		

- შესაძლებელია თუ არა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ორგანიზმის გარკვეული სახეობისთვის მიკუთვნებაზე შეჯელობა?



მზესუმზირა



მორფოლოგიური კრიტერიუმი სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლე-  
ბის გარეგანი და შინაგანი აგებულებების განსხვავებებით განისაზღვრება.  
უმეტეს შემთხვევაში გარეგნული ნიშნებით შესაძლებელია ერთი სახეობის  
მეორისაგან განსხვავება. მაგალითად, გვარს – მოცხარი აკუთვნებენ მცე-  
ნარეთა ორ სახეობას – ნითელ და შავ მოცხარს, რომლებიც ნაყოფის  
ფერითა და ყვავილედების განლაგებით განსხვავდება.



მოცხარის სახეობები

**სახეობა-ორჟულები**, რომელიც მორფოლოგიური კრიტერიუმით არ განსხვავდება. შავი ვირთაგვას სახეობები, რომელიც 38 და 42 ქრომოსომა აქვს.



38 ქრომოსომა

42 ქრომოსომა

გენეტიკური კრიტერიუმის საშუალებით სახეობის დადგენა ყოველთვის შესაძლებელი არ არის. ასე, მაგალითად, პარკოსან მცენარეთა სახეობების უმრავლესობას 22 ქრომოსომა აქვს.



შესაძლებელი არ არის. ასე, მაგალითად, თუ ჯანმრთელ ადამიანს 46 ქრომოსომა აქვს, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს – 47 ქრომოსომა.

**ფიზიოლოგიური კრიტერიუმი** სხვადასხვა სახეობებს შორის სასიცოცხლო პროცესების განსხვავებაში, პირველ რიგში კი, გამრავლების ფიზიოლოგიურ თავისებურებებში მდგომარეობს. სახეობებს შორის ფიზიოლოგიური იზოლაციის არსებობის გამო, განსხვავებული სახეობის ინდივიდები ერთმანეთს არ ეჯვარებიან. თუ შეჯვარება მაინც მოხდა, როგორც წესი, შთამომავლობა უნაყოფოა. ამავე დროს, რადგან ბუნებაში ზოგჯერ განსხვავებული სახეობების ნარმომადგენლების (კანარის ჩიტების, ნივნივების, ტირიფის ზოგიერთი სახეობების, ალვის და ა.შ.) შეჯვარებისას, მიღება ნაყოფიერი შთამომავლობა, ე.ი. ეს კრიტერიუმიც არ შეიძლება აბსოლუტურად ჩაითვალოს.

მორფოლოგიური კრიტერიუმი მარტივი და მოსახერხებელია, ამიტომ ის სისტემატიკაში უკვე დიდი ხანია გამოიყენება. თუმცა სახეობის განსაზღვრისთვის მორფოლოგიური ნიშნები ყოველთვის სანდო კრიტერიუმი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით, ძნელია სახეობის განსაზღვრა. დაადგინეს, რომ ზოგჯერ გარეგნულად მსგავსი ორგანიზმების ჯგუფები სხვადასხვა სახეობას მიეკუთვნება. ბუნებაში გვხვდება ე.წ. „სახეობა-ორჟულები“, რომელიც მორფოლოგიურად ძალიან მსგავსია და განსხვავდება მხოლოდ ქრომოსომათა ნაკრებით (მაგალითად, არსებობს შავი ვირთაგვას ორი სახეობა-ორჟული). თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი სახეობის შინაური მტრედის ჯიშის დედალ-მამალი, აგრეთვე პეპელა და მისი ლარვა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, ზოგჯერ, მკეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშინ მათი მიკუთვნება ამა თუ იმ სახეობისთვის მხოლოდ მორფოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია.

**გენეტიკური კრიტერიუმი** სახეობებს შორის ქრომოსომული ნაკრების განსხვავებას ეფუძნება. ყოველ სახეობას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ქრომოსომული ნაკრები აქვს, რომელიც ქრომოსომების გარკვეული რაოდენობით, ზომითა და ფორმით ხასიათდება. სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით აღმოჩენეს შავი ვირთაგვას ორი სახეობა 38 და 42 ქრომოსომიანი ნაკრებით, რომელიც ერთმანეთისაგან მორფოლოგიური კრიტერიუმით არ განსხვავდებოდა. მიუხედავად ამისა, გენეტიკური კრიტერიუმის მიხედვით სახეობის დადგენა ყოველთვის

გეოგრაფიული კრიტერიუმი ეფუძნება იმას, რომ ყოველ სახეობას განსაზღვრული ტერიტორია – გეოგრაფიული არეალი უკავია. თუმცა გვხვდება სახეობა-კოსმოპოლიტები (ყველგან გავრცელებული) და, ვინაიდან, ამ შემთხვევაში სახეობის გავრცელების ზუსტი საზღვრების დადგენა შეუძლებელია, ამიტომ ცალკე გეოგრაფიული კრიტერიუმის გამოყენება გაუმართლებელია.

**ეკოლოგიური კრიტერიუმი** ეფუძნება იმას, რომ ყოველი სახეობა არსებობს მხოლოდ განსაზღვრულ ეკოლოგიურ გარემოში. მაგალითად, მწვავე ბაია იზრდება ველებსა და მინდვრებზე, მხოხავი ბაია (ნიახურა) – მდინარეებისა და არხების ნაპირებზე, ხოლო მსუსხავი ბაია – დაჭაობებულ ადგილებში. არსებობს ისეთი სახეობებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ მკაცრად განსაზღვრული ეკოლოგიური ნიშა. მათ მიეკუთვნება ადამიანის საბინადროში მცხოვრები ტარაქნების, ბუზების, თაგვების, შინაური ცხოველებისა და ზოგიერთი სარეველას სახეობები. ამის გამო ეკოლოგიური კრიტერიუმიც ზოგჯერ საკმარისი არ არის.

**ბიოქიმიური კრიტერიუმი** საშუალებას იძლევა სახეობები ბიოქიმიური პარამეტრების მიხედვით განვასხვაოთ, ანუ ცილებისა და ნუკლეინის მჟავების მოლეკულათა შედეგნილობისა და სტრუქტურის მიხედვით. თუმცა ამ **კრიტერიუმს** ფართოდ არ იყენებენ – ის სრომატევადი და არც თუ უნივერსალურია.

გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში, სახეობის შიგნით მომხდარი მუტაციები (მეტკვიდრული ცვალებადობა) დნმ-ს ჯაჭვიდან ნუკლეოტიდების ამოვარდნას იწვევს, რაც ახალი ცილის სინთეზს განაპირობებს და საბოლოო ჯამში ახალი ნიშან-თვისების გაჩენის მიზეზი ხდება. ამიტომ ბიოქიმიური კრიტერიუმი ყოველთვის სარწმუნო არ არის.

ამრიგად, სახეობის განსაზღვრისთვის არც ერთი ცალკე აღებული კრიტერიუმი არ გამოდგება. სახეობის დახასიათება შესაძლებელია მხოლოდ მათი ერთობლივი გამოყენებით.

## მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

### 1. დადგინდეთ შესაბამისობა

- ა) ფიზიოლოგიური კრიტერიუმი
- ბ) გენეტიკური კრიტერიუმი
- გ) მორფოლოგიური კრიტერიუმი
- დ) გეოგრაფიული კრიტერიუმი
- ე) ეკოლოგიური კრიტერიუმი
- ვ) ბიოქიმიური კრიტერიუმი
- ა) ცილებისა და ნუკლეინის მჟავების სტრუქტურა
- ბ) გავრცელების გარკვეული არეალი
- გ) ცხოველებების პროცესების მსგავსება
- დ) გარეგანი აგებულება
- ე) ქრომოსომული ნაკრები
- ვ) გარემოს გარკვეულ პირობებში ბინადრობა

### 2. მოცულებული ნიშან-თვისების ნომრები შეიტანეთ ცხრილის შესაბამის გრაფაშიდა შეავსეთ ცხრილი:

- 1) კომბისტოს უჯრედის ბირთვში 18 ქრომოსომაა;
- 2) ევროპული ფიჭვი სინათლის მოყვარული მცენარეა;
- 3) ზამთრის ძილის დროს მურა დაოვის ნივთიერებათა ცვლა ნელდება;
- 4) წევერჩალს მარტივი ბადისებურად დაძარღვული ფოთლები აქვს;
- 5) ადამიანის სისხლში გლუკოზის შემცველება შეადგენს 80-120 მგ/დღ (1 დეკალიტრი = 10ლ);
- 6) თეთრი დათვი არტიკულ ზონაში ბინადრობს;
- 7) შიმპანზეს 48 ქრომოსომა აქვს;
- 8) სამეცნიალო მატრიკარას კალათა ყვავლები აქს, ენაკისებრი გვირგვინის ფურცლები თეთრია;
- 9) ჭიათულას სისხლის მიმოქცევის დაბმული სისტემა აქვს;
- 10) ლერნამი წყალსატევების ნაპირებზე იზრდება;

### საკვანძო სიტყვები

- კრიტერიუმი
- სახეობა-ორუელები

- 11) ადამიანის სისხლის ცილები პლაზმის 7-8%-ს შეადგენს;
- 12) თხილი ადრე გაზაფხულზე ყვავის;
- 13) ჰემოგლობინის მილეკულაში ერთი ამინომჟავის მეორით შეცვლა ერთორიციტების ცვლილებებს იწვევს.

### 3. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ფომბა და ბიზონი ერთი გვარის ორი სახეობაა. ისინი გარეგნულად მსგავსია, ტყვეობაში თანაცხოვრებისას ერთმანეთს ეჯვარებიან და ნაყოფიერ შთამომავლობას იძლევინ. ბუნებაში ისინი არ ეჯვარებიან, რადგან ფომბა ეკროპაში ბინადრობს, ხოლო ბიზონი – ჩრდილოეთ ამერიკაში. რომელი კრიტერიუმით შეიძლება ამ ორი სახეობის ერთმანეთისაგან გარჩევა?
2. არქტიკის ბინადრობითი დათვი თევზითა და ზღვის ძუძუმწოვრებით იკვებება. მას ბენვი თეთრი აქვს. მურა დათვი ზომიერი კლიმატური სარტყელის ტყეების ბინადრია, ბენვი მურა ფერის აქვს, იკვებება როგორც მცენარეული, ისე ცხოველური ნარმოშობის საკვებით, ეძლევა ზამთრის ძილს. რომელი კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება დავასკრანთ, რომ ამ სახეობებს შორის შეჯვარება შეუძლებელია?
3. რატომ აკუთხნებენ სხვადასხვა სახეობას ბუნებაში გავრცელებულ თეთრსა და რუს კურდღლელს? რომელ კრიტერიუმზე დაყრდნობით გამოიყანეთ დასკრა?
4. რატომ არის შეუძლებელი მხოლოდ ერთი კრიტერიუმის საფუძველზე ინდივიდის ამათუ იმ სახეობისთვის მიკუთხნება?

## 26 პოპულაციის სტრუქტურა და მრავალფეროვნება



- რა არის სახეობა და პოპულაცია?  
– რატომ არსებობს ბიოლოგიური სახეობები პოპულაციების ფორმით?

### საკვანძო

- პოპულაცია
- გნოფონდი
- მემკვიდრული ცვალებადობა
- მუტაცია

ერთი სახეობის წარმომადგენლები ბუნებაში ცხოვრობენ არა ცალ-ცალკე, არამედ ჯგუფებად. ყველა ჯგუფს თავისი საბინადრო ტერიტორია აქვს და ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს თავისუფლად ეჯვარებიან. ჯგუფებს შორის შერევას ხელს უშლის მათ შორის გარკვეული ზღუდების არსებობა (იზოლაცია). ზღუდეები ართულებს სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების შეჯვარებას, ამიტომ ეს იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება.

**პოპულაცია.** ერთი სახეობის ინდივიდთა ჯგუფებს, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად არიან ერთმანეთისგან იზოლირებული, პოპულაციები ეწოდება (ლათ. „*populus*“ – ხალხი, მოსახლეობა).

საბინადრო არეალის ტერიტორიაზე ერთი სახეობის ინდივიდები პოპულაციების სახითაა გავრცელებული. სახეობათა პოპულაციებად არსებობის ძირითადი მიზეზი განსხვავებული საბინადრო პირობებია. პოპულაციების რაოდენობა და ინდივიდთა რიცხოვნობა მეტია არეალის იმ ადგილებში, სადაც ხელსაყრელი სასიცოცხლო პირობებია.

**პოპულაციის მიერ დაკავებული ფართობი.** ყოველ პოპულაციას, სახეობის არეალის ფარგლებში, გარკვეული ტერიტორია უკავია. სხვადასხვა სახეობების პოპულაციებისთვის ეს ტერიტორია ზომის მიხედვით შეიძლება განსხვავებული იყოს. მსხვილი ცხოველების პოპულაციას უფრო დიდი ტერიტორია უკავია, ვიდრე მცირე ზომის ცხოველთა პოპულაციას. პოპულაციის გავრცელების არეალი არამდგრადია, მისი ცვლილება დამოკიდებულია ინდივიდთა რიცხოვნობასა და გადადგილებაზე.

## საქმიანობა

ცხრილში მოცემულია დროის მიხედვით მცენარის რიცხოვნობის ცვლილების მაჩვენებლები. ააგეთ პოპულაციის რიცხოვნობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი.

წლები	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
მცენარის რიცხოვნობა	10	12	15	19	23	27	30	33	35	37	39	40	41	42	42

- რომელ ფაქტორებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული რაიმე სახეობის პოპულაციაში ცოცხალი ორგანიზმების რიცხოვნობის ცვლილებები?


**პოპულაციის ინდივიდთა რიცხოვნობა.** მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სახეობის პოპულაციებში ინდივიდთა რიცხოვნობა განსხვავებულია, ის არ შეიძლება იყოს განსაზღვრულ მაჩვენებელზე არც მეტი, არც ნაკლები, ანუ ის შედარებით სტაბილურია. თუმცა პოპულაციებში რიცხოვნობა შეიძლება შეიცვალოს საბინადრო პირობების ცვლილებებთან, შობადობისა და სიკვდილიანობის დონესთან, მიგრაციებთან, აგრეთვე ორგანიზმთა განვითარების თავისაბურებებთან დაკავშირებით. პოპულაციების ინდივიდთა საერთო რიცხოვნობის ანალიზისას, ზოგ შემთხვევაში, იყენებენ პოპულაციის სიმჭიდროვის მაჩვენებელს მოცულობის ან ფართობის ერთეულზე. პოპულაციის სიმჭიდროვე იცვლება პოპულაციაში ინდივიდთა რაოდენობის ცვლილების მიხედვით. პოპულაციის ინდივიდთა რაოდენობა ზოგჯერ წელიწადის დროზეა დამოკიდებული. რიცხოვნობის ასეთი ცვალებადობა, უფრო ხშირად, აღნინიშნება მცირე ზომის ცხოველებს, რომელთა სიცოცხლე ხანმოკლეა. ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე ცხოველთა პოპულაციებში, რომლებიც მცირე რაოდენობის შთამომავლობას იძლევიან, ინდივიდთა რიცხოვნობა და სიმჭიდროვე უფრო სტაბილურია.

**პოპულაციის შედგენილობა.** ყოველი პოპულაცია განსხვავებული ასაკისა და სქესის ინდივიდებისაგან შედგება. პოპულაციებს ქმნიან მდედრები და მამრები, რომელთა თანაფარდობა ჩვეულებრივ არის 1:1. მაგრამ მდედრებისა და მამრების თანაფარდობა განვითარების სხვადასხვა სტადიაზე შეიძლება, შეიცვალოს მათ სიცოცხლისუნარიანობის მიხედვით.

პოპულაცია სხვადასხვა ასაკის ინდივიდებისაგან შედგება. თუ პოპულაციის უმეტესობას სქესობრივად მომწიფებული ინდივიდები შეადგენენ, მაშინ პოპულაცია ნორმალურად ვითარდება. თუ ხანდაზმული ინდივიდების რაოდენობა ჭარბობს, მაშინ პოპულაცია დაღუპვისთვისაა განწირული.

### პოპულაციის სქესობრივი შემადგენლობა.

ასაკი (წლებში)





- აფრიკული სპილოს პოპულაციის სიმჭიდროვე შეადგენს 1 ინდივიდს 40კმ<sup>2</sup>-ზე. უხერხემლო როტატორიების (მრგვალი ჭიები) პოპულაციის სიმჭიდროვე შეადგენს დაახლოებით 1000 ინდივიდს 1მლ-ზე.

**პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნება.** პოპულაციის ფარგლებში იმ ინდივიდებს შორის, რომლებიც სქესობრივად მრავლდებიან, მუდმივად მიმდინარეობს გენეტიკური ძასალის გაცვლა, მაგრამ ეს პროცესი სხვადა-სხვა პოპულაციებს შორის შეზღუდულია. თუმცა სხვადასხვა პოპულაციების წარმომადგენლები ზოგჯერ ერთმანეთს ეკვარებიან. ამის გამო ყოველ პოპულაციას გააჩნია მისთვის დამახსასიათებელი გენების სპეციფიკური ნაკრები – გენოფონდი.

**პოპულაცია – სახეობის ელემენტარული ერთეული.** ყველა პროცესი, რომელიც დაკავშირებულია სახეობის ცვალებადობასთან, პოპულაციის შიგნით მიმდინარეობს. საბოლოოდ მიღის ბუნებრივი გადარჩევის პროცესი. ბუნებრივი გადარჩევის შედეგად გადარჩენილები შთამომავლობას თავის გენებს გადასცემენ. გადაცემისას მშობლების გენები არ იცვლება, მაგრამ მათში ზოგჯერ ხდება მემკვიდრული ცვალებადობა – მუტაციები. მუტაციები პოპულაციაში გენეტიკურ მრავალფეროვნებას ქმნის, რომელიც ევოლუციისთვის მემკვიდრულ მასალას იძლევა.

## მიღებული ცოდნის შემოხაება და გამოყენება

### 1. შეარჩიეთ სწორი პასუხი:

მოცემული

სახეობის

ინდივიდთა ჯგუფს

პოპულაციად იმის


საფუძველზე

თვლიან, რომ

ისინი:

- ა) თავისუფლად ეჯვარებიან და ნაყოფიერ შთამომავლობას იძლევიან;
- ბ) უკვე რამდენიმე თაობის მანძილზე ამავე სახეობის სხვა ჯგუფებისგან შედარებით გამოცალევებულად (ცხოვრობენ);
- გ) ფენოტიპურად და ფიზიოლოგიურად მსგავსი არიან;
- დ) გენეტიკურად ერთმანეთთან ძლიერ ახლოს არიან.

### 2. შეისწავლეთ ხოჭოების იმ პოპულაციის რიცხოვნობის გრაფიკი, რომელსაც ერთმა წყვილმა ჩაუყარა საფუძველი. კომენტარი გაუკეთეთ პოპულაციის რიცხოვნობის ცვლილების დროზე დამოკიდებულებას.



### 3. ამოხსენით ამოცანა:

ირმების პოპულაციის საწყისი რაოდენობა 2000 ინდივიდს შეადგენს. ირმებით მგლები იკვებებიან. ყოველი წლის ბოლოს გადარჩენილი ირმების რიცხოვნობა 40%-ით იზრდება. მგლების პოპულაციის საწყისი რიცხოვნობა 15 ინდივიდია, ერთი მგლელი წელიწადში დაახლოებით 30 ირმეს მოიხმარს. ირმებისა და მგლების სიკვდილიანობა სხვა მიზეზებით ნულის ტოლია.

- ა) გამოთვალეთ, როგორი იქნება ირმების რიცხოვნობა 1, 2, 3 წლის შემდეგ მტაცებლების გარეშე. გამოსახეთ მოცემულ პერიოდში ირმების რიცხოვნობის ცვლილება გრაფიკულად.
- ბ) გამოთვალეთ, როგორი იქნება ირმების რიცხოვნობა 1, 2, 3 წლის შემდეგ, თუ მგლების საწყისი რიცხოვნობა 15 ინდივიდია და დროის მოცემულ შუალედში არ იცვლება.

\* გამოსახეთ მოცემულ პერიოდში ირმების რიცხოვნობის ცვლილება გრაფიკულად. შეადრეთ მიღებული შედეგი ა) პუნქტში მიღებულ შედეგს.

## 27 მრგანული სამყაროს ევოლუცია და კლასიფიკაცია. ევოლუციური მოძღვრების ნამომვრა.



- რა არის ორგანული სამყაროს მრავალფეროვნების მიზეზი?
- როგორ წარმოიქმნა როგორი აგებულების მქონე ორგანიზმები?

XVIIIს.-მდე ბიოლოგიაში ბატონობდა შეხედულება ადამიანისა და სხვა ორგანიზმების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. ამ პერიოდის მეცნიერები თვლიოდნენ, რომ ყველა ორგანიზმი უზენაესი ძალის შემოქმედებაა, სრულყოფილია, პასუხობს შექმნის მიზანს და დღიდან შექმნისა უცვლელია. ბიოლოგიაში ეს მიმართულება კრეაციონიზმის სახელითაა ცნობილი. იმ დროისათვის ბიოლოგიაში დაგროვდა დიდი ფაქტობრივი მასალა მცენარეთა და ცხოველთა სახეობების მრვალფეროვნების შესახებ. ცალკეულ მეცნიერთა მცდელობამ, სისტემაში მოეყვანათ ეს მასალა, მათი სისტემის არასრულყოფილების გამო, შედეგი ვერ გამოიიღო.

ორგანული სამყაროს პირველი, შედარებით სრულყოფილი, ხელოვნური სისტემა შექმნა შვედმა ნატურალისტმა კარლ ლინემ (1707-1778).

**კარლ ლინეს კლასიფიკაციის სისტემა.** ლინემ თავისი სისტემის საფუძვლად სახეობა მიიჩნია და განსაზღვრა იგი, როგორც ცოცხალი ბუნების ელემენტარული ერთეული. მან მსგავსი სახეობები გვარებად გააერთიანა, გვარები – რაზმებად, რაზმები კი – კლასებად და ამრიგად შექმნა ოთხი სისტემატიკური კატეგორია (სახეობა, გვარი, რაზმი და კლასი). სახეობის აღსანიშნად მან პირველად გამოიყენა ორმაგი ლათინური სახელწოდებები. სახეობის აღნიშვნის ორმაგი ლათინური სახელწოდების შემოთავაზებული პრინციპი სისტემატიკაში დღემდეა შემორჩენილი. ლინეს სისტემატიკის ნაკლი მდგრამარეობდა იმაში, რომ სახეობების დაჯგუფებისას ის ეყრდნობოდა ერთ ან ორ გარეგნულ ნიშანს (მცენარეებში – მტვრიანების რაოდენობას, ცხოველებში – სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის აგებულებას). ამის გამო, შორეული სახეობები ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ, ხოლო მონათესავენი – სხვადასხვაში. ლინეს სისტემატიკის საშუალებით შესაძლებელი იყო მცენარეთა და ცხოველთა სახეობების ამოცნობა, მაგრამ ის არ ასახავდა სამყაროს ისტორიულ განვითარებას. ლინე თვლიდა, რომ სახეობები შემოქმედის მიერაა შექმნილი და უცვლელია. თუმცა მოგვიანებით იგი სახეობათა ცვალებადობის აღიარებამდე მივიდა.

**ჟან ბატისტ ლამარკის ევოლუციური მოძღვრება.** 1809 წელს ფრანგმა მეცნიერმა ჟ. ბ. ლამარკმა, თავის ნაშრომში „ზოოლოგიის ფილოსოფია“, ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა სახეობათა ცვალებადობის შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნება მრგანული სამყაროს ისტორიული განვითარებას. ლათ. „*evolucio*“ – გაშლა, გაფურჩქვნა).

ცნება „ევოლუცია“ გულისხმობს ორგანიზმების ისტორიული განვითარების – ევოლუციის შედეგია (ლათ. „*evolutio*“ – გაშლა, გაფურჩქვნა).


ჟ. ბ. ლამარკმა ისტორიული განვითარების ძირითად მიმართულებად

### საკვანძო სიტყვები

- გრადაცია
- კრეაციონიზმი
- ევოლუცია
- ორმაგი ლათინური სახელწოდებები

ცოცხალი ორგანიზმების თანდათანობითი გართულება – გრადაცია მიიჩნია (ლათ. „gradatio“ – თანდათანობა, თანამიმდევრობა). მისი აზრით, გრადაციის ძირითად მამოძრავებელ ძალას ყველა ორგანიზმში დასაბამიდან ჩადებული სრულყოფისკენ „შინაგანი სწრაფვა“ წარმოადგენს. ლამარკის მიხედვით, ორგანიზმთა გარემო პირობების ცვლილებებთან შეცვება გრადაციის სწორი მიმართულებიდან გადახვევებს განაპირობებს.


უ. ბ. ლამარკმა სრულყო კ. ლინეს სისტემატიკა, რადგან მას საფუძლად დაუდო არა ერთი ან ორი, არამედ რამდენიმე ნიშან-თვისების მსგავსება. მთავარი კი ის არის, რომ მან შექმნა მეცნიერული სისტემატიკა, გაითვალისწინა რა სახეობათა წარმოშობა და ნათესაური კავშირები მათ შორის.



ევოლუციასთან დაკავშირებით ლამარკმა ორი იდეა ჩამოაყალიბა. პირველი იდეა არის ვარჯიშის შესახებ: ლამარკის მიხედვით, ორგანიზმი სასიცოცხლო პირობებთან შესაგუებლად მუდმივად ვარჯიშობს. ორგანოები, რომლებიც მეტად გავარჯიშდება, უკეთ ვითარდება, ხოლო გაუვარჯიშებელი ორგანოები – ქრება.



1. თავიდან უირაფები  
მოკლეებისრიანები  
იყვნენ.



2. ვინიდან უირაფები, სეებიდან  
ფოთლების მოსაგლეჯად,  
ძულებულნი გახდენ მუდმივად  
ნაეგრძლებინათ კისრები,  
საბოლოოდ, მათ კისრები  
დაუგრძელდათ და ეს ნიშანი მათ  
შთამომავლობას მეტვიდრეობით  
გადაეცა.



3. ლამარკის აზრით, უირაფების  
კისრის დაგრძელება  
რამდენიმე მომდევნო  
თაობაში ამ ორგანოს  
ვარჯიშის შედეგია.

მეორე იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვარჯიშის შედეგად გაჩენილი სა-სარგებლონ ნიშან-თვისებები შთამომავლობას მემკვიდრეობით გადაეცემა. ამის დასტურია ჟირაფების კისრის დაგრძელება, რის შედეგადაც გაჩენდნენ გრძელვისერა ჟირაფები. შემდგომა გამოკვლევებმა ამ იდეების უსაფუძვლობა ცხადყო.

ჟ.პ. ლამარკის მოძღვრება ევოლუციის იდეის შესახებ კითხვებზე ერთ-მნიშვნელოვან პასუხს არ იძლეოდა და ამიტომ, სარწმუნო დასაბუთებისა და მტკიცებულებების არქონის გამო, მეცნიერთა მიერ უარყოფილი იქნა.

მოგვიანებით, ჩ. დარვინმა უამრავი მტკიცებულებები მოიყვანა ევოლუციური თეორიის დასასაბუთებლად. მან ევოლუციის არსის ახსნა დაისახა მიზნად.


- !** • იდეა შეცენილი ნიშან-თვისებების დამემკვიდრების შესახებ მცდარი აღმოჩნდა და გენეტიკური ფაქტების დაგროვების შედეგად უარყოფილი იქნა. ასე, მაგალითად, ა. ვე-ისმანი ყველა შეცენილი ნიშან-თვისების მემკვიდრეობით გადაცემას შთამომავლობაზე თაგვებზე ჩატარებული ცდებით ამონდებდა. იგი თაგვების რამდენიმე თაობის წარმომადგენლებს კუდს აჭრიდა. მიუხედავად ამისა, უკუდო მშობლების შთამომავლება ნორმალურად განვითარებული კუდით იბადებოდნენ. ამით დადასტურდა, რომ მოგვიანებით შეცენილი ნიშან-თვისებები მემკვიდრეობით არ გადაეცემა.

## მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

1. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები მოცემულ დებულებებში:
    - ა) ჟ.პ. ლამარკმა წიგნში „ზოოლოგიის ფილოსოფია“, ცხოველები 14 კლასად დაყო და 6 საფეხურზე, მათი გამარტივების ხარისხის მიხედვით, დააღავა.
    - ბ) ჟ.პ. ლამარკი გრადაციის მთავარ მამოძრავებელ ძალად ორგანიზმები გარემოს გავლენას თვლიდა.
    - გ) ჟ.პ. ლამარკის თანახმად, ვარჯიშის შედეგად წარმოქმნილი სასარგებლონ ნიშან-თვისებები შთამომავლობას მემკვიდრეობით არ გადაეცემა.
    - დ) კ. ლინეს მოძღვრებაში პირველად გაჩენდა იდეა სახეობათა ცვალებადობის შესახებ.
    - ე) ჟ.პ. ლამარკის მოძღვრებას თანამედროვეთა მონოხება ხვდა წილად.
  2. დაასრულეთ წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:
- უკუგანვითარებას განიცდის; ვარჯიშიშებენ; უკეთ ვითარდება; შთამომავლობას მემკვიდრეობით გადაეცემა.**

ლამარკის მიხედვით:

- „გარემო პირობებთან შესაგუებლად ორგანიზმები ...“
- „ვარჯიშით შეცენილი ნიშან-თვისებები სასარგებლოა და ...“
- „გავარჯიშებული ორგანოები ...“
- „გაუვარჯიშებული ორგანოები ...“
- 3. მოცემული აღნერილობით აღადგინეთ ევოლუციის მექანიზმის პროცესების თანამიმდევრობა ლამარკის მიხედვით:
  - ა) ორგანოს გაუზარჯიშებლობა
  - ბ) გარემო პირობების ცვლილება
  - გ) ახალი „ჩვევების“ გაჩენა
  - დ) შეცენილი ნიშებების დამემკვიდრება
  - ე) ცხოველის მოთხოვნილებების შეცვლა
  - ვ) ორგანოების გაძლიერებული განვითარება
  - ზ) ორგანოს დასუსტება ან გაქრობა
  - თ) ორგანოების გაძლიერებული გამოყენება



## 28 ჩარლზ დარვინის ევოლუციური მოძღვრება



- რა არის ევოლუცია?
- რა ხდება ევოლუციის დროს?

### საქმიანობა



დაათვალიერეთ სურათი და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი საერთო წინაპრისგან წარმოიქმნა თანამედროვე ძალლის ჯიშები?
- რით ხელმძღვანელობდა ადამიანი ძალლის ახალი ჯიშების გამოყვანისას?
- როგორ აისახა ეს ამ ჯიშების გარეგნულ თავისებურებებზე?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელა ანალოგიური პრიცესი ბუნებაში წარიმართოს? რა შეიძლება დავარქვათ ამ პრიცესს? რა ნიშნის მიხედვით შეიძლება მოხდეს გადარჩევა ბუნებაში?

XIXს.-ის შუა ხანებში მოხდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი აღმოჩენები, რამაც დარვინის ევოლუციური მოძღვრების წინაპირობა შექმნა. ამ მეცნიერმა 5 წელი დედამინის გარშემო მოგზაურობაში გაატარა გემით „ბიგლი“, რომელიც ბიოლოგიურ და გეოლოგიურ კვლევას აწარმოებდა. მოგზაურობის დროს ის ეწვია ატლანტის ოკეანის კუნძულებს, სამხრეთ ამერიკას, წყნარ ოკეანეს, გალაპაგოსის კუნძულებს, ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, სამხრეთ აფრიკას, სადაც გამოკვლევებს ატარებდა. თავისი იდეების დასამტკიცებლად დარვინი ხშირად იყენებდა ამ მოგზაურობის დროს დაგროვილ ინფორმაციას. დარვინის თანახმად, პოპულაციის ფარგლებში ხდება ისეთი ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდთა გადარჩევა, რომლებსაც მოცემულ გარემოში საცხოვრებლად გარკვეული უპირატესობები გააჩნიათ.

### ეს საინტერესოა

- დარვინის კვლევას საფუძვლად უდევს თომას მალოუსის იდეები, რომლებიც მან ადამიანთა პოპულაციის შესახებ გამოიტანა. მალოუსის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა იზრდება გეომეტრიული პროგრესით, ორმაგდება ყოველ 25 წელიანდში ერთხელ, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა (მოქმედი, შემთხვეული, ბუნებრივი კატასტროფები, ინფექციური დაავადებები და ა.შ.) ზღუდეს მოსახლეობის ასეთ მატებას.

თავის მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით დარვინმა ევოლუციური თეორია ჩამოაყალიბა, რომელიც 1859 წელს გამოქვეყნებულ თავის სამეცნიერო ნაშრომში „სახეობათა წარმოშობა“ დაასაბუთა.

ჩ. დარვინის თეორიის ძირითადი დებულებებია:

1. ყოველი სახეობის სქესობრივად მომწიფებული ორგანიზმები წარმოქმნიან მრავალრიცხოვან შთამომავლობას, ანუ ინტენსიურად მრავლდებიან.
2. საკვების სიმცირის გამო წარმოქმნილი კონკურენცია, მტაცებლები, დაავადებები იწვევს არსებობის თვის ბრძოლას.
3. არსებობისათვის ბრძოლის შედეგად, ის ინდივიდები, რომლებმაც ვერ შეძლეს გარემოსთან შეგუება, ვერ აღწევენ სქესობრივ მომწიფებას და ილუპებიან. ორგანიზმები, რომლებიც შეეგუენ გარემოს, გადარჩებიან და იძლევიან შთამომავლობას. ერთი სიტყ-

### საკვანძო სიტყვები

- ინტენსიური გამრავლება
- არსებობის თვის ბრძოლა
- ბუნებრივი გადარჩევა
- მემკვიდრული ცვალებადობა

ვით, მიმდინარეობს ბუნებრივი გადარჩევა.

4. ბუნებრივი გადარჩევის შემდეგ, გარკვეული პერიოდის გავლისას, იქმნება განსხვავება ადრე არსებულ და მათ შემდეგ გაჩენილ თაობებს შორის. ეს განსხვავებები გროვდება ასეული და ათასეული წლების განმავლობაში და შესაძლებელია, ახალი სახეობის წარმოქმნის მიზეზი გახდეს. ასეთ ცვალებადობას, რომელიც თაობითან თაობას გადაეცემა, მეტკვიდრული ცვალებადობა ენოდება. მეტკვიდრულმა ცვლილებებმა შეიძლება გაზარდოს, ან პირიქით, შეამციროს ინდივიდის გადარჩენის შესაძლებლობა. ეს თავისებურებები ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემოსთან შეგუებას უზრუნველყოფს.

ევოლუციური იდეების შესახებ მსჯელობა დღემდე არ წყდება. თანამედროვე სამყაროში დარვინის მიერ გამოთქმული იდეების გაანალიზება ხდება და, ამასთან დაკავშირებით, განსხვავებული შეხედულებები ყალიბდება.

### მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება


1. განსაზღვრეთ, რომელი მეცნიერის შეხედულებებს და ლვანლს შეესაბამება ქვემოთ მოცემული დებულებები და შეავსეთ ცხრილი:

კ. ლინე	უ.ბ. ლამარკი	ჩ. დარვინი
1) სახეობები უცვლელია, მუდმივია, ევოლუცია არ არსებობს. 2) სახეობათა მრავალფეროვნება სხვადასხვა პირობებში მიმდინარე ევოლუციის შედეგია. 3) ბუნებრივი გადარჩევა ევოლუციის მამოძრავებელი ძალაა. 4) ევოლუციის მამოძრავებელი ძალა ორგანიზმთა სრულყოფისაკენ სწრაფვაა. 5) პირველმა შექმნა ორგანიზმთა მეცნიერული სისტემატიკა. 6) პირველმა დაალაგა ორგანიზმები მარტივიდან როზლისკან, ევოლუციური თანამიმდევრობით. 7) პირველმა შექმნა ორგანული სამყაროს ევოლუციის მეცნიერული თეორია. 8) შემოიტანა სახეობათა ორმაგი სახელწოდებების პრინციპი.		


2. შეარჩიეთ სწორი პასუხი:

- ჩ. დარვინის ძირითადი იდეა – ეს არის ბუნებრივი/ხელოვნური გადარჩევა.
- ევოლუციური პროცესის ერთეულია პოპულაცია/სახეობა.
- ევოლუციური თეორიის ფუძემდებელია ლამარკი/ლინე.
- ევოლუციის შედეგია ორგანიზმის შეგუება საბინადრო გარემოსთან/მეტკვიდრული ცვალებადობა.

3. მიუთითოთ უ.ბ. ლამარკისა და ჩ. დარვინის ევოლუციური თეორიების მსგავსება და განსხვავება.



4. რომელი სურათი შეესაბამება ლამარკის და რომელი – დარვინის შეხედულებებს? პასუხი ახსენით.



## 29 ბრძოლა არსებობისთვის

- გარემოს რომელი ფაქტორები მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმებზე?
- რა ხდება გარემოს ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედებისას ცალკეულ ინდივიდზე, სახეობაზე, ან პოპულაციაზე?

**ინტენსიური გამრავლება.** იმისთვის, რომ იარსებოს, ყოველი ინდივიდი გარკვეულ სივრცეს საჭიროებს. მაგრამ შთამომავლობა იმაზე მეტი იბადება, ვიდრე ეს სივრცე იტევს, ანუ ორგანიზმები ინტენსიურად მრავლდებან.

### საქმიანობა

#### ამონსენიო ამოცანა:

- ერთი ბუზი 20 დღის განმავლობაში 120 კვერცხს დებს. თუ ჩავთვლით, რომ კვერცხების ნახევრიდან მდედრები გამოიჩინებიან, შთამომავლობის რა რაოდენობა გამოიჩინება ზაფხულის ორ თვეში?
- სინამდვილეში შესაძლებელია თუ არა ბუზების ასეთ რაოდენობას შევხვდეთ? რატომ თვლით ასე?

## ეს საინტერესოა

- ორგანიზმების მიერ მთელი პლანეტის ზედაპირზე შესაძლო განსახლების სიჩქარე (ც.ი. კერნადსკის მიხედვით).

ორგანიზმები	შესაძლო განსახლების დრო
ქოლერის ბაქტერიები	1,25 დღე
ტიფის ბაქტერიები	1,8 დღე
კოლი	203 დღე
ბუზი	366 დღე
ქაშაყი	7-12 წელი
ქათამი	7-12 წელი
შინაური ლორი	8 წელი
ინდური სპილო	1000 წელი

### საკვანძო სიტყვები

- შიდასახეობრივი ბრძოლა
- სახეობათაშორისი ბრძოლა
- ბრძოლა ბუზების არახელსაყრელი პირობების ნინააღმდეგ

აღნევს სქესობრივ მომწიფებას. მაგალითად, ზღვის ერთი კუ ასობით კვერცხს დებს, მაგრამ გამოჩეკილი ინდივიდებიდან ყველა როდი გადარჩება. საკვებისა და წყლის უკარისონა, სასიცოცხლოდ ვარგისი ტერიტორიის სიტცირე, კონკურენცია, მტაცებელთა თავდასხმები, დაავადებები, მათ სიცოცხლისუნარიანობას ამცირებს და იწვევს არსებობისათვის ბრძოლას.

**არსებობისთვის ბრძოლა.** არსებობისათვის ბრძოლა არ ნიშნავს მხოლოდ უშუალო შებრძოლებას პირდაპირი გაგებით – ამ დროს იგულისხმება რთული და მრავალმხრივი ურთიერთობები ორგანიზმებს შორის სახეობის შეგნით, სახეობებს შორის და გარემოს ფაქტორებთან. დარვინმა არსებობისათვის ბრძოლის სამი ფორმა გამოყო – შიდასახეობრივი, სახეობათაშორისი და ბრძოლა გარემოს არახელსაყრელი პირობების ნინააღმდეგ.

შიდასახეობრივი ბრძოლისას ინდივიდებს ესაჭიროებათ ერთნაირი სა-სიცოცხლო პირობები. ამის გამო, შიდასახეობრივი ბრძოლა არსებობისათვის განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა. ამის მაგალითად გამოდგება ფიჭვნარში ხეების ბრძოლა მზის სინათლისთვის.

#### შიდასახეობრივი ბრძოლა

- ფიჭვის კორომში ფიჭვების განიერი ვარჯები სინათლის სხივებს გზას უღობავს. მათი ფესვთა სისტემა ნადაგიდან აქტიურად შთანთქავს წყალსა და მინერალურ მარილებს, რითაც ერთმანეთს ხელს უშლის.



- ბოპულაციის სიმჭიდროვე და საკვების სიმცირე ამბაფრებს შიდასახეობრივ ბრძოლას.



შიდასახეობრივი ბრძოლა ორგანიზმთა შორის ყოველთვის უშუალო ბრძოლაში არ გამოიხატება. ზოგ შემთხვევაში იგი ურთიერთდახმარების ფორმითაც ვლინდება, მაგალითად, ცხენების რეშაში არსებობს კვიცების ერთობლივად გამოკვებისა და ზრუნვის ჩევევა, რაც ზრდასრულ ინდივიდებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დემონსტრირებაა. ურთიერთდახმარება არსებობისათვის შიდასახეობრივი ბრძოლის სიმძაფრეს ამცირებს.

სახეობათაშორისი ბრძოლა მიმდინარეობს სხვადასხვა სახეობების ინდივიდებს შორის. სახეობათაშორისი ბრძოლის მაგალითად გამოდგება მტაცებლისა და მსხვერპლის ურთიერთობა.

#### სახეობათორისი ბრძოლა

- მტაცებლებს დიდი და ბასრი კბილები, გადაადგილების მაღალი სიჩქარე, მოულოდნელი თავდასხმის ჩევევები აქვთ.
- მსხვერპლს თავდაცვის გამოხატული ფორმები, მფარველობითი შეფერლობა, თავდაცვის დემონსტრირება ახასიათებს.



ბრძოლა ბუნების არახელსაყრელი პირობების წინააღმდეგ – არსებობისთვის ბრძოლის მესამე ფორმაა. ორგანიზმები მუდმივად განიცდიან ისეთი არახელსაყრელი ფაქტორების გავლენას, როგორებიცაა გვალვა, ჭარბი ტენიანობა, სიცივე. ამასთან დაკავშირებით, მათ არახელსაყრელი პირობების მიმართ მრავალნაირი შეგუებულობა განუვითარდათ. მაგალითად, მშრალი ადგილების ბინადარ მცენარეებს, წყლის დანაკარგის

შესამცირებლად, ფესვები უგრძელდება, ფოთლები ქერქლებად ან ეკლებად აქვს გადაქცეული. ზოგიერთი მცენარე (მაგ., სუკულენტები) წყალს ღეროებსა და ფოთლებში იმარაგებს.

#### **ბრძოლა ბუნების არახელსაყრელი პირობების წინააღმდეგ**

- ძლიერ ყინვებთან შესაგუებლად თეთრი დათვის სხეულს ხშირი ბენვი და კანქვეშ ქონის სქელი უენა განუვითარდა.



არსებობისათვის ბრძოლის ყველა ფორმა ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

#### **აიღაული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება**

1. ბაბუანვერას ერთი მცენარე იკავებს 18<sup>2</sup> ფართობს და წელიწადში 100 მფრინავ თესლს იდლება; ქვემოთ მოყვანილია იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომელთა გამო ილუპება ჩვეულებრივი ბაბუანვერას მცენარეთა უმეტესობა და ამიტომაც ვერ ფარავს მთელ დედამინას:
  - 1) ჩვეულებრივი ბაბუანვერას ზოგიერთ მცენარეს ფესვთა სისტემა უკეთ აქცს განვითარებული;
  - 2) ნაყოფი თივასთან ერთად ცხვრის კუჭში ხვდება;
  - 3) თესლი ილუპება თუ ვერ მოხვდა ალმოცენებისთვის საჭირო პირობებში;
  - 4) ნაყოფით მრავალი ფრინველი იკვებება;
  - 5) ზრდაში ხელს უშლის ჩვეულებრივი ბაბუანვერას სხვა, უფრო მაღალი მცენარეები;
  - 6) თესლი ილუპება უდაბნოებასა და კლდეებზე;
  - 7) ბაბუანვერას აღმონაცენით ბალაზისმჭამელი ცხოველები იკვებებიან;
  - 8) ჩვეულებრივი ბაბუანვერას მცენარეები დაავადებების გამომწვევი ბაქტერიებისა და ვირუსებისგან ილუპება.
  - 9) ჩვეულებრივი ბაბუანვერას მცენარეები ძლიერი ყინვისა და გვალვისგან ილუპება.

მიუთითეთ ის რიგი, რომელშიც სწორადაა მითითებული ამ მიზეზთა თანამიმდევრობა; გამოიყენეთ პირობითი ნიშნები, რომლებიც მიუთითებს არსებობისთვის ბრძოლის ფორმას.

შ – შიდსახეობრივი ბრძოლა არსებობისთვის

ს – სახეობათაშორისი ბრძოლა არსებობისთვის

პ – ბრძოლა ბუნების არახელსაყრელი პირობების მიმართ

ა)
გ
პ
ს
ს
ს
ს
ს
პ
გ


გ
ს
პ
ს
ს
პ
ს
ს
პ
გ

პ
ს
პ
ს
ს
პ
ს
პ
ს
პ

ს
ს
გ
ს
პ
პ
ს
პ
პ
ს

2. ცხრილი გადაიხაზეთ რვეულში. განათავსეთ არსებობისათვის ბრძოლის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების წომრები შესაბამის გრაფებში.

- 1) ბრძოლა ტერიტორიის გამო ერთი სახეობის ინფორმაციის შორის;
- 2) აესტრალიური ფუტკრის გამოდევნა ევროპული ფუტკრის მიერ;
- 3) ზოგიერთი ცხოველის ზაფხულისა და ზამთრის ძილი;
- 4) ბრძოლა მდედრისთვის;
- 5) სანათლისთვის კონკურენცია ნაძვაა და არყის ხეს შორის;
- 6) ბენზის სეზონური ცვლა;
- 7) პარაზიტიზმი;
- 8) ფრინველთა სეზონური გადაფრენა;
- 9) ბრძოლა ხროვაში პირველობისთვის;
- 10) შეჯაბრი მსხვერპლის მოსაპოვებლად;
- 11) უდაბნოს მცენარეების ძლიერ განვითარებული ფესვთა სისტემა და სახეცვლილი ფოთლები;
- 12) მტაცებლობა.



### 3. უპასუხეთ კითხვებს:

- 1) ბუების ბუდეებში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ასაკის მართვები. ბუს ზოგიერთ სახეობაში კვერცხებიდან მართვების გამოჩეკებს შორის 5-7 დღიანი შუალედებია. რა არის ამ მოვლენის ბიოლოგიური დანიშნულება?
- 2) ვირთევზას ლიფსიტები, ხშირად, ზოგიერთი სახეობის მედუზას ქოლგის ქვეშ სახლ-დებიან, რომელთა საცაცებიც შეამიანა. რა მიზეზით ირჩევენ ლიფსიტები ასეთ საბინადროს?
- 3) როგორ გადარჩებიან დაბალი ნაყოფიერების მქონე ცხოველთა სხვადასხვა სახეობები ბუნებაში?

## 30 პუნეპრივი გადარჩევა და ორგანიზმთა შეზურულობა საპირადო გარემოსთან



- რა არის ხელოვნური გადარჩევა?
- არის თუ არა მსგავსი პროცესი ბუნებაში?

ინტენსიური გამრავლებისას ორგანიზმთა შიდასახეობრივი და სახეობა-თაშორისი ურთიერთობები არსებობისათვის ბრძოლით განისაზღვრება. ამ ბრძოლაში იმარჯვებენ და შთამომავლობას ტოვებენ არსებულ პირობებთან უკეთ შეგუებული ინდივიდები, დანარჩენები „გაიცხრილებან“, ანუ ბუნებრივად გადაირჩევიან. ამრიგად არსებობისათვის ბრძოლის შედეგი ბუნებრივი გადარჩევაა.

**ბუნებრივი გადარჩევა.** ბუნებრივი გადარჩევა პოპულაციის შიგნით მიმდინარეობს და, ასაკის მიუხედავად, ყველა ორგანიზმზე მოქმედებს. საარსებო პირობების თანდათანობითი ცვლილება ნიშან-თვისიერის საშუალო ნორმიდან გადახრას განაპირობებს. ასე, მაგალითად, ინგლისში საწარმოო ქალაქების მახლობლად ატმოსფერის დაბინძურებამ არყის ხეების ქერქის გამუქება გამოიწვია. ამის შედეგად არყის ხის მზომელას თეთრი პეპლები მუქ ფონზე უფრო შესამჩნევი გახდნენ ფრინველებისთვის, რომლებიც მათ კენკავდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ არყის ხის მზომელას პეპლების უმრავლესობა თანდათან მუქმა ფორმებმა შეადგინა.

გარემო პირობების შეცვლისას უპირატესობას მოიპოვებენ გარკვეული ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდები, ხოლო მათგან განსხვავებული გადახრილი ნიშან-თვისებების მატარებელი ინდივიდები კი გაიცხრილებან.

თუ პირობები სტაბილურია, მაშინ იქ მცხოვრები პოპულაციების ნიშან-თვისებებიც უცვლელი რჩება. განსხვავებული ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდების რიცხვი იკლებს. მაგალითად, ინგლისში ქარიშხლის დროს დაღუპნენ მხოლოდ მოკლე და გრძელფრთიანი ბელურები, მაშინ, როცა საშუალოფრთიანი ინდივიდები გადარჩნენ.

### საქმიანობა

$$E = \frac{m - n}{m}$$

- m** – ინდივიდთა საწყისი რაოდენობა;  
**n** – იმ ინდივიდთა რიცხვი, რომლებმაც შემდეგ გამრავლებამდე მიაღწიეს;  
**E** – დაღუპვის ინტენსივობა.

- რამ განაპირობა ჩოქელების გადარჩენა?
- რისი გარკვევა გახდა შესაძლებელი მოცემული ცდის შედეგად?



არყის ხის მზომელას პეპლები. არყის ხის გამუქებულ ქერქზე თეთრი პეპლები ჩიტებისთვის უფრო მეტად შესამჩნევია.



**ორგანიზმთა შეგუებულობები.** ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ყოველი ორგანიზმი თავის საბინადრო გარემოში იძენს თავისებურებებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს მის გადარჩენასა და გამრავლებას. ეს ხდება შეგუებულობების დახმარებით. მაგალითად, გვალვიანი ადგილების ბინადარ მცენარეებს აქვს ისეთი შეგუებულობები, რომორებიცაა ბუსუსიანი ფოთლები, ცვილისებრი ნაფიფქი ფოთლებზე; მცენარე სუკულენტებს აქვს ღეროებსა და ფოთლებში წყლის მომარავების უნარი. ცხოველებს საბინადრო გარემოსთან შეგუება გამოხატული აქვთ სხეულის შეფერილობასა და სტრუქტურაში, ინსტიტუტების შეცვლაში. მტრებისგან თავდაცვის ან მსხვერპლზე თავდასხმისთვის ზოგიერთი ცხოველის შეფერილობა გარემოს ფონთანაა შეხამებული. მაგალითად, მწვანე კალია ბალაბში ბინადრობს და მის ფონზე პრაქტიკულად შეუმჩნეველია. ზოგი ცხოველი შხამიანია, მათ შხამი მტრებისგან თავდასაცავად სჭირდებათ. იმის სადემონსტრაციოდ, რომ მათთან მიკარება სახიფათოა, კაშკაშა გამაფრთხილებელი შეფერილობა აქვთ.

#### ჭამანა მტრებისგან თავდა- არყის ხის მზომელას მუხლუხი

ცვის მიზნით მყვეთრი სუნისსხეულის ფერითა და ფორმით მქონე სითხეს გამოყოფს ხის ტოტს მოგვაგონებს.



გარკვეული სახის შეგუებულობა ორგანიზმისთვის ეფექტურია მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში. გარემო პირობების შეცვლისთანავე ეს შეგუებულობა კარგავს თავის მნიშვნელობას და, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა ორგანიზმის დაღუპვაც გამოიწვიოს. ეს ადასტურებს, რომ შეგუებულობა არასოდესაა აბსოლუტური და მას შეფარდებითი ხასიათი აქვს.

#### მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

1. დაადგინეთ ევოლუციის პროცესში არყის ხის მზომელას ფრთების შეფერილობის ცვლილების ეტაპების თანამიმდევრობა დაწყებული გარემოს ფონის დახასიათებით.

- ა) მუქი პეპლების გადარჩენა ბუნებრივი გადარჩევის შედეგად;
- ბ) არყის ხეების ქერქის ფერის შეცვლა გარემოს დაბინძურების გამო;
- გ) მუქი პეპლების გამრავლება, თაობების მანძილზე მუქი ინდივიდების შენარჩუნება;
- დ) ჩიტების მიერ ღია ფერის პეპლების განადგურება;
- ე) გარკვეული დროის შემდეგ პოპულაციაში მუქი პეპლების რაოდენობა ჭარბობს ღია ფერის ინდივიდების რაოდენობას.



## 2. დაადგინეთ შესაბამისობა:

- ა) ბუნებრივი გადარჩევა
- 1) იქმნება ახალი სახეობები.
  - 2) ემსახურება ადამიანის მოთხოვნილებების დაცემაყოფილებას.
  - 3) არსებობს ბუნების შექმნის მომენტიდან.
  - 4) ხდება სახეობისთვის ხელსაყრელი ნიშან-თვისებების გადარჩევა.
  - 5) იქმნება ახალი ჯიშები.
  - 6) არსებობს იმ დროიდან, როცა ადამიანმა დაიწყო ცხოველთა მოშინაურება და მიწათმოქმედება.
- ბ) ხელოვნური გადარჩევა


3. გამოიყენეთ სახელმძღვანელოში არსებული მასალა, სურათები, დამატებითი ნიუკონები და შეავსეთ ცხრილი:



№	ორგანიზმი	საბინადრო გარემო	შეგუებულობის სახეები	შეგუებულობის შეფარდებითი ხასიათი
1				
2				
3				
4				
5				

4. კითხვის ნიშის – „?“ მაგივრად ჩაწერეთ შესაბამისი ცნებები:

„მემკვიდრეობითობა“ „ბუნებრივი გადარჩევა“ „არსებობისთვის პრძოლა“ „ცვალებადობა“



## 31 მიკროეპოლუცია. ახალ სახეობათა ნარმოქმნა



- რა არის სახეობა?
- რატომ არის აუცილებელი სახეობის კრიტერიუმების გამოყოფა?

სასიცოცხლო პირობების ცვლილება სახეობის სხვადასხვა პოპულაციებს შორის განსხვავებების გაჩენის მიზეზია, რაც, თავის მხრივ, სახეობათა წარმოშობის პროცესს განაპირობებს.

### საქმიანობა

სურათზე გამოსახული გალაპაგოსის მთიულების ყველა სახეობა ერთი საერთო ნინაპრისაგანაა წარმოშობილი, რომელიც ახლომდებარე კონტინენტიდან დაახლოებით 2-3 მილიონი წლის წინ გადმოსახლდა. სახეობები ერთმანეთისგან ზომით, ნისკარტის ფორმითა და შეფერილობით განსხვავდებან.

- როგორ ფიქრობთ, რასთანაა დაკავშირებული ამ თავისებურებათა გაჩენა მთიულების სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებში?



**მიკროეპოლუცია.** პოპულაციის ფარგლებში ევოლუციური პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ახალი სახეობების წარმოშობას იწვევს. საარსებო პირობების ცვლილების შედეგად მიმდინარეობს დივერგენცია, ანუ ნიშან-თვისებათა დაცილება. ეს კი განაპირობებს საწყისი სახეობიდან ახალი სახეობების წარმოშობას. ევოლუციურ ცვლილებებს, რომლებიც პოპულაციის ფარგლებში მიმდინარეობს, მიკროეპოლუცია ეწოდება. მიკროეპოლუცია სახეობის ევოლუციის პირველი ეტაპია. რადგან იგი დროის შედარებით მცირე მონაკვეთში მიმდინარეობს, ადამიანს მასზე დაკვირვება შეუძლია. მიკროეპოლუცია სახეობის წარმოშობით მთავრდება.

**სახეობათა წარმოშობა.** არჩევენ სახეობათა წარმოშობის ორ ფორმას – გეოგრაფიულს და ეკოლოგიურს.

**გეოგრაფიული სახეობათა წარმოშობა** ორი გზით შეიძლება წარიმართოს: არეალის გაფართოებით და არსებული არეალის დანაწევრებით.

არეალის გაფართოებისას, პოპულაციის რიცხოვნობა იზრდება და ამ სახეობის ინდივიდები ახალ საცხოვრებელ გარემოში ხვდებიან. რის შედეგადაც პოპულაციაში თავს იჩენს მემკვიდრული ცვლილებები. დროთა განმავლობაში, ბუნებრივი გადარჩევის ზემოქმედებით, პოპულაციის გენური შემადგენლობა იცვლება და დივერგენციის შედეგად მიმდინარეობს მიკროეპოლუცია. შემდგომში პოპულაციაში მიმდინარე ევოლუციურმა პროცესმა შესაძლებელია, ახალი სახეობების წარმოქმნა გამოიწვიოს. მაგალითად, ციმბირული ლარიქსის არეალის ურალიდან ბაიკალის ტბამდე გაფართოებამ პოპულაციის ინდივიდებში მემკვიდრული ცვლილებების (მუტაციების) წარმოქმნა გამოიწვია, მრავლობითი შეჯვარების შედეგად გაჩნდა გენთა ახალი კომბინაციები.


### საკვანძო სიტყვები

- მიკროეპოლუცია
- გეოგრაფიული სახეობათა წარმოშობა
- ეკოლოგიური სახეობათა წარმოშობა

საბოლოოდ კი ახალი სახეობა – დაურული ლარიქსი წარმოიქმნა.

არეალის დანაწევრება. ზოგ შემთხვევაში სახეობის არეალის დანაწევრება ამა თუ იმ ფაქტორის გავლენით ხდება. ასე, მაგალითად, ტყის შროშანას არეალი გამყინვარებამდე ერთიანი იყო, მაგრამ შემდგომში მყინვარმა იგი რამდენიმე ნაწილად გაყო, რამაც შროშანას ახალი სახეობების წარმოშობა განაპირობა.

გეოგრაფიული სახეობათა  
წარმოშობა



არეალის  
დანაწევრება

## ც საინტერესო

- 1971 წელს, იტალიის ერთ-ერთ პატარა კუნძულზე მეზობელი კუნძულიდან 10 კედლის ხვლიკი ჩამოიყვანეს, რომლებიც მწერებით იკვებებოდნენ. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მათი შთამომავლები სანყისი კოლონიის ხვლიკებს შეადარეს და დაადგინეს, რომ მათ, ახალ პირობებთან ადაპტაციის შედეგად, მცენარეებით კვება დაიწყეს. ამგვარმა დიეტამ ხვლიკების აგებულებაში დიდი ცვლილებები გამოიწვია – მათი თავი უფრო დიდი გახდა, ხოლო ყელი უფრო ძლიერი, მაგარი ფოთლების დასაღეჭად. გარდა ამისა, ძლიერ განვითარდა ნანლავის კამერებად გამმიჯნავი კუნძული. მათი მოქმედებით საკვები ნანლავში წელა გადაადგილდება, რაც ბაქტიერიებს მისი დამუშავებისთვის მეტ დროს აძლევს.



ეკოლოგიური  
სახეობათა წარმოშობა



ეკოლოგიური სახეობათა წარმოშობა მიმდინარეობს მაშინ, როცა პოპულაციები რჩება თავის არეალში, მაგრამ არეალის შიგნით გარემო პირობები და პოპულაციის გენური შემადგენლობა იცვლება. ეს პროცესი იმდენად ძლიერდება, რომ საქმე ბიოლოგიურ იზოლაციამდე მიდის. ასე, მაგალითად, საკვებთან დაკავშირებული სპეციალიზაციის გამო, გაჩნდა წივწივას ხუთი სახეობა. დიდი წივწივა, წივწივა, ლურჯთვალა წიწკანა და შავი წიწკანა მცირე ზომის მწერებით იკვებებიან, ხოლო ქოჩორა წიწკანა – წიწკოვანთა თესლით.

სახეობათა წარმოშობის პროცესი დღესაც გრძელდება. მიკროევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე სახეობათა წარმოქმნის ერთი პროცესი ცვლის მეორეს ან ისინი ერთად მოქმედებენ. მიკროევოლუციის პროცესი ახალი სახეობის წარმოქმნით მთავრდება.

## მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენების შეავსეთ

- 1. სახეობათა წარმოშობის პროცესების შესახებ ცოდნის გამოყენებით შეავსეთ ცხრილი:**

სახეობათა წარმოშობის ფორმები	პროცესის მნიშვნელობა	მაგალითები

- 2. გამოიყენეთ მოცემული მაგალითები, განსაზღვრეთ სახეობათა წარმოშობის ფორმა და შედეგი შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ სქემაში:**

- 1) ადრე ტყის შროშანას არეალი ერთიანი იყო, მაგრამ მყინვარის მოძრაობის შედეგად წარმოიქმნა შროშანას ახალი სახეობები.
- 2) არეალის გაფართოების შედეგად მედგარა განსხვავებულ პირობებში მოხვდა, რის შედეგადაც წარმოიქმნა მისი ორი ფორმა – აღმოსავლეთის და დასავლეთის.
- 3) ციმბირული ლარიქსის არეალის ურალიდან ბაიკალამდე გაფართოების შედეგად პოპულაციაში გაჩნდა მეტვიდრული ცვლილებები და წარმოიქმნა ახალი სახეობა – დაურული ლარიქსი.
- 4) კვებასთან დაკავშირებული სპეციალიზაციის გამო წარმოიქმნა წივწივას ხეთი სახეობა: დიდი წივწივა, წივწივა, შავი წიწკანა, ლურჯთვალა წიწკანა და ქრიორა წიწკანა.
- 5) წივწივას არეალი, რომელიც ცენტრალური აზიის მთიანეთის გარშემო მდებარეობდა, მყინვარმა სამად გახლიჩა, რის შედეგადაც გაჩნდა წივწივას სამი ქვესახეობა: ევრაზიული, სამხრეთაზიური და აღმოსავლეთაზიური.
- 6) საარსებო პირობებთან დაკავშირებით წარმოიქმნა ტრადესკანციას მზიან და ჩრდილიან ადგილას მოზარდი სახეობები.



- 3. განსაზღვრეთ პასუხის სწორი გარიანტი:**

- 1) მიკროევოლუცია მიმდინარეობს დროის შედარებით ხანგრძლივ/ხანმოკლე ისტორიულ პერიოდში.
- 2) ცვალებად/სტაბილურ გარემო პირობებში სახეობა წინაპართან შედარებით უცვლელი რჩება.
- 3) ადამიანს შეუძლია/არ შეუძლია მიკროევოლუციის პროცესზე დაკვირვება.
- 4) საარსებო პირობების ცვლილებისას პოპულაციის შიგნით წიშან-თვისებათა დაცილების/დაახლოების პროცესს დივერგენცია ეწოდება.
- 5) მიკროევოლუცია გვარის/სახეობის წარმოქმნით მთავრდება.

32

## სოციალური ფაქტორების გავლენა ადამიანის ფორმირებაზე



- რა თავისებურებები ახასიათებს ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ არსებას?

### საქმიანობა

დაათვალიერეთ ადამიანის ევოლუციის ამსახველი სქემა და უპასუხეთ შეკითხვებს:

კრიტერიუმები	ავსტრალო-პითეკი	პითეკანტროპი	ნეანდერტალელი	კრომანიონელი	თანამედროვე ადამიანი
ამართული სიარული					
ტვინის მოცულობა	650 სმ <sup>3</sup>	900-1100 სმ <sup>3</sup>	1400 სმ <sup>3</sup>	1600 სმ <sup>3</sup>	1600 სმ <sup>3</sup>

- რა თანამიმდევრულ ცვლილებებს განიცდიდა ადამიანის აგებულება?
- რასთან იყო ეს ცვლილებები დაკავშირებული?
- რა იყო ამის შედეგი?

პირველი ადამიანებიდან თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე გაგრძელდა. ადამიანის ფორმირებაში, ბიოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, დიდი როლი სოციალურმა ფაქტორებმაც ითამაშა. სოციალურ ფაქტორებს მიეკუთვნება: შრომა, საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, მეტყველება და აზროვნება.

**შრომა.** ადამიანის ფორმირებაში მთავარ როლს შრომა ასრულებს. იგი დასაპამს შრომის იარაღების დამზადებიდან იღებს. მაიმუნისგან განსხვავებით, ადამიანს შრომის იარაღების შექმნა შეუძლია. შრომის იარაღების დახვეწის შედეგად ადამიანს მრავალრიცხოვანი ცვლილებები განუვითარდა და ბუნებაზე მისი ზემოქმედება გაიზარდა. შრომის გავლენით ადამიანმა მრავალი მორფოფიზიოლოგიური ცვლილება განიცადა. ამ ცვლილებებს ანთროპომორფოზები (ბერძ. „antropos“ – ადამიანი) ეწოდება.

ანთროპომორფოზების უმრავლესობა ამართული სიარულითაა განპირობებული. ამართულ სიარულზე გადასვლამ ადამიანის ფორმირებაში უდიდესი როლი ითამაშა: სიმძიმის ცენტრმა ქვედა კიდურებზე გადაინაცვლა, რამაც საგრძნობლად შეცვალა სხეულის პროპორციები. ასე, მაგალითად, გაფართოვდა გულ-მკერდი, ხერხემალი S-ისებური ფორმის გა-

ხდა, გავა უფრო გამყარდა. გადაადგილების ფუნქციისგან გათავისუფლების შედეგად ხელებმა მრავალფეროვანი მოძრაობის უნარი შეიძინა და აქტიურმა შრომითმა საქმიანობამ სოციალური ფაქტორების გაძლიერება განაპირობა.

#### საკვანძო სიტყვები

- ანთროპომორფოზი
- საზოგადოებრივი ცხოვრების წესი
- აზროვნება

**საზოგადოებრივი ცხოვრების წესი.** ითვლება, რომ შრომითი საქმიანობის ზეგავლენით ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრების წესზე გადავიდა. თემში ცხოვრება მტრისგან ერთობლივ დაცვასა და ნადირობის გაადვილებას უზრუნველყოფდა. ადამიანებმა ტყის ხანძრებისა და ვულკანური ამოფრქვევების შედეგად გაჩენილი ცეცხლის შენახვა და საჭმლის მოსამზადებლად მისი გამოყენება ისწავლეს. ცეცხლზე მომზადებული საკვების მიღებამ ბიოლოგიური მნიშვნელობა დაუკარგა თხემის ქედზე მიმაგრებულ მძლავრ, ადამიანის მაიმუნისებრი წინაპრების საღეჭ კუნთებს, რამაც საღეჭი აპარატი უფრო მსუბუქი გახადა. მცენარეულიდან შერეულ საკვებზე გადასცლამ, ნაწლავის დამოკლება განაპირობა.

## ეს საინტერესო

1843 წელს, ინდოეთში, მგლის ბუნაგის შესასვლელთან, ბავშვი იპოვეს. მას ვერ ასწავლეს ადამიანური ჭამა და ლაპარაკი. ის მუდამ ცდილობდა ადამიანებისგან გაქცევას, რასაც 1851 წელს მიაღწია კიდეც. მან თავი ჯუნგლებს შეაფარა და უკან აღარასოდეს დაბრუნებულა.



**მეტყველების წარმოშობა.** საზოგადოებრივი ცხოვრების წესი თემის წევრების ერთობლივ საქმიანობას მოითხოვდა, რამაც მათ შორის ბერითი სიგნალების გამოყენების აუცილებლობა განაპირობა. ამის შედეგად წარმოშვა მეტყველება. შრომითი საქმიანობის დახვეწა ხელს უწყობდა დანაწევრებული მეტყველებისა და შეგრძნების ორგანოების განვითარებას. ადამიანმა დაიწყო გარემომცველი სამყაროს სიგნალების აღქმა არა მარტო შეგრძნების ორგანოებით (პირველი სასიგნალო სისტემა), არამედ მეტყველების (მეორე სასიგნალო სისტემა) საშუალებითაც. მეტყველების განვითარებამ პირის აპარატისა და ხორხის გარდაქმნა და მათი მეტყველების ორგანოებად ჩამოყალიბება განაპირობა.

**აზროვნების წარმოშობა.** მეტყველება ცნობიერების განვითარებას და აზროვნების წარმოშობას უწყობდა ხელს. შრომის, გონებისა და მეტყველების ერთობლიობამ საზოგადოების განვითარება უზრუნველყო. თუ პირველმა სასიგნალო სისტემამ აბიექტური აზროვნების განვითარება გამოიწვია, მეორე სასიგნალო სისტემამ აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას შეუწყო ხელი. აბსტრაქტული აზროვნების საშუალებით ადამიანს შეუძლია რეალურად არარსებულ საგნებსა და მოვლენებზე მსჯელობა.

## აიღვაული ცოდნის გამოყენება და შემდეგი

### 1. დააჯგუფეთ ადამიანის ევოლუციის ფაქტორები ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებად:

- 1) საზოგადოებრივი ცხოვრების წესი;
- 2) მუტაცია;
- 3) მეტყველება;
- 4) არსებობისთვის პრძოლა;
- 5) იზოლაცია;
- 6) შრომა;
- 7) მემკვიდრული ცვალებადობა;
- 8) ცნობიერება;
- 9) აზროვნება;
- 10) ბუნებრივი გადარჩევა


ადამიანის ევოლუციის ფაქტორები



### 2. დააწყვილეთ მოცემული ცნებები და განმარტებები შემდეგი პრინციპით

მიზანი → შედეგი

და ახსენით თქვენი არჩევანი:



### 3. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

- შრომით გავლენით წარმოქმნილ ცვლილებებს ანთროპომორფოზები/მუტაციები ეწოდება;
- დაანაწერებული მეტყველების წარმოქმნის მიზეზია მემკვიდრული ცვალებადობა და ბუნებრივი გადარჩევა/შრომის საზოგადოებრივი ხასიათი და ტვინის განვითარების მაღალი დონე;
- ადამიანის სოციალური თავისებურებები შესაძლებელია/შეუძლებელია გადაეცეს წინაპრებიდან შთამომავლებს;
- ცეცხლზე მომზადებული საკვების გამოყენებამ გამოიწვია თხემის ქედის მდგრადობა/ შესუსტება.
- აპსტრაქტული აზროვნების გამო ადამიანს შეუძლია რეალურ/არარეალურ საგნებსა და მოვლენებზე საუბარი;
- ობიექტური აზროვნების გაჩენის მიზეზია პირველი/მეორე სასიგნალო სისტემა.

## პროექტი

1. ინტერნეტის რესურსების გამოყენებით მოაგროვეთ ინფორმაცია და მოამზადეთ მოხსენება თემაზე „ადამიანის დადგებითი და უარყოფითი ზემოქმედება ცოცხალი ორგანიზმების პოპულაციებზე“.
2. შესაბამისი წყაროებისა და ინტერნეტის რესურსების გამოყენებით მოამზადეთ ელექტრონული პრეზენტაცია თემაზე „ევოლუციური იდეების განვითარება ანტიკურ სამყაროსა და შუა საუკუნეებში“ მოცემული გეგმის მიხედვით:
  - მეცნიერის სახელი
  - მოღვაწეობის პერიოდი
  - ქვეყანა
  - მეცნიერული იდეები
3. ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით დაწერეთ რეფერატი თემაზე „თანამედროვე მეცნიერული თეორიები დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისა და ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნების შესახებ“. მოცემულ თემაზე გამართეთ დებატები.

## შემაჯამებელი დავალებები

### 1. აღნიშნეთ სწორი პასუხი:

- 1) კრიტერიუმს, რომელსაც საფუძვლად უდევს სახეობის ინდივიდთა ცხოველ-ქმედების პროცესების მსგავსება, ფიზიოლოგიური/ მორფოლოგიური ენოდება;
- 2) გარეგნული ნიშან-თვისებების ერთობლიობით მსგავსებას აკუთვნებენ სახეობის გეოგრაფიულ/მორფოლოგიურ კრიტერიუმს;
- 3) სახეობა-ორგანულები აგებულებით მსგავსია, ამიტომ მათი განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ გენეტიკური/ფიზიოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით;
- 4) ჩრდილოეთის ირმის გავრცელების არეალს აკუთვნებენ სახეობის ეკოლოგიურ/გეოგრაფიულ კრიტერიუმს;
- 5) მცენარეთა უნარი, შეეჯვაროს ერთმანეთს და წარმოშვას ნაყოფიერი შთამომავლობა, გვარის/სახეობის ძირითადი ნიშანია.

### 2. საკავანო სიტყვების გამოყენებით დაასრულეთ წინადადებები:


- a) ერთი სახეობის ინდივიდთა გარკვეულ ჯგუფებს, რომლების შედარებით იზოლირებულია ერთმანეთისაგან, ენოდება ...
  - b) ყოველ პოპულაციას აქვთ გენოტიპების სპეციფიკური ნაკრები – ...
  - c) პოპულაციების შერევას ხელს უძლის მათ შორის სხვადასხვა ... არსებობა;
  - d) პოპულაცია იყვანებს სახეობის ... ნანილს;
  - e) ... სახეობის შიგნით გენეტიკურ მრავალფეროვნებას წარმოქმნის.
- საკავანო სიტყვები:** გენოფონდი, ინოლაცია, პოპულაცია, მუტაციები, არეალი

### 3. შეარჩიეთ მართებული დებულებები:

- 1) კ. ლინეს კლასიფიკაციაში კლასიფიკაციის ერთეულად ითვლებოდა სახეობა, როგორც ცოცხალი ბუნების ელემენტარული ერთეული.
- 2) კ. ლინე თვლიდა, რომ სახეობები ბუნებაში შემოქმედის ძალითაა შექმნილი და უცვლელია.
- 3) ჩ. დარვინის მიხედვით, ბუნებრივ პირობებთან შეგუებული ინდივიდები გადარჩებიან და ტოვებენ შთამომავლობას, ანუ მიმდინარეობს ბუნებრივი გადარჩევა.

- 4) კ. ლინემ თავის ნაშრომებში გამოთქვა პიპოთეზა სახეობების ცვალებადობის შესახებ.
- 5) უ.ბ. ლამარკის აზრით, გრადაციის ძირითად მამოძრავებელ ძალას ორგანიზმებში წინასწარ ჩადებული სრულყოფისაკენ შინაგანი სწრაფვა წარმოადგენს.
- 6) მემკვიდრული ცვალებადობა ორგანიზმთა განსხვავებულ ბუნებრივ პირობებთან შეგუებას უზრუნველყოფს.

#### 4. გადაიხაზეთ სქემა რვეულში და დაასრულეთ იგი:



#### 5. განსაზღვრეთ სწორი პასუხები:

- ევოლუციის რომელი ფაქტორის გავლენით უნარჩუნდებათ ორგანიზმებს სასარგებლო ნიშან-თვისებები?
  - ა) მუტაციის;
  - ბ) არსებობისთვის შიდასახეობრივი ბრძოლის;
  - გ) არსებობისთვის სახეობათაშორისი ბრძოლის;
  - დ) ბუნებრივი გადარჩევის.
- საბინადრო გარემოსთან სახეობის შეგუება შედეგია:
  - ა) შთამომავლობაზე ზრუნვის;
  - ბ) ორგანოების ვარჯიშის;
  - გ) შემთხვევით მემკვიდრული ცვლილებების გადარჩევის;
  - დ) პოპულაციაში ინდივიდთა მაღალი რიცხოვნობის.
- ბუნებრივი გადარჩევის მოქმედება იწვევს:
  - ა) მუტაციურ ცვალებადობას;
  - ბ) ადამიანისთვის სასარგებლო ნიშან-თვისებების შენარჩუნებას;
  - გ) შემთხვევით შეჯვარებას;
  - დ) ახალი სახეობების ზარმოქმნას.

#### 5. დაადგინეთ შესაბამისობა:

- |   |   |
|---|---|
| <b>ა.</b> გეოგრაფიული<br>სახეობათა<br>წარმოშობა | <b>ა)</b> არეალის გაფართოება<br><b>ბ)</b> არეალის სტაბილურობა<br><b>გ)</b> არეალის გაყოფა სხვადასხვა ზღუდეებით<br><b>დ)</b> არეალის შიგნით ინდივიდების ცვალებადობის მრავალფეროვნება |
| <b>ბ.</b> ეკოლოგიური<br>სახეობათა<br>წარმოშობა  | <b>ე)</b> სტაბილური არეალის ფარგლებში<br>საბინადროების მრავალფეროვნება  |

## უმაღლესი ნორვული მოქმედება

### 33 უმაღლესი ნორვული მოქმედება. უპირობო რეფლექსები

ადამიანი ქვეყანას უამრავი თანდაყოლილი რეფლექსით ევლინება. მაგალითად, ჩვენ სინათლეზე თვალებს ვჭუტავთ, ხმაურზე თავს ვატრიალებთ, ცხელ საგანთან შეხებისას ხელს ვწევთ, უცხო სხეულის მოხვედრისას – თვალს ვახამხამებთ და სხვ. ეს რეფლექსები აღნიშნება როგორც ახალშობილს, ისე ზრდასრულ ადამიანს.

– როგორ ფიქრობთ,  
რა დანიშნულება  
აქვს მსგავს  
რეფლექსებს?

#### საქმიანობა

განმარტეთ კროსვორდში მოცემული ტერმინები. გამოყოფილ მართულებები ფრანგი მეცნიერის გვარია, რომელმაც მე-17 საუკუნეში რეფლექსის ცნება შემოიტანა.

– რა არის რეფლექსი?  
როგორ ხორციელდება იგი?

1	დ	ე	ნ	დ	რ	ი	ტ	ი
2	ნ	ე	ი	რ	ო	ნ	ი	
3	ა	ტ	ს	ო	ნ	ი		
4	გ	ლ	ი	პ				
5	რ	ე	ფ	ლ	ი	კ	ს	ი
6	რ	ე	ტ	ი	რ	ი		
7	ტ	ვ	ი	ნ	ი			

**უმაღლესი ნერვული მოქმედება.** ადამიანისა და უმაღლესი ცხოველების ქცევებს საფუძვლად უმაღლესი ნერვული მოქმედება უდევს. უმაღლესი ნერვული მოქმედება ორგანიზმის ნერვული სისტემისა და გარემოს ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს. იგი ნერვული პროცესების ერთობლიობაა, რომელიც ნერვული სისტემის ზედა განცოდილებებით – ტვინის ქერქითა და ქერქებება ბირთვებით კონტროლდება. უმაღლეს ნერვულ მოქმედებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეფლექსები.

**ქცევის რეფლექსური თეორია.** ი. სეჩენოვი, თავის ნაშრომში „თავის ტვინის რეფლექსები“, ადამიანის ქცევებსა და ფსიქიკურ მოქმედებას ნერვული სისტემის რეფლექსებით ხსნიდა. ი. სეჩენოვის თანახმად, თავის ტვინის რეფლექსები სამი რგოლისაგან შედგება: შეგრძნების ორგანოებში გარეშე ზემოქმედებით გამოწვეული აგზნების, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში გრძნობების, ნარმოდგენებისა და შეგრძნებების გაჩენის აგზნებისა და შეკავების პროცესების შედეგად და მათ საპასუხოდ ადამიანის ქცევით რეაქციისაგან.

ი. სეჩენოვის სამუშაო ი. პავლოვმა განაგრძო, მან შექმნა მოძლვ-რება პირობითი და უპირობო რეფლექსების შესახებ.

**უპირობო რეფლექსები** მემკვიდრეობით გადაეცემა და მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩება. ამ რეფლექსების ცენტრები მოთავ-

### საკვანძო სიტყვები

- პირობითი რეფლექსები
- უპირობო რეფლექსები

განეკუთვნება კვებითი, თავდაცვის, საორიენტაციო და გამრავლების რეფლექსები.

კვებით რეფლექსები შედის ნერწყვის, კუჭისა და ნაწლავის წვენის გამოყოფა, ლეჭვა, ყლაპვა, წოვითი რეფლექსი ახალშობილები და სხვ. თავდაცვის რეფლექსებს მიეკუთვნება ცემინება, ხველა, ლებინება, თვალების ხამხამი და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაცვით რეფლექსებს, რომლებიც დაკავშირებულია მხედველობით და ბგერით გამლიზიანებლებთან.

გამრავლების პროცესებს საფუძვლად სქესობრივი რეფლექსები უდევს. საორიენტაციო რეფლექსების გავლენით ადამიანი სწრაფად ატრიალებს თავს გამლიზიანებლის მიმართულებით, თვალებს ჭუტავს, ყურადღებით აკვირდება საგანს. უპირობო რეფლექსები ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობას უზრუნველყოფს.

ქცევითი რეფლექსების უფრო რთულ ფორმებს ინსტიქტები ეწოდება. მუდმივად ცვალებად გარემოში უპირობო რეფლექსების გარდა, ყველა ორგანიზმს უმუშავდება პირადი გამოცდილებით განპირობებული რეფლექსები. მათ პირობით რეფლექსებს უწოდებენ.

### მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

#### 1. შეავსეთ ცხრილი „უპირობო რეფლექსების თავისებურებანი“:

უპირობო რეფლექსი	გამლიზიანებელი	საპასუხო რეაქცია
კვებითი		
თავდაცვითი		
საორიენტაციო		

#### 2. შეარჩიეთ პასუხის სწორი ვარიანტი:

- სწავლება პირობითი და უპირობო რეფლექსების შესახებ შექმნა პავლოვმა/ი. სერენოვმა.
- კატის საპასუხო რეაქცია ხმაურზე/პატრონის ძახილზე არის უპირობო რეფლექსის მაგალითი.
- პირობითი რეფლექსებისგან განსხვავებით, უპირობო რეფლექსების ცენტრები მდებარეობს ადამიანის დიდი ნახევარსფეროების ქერქში/მოგრძო ტვინში.
- ადამიანს უპირობო რეფლექსები უყალიშდება ინდივიდუალური განვითარების დროს/დაბადებიდანვე აქვს ჩადებული.
- თავდაცვითი რეფლექსი – აქმინება შთამომავლობას გადაეცემა/არ გადაეცემა.
- შუქნიშნის მწვანე ფერზე ადამიანის რეაქცია არის უპირობო/პირობითი რეფლექსი.
- გემოვნების რეცეპტორების საკვებით გაღიზიანების საპასუხოდ კუჭის წვენის გამოყოფა არის პირობითი/უპირობო რეფლექსი.

## 34 პირობითი რეფლექსები. რეფლექსის შეკავება

სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლაში წასახვლელად, თქვენ მაღვიძიარას დახმარებით ერთსა და იმავე დროს დგებით. ზაფხულში კი, როცა არ გჭირდებათ ადრე ადგომა, გარკვეული პერიოდის მანძილზე, თქვენ მაინც იმავე დროს გელვიძებათ, მაგრამ უკვე მაღვიძიარას ზარის გარეშე.

– თქვენი აზრით, რატომ ხდება ეს?

### საქმიანობა

### პრაქტიკული სამუშაო

**პირობითი და უპირობო რეფლექსების განსაზღვრა**  
გადაიტენეთ ცხრილი რვეულში. მოცემული დებულებები ცხრილის შესაბამის სვეტში მოათავსეთ.

უპირობო რეფლექსები	პირობითი რეფლექსები
...	...

1. თანდაყოლილია.
2. ადამიანის სიცოცხლის მანძილზე შეიძლება შეიცვალოს და გაქრეს.
3. ორგანიზმს სტაბილურ გარეშო პირობებს აგუებს.
4. რეფლექსური რკალი ზურგის ტვინში ან თავის ტვინის დეროში გადის.
5. ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უცვლელია და არასდროს ქრება.
6. ერთნაირია ერთი სახეობის ყველა ინდივიდისთვის.
7. ინდივიდუალურია ყველა ორგანიზმისთვის.
8. მთელი სიცოცხლის განმავლობაში წარმოიქმნება.
9. ორგანიზმს გარემოს ცვალებად პირობებს აგუებს.
10. ცხელი ჩაიდნიდან ხელის სხრაფად მოშორება.
11. საკუთარ სახელზე ადამიანის რეაქცია.
12. ახალშობილის მიერ ძუძუს წოვა.
13. ექვსი თვის ბავშვის რეაქცია რძიან ბოთლზე.

– თქვენი აზრით,  
როგორ წარმო-  
იქმნება პირო-  
ბითი რეფლექ-  
სები?

– რატომ ეწოდება  
მათ „პირო-  
ბითი“?

**პირობითი რეფლექსები.** ისინი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. ამ რეფლექსების წარმოსაქმნელად გარკვეული პირობებია საჭირო, კერძოდ, განურჩეველი გამლიზიანებელი მრავალჯერ უნდა განმტკიცდეს უპირობო გამლიზიანებლით. პირობითი რეფლექსების ცენტრები თავის ტვინის ქერქშია მოთავსებული. ამ რეფლექსების შესასწავლად ცოდნას ძალიერზე ატარებდნენ. ძალის კვებისას (საკვები უპირობო გამლიზიანებელია) ნერწყვი რეფლექსურად გამოიყოფა. პირობითი რეფლექსის გამოსამუშავებლად საკვების მიცემამდე ნახევარი წუთით ადრე ანთებდნენ ნათურას. ნათურის ანთებისას (განურჩეველი გამლიზიანებელი) ძალის ნერწყვი არ გამოიყოფოდა. ცდის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ნათურის ანთება გადაიქცა პირობით გამლიზიანებლად და ძალის ნათურის ჩართვისთანავე ნერწყვის გამოყოფა ეწყებოდა. ნათურის ანთებაზე ნერწყვის გამოყოფის მიზეზი არის ე.წ. „დროებითი კავშირი“, რომელიც მყარდება თავის ტვინის ქერქში მდებარე მხედველობის და კვების ცენტრებს შორის.

პირობითი რეფლექსები ყალიბდება დასწავლისას და ხელს უწყობს ადამიანის შეგუებას გარემოს ცვლად პირობებთან. მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანს უამრავი რთული პირობითი რეფლექსი უყალიბდება. ამის შედეგად იგი მრავალ მოძრაობით უნარებსა და ქცევის ახალ ფორმებს ითვისებს. ასეთ მოძრაობით რეფლექსებს ჩვევებს ან ავტომატურ ქცევებს უწოდებენ.


### საკვანძო სიტყვები

- უპირობო შეკავება
- პირობითი შეკავება

ამრიგად, ჩვენი ქცევა შინაგანი მოთხოვნილებებითა და კონკრეტული გა-  
რეგანი პირობებით, პირობითი და უპირობო რეფლექსებით რეგულირდება.


**• ნერნყვის გამოყოფის უპირობო  
რეფლექსი**

1. ენის რეცეპტორები.
2. ნერნყვის გამოყოფის ცენტრი.
3. სანერნყვე ჯირკვალი.
4. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის კვების ცენტრი.




**• უპირობო საორიენტაციო  
რეფლექსი**

5. დიდი ნახევარსფეროების ქერქის მხედველობის ცენტრი, რომელიც სინათლეს აღიქვამს.




**• ნათურის ანთეპაზე ნერნყვის  
გამოყოფის პირობითი  
რეფლექსის ფორმირება**

1. ენის რეცეპტორები.
2. ნერნყვის გამოყოფის ცენტრი.
3. სანერნყვე ჯირკვალი.
4. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის კვების ცენტრი.
5. დიდი ნახევარსფეროების ქერქის მხედველობის ცენტრი, რომელიც სინათლეს აღიქვამს.



**• პირობითი რეფლექსის  
წარმოქმნა**

2. ნერნყვის გამოყოფის ცენტრი.
3. სანერნყვე ჯირკვალი.
4. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის კვების ცენტრი.
5. დიდი ნახევარსფეროების ქერქის მხედველობის ცენტრი, რომელიც სინათლეს აღიქვამს.
6. მხედველობისა და კვების ცენტრებს შორის დროებითი კავშირი გაჩინა.



**რეფლექსების შეკავება.** უცნობი გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად, როგორც პირობითი, ისე უპირობო რეფლექსები შესაძლებელია შეკავდეს. ახალი ძლიერი გამღიზიანებლის მოქმედებით წარმოიქმნება საორიენტაციო რეფლექსი. ამ დროს ხდება შეფასება, რამდენად სასარგებლო აა საზიანოა ახალი გამღიზიანებლი. ამ გამღიზიანებლის ზემოქმედების განმავლობაში ყოველგვარი ქმედება წყდება. მაგალითად, ნათუ-

რის ანთებისას ძალლს ნერწყვი გამოყოფა, მაგრამ საკმარისია, გაიგოს ძლიერი ზარის ხმა, რომ ნერწყვის გამოყოფა მაშინვე შეწყდება საორიენტაციო რეფლექსის გაჩენის გამო. ასეთ შეკავებას გარეგანი ან უპირობო შეკავება ეწოდება.

იმ შემთხვევაში თუ არ მოხდა პირობითი გამლიზიანებლის უპირობოთი განმტკიცება, მაშინ პირობითი რეფლექსი ნელ-ნელა შესუსტდება და საბოლოოდ გაქრება. ამას უწოდებენ შინაგან, ან პირობით შეკავებას. მაგალითად, თუ ნათურის ანთებისას ძალლს საკვებს რამდენჯერმე არ მივცემთ, მაშინ ნათურის ანთებისას მას ნერწყვის გამოყოფა შეუმცირდება და, საბოლოოდ, შეუწყდება. ნათურის ანთება კვლავ გადაიქცევა განურჩეველ გამლიზიანებლად. ამის მიზეზი კი ქერქის მხედველობისა და კვების ცენტრებს შორის დროებითი კავშირის „განწყეტაა“. მაგრამ ამ შემთხვევაში პირობითი რეფლექსი უკვალოდ არ ქრება. ექსპერიმენტის განმეორების შემთხვევაში იგი აღდგება.

ამრიგად, პირობითი რეფლექსების წარმოშობისა და მათი შეკავების საშუალებით ორგანიზმი გარემოს მუდმივად ცვლად პირობებს ეგუება.

## მიღებული ცოდნის შემოხვევა და გამოყენება

### 1. დაადგინეთ შესაბამისობა.

ნიმუში: დ - 1 - ბ

ა. ნათურის ანთება ცდებამდე კვების გარეშე.	1. უპირობო გამლიზიანებელი	ა) ეს არის განურჩეველი და უპირობო გამლიზიანებლის შეულლება.
ბ. საკვები პირის ლრუში.	2. განურჩეველი გამლიზიანებელი	ბ) ამ გამლიზიანებლების გარეშე ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსი არ წარმოიქმნება.
გ. ნათურის ანთება კვებამდე ცოტა ხნით ადრე.	3. უპირობო რეფლექსი	გ) გამლიზიანებელი, რომელიც ააგზნებს ქერქის მხედველობის ზონას.
დ. ნერწყვის გამოყოფა ჭამისას.	4. პირობითი რეფლექსი	დ) გამლიზიანებელი, რომელიც ააგზნებს ქერქის გემოვნების ზონას.
ე. ნერწყვის გამოყოფა ნათურის ანთებაზე.		ე) ამ შემთხვევაში წარმოიქმნება დროებითი კავშირი ქერქის გემოვნებისა და მხედველობის ზონებს შორის.

### 2. უპასუხეთ კითხვებს. თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ:

- ა. ორი მეგობარი მიღიოდა და ნანას ფილმზე საუბრობდა. უცრად უკან, მათთან ახლოს, მანქანის სიგნალის ხმა გაისმა. ბიჭები დაუფიქრებლად და უკანმოუხედავად გზის ნაპირისკენ გაიქცნენ. რომელი რეფლექსი ამუშავდა, უპირობო თუ პირობითი?
- ბ. ღამეა. ოთახში ბნელა. გაგელვიათ და გსურთ გაიგოთ, რომელი საათია. თქვენ შეუცდომლად განასაზღვრეთ ჩამრთველის ადგილმდებარებობა და შექი აანთოთ. პირობითი თუ უპირობო რეფლექსია თქვენი მოძრაობა ჩამრთველის მიმართულებით?
- გ. ხშირად პატარა პავშვები თეთრხალათიანი ადამიანის დანახვისას ტირილს იწყებენ. რატომ ხდება ასე?
- დ. ადამიანები, რომელსაც კბილების მკურნალობისას ტკივილი გადაუტანიათ, სტომატოლოგიურ კაბინეტში შესვლისას ფითორდებიან, ხელები უკანკალებთ, ჭარბად გამოყოფათ ოული. რით ახსნით ამას?
- ე. ზოგჯერ სპორტსმენს, რომელიც სტარტზე დგას, „გული არ უთმენს“ და ადგილს სტარტის სიგნალამდე წყდება. პირობითი შეკავების რომელი ტიპი აქვს შესუსტებული ამ სპორტსმენს?

## 35 გონივრული მოქმედება. მატყველება. აზროვნება

ჩვენ ყველა კოლექტივში ვცხოვრობთ. ეს მუ-  
ლივი ურთიერთობის აუცილებლობას მოით-  
ხოვს და ჩვენ ამას მეტყველების საშუალებით  
ვაღწევთ.

- რა არის მეტყველება?
- რა ფუნქციას ასრულებს იგი?

### საქმიანობა

#### სამუშაოს მსვლელობა:

1. ერთი ნუთის განმავლობაში ჩაიწერეთ ნებისმიერი სიტყვები, რომელიც თავში მოგიით, მაგრამ არ ჩამოთვალოთ თქვენი მხედველობის არეში მყოფი საგნები.
2. დათვალეთ თქვენ მიერ ჩაიწერილი სიტყვების რაოდენობა.
  - ჯამრითელი, აქტიური ადამიანისთვის, რომელიც კარგად ფლობს მოცემულ ენას, სიტყვების საშუალო რაოდენობაა 19-21 სიტყვა.
  - დაბალი მაჩვენებელი (10 სიტყვა წთ.-ში) მიუთითებს დაღლილობაზე, ენის არასრულფასოვან ცოდნაზე ან სააზროვნო პროცესების დაქვეითებაზე.
  - მაღალი მაჩვენებელი (35-40 სიტყვა წთ.-ში) მოწმობს სწრაფ მეტყველებას, აზროვნების აჩქარებულ ტემპს.
- როგორ ფიქრობთ, რაზეა დამოკიდებული თქვენი შედეგი?

**გონივრული მოქმედება.** უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლაში ცხადყო, რომ პირობითი რეფლექსების ნარმოშობა და შეკავება ადამიანსა და ცხოველებში საერთო კანონზომიერებებით მიმდინარეობს. მაგრამ მხოლოდ პირობითი რეფლექსებით ზოგიერთი სიტუაციის ახსნა შეუძლებელია. მაგალითად, შეუძლებელია პირობითი რეფლექსი ვუნოდოთ მშიერი მაიმუნის ქცევას, რომელიც ცდილობს მისწვდეს ჭერზე დაკიდულ ბანანს და ამისთვის ერთმანეთს არგებს ბამბუკის ღრუიან ჯოხებს.

#### გონივრული მოქმედება

მაიმუნი ცდილობს ჭერიდან ბანანის ჩამოხსნას და ერთმანეთთან აკავშირებს ბამბუკის ორ ჯოხს



ცხოველების უნარს, აღმოჩენის კანონზომიერებები, რომელიც საგნება და მოვლენებს აკავშირებს და გამოიყენონ ისინი ახალ პირობებში, გონივრული მოქმედება ეწოდება. ორგანიზმის გონივრული მოქმედების დონე მისი ნერვული სისტემის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. გონივრული მოქმედება გარემო პირობებთან შეგუებულობის უმაღლესი ფორმაა.

გონივრული მოქმედების გამო ორგანიზმი არა მარტო ეგუება გარემოს მუდმივად ცვალებად ჰირობებს, არამედ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მომავალი ცვლილებები და გაითვალისწინოს ისინი ქცევისას.


**მეტყველება.** ცხოველები გარემოს საგნებსა და მოვლენებს აღიქვამენ მხედველობის, სმენის, გემოვნებისა და ყონისვის ანალიზატორების, ანუ პირველი სასიგნალო სისტემის საშუალებით.

ცხოველებისგან განსხვავებით, ადამიანები ამ დანიშნულებისთვის იყენებენ მეტყველებასაც – მეორე სასიგნალო სისტემას. ყოველი სიტყვა გარემომცველი სამყაროს საგნის ან მოვლენის განსაზღვრისთვის შესაბამის ბერით სიგნალს წარმოადგენს. ყველაფერს, რასაც ადამიანი შეგრძნების ორგანოებით აღიქვამს, იგი სიტყვების საშუალებით გამოხატავს.

მეტყველება ადამიანის თანდაყოლილი უნარია. მაგრამ, თუ იგი ადრეულ ასაკში საზოგადოებისგან იზოლირებულია, მაშინ ის მეტყველების უნარს დაკარგავს. ბავშვი მეტყველებას 5-6 წლის ასაკამდე სწავლობს. თუ ის ვერ შეძლებს ამეტყველებას ამ ასაკამდე, მაშინ იგი გონებრივ განვითარებაში ჩამორჩება. ის, თუ რა ენაზე ილაპარაკებს ბავშვი, დამოკიდებულია, თუ რა ენაზე მეტყველებენ მის გარშემო მყოფი ადამიანები. მეტყველების ფუნქციები დაკავშირებულია ტვინის მრავალ უბანთან. ზეპირი მეტყველების ფორმირებაში მონაწილეობს მარცხენა ნახევარსფეროს შუბლის წილი, ხოლო წერითი მეტყველების ფორმირებაში – თხებისა და საფეხულის წილები.

ზეპირი და წერითი მეტყველება ადამიანს საშუალებას აძლევს გაუზიაროს ინფორმაცია გარშემო მყოფებს, გადასცეს თავისი ცოდნა მომავალ თაობებს.

**აზროვნება.** გონივრული მოქმედების უმაღლესი ფორმა ადამიანში აზროვნების სახით ვლინდება.



აზროვნება – ეს ადამიანის უნარია სიტყვებისა და ცნებების საშუალებით წარმოიდგინოს და გაუზიაროს სხვა ადამიანებს საგნებისა და გარესამყაროს მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულება.

### საკვანძო სიტყვები

- გონივრული მოქმედება
- მეტყველება

სიტყვა აზროვნებას კონკრეტული სინამდვილისაგან მიჯნავს, რის შედეგადაც ადამიანის მეტყველება აბსტრაქტული აზროვნების საშუალებად იქცევა. აბსტრაქტული აზროვნება მეორე სასიგნალო სისტემის მონაწილეობით წარმოიქმნება.

სიტყვების საშუალებით ადამიანებს შეუძლით აღნერონ ესა თუ ის პროცესი, განმარტონ თავისი შთაბეჭდილებები და აბსტრაქტული წარმოდგენებიდან რაიმეს ხატება შექმნან. მაგალითად, სიტყვა „ლიმონის“ გაგონებისთანავე თქვენ წარმოიდგენთ, რომ ის ყვითელი, წვნიანი და მჟავეა. ამასთანავე გამოვეყოფათ დიდი რაოდენობით ნერწყვი. ამგვარად, ადამიანს სიტყვების საშუალებით შეიძლება ჩამოუყალიბდეს სრული წარმოდგენა იმ საგნებსა და მოვლენებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში მის გარემომცველ სინამდვილეში არ არსებობს.

აზროვნება აერთიანებს მთელ რიგ ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქტირება, განზოგადება, შედარება ეტალონთან, რომელიც მეხსიერებაშია და სხვ.

### აიღვაზული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

#### 1. შეარჩიეთ პასუხის სწორი ვარიანტი:

- წერითი მეტყველების ფორმირებაში მონაწილეობს საფეთქლის/კეფის წილი.
- მეორე სასიგნალო სისტემა ახასიათებს მხოლოდ ცხოველებს/ადამიანს.
- ზეპირი მეტყველების ფორმირებაში მონაწილეობს მარჯვენა/მარცხენა ნახევარსფეროს შებლის წილი.
- საგნების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენა ხდება განზოგადების/შედარების პროცესში.
- აბსტრაქტული აზროვნება ხდება პირველი/მეორე სასიგნალო სისტემის მონაწილეობით.
- საგნების ნაწილებისა და თვისებების წარმოსახვით გაერთიანებას ეწოდება ანალიზი/სინთეზი.

#### 2. შეავსეთ ცხრილი:

სააზროვნო ოპერაცია	აღნერა	მაგალითი
ანალიზი		
სინთეზი		
განზოგადება		
შედარება		

#### 3. როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან მეტყველება და აზროვნება?

## 36 ქოციები და მასივება

გაკვეთილზე, მასნავლებლის მოსმენისას, თქვენ ცდილობთ დაიმახსოვროთ ის, რას-აც იგი ხსნის. შემდეგ გაკვეთილზე თქვენ აღიდგენთ იმას, რაც დაიმახსოვრეთ.



- რატომ არ გვამახსოვრდება მთელი ინფორმაცია?
- რამდენ ხანს და რა მოცულობის ინფორმაციის შესხვა შეგიძლიათ თქვენს მეხსიერებაში?

**ემოციები.** ადამიანი მუდმივად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას გარემომცველი სამყაროსა და საგნების მიმართ. ამას ემოციები (ლათ. „emoneo“ – ვაღელვებ) ეწოდება. ემოციები რომ არა, ადამიანს არ ექნებოდა სიხარულისა და სევდის განცდა. ემოციები, ჩვეულებრივ, ორ ჯგუფად იყოფა: დადებით (მხიარულება, სიხარული, მადლიერება) და უარყოფით (სევდა, ნაღველი, სასოწარვეთა, მრისხანება, ზიზლი და ა.შ.) ემოციებად. ნებისმიერი ემოციური მდგომარეობისას ორგანიზმში ხდება მთელი რიგი ისეთი ცვლილებები, როგორებიცაა, არტერიული წნევის მომატება, გულისცემის აჩქარება; საბოლოო ჯამში, სისხლში იმატებს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დონე. ემოციების წარმოქმნისას მიმდინარე რეაქციების ფიზიოლოგიური როლი მეტად მნიშვნელოვანია – ამ დროს ხდება ორგანიზმის ძალების მობილიზება.

ყოველ ემოციას თან ახლავს გამომსახველი მოძრაობები, რომლებიც ამცირებენ ემოციით განპირობებულ დაძაბულობას. გამომსახველი მოძრაობების შედეგად იცვლება ადამიანის ხმის ტონი, ინტონაცია, სიარული, სხეულის მდგომარეობა. ამ ნიშნების მიხედვით შესაძლებელია ადამიანის ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა. გამომსახველი მოძრაობებით შესაძლებელია სასურველი ემოციის გამოწვევა. ამის ნათელი მაგალითია მსახიობის მიერ როლის გათავისება (მორგება). პერსონაჟის ხასიათის შექმნისას მსახიობი თვითონაც განიცდის და შესაბამისი ემოციები უჩნდება.

### საქმიანობა

**მეხსიერების გამოკვლევა.** (სამუშაო სრულდება წყვილებში)  
სამუშაოს მსვლელობა (რიგირიგობით ასრულებს ორივე მოსწავლე)

- ა) 1. დაწერეთ ფურცელზე ნებისმიერი 10 სიტყვა.
  2. დაანახეთ სიტყვები თქვენს მეგობარს 30წმ.-ის განმავლობაში, სთხოვეთ დაიმახსოვროს და შემდეგ გამოეროს ისინი.
  3. შედეგები გაანალიზეთ.
- ბ) მოისწინეთ მასნავლებლის მიერ ჩამოთვლილი 10 სიტყვა, ხუთი წამის შემდეგ ჩაწერეთ ისინი. შედეგები გაანალიზეთ.
- (თუ შედელით 6-ზე ნაკლები სიტყვის გამეორება – მეხსიერება სუსტი გაქვთ, საჭიროა მისი გავარჯიშება; 6-9 სიტყვა – კარგი მეხსიერება გაქვთ; 10 სიტყვა – შესანიშნავი შედეგი).
- რით განსხვავდება პირველი ექსპრომენტი მეორისგან? რაზეა დამოკიდებული აღდგენილი ინფორმაციის ხარისხი?

ზოგჯერ, იმისთვის, რომ ბავშვმა არ გააკეთოს გამომსახველი მოძრაობები, მშობლები ცდილობენ მისი სურვილების ასრულებას. შემდგომში, როცა ბავშვის სურვილი არ სრულდება, ის განზრახ აძლიერებს გამომსახველ მოძრაობებს, რაც მის განებივრებას იწვევს.

### საკვანძო სიტყვები

- ემოციები
- მეხსიერება

ემოციების წარმოქმნაში მონაწილეობს დიდი ნახევარსფეროების ქერქის შუბლისა და საფეთქლის წილები და შუა ტვინი. ემოციებს ძირითადად შუბლის წილი მართავს.

**მეხსიერება.** მეხსიერება – ეს არის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე პროცესების კომპლექსი, რომელიც ინფორმაციის დაგროვებას, შენახვას და ინდივიდუალური გამოცდილების საჭირო მომენტში აღდგენას უზრუნველყოფს. მეხსიერების ფორმირებაში თავის ტვინის ქერქი მონაწილეობს. მას განსაკუთრებული ცენტრი არ გააჩნია, მაგრამ შუბლისა და საფეთქლის წილების დაზიანებისას მეხსიერება ქრება.

თანამედროვე შეხედულებით, მეხსიერების განმსაზღვრელი ცენტრები ერთმანეთს დახშული ძენცვების სისტემით უკავშირდება. ნერვული იმპულსები ამ ძენცვების სისტემაში გავლისას მათ შემადგენელ ნეირონებში ბიოსინთეზის პროცესების ცვლილებებს იწვევს. ამის შედეგად წარმოიქმნება განსაკუთრებული ნივთიერებები, რომელებიც მეხსიერების კვალს შეიცავს. რაც უფრო ხშირად გაივლის ნერვული იმპულსები ამ ნეირონებში, მით მეტი ასეთი ნივთიერება წარმოიქმნება. ამიტომ მასალის უკეთ შენახვისთვის ის მუდმივად უნდა გამეორდეს.

**მეხსიერების სახეები.** მეხსიერება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორებიცაა ამოცნობა, დამახსოვრება და აღდგენა. ამ პროცესების ხანგრძლივობის მიხედვით განარჩევენ მეხსიერების სამ ტიპს.

სენსორულ ან მომენტალურ მეხსიერებას შეუძლია შეინახოს ინფორმაციის გავლენის კვალი, რომელიც შეგრძნების ორგანოებიდან მოდის, სულ რამდენიმე წამის განმავლობაში. თუ მიღებული სიგნალები არ შეეხდა ტვინის უმაღლეს განყოფილებებს, მაშინ მეხსიერების კვალი იშლება და რეცეპტორები ახალ სიგნალებს აღიქვამს.

თუ რეცეპტორებიდან მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია, მაშინ იგი ხამოკლე მეხსიერებაში გადადის. მასში დაცულია ის ინფორმაცია, რომელზეც ადამიანი მოცემულ მომენტში ფიქრობს. თუ ინფორმაცია არ გამეორდა, ის მეხსიერებიდან წაიშლება. მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც გამეორებით ან სხვა შეხსენებებითაა განმტკიცებული, გადადის ხანგრძლივ მეხსიერებაში და დიდხანს – თვეების, წლების მანძილზე გვამახსოვრდება.

ინფორმაციის დამახსოვრების ხასიათის მიხედვით არსებობს ორი ტიპის მეხსიერება: ნებითი და უნებლივი. უნებლივი მეხსიერებით ინფორმაციის დამახსოვრებას არავითარი ძალისხმევა არ სჭირდება. მეხსიერების ეს ტიპი გაუცნობიერებლად ყალიბდება. ადამიანის სასიცოცხლო გამოცდილების ძირითადი ნაწილი სწორედ ამ მეხსიერების ხარჯზე მიიღება. უნებლივი მეხსიერება უკეთ აქვთ გამოხატული ბავშვებს.

ნებითი მეხსიერების შემთხვევაში ინფორმაციის დამახსოვრებისას საქმეში ცნობიერება ერთვება. ადამიანი მიზნად ისახავს ინფორმაციის დამახსოვრებას.

დასამახსოვრებელი ინფორმაციის ხასიათის მიხედვით მეხსიერება შემდეგ სახეებად იყოფა: მოძრაობითი, ხატოვანი, ემოციური და სიტყვიერი.

მოძრაობითი მეხსიერება – ეს არის მოძრაობითი უნარების საფუძველზე, ამა თუ იმ მოძრაობების დამახსოვრება და გამეორება. მაგალითად, სპორტული და საცეკვაო მოძრაობები, წერა.

ხატოვანი მეხსიერება – ეს არის სახეების, ხმების, ბუნების სურათების, სუნის, მუსიკის დამახსოვრება და აღწერა. ხატოვანი მეხსიერება კარგად

აქვთ განვითარებული მსახიობებს, პოეტებს, მწერლებსა და მხატვრებს. მხედველობის, სმენის, ყნოსვისა და გემოვნების ორგანოები საშუალებას აძლევს ადამიანს დაიმახსოვროს და აღწეროს გარკვეული სურათ-ხატები.

ემოციური მეხსიერება – ეს არის ადამიანის მიერ განცდილი გრძნობების დამახსოვრება. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ადამიანს ემოციურ მდგომარეობაში ყოფილსას გამოუმუშავდება, ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებას უწყობს ხელს. ემოციური მეხსიერება – ეს გრძნობების მეხსიერებაა. ამის გამო, მოვლენები, რომლებიც დადებით ან უარყოფით ემოციებთანაა დაკავშირებული, უკეთ გვამახსოვრდება.


სიტყვიერი მეხსიერება – ეს არის ადამიანის უნარი დაიმახსოვროს და აღიდგინოს წაკითხული, გაგონილი ან წათქამი სიტყვები.

მეხსიერების ტიპები ურთიერთდაკავშირებულია. ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ტიპის მეხსიერებაა ჩართული. არსებობს მეხსიერების სახეები, რომლებიც ანალიზატორებთანაა დაკავშირებული.


25 წლის ასაკში მეხსიერება ყველაზე კარგადაა განვითარებული. 50 წლის შემდეგ იგი სუსტდება. პროფესიული მეხსიერება შენარჩუნებულია ხანდაზმულ ასაკშიც. მეხსიერების გაუმჯობესება შესაძლებელია ვარჯიშით.

## მიღაბული ცოდნის შემოხახა და გამოყენება

### 1. დაასრულეთ სქემები



2. აღწერეთ ნებისმიერი ორი ემოცია შემდეგი გეგმის მიხედვით: ა) ემიციის დასახელება; ბ) ემოციის ტიპი (დადებითი, უარყოფითი); გ) წარმოშობის მიზეზი; დ) (ცვლილებები გარეგნობაში (თვალების და სახის გამომეტყველება, უსტები და ა.შ.); ე) ამოარჩიეთ ემოციის სქემატური გამოსახულება (სურათი) და ჩაიხატეთ იგი რვეულში.



- შეარჩიეთ გამოჩენილი ადამიანების პორტრეტების რეპროდუქციები. შეადგინეთ მათი ემოციური მდგომარეობის აღწერილობა.
- შემოგვთავაზეთ მოსწავლის მეხსიერების გავარჯიშების ეფექტური მეთოდები.

## 37 ძილი

ადამიანი ძილში თავის ცხოვრების მესამედს ატარებს. ძილი ადამიანისთვის ისევე აუცილებელია, როგორც წყალი და საკვები. თუ ადამიანს სამი დღე-ლამის განმავლობაში არ სინაცხა, მას ყურადღება და მესამედი ერღვევა, უსუსტდება ემოციები, უქვეითდება შრომისუნარიანობა.



- რატომ არ შეუძლია  
ადამიანს ძილის  
გარეშე არსებობა?

### საქმიანობა

გაანალიზეთ ცხრილის „სხვადასხვა ასაკის ადამიანების ძილის ხანგრძლივობა“ მონაცემები:

ასაკი	ძილის ხანგრძლივობა (საათები დღე- ლამეში)
ახალშობილები	21
6 თვეიდან – 1 წლამდე	15
4 წელი	12
10 წელი	10
14 წელი	8-9
მოზრდილები	7-8

- როგორ იცვლება ძილის ხანგრძლივობა ასაკთან დაკავშირებით? როგორ შეიძლება ამის ახსნა?

ძილი – ეს არის ადამიანის ციკლური ფუნქციური მდგომარეობა. ამ დროს იგი მიზანდასახულ ქმედებასა და გარემოსთან აქტიურ ურთიერთობას მოკლებულია. ძილის დროს ტვინის აქტივობა არ ირღვევა – იგი თავის ქმედითუნარიანობას აღიდგენს.

ძილი ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესია. ძილის ხანგრძლივობა ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასა და ასაკზეა დამოკიდებული.

**ძილის ფაზები.** საშუალო ასაკის ადამიანის 7-8 საათიანი ძილი 4-5 ციკლისგან შედგება. ყოველ ფაზაში ორ ფაზას – ნელ და სწრაფ ძილს გამოყოფენ.

ნელი ძილის ფაზა ადამიანის ჩაძინებიდან იწყება და 1-1,5სთ. გრძელდება. ამ დროს ქვეითდება ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა, კუნთები დუნდება, ნელდება გულის, სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობა, მცირდება სხეულის ტემპერატურა.

სწრაფი ძილის ფაზა ნელი ძილის ფაზას მოსდევს და 10-15 წთ-ს გრძელდება. ამ დროს აქტიურდება შინაგანი ორგანოების მუშაობა, ხშირდება პულსი და სუნთქვითი მოძრაობები, იმატებს სხეულის ტემპერატურა, იუმშება თვალის მამოძრავებელი, მიმიკური და სხვა კუნთები. გამთენისას სწრაფი ძილის ხანგრძლივობა 20-30 წუთამდე იმატებს. სწრაფი ძილის ფაზის გაზრდის გამო გამოღვიძებისას აქტიურდება ორგანიზმის ფუნქციები.

**ძილის ფიზიოლოგიური ბუნება.** ტვინის ღეროში ჩვეულებრივი და ფიზიელი ძილის დროს მოძრაობებზე პასუხისმგებელი ცენტრები მდებარეობს. მაგალითად, ძილზე პასუხისმგებელი ცენტრის გაღიზიანებისას კატა მოიკუნტება და იძინებს. სიფხიზლის ცენტრის გაღიზიანებისას კი იგი იღვიძებს. მოძრაობის შემაკავებელი ცენტრის უჯრედების დაზიანებისას მძინარე ცხოველები იმეორებენ იმავე მოძრაობებს, რომელსაც ძილის წინ ასრულებდნენ.

### საკვანძო სიტყვები

- ნელი ძილი
- სწრაფი ძილი

**სიზმარი.** სიზმრის დროს აგზნება, რომელიც მხედველობის სისტემაში წარმოქმნება, ტვინის ქერქის კეფის წილს გადაეცემა და ამის შედეგად აქ მდებარეულებების აქტივობა იმატებს. იშვიათ შემთხვევაში სიზმარი სმენით, ყნოსვის და გემოვნების შეგრძნებებთანაა დაკავშირებული. ადამიანი სიზმრებს როგორც სწრაფი, ისე ნელი ძილის ფაზებში ხედავს. სწრაფი ძილის ფაზაში წარმოქმნილი სიზმრები, როგორც წესი, ფანტასტიკური ხასიათისაა. ნელი ძილის ფაზის სიზმრები კი რეალურ ცხოვრებასთან სიახლოვით და ნაკლები ემოციურობით გამოირჩევა. დადგენილია, რომ სიზმრის ხასიათი დამოკიდებულია იმ გრძნობებსა და მოვლენებზე, რომლებიც ადამიანმა დღის განმავლობაში განიცადა.

**ძილის დამრღვევი ფაქტორები.** მკვეთრი სინათლე, ხმაური, სხვადასხვა სუნი, შენაგანი ორგანოების მიერ მოწოდებული სიგნალები (ისეთი, როგორებიცაა მშენები კუჭი, სავსე შარდის ბუშტი და ა.შ.) ძილის დარღვევის მიზეზებია. უმოძრაობა, დღის განმავლობაში დალლის არარსებობა, ასევე წარმოადგენს დაძინების ხელის შემშლელ ფაქტორებს. გარდა ამისა, დღეს ძილის დამრღვევ კიდევ ერთ ფაქტორად გვევლინება ინფორმაციის სიჭარბე, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის წყაროებიდან ვიღებთ.

**ძილის ჰიგიენა.** ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად ადამიანმა აუცილებლად უნდა დაიცვას ძილის ხანგრძლივობისა და პირობების მიმართ დანესებული ჰიგიენის წესები. საკვები უნდა მივიღოთ დაძინებამდე მინიმუმ ორი საათით ადრე. მძიმე ფიზიკურ და გონიერივ შრომას გვიან საღამოს თავი უნდა ავარიდოთ. ძილის წინ რეკომენდებულია სუფთა ჰაერზე გასეირნება, თბილი აბაზანის მიღება და რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ ძილის წინ ზედმეტი ჭამა არ შეიძლება.

### მიღებული ცოდნის შაომრევა და გამოყენება

#### 1. ამოარჩიეთ მართებული დებულებები:

- ადამიანი თავისი სიცოცხლის ნახევარს ძილში ატარებს.
- სიზმრები, რომლებიც სწრაფი ძილის ფაზაში გვესიზმრება, როგორც წესი, ფანტასტიკური ხასიათისაა.
- დღის განმავლობაში მიღებული ინფორმაცია სიზმრებში, როგორც წესი, არ იცვლება.
- ნერვული გადაღლა უძლობას იწვევს.
- სიზმრის ხილებისას მხედველობის სისტემაში წარმოქმნილი აგზნება ტვინის ქერქის საფეხულის წილს გადაეცემა.

#### 2. შეიტანეთ ნიშნების ალწერა ცხრილის შესაბამის გრაფაში:

- 1) ორგანიზმის ყველა სისტემის აქტივობა ქვეითდება;
- 2) გრძელდება 10-15 წუთს;
- 3) კუნთები იკუმშება;
- 4) კუნთები დუნდება;
- 5) სხეულის ტემპერატურა იკლებს;
- 6) სხეულის ტემპერატურა იმატებს;
- 7) ყველა ორგანოთა სისტემის მოქმედება აქტიურდება;
- 8) გრძელდება 1-1,5 საათს.

ნელი ძილის ფაზა	სწრაფი ძილის ფაზა

**3. ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ:**

ძილის ხელის შემშლელი ფაქტორები	ძილის ხელის შემწყობი ფაქტორები
1.	1.
2.	2.
3.	3.
4.	4.

**4. ამოხსენით ამოცანა.**

თუ ღამით ადამიანის ძილი 5 ციკლისგან შედგებოდა, როგორია ამ დროს ნელი ძილის მაქსიმალური ხანგრძლივობა?

## 38 უაღლესი ხერვული მოქმედების ძირითადი ფიარი



- რატომ იქცევან ერთნაირ ცხოვრებისეულ სიტუაციაში სხვადასხვა ადამიანები განსხვავებულად?
- როგორ შეიძლება ნერვული სისტემის ტიპმა, ხასიათმა, მიღწეულებებმა იმოქმედოს ადამიანის პროფესიის არჩევზე, გარშემო მყოფებთან ურთიერთობის ანუკანაზე?

ყოველი ადამიანი სხვებისგან თავის სპეციფიკური ინდივიდუალური თვისებებით განსხვავდება. ასე, მაგალითად, სხვადასხვა ადამიანები განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ გარკვეული მეცნიერებების შესწავლის მიმართ, ირჩევენ სხვადასხვა პროფესიებს, განსხვავებულად ეგუებიან გარემოს. ადამიანის პირადი თვისებების ცოდნა, როგორიც ახასიათებს უმაღლესი ნერვული მოქმედების შესაბამის ტიპს, შესაძლებლობას მოგვცემს, ზუსტად განვსაზღვროთ მისი ქცევა. მოძღვრება ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ მჭიდროდაა დაკავშირებული ტემპერამენტის გაგებასთან.

**ტემპერამენტი** (ლათ. „temperamentum“) ნაწილების მართებული შეთანა-წყობა, თანაფარდობა) – ახასიათებს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების დინამიკურ თვისებებს. ტემპერამენტის მთავარი კომპონენტებია პიროვნების საერთო აქტურობა, მისი მოძრაობითი აქტურობა და ემოციურობა.

### საქმიანობა

1. ყოველი მტკიცებულების გასწროვ დანერეთ ქულები 0-დან 10-მდე. თუ თქვენ თვლით, რომ მოცემული მტკიცება მთლიანად შეგვერებათ, დანერეთ 10 ქულა. თუ საერთოდ არ შეგვერებათ, მაშინ 0 ქულა, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ დანეროთ ნებისმიერ შეფასება 0-დან 10-მდე.
2. დათვალეთ დაგროვილი ქულების საერთო რაოდენობა ქვემოთ მოცემული ფორმულის მიხედვით.
3. გადაიტანეთ რვეულში „ტემპერამენტის ფორმულა“. პირველ ადგილზე დაწერეთ ასო, რომლის მიხედვითაც ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეთ. მეორე ადგილზე ასო – ნაკლები ქულებით და ა.შ. შესაბამისი სიმბოლოები – მ, ს, ქ, ფ – ჩანერეთ შემცირების მიხედვით.
4. თქვენ გამოგივიდათ ასოებისგან შედგენილი ფორმულა. ეს თქვენი ტემპერამენტის „ფორმულაა“.

მტკიცებები	ქულები
1. ამა თუ იმ, ჩემთვის მნიშვნელოვანი, მოვლენის წინ ვლელავ.	
2. ვმუშაობ არათანაბრად.	
3. ერთი საქმიდან მეორეზე ადვილად გადავერთვები.	
4. თუ საჭიროა, შეიძინოთ მშვიდად დაველოდო.	
5. მჭირდება თანაგრძნობა და დახმარება, განსაკუთრებით სიძნელეებისა და მარცხის დროს.	
6. თანატოლებაზან თავშეუკავებელი და ფიცხი ვარ.	
7. არჩევნის გაკეთება არ მიჰირს.	
8. მე არ მინევს ემოციების მოთავსა, ეს თავისთვალ ხდება.	

„ტემპერამენტის ფორმულა“

მ (მელანქოლიკ) = 1+5 (1-ლი და მე-5 კითხვების ქულათა ჯამი)

ქ (ქოლერიკ) = 2+6 (მე-2 და მე-6 კითხვების ქულათა ჯამი)

ს (სანგვინიკი) = 3+7 (მე-3 და მე-7 კითხვების ქულათა ჯამი)

ფ (ფლეგმატიკი) = 4+8 (მე-4 და მე-8 კითხვების ქულათა ჯამი)

– რა დასკვნა შეიძლება გაფაკეთოთ ჩატარებული სამუშაოს შემდეგ?

### საკვანძო სიტყვები

- ტემპერამენტი
- ქოლერიკი
- ფლეგმატიკი
- სანგვინიკი
- მელანქოლიკი

ტემპერამენტის შესახებ სწავლების ფუძემდებლად ძველი ბერძენი ექიმი ჰიპოკრატე ითვლება. მოგვიანებით გამოჩენილმა ექიმმა კლავდიუს გალენმა შეიმუშავა ტემპერამენტების პირველი კლასიფიკაცია. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ფართოდ გამოიყენება მის მიერ აღნერილი ტემპერამენტის 4 ტიპი – სანგვინიკი, ქოლერიკი, მელანქოლიკი და ფლეგმატიკი.

### გრაფიკულად გამოსახული ტემპერამენტის ძრითადი ტიპები

განსხვავდული ტემპერამენტის მქონე ადამიანების ტრიპური რეაქცია სიტუაციაში, როცა უცხო ადამიანი დაჯდა მათ ქუდზე (დანიელი მხატვრის, ხერლუფ ბიტსტრუპის კარიკატურა).



ქოლერიკი  
(ფრიცხი)

ადვილად აგზნებადი  
ოპტიმისტური  
ენერგიული  
კატეგორიული  
ფიცხი  
დაუინებული  
თავის მოქმედებას ვერ აკონტროლებს



ფლეგმატიკი  
(ინერტული)

პასიური  
კეთილგანწყობილი  
მშვიდობისმოყვარე  
ნინდახედული  
სამედო  
გარონასწორებული  
მშვიდი  
შეუპოვარი



მელანქოლიკი  
(სუსტი)

ბუტია  
პესიმისტი  
პასიური  
დეპრესიისკენ მიდრევილი  
მერყევი  
უარყოფითი ემოციებისკენ მიდრევილი  
არაკომენი გაბელური  
მშვიოთვარე  
ფრთხილი



სანგვინიკი  
(ცოცხალი)

გულლია  
თავშეეაცებული  
ინიციატივაზე  
ცნობისმოყვარე  
ფართო ინტერესების მქონე  
ენერგიული  
აუდელვებელი  
უზრუნველი

ადამიანის ტემპერამენტის მეცნიერული საფუძველი ი. პავლოვმა შექმნა. მან აგზნებისა და შეკავების სპეციფიკური თავისებურებების შესწავლისას დაადგინა, რომ ადამიანისა და ცხოველის ნერვული სისტემები ერთმანეთისგან ნერვული პროცესების აგზნებადობითა და გაწონასწორებულობით განსხვავდება.

სანგვინიკი (ბერძ. „*sanquis*“ – სისხლი, სასიცოკხლო ძალა). ნერვული სისტემის ამ ტიპის მქონე ადამიანები ცნობისმოყვარეები არიან, აქვთ ფართო ინტერესები, ენერგიულები, აუდელვებულები და თავშეკავებულები არიან.

ფლეგმატიკი (ბერძ. „*fleagma*“ – ლორწო, ნახევლი). ასეთი ტიპის ნერვული სისტემის მქონე ადამიანები ემოციურები, თავშეკავებულები, მშვიდები, მიზანდასახულები არიან და მიღრეკილება აქვთ გარკვეული სტაბილური ჩვევებისკენ.

ქოლერიკი (ბერძ. „*chole*“ – ნალველი). ასეთი ტიპის ნერვული სისტემის მქონე ადამიანებს ახასიათებთ ენერგიულობა, სიჯიუტე, კატეგორიულობა, მაგრამ ხშირად საკუთარ ქცევებს ვერ აკონტროლებენ. მათში უმეტესად დადებითი ემოციები ჭარბობს.

მელანქოლიკი (ბერძ. „*melainachole*“ – შავი ნალველი). მელანქოლიური ტემპერამენტის მქონე ადამიანები პასიურები არიან, ადვილად იბუტებიან, ახასიათებთ დეპრესიისკენ მიღრეკილება, თავის თავში დარწმუნებულები არ არიან. მათში ძირითადად ჭარბობს უარყოფითი ემოციები.

ადამიანთა უმრავლესობას აქვთ ოთხივე ტიპის ტემპერამენტისთვის დამახასიათებელი თვისებები, მაგრამ ერთ-ერთის თვისებები ჭარბობს. ნერვული სისტემის ტიპი თანდაყოლილია და ადამიანის ფსიქიკური მოქმედების, მისი ტემპერამენტის საფუძველს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ტემპერამენტი გავლენას ახდენს ხასიათის ამა თუ იმ თავისებურების ფორმირების სიჩქარეზე. თუმცა ნერვული სისტემის ტიპმა შეიძლება ინდივიდუალური განვითარების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადოს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ამ დროს მოქმედებს, სოციალური გარემოა. სწორედ ამის გამო აზრდა უდიდეს როლს ასრულებს ნერვული სისტემის ტიპის ჩამოყალიბებაში. სპორტი და ფიზიკური დატვირთვა არა მარტო ჯანმრთელობის გაძლიერებაზე ახდენს გავლენას, არამედ ხელს უწყობს ძლიერი, მდგრადი, მოძრავი(ცოცხალი) ტიპის ნერვული სისტემის ჩამოყალიბებას.

## მიღებული ცოდნის შემოხევა და გამოყენება

### 1. მოყვანილი დახასიათებების მიხედვით განსაზღვრეთ ტემპერამენტის სახე:

- 1) ფარიდა ორგანიზაციის საუკეთესო მდივან-რეფერენტად ითვლება. კოლეგებთან და კლიენტებთან ურთიერთობისას ყოველთვის გულთბოლი და კეთილგანწყობილა. განვითარებული ხასიათი მას საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს კონფლიქტური სიტუაციები. ფარიდა კარგი შემსრულებელია, მიღებულ დავალებებს ზედმეტი ფუს-ფუსის გარეშე და დროულად ასრულებს, რადგან იცის სამუშაო დროის სწორი განაწილება.
- 2) აზერი პროგრამისტად მუშაობს. ის მუდამ მშვიდია, განმარტოებული და პირქუშია. წყნა დიდხანს მიყვება. თუ კოლეგას წაეკიდ, მას მთელი დღე არ ელიპარაკება. ურჩევია მშეიც ტემპში მიუშაოს, შეასრულოს მისთვის ნაცნობი იპერაციები. მალე იღლება – დღის ბოლოს სტოკის მისი შრომისუნარიანობა იკლებს.

- 3) ფართადი მხაზველ-კონსტრუქტორად მუშაობს. დავალებულ სამუშაოს ნელა, მაგრამ გულისყურით, თანმიმდევრულად და სუფთად ასრულებს. ძელია მისი გაცინება ან გაპრაზება. ჩუმია. სამუშაო მაგიდა ყოველთვის მოწესრიგებული აქვს, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩნილი. თანამშრომლებთან მეგობრულია.

ფლეგმატიკი	სანგვინიკი	მელანქოლიკი

2. შეავსეთ ცხრილი მითითებული თვისებების გამოყენებით, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ სახის ტემპერამენტის მქონე ადამიანს:

1. თავშეკავებული
2. ჯიუტი
3. პასიური
4. ცნობისმოყვარე
5. გადაუწყვეტელი
6. ფართო ინტერესების მქონე
7. ენერგიული
8. გაძედული
9. მშვიდი
10. აუდელვებელი
11. შეუპოვარი
12. სტაბილური ჩვევების მქონე
13. უარყოფითი ემოციებისკენ მიღრეკილი
14. ბუტია
15. ვერ აკონტროლებს თავის ქმედებებს
16. დადებითი ემოციებისკენ მიღრეკილი
17. დეპრესიისკენ მიღრეკილი

ტემპერამენტის ტიპი	თავისებურებები
სანგვინიკი	
ფლეგმატიკი	
ქოლერიკი	
მელანქოლიკი	

### 3. უპასუხეთ კითხვებს:

- 1) რატომ არ არიან მელანქოლიკებს შორის განთქმული მხედართმთავრები?
- 2) პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ტემპერამენტის ტიპი. როგორ ფიქრობთ, რომელ პროფესიებში არიან ყველაზე წარმატებულნი სანგვინიკები (ქოლერიკები, ფლეგმატიკები, მელანქოლიკები)? ხასიათის რა თავისებურებები ეხმარება მათ აითვისონ ესა თუ ის პროფესია?

## 39 ხასიათი და შესაძლებლობები

- რა არის ხასიათი?
- შეიძლება თუ არა ხასიათის შეცვლა?
- რომელია პირველადი, ხასიათი თუ ტემპერამენტი?

ადამიანის განვითარების პროცესში გარეშე ფაქტორების, აღზრდისა და სწავლების, აგრეთვე მემკვიდრეობით მიღებული თავისებურებების გავლენით ყალიბდება მისი ქცევის ტიპი, ანუ ხასიათი.

**ხასიათი** – ეს არის ადამიანის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ან მოგვიანებით შეძენილი მოქმედებების ტიპური თავისებურებანი, რომელიც მის საქციელში, ჩვევებსა და მომხდარისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატება. ხასიათის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპი.

ადამიანის ხასიათი ასახავს მის სპეციფიკურ, განუმეორებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს. ყოველ ადამიანს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხარეები, როგორებიცაა, პრინციპულობა, თავგანწირვა, გულწრფელობა, პასუხისმგებლობა და ა.შ. ადამიანის ხასიათი მის განვითარებასთან ერთად ყალიბდება.

ადამიანის ხასიათის ფორმირება, ჩვეულებრივ, ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში აღზრდის პროცესში ხდება. ხასიათის ჩამოყალიბებაში ძირითად როლს სოციალური ფაქტორები თამაშობს. გარდა ამისა, ხასიათზე ადამიანის ფიზიკური მდგომარეობაც მოქმედებს.

### საქმიანობა

#### როგორი ხასიათი გაქვთ?

1. გიყვართ თუ არა ცხარე საკვები? 2. კარგად გრძნობთ თუ არა თავს საზოგადოებაში? 3. გაქვთ თუ არა ზოგჯერ სიხარულისგან ნამოხტომის სურვილი? 4. გაქვთ თუ არა სტუმრების გართობის უნარი? 5. ხშირად განტებით თუ არა თავის ტკივილი? 6. გავიწყდებათ თუ არა ზოგჯერ კბილების გახეხვა? 7. გაქვთ თუ არა ყოველთვის ერთნაირი ვარცხნილობა? 8. გიყვართ თუ არა კროსვორდების შევსება? 9. ვარჯიშობთ თუ არა? 10. ხშირად გაქვთ თუ არა მელანქოლიური განწყობა? 11. გიყვართ თუ არა სიჩუმეში, მშვიდ გარემოში მუშაობა?

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
დასხ	3	2	4	3	1	4	3	1	3	1	4
არა	2	1	2	2	2	1	1	4	1	4	1

20 ქულაზე ნაკლები	თქვენ არ გყვართ საზოგადოება, უძირატესობას არიჭებთ სიჩუმეს, ბუნებაში სურვილის ინტენსივობას მნიშვნელოვან ურთიერთობას უფრო დიდ სიმოვნებას განიტენით, ვიდრე ფიციური მისაურიან საზოგადოებაში გატარებულ საღამო სწორედ ამის გამო ზოგიერთი თქვენი ნაცნობი თვლის, რომ მოსაწყინი ადამიანი ხართ.
21 – 25 ქულა	თქვენ ცოტა ქართულური ხართ, ადგილად უაზოლევებით ადამიანებს, მაგრამ ვახასათებით ხასიათის ხშირი ცვლებამობა: ხან ზედმეტად მისაუღლი ხართ, ხან მოწყნილი.
25 ქულაზე მეტი	თქვენ საზოგადოებაში შეუცვლელი ხართ. გაქვთ ოუმორის გრძნობა. თქვენ სხვა ადამიანებს კარგ ხასიათზე აყენებთ: შეგიძლიათ დაუსრულებლად ხუმრიბა, საინტერესო ამბების მოყოლო.

**შესაძლებლობები** – ეს არის თავისებურებათა ერთობლიობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი ან რამდენიმე სახის საქმიანობაში წარმატების მიღწევაში. შესაძლებლობის წარმოშობის პირობა, პირველ რიგში,

თავის ტვინის აგებულების, ანალიზატორებისა და მათი ფუნქციური თვისებების მემკვიდრეობით მიღებული თავისებურებებია. ადამიანის შესაძლებლობები განპირობებულია, როგორც მემკვიდრული მონაცემებით, ისე აღზრდით. ცხადია, რომ შესაძლებლობათა რეალიზება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანი გარკვეულ ძალისხმევას ხარჯავს მათი განვითარებისთვის. ადამიანის შესაძლებლობები შეიძლება ორ ტიპად დაყვოთ:

- საერთო, რომელიც სხვადასხვა სახის საქმიანობაში ვლინდება;
- სპეციალური, რომელიც ერთ კონკრეტულ სფეროში ვლინდება.


გარდა ამისა, შესაძლებლობები შეიძლება იყოს გონებრივი და ფიზიკური. ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები სხეულის აგებულებითა და ბუნებრივი თავისებურებებითაა განპირობებული.

შესაძლებლობის ფარგლებში გამოყოფენ რამდენიმე დონეს: დაბალს, საკმარისს და მაღალს. სპეციალური შესაძლებლობების მაღალი დონე – ტალანტია (ნიჭია). ის ყველას სხვადასხვაგვარად აქვს განვითარებული.

მიდრეკილება – ეს არის რაიმე სახის საქმიანობის სურვილი, სწრაფვა. ამასთან, ამ სახის საქმიანობის შესაძლებლობა ადამიანს შეიძლება ან ჰქონდეს, ან არა. თუმცა შესაძლებლობა და მიდრეკილება, უფრო ხშირად, ერთად ვლინდება და ერთმანეთს შეესაბამება. სწორედ მიდრეკილებები და შესაძლებლობები ეხმარება ადამიანს პროფესიის არჩევაში. შესაძლებლობები ხშირად ბავშვობაში იჩენს თავს და რაიმეს მიმართ განსაკუთრებულ ინტერესში ვლინდება. მიდრეკილება კი შეიძლება ნებისმიერ ასაკში გამოვლინდეს. მაგალითად, ადამიანმა, რომელიც მთელი ცხოვრება ბუღალტრად მუშაობდა, შეიძლება ლექსების წერა დაიწყოს, ფეხბურთის მოყვარული კი უცებ თავის თავში უცხო ენების შესწავლისკენ მიდრეკილებას აღმოაჩენს.

## ეს საინტერესოა

- უდიდესმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა მოცარტმა სპეციალისტები მუსიკის ნიჭით სამი წლის ასაკში გააოცა. რეა წლის ასაკში მან თავისი პირველი სიმფონიები დაწერა.



- როცა მეცნიერებამ, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოღვაწე ყველა გენიოსის შესახებ არსებული მონაცემები განაზოგადეს. აღმოჩნდა, რომ გეოგრაფიულად ისნი არათანაბრად არიან გადანაწილებული. აფრიკაში მოგცა სამი, ლათინურმა ამერიკაში – ერთი, აზიაშ – 18, აშშ-შა – 7. დანარჩენი 71 გენიოს კი ევროპაში დაიბადა.

ცალკეული ფიზიკური მონაცემები მემკვიდრული ფაქტორებით განისაზღვრება. ყველაზე ხშირად მემკვიდრეობით სივრცითი წარმოდგენები, ანუ სამასტვრო და საკონსტრუქტორო შესაძლებლობები გადაეცემა. მეხსიერების თავისებურებების მემკვიდრეობით გადაცემა შედარებით იშვიათია. ამიტომ საჭიროა მეხსიერების მუდმივი განვითარება.

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაიმე შესაძლებლობა არ გააჩნია. მთავარია, დროზე აღმოვაჩინოთ ეს შესაძლებლობები და ხელი მივყოთ მათ განვითარებას. ამისთვის აუცილებელია ნებელობა. ნებელობა – ეს არის ადამიანის შესაძლებლობა, განახორციელოს გაცნობიერებული ქმედებები, რომლებიც სირთულეების დაძლევას მოითხოვს.

საზოგადოების განვითარებამ დაამტკიცა, რომ არც ერთი შესაძლებლობა არ გამოიღებს შედეგს, თუ მისი განვითარებისთვის არ არის გაწეული შრომა.

### მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

1. განმარტეთ მოცემული ცნებები. შეადგინეთ სქემები ან განმარტების შემცველი წინადადებები, რომლებიც ამა თუ იმ ცნებებს შორის კავშირს ასახავს:

მიღებულება

ნიჭი


ხასიათი

ნებელობა

ტემპერამენტი

შესაძლებლობა

2. განმარტეთ, რა შესაძლებლობებით იყვნენ დაჯილდოებულნი ნიზამი განვევი, სათარ ბახლულზადე, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, მუსლიმ მაგომაევი, ვიქტორ ჰიუგო, ჩარლი ჩაპლინი, ომარ ხაიამი.
3. დაადგინეთ თქვენი შესაძლებლობები და მიღებულებები. ემთხვევა თუ არა ისინი ერთმანეთს? რა შესაძლებლობები აქვთ სურათზე გამოსახულ ადამიანებს?



### პროექტი

1. ინტერნეტის რესურსების გამოყენებით, მოამზადეთ Publisher ან WORD -ის პროგრამაში (A4 ფურცლის ფორმატი) ბუკლეტი თემაზე „ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები ბავშვის განვითარებაში“ ან „პიროვნების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები“.
2. შეაგროვეთ ინფორმაცია თემაზე „მოსწავლეებში პირობითი რეფლექსების წარმოქმნა და გაქრობა“. მოახდინეთ ინფორმაციის სისტემატიზება და ცხრილის ფორმით წარმოადგინეთ იგი:

პირობითი რეფლექსები	წარმოქმნის მიზეზები	მნიშვნელობა	გაქრობის მიზეზები

3. შესაბამისი ლიტერატურის ან ინტერნეტის მასალის გამოყენებით შეაგროვეთ ინფორმაცია ადამიანის მეხსიერების შესწავლის მეთოდების შესახებ. წარმოადგინეთ ინფორმაცია ნებისმიერი, თქვენს მიერ არჩეული ფორმით. შეგიძლიათ პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება, სადაც კლასელებთან ერთად გამოიყენებთ ამ მეთოდებს.

4. შესაბამისი ლიტერატურისა და ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით შეაგროვეთ ინფორმაცია ქვემოთ შემოთავაზებულ თემებზე. მოახდინეთ ინფორმაციის სისტემატიზაცია და წარმოადგინეთ იგი ელექტრონული პრეზენტაციის სახით.
- „საინტერესო ფაქტები ძილისა და სიზმრების შესახებ“
  - „სომნამბულიზმი“ (მთვარეულობა)
  - „ჰიპნოზი“
  - „ლეთარგიული (სააღათას) ძილი“
5. შესაბამისი ლიტერატურისა და ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით შეაგროვეთ ინფორმაცია გამოჩენილი ისტორიული პიროვნებების, ლიტერატურული გმირებისა და ზღაპრული პერსონაჟების ტემპერამენტის, ხასიათისა და შესაძლებლობების შესახებ. წარმოადგინეთ ინფორმაცია ილუსტრირებული უკრნალის ან ბუკლეტის სახით.
6. განსაზღვრეთ ოჯახის ნერვების ტემპერამენტის ტიპი და თქვენი ტემპერამენტის თავისებურებების გათვალისწინებით თქვენ მიერ არჩეული ნებისმიერი ფორმით შეადგინეთ ოჯახში უკრნფლიქტი ურთიერთობის პროგრამა.
7. დანერეთ ესე თემაზე „რა პროფესიას ავირჩევდი ჩემი ტემპერამენტისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით?“

### შემაჯამებელი დავალებები

#### 1. აღნიშნეთ პასუხის სწორი ვარიანტი:

- ადამიანის ნელი ძილის თავისებურებაა პულსისა და სუნთქვის შენელება/გახშირება.
- ინსტიქტი – ეს პირობითი/უპირობო რეფლექსების ერთობლიობაა.
- პავლოვის ცდაში სინათლე ძალისთვის პირობითი/უპირობო გამლიზიანებელია.
- ცვალებად სასიცოცხლო პირობებთან შეგუებას ხელს უწყობს პირობითი/უპირობო რეფლექსები.
- ადამიანს ჩაძინების შემდეგ ეწყება სწრაფი/ნელი ძილის ფაზა.
- განცდები, რომლებშიც ადამიანის გარე სამყაროს და საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულება აისახება, მეტსირება/ემოცია ეწოდება.

#### 2. დაადგინეთ შესაბამისობა:

ა. სავნებსა და მოვლენებს შორის მსგავსებისა და განსხვავების მოძრვა პროცესი.

ბ. საერთო თვისებების მქონე საგნებისა და მოვლენების წარმოსახვითი გაერთიანება.

გ. საენის ან მოვლენის წარმოსახვითი დანაწევრება, მისი ნაწილების, ნიშნების, თვისებების გამოყოფა

დ. ელემენტების, ნაწილების, ნიშან-თვისებების ერთ მთლიანობად წარმოსახვითი გაერთიანება.

1. ანალიზი
2. სინთეზი
3. შედარება
4. განზოგადება

3. რა პირობებია აუცილებელი პირობითი რეფლექსის გამომუშავებისთვის? აირჩიეთ რამდენიმე სწორი პასუხი:

- ა. პირობითი გამლიზიანებელი უპირობო გამლიზიანებლით უნდა განმტკიცდეს.
- ბ. პირობითი გამლიზიანებელი უპირობო გამლიზიანებელს რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს.
- გ. უპირობო გამლიზიანებელი პირობით გამლიზიანებელს რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს.
- დ. საკმარისია პირობითი გამლიზიანებლის უპირობოთი ერთჯერადი განმტკიცება.
- ე. აუცილებელია პირობითი რეფლექსის უპირობოთი მრავალჯერადი განმტკიცება.

4. შეარჩიეთ სწორი პასუხი:

**1. აზროვნება ყოველთვის  
დაკავშირებულია**

- ა. მხედველობასთან;
- ბ. სმენასთან;
- გ. ყნოსვასთან;
- დ. მეტყველებასთან;
- ე. ანალიზატორების მონაწილეობასთან.

**2. მეტყველება მიეკუთვნება:**

- ა. პირველ სასიგნალო სისტემას;
- ბ. მეორე სასიგნალო სისტემას;
- გ. გონიერის თვისებებს.

**3. რაზეა დამოკიდებული თუ რა ენაზე  
ამეტყველდება ბავშვი?**

- ა. ეროვნებაზე;
- ბ. მეტყველების ცენტრებზე;
- გ. მის ენობრივ გარემოზე.

**4. მეხსიერების რომელი ტიპი მოქმედებს ცეკვის იღეთების დამახსოვრებისას?**

- ა. მოძრაობითი მეხსიერება;
- ბ. ხატოვანი მეხსიერება;
- გ. ემოციური მეხსიერება;
- დ. ხანმოკლე მეხსიერება.

**5. ხანგრძლივ მეხსიერებას  
მიეკუთვნება:**

- ა. მოძრაობითი;
- ბ. ხატოვანი;
- გ. ემოციური;
- დ. ხანმოკლე.

**5. უპასუხეთ კითხვებს:**

- რომელი ფაქტორები იწვევს უძილობას?
- რატომ იცვლება ასაკთან ერთად ძილის ხანგრძლივობა? რაზეა ეს დამოკიდებული?

განყოფილება III

## ეკოლოგიური სისტემები. ადამიანი და გარემო

3

თავი VI

- ცოცხალი ორგანიზმები და გარემო •

თავი VII

- გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე •

# ცოცხალი

## ორგანიზმები და გარემო

### 40 ორგანიზმის საპინადრო გარემო. ეკოლოგიური ფაქტორები

- როგორ ვაჯგუფებთ ეკოლოგიურ ფაქტორებს?
- როგორია ეკოლოგიური ფაქტორების მცენარეებსა და ცხოველებზე ზემოქმედების შედეგი?

**ორგანიზმების საპინადრო გარემო და ეკოლოგიური ფაქტორები.** ყველა-ფერს, რაც ცოცხალი ორგანიზმის გარშემოა, მისი საპინადრო გარემო ეწოდება. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი საპინადრო გარემოსთან მჭიდროდაა დაკავშირებული. საპინადრო გარემოში ორგანიზმები გარკვეული ფაქტორების ზეგავლენას განიცდიან. გარემოს ცალკეულ ელემენტებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე, ეკოლოგიური ფაქტორები ეწოდება. ეკოლოგიური ფაქტორების ორგანიზმებზე გავლენის ტიპის მიხედვით ისინი 3 ჯგუფად დაყვეს: ბიოტურ, აბიოტურ და ანთროპოგენურ ფაქტორებად.

აბიოტური ფაქტორები (ბერძ., „air“ – უარყოფა, „bios“ – სიცოცხლე). მათ მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სინათლე, ტენიანობა, ატმოსფერული წნევა, ჰაერის ტემპერატურა, ნიადაგში მარილების რაოდენობა, ნიადაგის ტენიანობა და აერაცია (ბერძ. „aer“ – ჰაერი).

ბიოტური ფაქტორები მოიცავს ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთგავლენას. მწერების მიერ მცენარეთა დამტვერვა, ორგანიზმებს შორის კონკურენცია, მტაცებლობა, სიმბიოზი და ა.შ., ბიოტური ფაქტორების მაგალითებს წარმოადგენს.

ანთროპოგენური ფაქტორები (ბერძ. „anthropos“ – ადამიანი, „genesisum“ – წარმოშობა) – ადამიანის საქმიანობა, რომელსაც თან ახლავს ცოცხალი ორგანიზმების სასიცოცხლო პირობების ცვლილება. ასე, მაგალითად, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად იცვლება რელიეფი, ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა, ატმოსფერო და ცოცხალი არსებები.

#### საქმიანობა


ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით ააგრეთ ბაყაყის სუნთქვითი მოძრაობის სიხშირის წყლის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკი:

წყლის ტემპერატურა, °C	+5	+10	+15	+25	+30	+40	+45
სუნთქვითი მოძრაობების სიხშირე	3	40	75	110	120	32	15
– რა ტემპერატურის დროს ფიქსირდება სუნთქვითი მოძრაობების მაქსიმალური სიხშირე?							
– რა ტემპერატურის დროს ფიქსირდება სუნთქვითი მოძრაობების მინიმალური სიხშირე?							
– რა შეიმჩნევა დაბალი ტემპერატურის დროს? რაზე მიუთითებს ეს?							
– რა ხდება მაღალი ტემპერატურის დროს?							

**ორგანიზმების ეკოლოგიური ფაქტორის ზემოქმედების ინტენსივობა.** ყოველი ეკოლოგიური ფაქტორი ორგანიზმები გარკვეული ინტენსივობით მოქმედებს. მაგალითად, შენობის სამხრეთით ფანჯრის რაფაზე მდებარე მცენარის ფოთლების განათების ინტენსივობა მეტია ჩრდილოეთით მდებარეზე.

ფაქტორის ინტენსივობას, რომელიც საუკეთესოა ცხოველქმედებისთვის, ოპტიმალურ ინტენსივობას ანუ ოპტიმუმს უწოდებენ. მაგალითად, თეთრ-თავა კომბოსტოს განვითარებისთვის ოპტიმალური ტემპერატურაა  $15-18^{\circ}\text{C}$ . რაც უფრო ახლოა ფაქტორის მაჩვენებელი ოპტიმუმთან, მით უფრო ეფექტურად მიმდინარეობს ორგანიზმის ცხოველქმედების პროცესები, და პირიქით, ოპტიმუმიდან დაშორებასთან ერთად, ორგანიზმი სუსტდება.

#### ორგანიზმის ცხოველქმედების დამოკიდებულება ეკოლოგიური ფაქტორის ინტენსივობაზე



ყოველი ფაქტორის ზემოქმედებაში არსებობს მაქსიმალური და მინიმალური კრიტიკული ზღვარი. ზღვარს, რომლის ფარგლებს მიღმა ორგანიზმის არსებობა შეუძლებელია, გამძლეობის ზღვარს უწოდებენ. ფაქტორს, რომლის მნიშვნელობა ახლოსაა გამძლეობის ზღვართან და რომელიც ხელს უშლის და ზღუდავს ორგანიზმის ნორმალურ ცხოველქმედებას, შემზღვდველი ფაქტორი ეწოდება.

**გარემოს აპიოტური ფაქტორები.** ხმელეთის ორგანიზმებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სინათლე, ტემპერატურა და ტენიანობა.

სინათლე. მზე დედამიწაზე სინათლის ძირითადი წყაროა. სინათლის სპექტრის შემაგრენლობა, ტალღის სიგრძე, ინტენსივობა იცვლება დღის მონაკვეთისა და სეზონის მიხედვით. სინათლის გამოსხივება იყოფა


ულტრაიისფერ, ხილულ და ინფრანითელ გამოსხივებად.

არსებობს გრძელტალლიანი და მოკლეტალლიანი ულტრაიისფერი გამოსხივება. ის მაღალი ქიმიური აქტიურობით გამოირჩევა. ულტრაიისფერი სხივების დიდი დოზები ნებისმიერი ცოცხალი სისტემისთვის მომაკვდინებელია, მცირე დოზები კი ორგანიზმისთვის აუცილებელია, რადგან D ვიტამინის წარმოქმნაში მონაწილეობს.

სინათლის სპექტრის ხილულ სხივებს ატმოსფერო თითქმის არ აკავებს. მათ ფოტოსინთეზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ხილულ სხივებს ცხოველთა უმეტესობა აღიქვამს.

ინფრანითელ სხივებს ადამიანის თვალი ვერ აღიქვამს. ის სითბოს წყაროს წარმოადგენს.

### გარემოს აბიოტური ფაქტორები



ტემპერატურა. გამძლეობის ზედა ზღვარი ორგანიზმთა უმეტესობის-თვის +40 - 45°C-ია. თბილისისხლიანების გარდა, ორგანიზმთა უმრავლესობის სასიცოცხლო აქტიურობა იკლებს 0°C-ზე. ორგანიზმებში, რომლებსაც არ აქვთ სხულის მუდმივი ტემპერატურა, გარემოს ტემპერატურის აწევა გარკვეულ დონემდე ნივთიერებათა ცვლის, ზრდისა და განვითარების დაჩქრებას განაპირობებს.

ტენიანობა. ორგანიზმების მოთხოვნილება ტენიანობის გარკვეული დონის მიმართ დამოკიდებულია სეზონსა და საბინადრო გარემოზე. სხეულში წყლის საჭირო დონის შესანარჩუნებლად ევოლუციის პროცესში, მათ ფიზიოლოგიური შეგუეგულობები გამოუმუშავდათ. ტენის უკმარისობა ზღუდდავს ორგანიზმთა ცხოველების და გეოგრაფიულ გავრცელებას.

### საკვანძო სიტყვები

- ეკოლოგიური ფაქტორები
- ოპტიმალური ინტენსივობა
- გამძლეობის ზღვარი
- შემზღვეველი ფაქტორი

### გილებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

1. საკვანძო სიტყვების გამოყენებით დაასრულეთ წინადადებები:
  - ეკოლოგიური ფაქტორი, ბიოტური ფაქტორი, აბიოტური ფაქტორი, ანთროპოგენური ფაქტორი, შემზღვეველი ფაქტორი, ოპტიმუმი, გამძლეობის ზღვარი.
1. ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც ზემოქმედებს ორგანიზმსა და მის საბინადრო გარემოზე, ეწოდება ...

- ფაქტორის ინტენსივობას, რომელიც განსაკუთრებლად ხელსაყრელია ორგანიზმის ცხოველქმედებისთვის, ... უწოდებენ.
- ... ფაქტორის მნიშვნელობა, რომელიც ახლოსაა ზემოქმედების კრიტიკულ ზღვართან, ხელს უშლის ორგანიზმის ნორმალურ ცხოველქმედებას.
- ბუნებრივი გარემოს ყველა კომპონენტს, რომელიც მოქმედებს ორგანიზმის, პოპულაციების, ბუნებრივი თანასაზოგადოებების მდგომარეობაზე, ეწოდება ...
- მწერების მიერ მცენარეთა დამტკერვა მიეკუთვნება ...
- ორგანიზმის გადარჩენისთვის აუცილებელ ფაქტორის ზღვარს, .... ეწოდება.
- ნიადაგის რადიოაქტიური დაბინძურება ... მიეკუთვნება.

## 2. დაადგინეთ შესაბამისობა

- a. აბიოტური ფაქტორი**
- ბ. ბიოტური ფაქტორი**
- გ. ანთროპოგენური ფაქტორი**

- ნიადაგში ორგანული სასუქის შეტანა;
- წყალსატევის სიღრმის მატებასთან დაკავშირებული განათებულობის შემცირება;
- ნალექები;
- ვულკანური აქტივობის შეწყვეტა;
- პომიდვრის ამონაყარის გამოხშირვა;
- ტყის ჩეხვის შედეგად მდინარეების წყალმარჩხობა;
- ჰაერის ტემპერატურის დაცემა;
- პარკოსნებისა და კოშკის ბაქტერიების სიმბიოზი;
- დათვების მიერ უოლოს განადგურება;
- ქოლერის ვიბრიონით ადამიანის დასწებოვნება;
- ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევა.

## 3. შეავსეთ ცხრილი:

სინათლის სხივები	თავისებურება	მნიშვნელობა
ულტრაიისფერი		
ხილული		
ინფრანითელი		

- მოიყვანეთ ცხოველებისა და ფრინველების ტენის ნაკლებობასთან დაკავშირებული შეგუების მაგალითები (არა ნაკლებ 4-5).

## 41 პუნეპრივი თანასაზოგადოების და ეკოსისტემები

- რა არის ეკოლოგიური ფაქტორი?
- რა და რა სახის ეკოლოგიური ფაქტორები არსებობს?
- რა სახის ურთიერთობებია ცოცხალი და არაცოცხალის სისტემის კომპონენტებს შორის?

ბუნებაში სხვადასხვა სახეობის ინდივიდები ცხოვრობენ არა ცალ-ცალკე, არამედ ჯგუფებად. ისეთ ჯგუფებს, რომლებიც ხანგრძლივად ბინადრობენ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ბუნებრივი თანასაზოგადოებები, ანუ ბიოცენოზები ენოდება. ბიოცენოზების მაგალითებია ისეთი ბუნებრივი თანასაზოგადოებები, როგორებიცაა ჭაობი, მდელო, ფართო-ფოთლოვანი ტყეები და სხვ.

**ბიოცენოზის სტრუქტურა.** ბიოცენოზის შემადგენლი სახეობების პოპულაციებს შორის, თანაცხოვრების პირობებში, გარკვეული ურთიერთობები ყალიბდება (კონკურენცია, მტაცებელი – მსხვერპლი, პარაზიტი – მასპინძელი, სიმბიოზი და ა.შ.).

ტყის ბიოცენოზის იარუსები


I იარუსი

II იარუსი

III იარუსი

IV იარუსი

V იარუსი




ბიოცენოზების უმეტესობის საფუძველს მცენარეები წარმოადგენს. ზოგჯერ მცენარეები საფეხურებად – იარუსებად – განლაგდება. მაგალითად, ტყეში ხეები, ბუჩქები და ბალახები განსხვავებულ სივრცეს იკვებს. ზედა იარუსი უკავია ხეებს, საშუალო – ბუჩქებს; ქვედას კი ბალახოვანი მცენარეები წარმოადგენს. მცენარეებთან დაკავშირებული ცხოველებიც იარუსებად ნაწილდებიან. ზედა იარუსზე ბინადრობენ ციყვები, ფრინველები, ქვედაზე – კურდღლები, ზორაობები, მელიები, ჭიანჭველები და სხვა ფეხსახსრიანები.

ბუნებრივი თანასაზოგადოების წარმომადგენლებს გარკვეული გარემო პირობების შექმნა თვითონაც შეუძლიათ; მაგალითად, ტყეში დიდი ხეები ამცირებს ქარის ძალას, მონაწილეობს ნიადაგის ზედა ფეხის წარმოქმნაში, ცვლის მიკროკლიმატს, იძლევა ჩრდილსა და ტენს. ამგვარად, ისინი

განსაკუთრებული მიკროკლიმატის შექმნით ამ ტერიტორიაზე ბინადარი სხვა ორგანიზმების არსებობას უზრუნველყოფენ. ამის შედეგად სახეობათა პოპულაციების საბინადრო პირობები უმჯობესდება.

### ბუნებრივი თანასაზოგადოებები



#### საქმიანობა

#### პრაქტიკული სამუშაო

##### აკვარიუმის სახეობათა მრავალფეროვნებისა და კვებითი ჯაჭვების შესწავლა

- რომელი წყლის მცენარეები იზრდება აკვარიუმში?
- უხერხემლოთა რომელი წარმომადგენლები (მოლუსკები, კიბოსნაირები და სხვ.) შეამჩნიეთ?
- რომელი თევზები ბინადრობენ აკვარიუმში?

დაკვირვების შედეგების მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

– რა მოხდება აკვარიუმში, თუ  
იქიდან მოლუსკებს ამოვიყვანო?

მცენარეები	ცხოველები
წყალმცენარეები	ფარულთესლოვნები
	მოლუსკები

- ააგეთ აკვარიუმის ყველა შესაძლო კვებითი ჯაჭვის სქემა.

**ეკოლოგიური სისტემა.** ცოცხალი არსებათა ნებისმიერი ბუნებრივი თანასაზოგადოება (ბიოცენოზი) თავის საბინადრო გარემოსთან ერთად ქმნის ეკოლოგიურ სისტემას (ბიოგეოცენოზს). ეკოლოგიურ სისტემებში მიმდინარეობს ნივთიერებათა და ენერგიის წრებრუნვა. ნივთიერებათა წრებრუნვისას არაორგანული ნივთიერებები – წყალი, ნახშირორჟანგი, აზოტის ნაერთები – ცოცხალი ორგანიზმების მიერ მოიხმარება, მათი სიკვდილის


შემდეგ კი ნიადაგს უბრუნდება. ნებისმიერი ეკოსისტემა ენერგიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. დედამიწაზე ენერგიის წყარო მზეა, მაგრამ მზის ენერგიის გამოყენება მხოლოდ ავტოტროფებს შეუძლია.

ავტოტროფებს მიეკუთვნება მწვანე მცენარეები და ციანობაქტერიები. მათ პროდუცენტებს უზრუნველყოფილი დანარჩენი ორგანიზმები, რომლებიც მზა ორგანულ ნივთიერებებს მოიხმარენ, ჰეტეროტროფებს მიეკუთვნებიან. ჰეტეროტროფები ავტოტროფების მიერ წარმოქმნილ ორგანულ ნივთიერებებს ითვისებენ, გარდაქმნიან და ახდენენ მათ მინერალიზაციას. ჰეტეროტროფები იყოფა კონსუმენტებად – ორგანული ნივთიერების მომზარებლებად და რედუცენტებად – ორგანიზ-

მებად, რომლებიც ორგანული ნივთიერებების მინერალიზაციას ახდენენ. კონსუმენტებს მიეკუთვნება ცხოველთა უმრავლესობა და ზოგიერთი სოკო. პროდუცენტებისა და კონსუმენტების სიკეთილის შემდეგ მათი ორგანული ნარჩენები არაორგანულ ნივთიერებად იშლება რედუცენტების (ძირითადად ბაქტერიებისა და სოკოების) მიერ და კვლავ არაცოცხალ ბუნებას უბრუნდება. ამ სახით კი მათ მცენარეები ითვისებს, ანუ ხდება ნივთიერებათა წრებრუნვა.

**კვებითი ჯაჭვი.** ეკოსისტემაში ერთი ორგანიზმი მეორის საკვებია და საბოლოოდ, ენერგია, რომელსაც საკვები შეიცავს, ერთი ორგანიზმიდან მეორეს გადაეცემა. ამგვარად იქმნება კვებითი ჯაჭვი. კვებითი ჯაჭვის პირველ რგოლს პროდუცენტები წარმოადგენს. პროდუცენტები I რიგის კონსუმენტების საკვებია, რომლებითაც, თავის მხრივ, II რიგის კონსუმენტები იკვებებიან და ა.შ. კვებითი ჯაჭვის ყოველი შემდეგი რგოლიდან საკვებში არსებული ენერგიის 80-95% სითბოს სახით გარემოში იფარისტება. სწორედ ამის გამო, კვებითი ჯაჭვი 4-5 რგოლზე მეტს არ შეიცავს.

კვებითი ჯაჭვი  
ეკოლოგიურ  
სისტემაში



**ხელოვნური ბიოგეოცენოზები.** ბიოგეოცენოზი შეიძლება ადამიანის მიერ ხელოვნურად იყოს შექმნილი. ხელოვნურ ბიოგეოცენოზებს მიეკუთვ-

### საკვანძო სიტყვები

- ბუნებრივი თანასაზოგადოება
- ბიოცენოზი
- ბიოგეოცენოზი
- იარუსი
- ეკოლოგიური სისტემა
- პროდუცენტი
- კონსუმენტი
- რედუცენტი
- ბიოსფერო

ნება ბალები, ბოსტნები, პარკები და სხვ. ხელოვნური ბიოგეოცენოზები ადამიანის მონაწილეობის გარეშე ვერ იარსებებს. ბუნებრივი ბიოგეოცენოზები კი გაცილებით უფრო მდგრადია და დიდი დროის განმავლობაში პრაქტიკულად უცვლელია.

#### ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ბიოგეოცენოზები



ბალი



პარკი

**ბიოსფერო.** ყველა ეკოსისტემა ურთიერთდაკავშირებულია და დედამინის ცოცხალ გარსს ქმნის. ამიტომ ცოცხალი ორგანიზმების მთელი ერთობლიობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი მსხვილი ეკოსისტემა, რომელსაც ბიოსფერო ეწოდება.

#### მიღებული ცოდნის შემოხევა და გამოყენება

##### 1. შეარჩიეთ მართებული დებულებები:

- იარუსიანობა მცენარეებს რესურსების უფრო სრულად გამოყენების საშუალებას აძლევს.
- სახეობათაშორისი კონკურენციის მაგალითია ურთიერთობა ერთი ხროვის მგლებს შორის.
- მტაცებლობა, როგორც წესი, მსხვერპლის პოპულაციისთვის სასარგებლოა.
- პარაზიტებს რედუცენტებს მიაკუთვნებენ.
- ტყის ეკოსისტემში ბიომასის უდიდეს ნაწილს ხეები ქმნის.
- ბიოგეოცენოზების უმრავლესობაში არის პროდუცენტები.
- ნებისმიერი ბიოგეოცენზი ეკოსისტემას წარმოადგენს.
- მცენარეთა უმეტესობა პროდუცენტებია.

##### 2. შეადარეთ აკვარიუმი ბუნებრივ წყალსატევს. ვენის დიაგრამაზე აღნიშნეთ მათი მსგავსი და განსხვავებული ნიშნები.


აკვარიუმი

ბუნებრივი წყალსატევი



3. განიხილეთ კვებითი ჯაჭვის სქემა. ცხრილის რომელი სტრიქონი მიეკუთვნება:

- პ – ბალახოვან მცენარეს
- პ – კურდღელს
- პ – მგელს



№	აუტოტროფი	პეტეროტროფი	პროდუცენტი	პირველი რიგის კონსუმენტი	მეორე რიგის კონსუმენტი
1	არა	დიას	არა	დიას	არა
2	დიას	არა	დიას	არა	დიას
3	არა	დიას	არა	არა	დიას
4	დიას	არა	დიას	დიას	არა



## 42 ბიოლოგიური რიტმები




- რა არის აბიოტური ფაქტორები?
- როგორ მოქმედებენ ისინი ცოცხალ ორგანიზმებზე?

### საქმიანობა

განიხილეთ ზოგიერთი კვლევის შედეგების ამსახველი გრაფიკი. ზეპირად აღწერეთ ყოველი მათგანი:



ბ) ადამიანის გონებრივი შრომისუნარიანობა დღე-დამის განმავლობაში



- ა) მექანიზმის დღე-დამური აქტივობის სეზონური ცვლა
- რა საერთო თვისება აერთიანებს ამ გრაფიკებს?
  - რა დასკვნის გაეტება შეიძლება ამ მონაცემების საფუძველზე?
  - სად და როგორ შეიძლება ამ მონაცემების გამოყენება?

ბიოლოგიური პროცესების ინტენსივობის პერიოდულად განმეორებად ცვლილებებს ბიოლოგიური რიტმები ეწოდება.

**ბიოლოგიური რიტმები.** დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცოცხალი ორგანიზმი ბიოლოგიურ რიტმთან არის შეგუებული. მზისა და საკუთარი ღერძის გარშემო დედამიწის მოძრაობასთან დაკავშირებით იცვლება განათების ინტენსივობა და ტემპერატურა, რაც ბიოლოგიური რიტმების წარმოშობას ვანაპირობებს. ეს ფაქტორები დღე-დამისა და წელიწადის განმავლობაში სერიოდულად იცვლება. ამის გამო ცოცხალ ორგანიზმებს ჩამოუყალიბდათ დღე-დამური, სეზონური, წლიური და სხვ. რიტმები.

### საკანძო სიტყვები

- ბიოლოგიური რიტმები
- ბიოლოგიური საათი
- ფოტოპერიოდიზმი

ორგანიზმის ბიოლოგიურ რიტმებს გარკვეული შინაგანი მექანიზმი განამტკიცებს, რომელსაც „ბიოლოგიურ საათს“ უწოდებენ. „ბიოლოგიური საათი“ – ეს არის ორგანიზმის უნარი, შეიგრძნოს დრო. ორგანიზმთა უმრავლესობას უფრო კარგად აქვთ გამოხატული დღე-ღამური და სეზონური რიტმები.

დღე-ღამური რიტმები. საკუთარი ღერძის გარშემო დედამინის ბრუნვის შედეგად იცვლება დღე და ღამე. ღლის განმავლობაში განათების ცვლილება მცენარეებში იწვევს ისეთი განმეორებადი პროცესების პერიოდულობის წარმოქმნას, როგორებიცაა ფოტოსინთეზი, ტრანსპირაცია, ყვავილების გაშლა და დახურვა. დღე-ღამის განმავლობაში ტემპერატურაც იცვლება. ეს კი მცენარეთა განვითარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია; ასე, მაგალითად, პომიდორი კარგად ვითარდება, როცა დღის სამუალო ტემპერატურაა  $26^{\circ}\text{C}$ , ხოლო ღამის –  $18^{\circ}\text{C}$ .

ცხოველებში დღე-ღამის განმავლობაში ერთმანეთს ცვლის აქტიურობისა და მოსვენების პერიოდები. ცხოველები, რომელებიც დღის ცხოვრებას ეწევან (მაგ. ბეღურასებრნი, ჭიანჭველები და სხვ.), დღე-ღამის ნათელ პერიოდში არიან აქტიურნი. ღამურები, რომლებიც აქტიურობას ღამით ამჟღავნებენ, ლაბორატორიულ პირობებშიც კი, როცა მათ სინათლეში ამყოფებენ, ღამით ტოვებენ თავიანთ თავშესაფარს.


სეზონური რიტმები დედამინის მზის გარშემო ბრუნვის გამო წარმოიქმნება. წელიწადის ამა თუ იმ სეზონის მოახლოების მაუნიებლის როლს დღის ხანგრძლივობა ასრულებს, რომელთანაც დაკავშირებულია ტემპერატურის წლიური ცვლილება. დღის ნათელი პერიოდის ხანგრძლივობაზე ორგანიზმის რეაქციას ფოტოპერიოდიზმის უწოდებენ. ნათელი პერიოდის ხანგრძლივობის მომატებას ორგანიზმი სასიცოცხლო პროცესების გაძლიერებით პასუხობს.

გაზაფხულზე, დღის ხანგრძლივობის მომატებასთან ერთად, მთელი ბუნება იღვიძებს. ზაფხულის მეორე ნახევარში აღინიშნება საკვები ნივთიერებების ძლიერი მოდინება ღეროებისკენ, ფესვებისკენ და სხვა მოზამთრე ორგანოებისკენ, მნიშვნელი ნაყოფი და თესლი. დღის ნათელი პერიოდის შემცირება ზამთრისთვის მზადების



- ადამიანის ორგანიზმში ალმოჩენილია  $300\text{-}40$  მეტი ფუნქცია და პროცესი, რომელიც „ბიოლოგიური საათით“ რეგულირდება. მაგალითად, დღე-ღამის განმავლობაში ადამიანს აღნიშნება პულსის აჩქარება და შენელება:
  - 9-10 საათზე პულსი ხორმაშია;
  - 13-14 საათზე პულსი შენელებულია;
  - 16-18 საათზე პულსის სიხშირე იმატება;
  - 22-23 საათზე პულსის სიხშირე კლებულობა.
- არტერიული წნევა უმაღლეს მაჩვენებელს 12-13 და 18 საათზე აღწევს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ადრიან ფილას და 23-24 საათზე მოდის.
  - დღე-ღამის განმავლობაში იცვლება სისხლში გლუკოზის დონე. მაქსიმალური მნიშვნელობას იგი 2, 9, 14, 18 და 22 საათზე აღწევს.
  - სხეულის ტემპერატურა ასევე დამოკიდებულია დღე-ღამური რიტმზე. დღილო იგი მინიმალურია, ხოლო დღის მეორე ნახევრისთვის ( $18\text{სთ.}-\text{ზე}$ ) მაქსიმუმს აღწევს.

#### ადამიანის ბიორიტმები



სიგნალია. ამ დროს ზოგიერთ ცხოველს ეწყება განგური, მიფრინავენ გადამფრენი ფრინველები.

## მიღებული ცოდნის შაომრისა და გამოყენება

### 1. განსაზღვრეთ ბიორიტმები (დღე-ლამური, წლიური) ქვემოთ მოცემულ მოვლენებში

1. ფრინველების გადაფრენა სამხრეთში
2. მურა დათვების ზამთრის ძილი
3. ყვავილების გაშლა დილით
4. ძუძუმწოვრებში ბეწვის ცვენა
5. გაზაფხულზე მცენარეების გამოღვიძება
6. ადამიანის ძილი და სიფხოზლე
7. ადამიანის ავიტამინოზები
8. შემოდგომის ფოთოლცვენა
9. ზღარბების ლამის აქტივობა
10. ფრინველების მიერ ბუდეებს აშენება
11. ადამიანის სუნთქვის რიტმი
12. მცენარის კვირტების დაბერვა
13. ენძელას ყვავილობა
14. მცენარეთა ნაყოფისა და თესლის წარმოქმნა
15. მწერების თაობათა მონაცვლეობა (კვერცხი – მატლი – ჭუპრი – ზრდასრული)

ბიოლოგიური რიტმები	
დღე-ლამური რიტმები	სეზონური რიტმები

### 2. არჩევთ სწორი პასუხი:

- ბიოლოგიური პროცესების დროში მონაცვლეობას ფოტოპერიოდიზმი/ბიოლოგიური რიტმი ეწოდება.
- ცხოველთა უმრავლესობა ზამთრის ძილისთვის მზადების დროის განსასაზღვრად იყენებს დღისა და ლამის ტემპერატურების სეზონურ თანაფარდობას/დღე-ლამის ხათელი და ბნელი პერიოდების ხანგრძლივობას.
- მთელი წლის განმავლობაში აქტიურია მგელი/დათვი.
- ფოტოპერიოდიზმი არის დღისა და ლამის რიტმული ცვლა/ორგანიზმის რეაქცია დღის ხანგრძლივობის სეზონურ ცვალებადობაზე.
- მინისძვრა და წყალდიდობა/ხეების ყოველწლიური ფოთოლცვენა ციკლურ პროცესებს არ მიეკუთვნება.
- მცენარეებსა და ცხოველებში სეზონური ცვლილებების მთავარ რეგულატორად გვევლინება დღის ხანგრძლივობა/საქვების რაოდენობა.
- ცხოველებში ბეწვის ცვლა არ წარმოადგენს/წარმოადგენს ციკლურ პროცესს.

### უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ უჩივის ადამიანი ძილის მოშლას, უმადობას, დეპრესიას და თავის ტყივილს, როცა თვიომფრინავით სხვა ნახევრსფეროში მიფრინავს?
2. რატომ ხდება სანარმოო ავარიები და ავტოსაგზაო შემთხვევები უფრო ხშირად გარკვეულ საათებში: 22.00-დან 04.00-მდე და 13.00-სა და 15.00-ს შორის?
3. როგორ მოქმედებს ადამიანის სოციალურ საქმიანობაზე მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობის პერიოდული ცვლილებები?
4. რით არის გამოწვეული ვირუსული ინფექციების გახშირება ზამთრის პერიოდში?

## 43 გარემოს დაბინძურება



- რა არის გარემოს დაბინძურების მიზეზი?
- რა საფრთხეს უქმნის ადამიანს გარემოს დაბინძურება?

დედამიწის მოსახლეობა განუწყვეტლად იზრდება. მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად ინტენსიურად ვითარდება ტექნოლოგიები, მუდმივად იქმნება საწარმოები. ეს პროცესი ქმნის ხელსაყრელ პირობებს გარემოს დაბინძურებისთვის. გარემოს დაბინძურება ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

### საქმიანობა

გაანალიზეთ ცხრილი (2014 წლის მონაცემები), მის მონაცემებზე დაყრდნობით ააგეთ დიაგრამა და უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რომელი საწარმოები წარმოადგენს იმ დამაბინძურებელი ნივთიერებების წყაროს, რომლებიც ცხრილშია მითითებული?
- როგორია კასპიის ზღვის ვოლგითა და აზერბაიჯანის მდინარეებით დაბინძურების დონეების თანაფარდობა?
- რა ღონისძიებებს შეიძლება მიემართოთ კასპიის ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად?

კასპიის ზღვის დაბინძურება ვოლგითა და აზერბაიჯანის მდინარეებით.

დამაბინძურებები	ვოლგიდან		აზერბაიჯანის მდინარეებიდან	
	ათასი ტონა	%	ათასი ტონა	%
წავთობპროდუქტები	242,56	96,7	8,332	2,9
ფენოლები	2,447	88,0	1,092	3,7
ზედამორულად აქტიური სინთეზიკური ნივთიერებები	6,72	77,0	1,225	21,3
მძიმე მეტალები	12,644	45,97	1,213	2,2

**ატმოსფეროს დაბინძურება.** ქარხნები, წავთობქიმიური მრეწველობის საწარმოები და თბოელექტროსადგურები, აბინძურებს ატმოსფეროს. შესაძინა აირების მომატება იწვევს ატმოსფეროს დამცავი შრის – ოზონის ეკრანის – დაშლას, რომელიც დედამინას დამდუპველი ულტრაიისფერი ტალღების მოქმედებისაგან იცავს. დღესდღეობით ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც ყველაზე მეტი ზიანი მოაქვს ატმოსფეროსთვის, არის ავტომანქანების გამონაბოლქვი, რომლის რაოდენობა განუხელად მატულობს. ეს ყველაფერი ადამიანებში ფილტვის კიბოს, ანემიას და სხვა დაავადებების განვითარებას იწვევს.


**წყლის დაბინძურება.** წებისმიერი სახის მავნე კომპონენტებისა და ნივთიერებების ჩაღვრა წყალსატევებში – ოკეანებში, ზღვებში, მდინარეებსა და ტბებში – წყლის დაბინძურებას იწვევს. ადამიანის სხვადასხვა სახის საქმიანობა, მათ შორის რეცხვა, ქიმიური წმენდა, ნარჩენების გადაყრა, ქმნის წყლის დაბინძურების პირობებს. ჩვენ მიერ ყოველდღიურად გამოყენებული ქიმიური ნივთიერებებისგან დამზადებული საპონი და სარეცხი საშუალებები, ასევე მნიშვნელოვნად აბინძურებს წყალსატევებს.

**ნიაოგის დაბინძურება.** დღეს სოფლის მეურნეობაში ფართოდ გამოიყენება ხელვნური სასუქები, ქიმიური ნივთიერებები, პესტიციდები. ამ ნივთიერებების ნირმებით განსაზღვრულზე მეტის გამოყენება იწვევს

ნიადაგის დაბინძურებას, რაც უარყოფითად მოქმედებს აქ მობინადრე ორგანიზმების ზრდასა და განვითარებაზე. ნიადაგის დაბინძურების სხვა მიზეზი არის მომნამლავი (მაგ. რადიოაქტიური) ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დამარხვა. ნიადაგს უნარი აქვს ნაწილობრივ გააუვნებლოს საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენები, მაგრამ ეს უნარი შეზღუდულია. იმ შემთხვევებში, თუ ნარჩენების რაოდენობა ამ ზღვარს გადააჭარბებს, მათი დაშლის პროდუქტებმა შეიძლება სხვადასხვა სახის მოწამლვა გამოიწვიოს.

### ანთროპოგენური ფაქტორების

უარყოფითი გავლენა  
ადამიანის ორგანიზმზე



**სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება.** დღეს ადამიანის დამანგრეველი ზემოქმედების შედეგად შემცირდა ცხოველთა და მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნება. ზოგიერთი სახეობის (ველური ტური, ზღვის ძროხა) განუკითხავი ხოცვა კი მათი გაქრობის მიზეზი გახდა. უფრო მეტად საგანგაძო ის არის, რომ ადამიანი ცვლის ბუნებრივ გარემოს და ანადგურებს სახეობათა საბინადროებს. სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით, ადამიანს შეუძლია თავისი მოღვაწეობის გააზრებულად შეცვლა, შეუძლია სხვადასხვა საშუალებების გამოყენება სახეობათა მრავალფეროვნებისა და ბუნების დასაცავად.

## ეს საინტერესოა

• ყოვლობების ინფორმაციით ყოველი ადამიანი დღეში საშუალოდ 0,5კგ. ნაგავს ნარმოქმნის. ეს იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში იგი 182,5კგ ნარჩენებს ნარმოქმნის.


• ბუნებრივ გარემოში ქალალდი 10 წელიწადში იშლება, სიგარეტის ფილტრი – 5-15 წელიწადში, კონსერვის ქილა – 90ნ.-ში, პლიტილენის პარკი – 200ნ.-ში, პლასტიმასა – 500ნ.-ში, ხოლო მინის დაშლისთვის 1000 წელია საჭირო.

**უნარჩენო ტექნოლოგია.** საცხოვრებელ სახლებში პრაქტიკულად ყოველ დღე გროვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ნარჩენების დაგროვება არ-დვევს ეკოლოგიურ წონასწორობას. ამის თავიდან ასაცილებლად იქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების ხელახალი გადამუშავების ტექნოლოგიები – უნარჩენო ტექნოლოგიები. უნარჩენო ტექნოლოგიები – ეს არის ენერგი-ისა და ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების ტექნო-ლოგიები, რომელიც გარემოს დაცვას უზრუნველყოფს.

### მიღებული ცოდნის შემოხვევა და გამოყენება

#### 1. სურათის გამოყენებით უპასუხეთ კითხებს:

- გარემოს დაბინძურების რომელი სახეებია ნაჩვენები სურათზე?
- აღნიშნეთ წყლის დაბინძურების წყაროები.
- აღნიშნეთ ნიადაგის დაბინძურების წყაროები.
- რა ნარმოადგენს წყლის მინერალური სასუქებითა და პესტიციდებით დაბინძურების წყაროს?
- რა ნომრებითაა აღნიშნული ჰაერის დაბინძურების წყაროები?
- რომელი სანარმო უშევბს წყალსატექში მდუღარეს?
- რა ნარმოადგენს წყლის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურების წყაროს?



**2. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები შესაბამის გრაფებში მოათვავეთ:**

ალკოჰოლი;  
კონფლიქტი;  
ვიბრაციები;  
მაგნე სამრეწველო ნარჩენები;  
სხვადასხვა სახის გამოსხივება;  
შხამიანი ქიმიური ნივთიერებები;  
ომები;  
ხმაური;  
სასუქები;  
თამბაქო;  
ნარჯოტიკები;  
სტრესი.

ანთროპოგენური ფაქტორები		
ფიზიკური ფაქტორები	ქიმიური ფაქტორები	სოციალური ფაქტორები

**3. ცხრილში მოცემულია ზოგიერთი საგანი, რომელსაც ადამიანი გამოყენების შემდეგ ავღებს. მოიფიქრეთ მათი ხელახალი გამოყენების ხერხები და აღწერეთ ისინი:**

ნარჩენები	ხელახალი გამოყენება
კონსერვის ცარიელი ქილები	
საკვების ნარჩენები	
პოლიეთილენის პარკები	
ძველი უურნალ-გაზეთები	
ნახმარი ტანსაცმელი	
დამტკრული ჭურჭელი	
პლასტმასის ბოთლები	

## 44 პიომრავალფეროვნების შენარჩუნება. აზერბაიჯანის ეკოლოგიური პროცესები

- რა საშუალებებს იყენებს ადამიანი ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად?



უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, ეკონომიკის ყველა დარგის სწრაფი განვითარების გამო, ბუნებრივ გარემოზე ადამიანის ზეგავლენა გაიზარდა და ხდება ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლოატაცია.

**ეკოლოგიური სტანდარტები.** ადამიანი თავისი საქმიანობის შედეგად ბუნებაზე მკვეთრად უარყოფით ზეგავლენას ახდენს. ასე, მაგალითად, თითქმის ყოველი წარმოება გარკვეულ წარჩენებს წარმოქმნის. მათ მიერკუთვნება სანარმოო ნარჩენები და ავტოტრანსპორტის გამონაბოლებები.

ბუნებისძაცვითი ღონისძიების გატარების მიზნით მიღებულ იქნა ნორმატიული დოკუმენტების ძირითადი სისტემა – ეკოლოგიური სტანდარტები (ეკოლოგიური ნორმები).

გარემოს მდგომარეობის შეფასებისა და ამა თუ იმ დამაბინძურებლის ცოცხალ ორგანიზმებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის განსასაზღვრად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ დააწესა დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები. ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) – ეს არის ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც არ იწვევს ადამიანის ორგანიზმების მავნე ზემოქმედებას. თუ რომელიმე ნივთიერების რაოდენობა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციაზე მეტია, მაშინ ის საფრთხეს უქმნის ადამიანის ორგანიზმს.

### საქმიანობა

შეუძლებელი ეკოლოგიური სიტუაცია შენობაში, თუ ამ შენობის  $0,5\text{m}^3$  ჰერში  $0,05\text{g}$  ამიაკი აღმოაჩინეს. ამიაკის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ( $\text{ზდკ}$ )  $0,2\text{kg}/\text{m}^3$ -ია.

**პასუხი დასაბუთები გამოთვლით, მიუთითეთ აირის კონცენტრაციის შედარება ზდკ-თან (ასრჩევით სწორი პასუხი):**

- ეკოლოგიურად უსაფრთხოა (ამიაკის შემცველობა არ აჭარბებს ზდკ-ის სიდიდეს).
- ეკოლოგიურად პრაქტიკულად უსაფრთხოა (ამიაკის შემცველობა  $2\text{-ჯერ}$  აღემატება ზდკ-ს).
- ეკოლოგიურად საშიშია (ამიაკის შემცველობა  $100\text{-ჯერ}$  აღემატება ზდკ-ს).
- ეკოლოგიურად საშიშია (ამიაკის შემცველობა  $500\text{-ჯერ}$  აღემატება ზდკ-ს).

ყველა ქვეყანა, და მათ შორის აზებაიჯანიც, აწყდება გარემოს დაცვის სხვადასხვა სახის პრობლემებს. ამასთან დაკავშირებით გარემოს გაჯანსაღების მიზნით ჩვენს რესუბლიკაში მიღებულ იქნა მსოფლიო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მთელი რიგი კანონები, შემუშავდა და დამტკიცდა სამართლებრივ-ნორმატივული დოკუმენტები, სახელმწიფო პროგრამები. რესუბლიკისთვის აქტუალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვებული პრობლემების გადაჭრა ეკონომიკის გარდამავალ საფეხურზე მყოფი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხოლოდ შინაგანი შესაძლებლობების ხარჯზე შეუძლებელია.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ძირითადი ეკოლოგიური პრობლემებია:

- ჩამდინარე წყლებით წყლის რესურსების დაბინძურება, მათ შორის ტრანსსასაზღვრო დაბინძურება (დაბინძურება, რომელიც მოიცავს რამდენიმე მოსაზღვრე ქვეყნის ტერიტორიას);
- დასახლებული პუნქტების ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფის დაბალი დონე, სასმელი წყლის დანაკარგი მომხმარებლამდე მიტანის გზაზე, საკანალიზაციო ხაზების უკმარისობა;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება სამრეწველო საწარმოებითა და სატრანსპორტო საშუალებებით;
- ნაყოფიერი მიწების დეგრადაცია (ეროზია, დამლაშება და ა.შ.);
- მყარი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, მათ შორის საშიში ნარჩენების, უტილიზაციის პროცესების სათანადო მართვის არქონა;
- ტყის რესურსების, ფაუნის, მათ შორის თევზის რესურსების, შემცირება;
- ბიომრავალფეროვნების შემცირება.

**ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება.** ბიოლოგიური მრავალფეროვნება სახეობათა მრავალფეროვნებას გულისხმობს. ის სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნების – გენეტიკური, სახეობრივი და ეკოსისტემური – მრავალფეროვნებისგან შედგება. ბიომრავალფეროვნება ეკოსისტემების ნარმოქმნას და მათში ეკოლოგიური წონასწორობის ფორმირებას უზრუნველყოფს. ბიომრავალფეროვნების გაქრობისას წყდება ნივთიერებათა და ენერგიის ცვლა და ამის შედეგად ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები და ის სახეობები, რომელთა რიცხოვნობაც განუხრელად მცირდება, წითელ წიგნში შეაქვთ.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის წითელი წიგნი.** აზერბაიჯანის წითელი წიგნი – ეს არის ოფიციალური დოკუმენტი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველურად მზარდი მცენარეების სახეობათა მდგომარეობის შესახებ. მასში ასახულია ინფორმაცია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის კასპიის ზღვის აზერბაიჯანის კუთვნილებაში მყოფ სექტორში, მობინადრე ცხოველებისა და მცენარეების მდგომარეობის, გავრცელების და მათი დაცვის ღონისძიებების შესახებ.

წითელი წიგნი 6 ნაწილისგან შედგება და შეიცავს ინფორმაციას ძუძუმნებართა 42, ფრინველთა – 31, თევზების – 5, ამფიბიების – 16, რეპტილიების – 14, მწერების – 40 და მცენარეთა 140 სახეობის შესახებ.

წითელ წიგნში მცენარეთა და ცხოველთა სახეობები ორ კატეგორიადაა გაყოფილი: იშვიათ სახეობებად და სახეობებად, რომელიც გადაშენების ზღვარზე იმყოფებიან.

პირველ კატეგორიაში მოხვდნენ ის სახეობები, რომელთა რიცხოვნობამ, მთელი რიგი უარყოფითი ფაქტორების (ინდივიდების განადგურება, საბინადრო გარემოს მოსპობა) ზეგავლენით, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია

და, გარდა ამისა, მკვეთრად შემცირდა მათი გავრცელების არეალი. მეორე კატეგორიას კი მიაკუთვნებენ ცხოველთა და მცენარეთა იმ სახეობებს, რომლებიც რიცხოვნობის კლებისკენ არიან მიღწეული და საბინადრო ტერიტორიებიც შეუმცირდათ, აგრეთვე იმ სახეობებს, რომლებიც ცუდადაა შესწავლილი და მათი რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია არასაკმარისია, და იმ სახეობებსაც, რომელთა დაცვა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

**გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვა.** იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების დაცვის მიზნით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შექმნილია ეროვნული პარკები, ნაკრძალები და აღკვეთილები. იქ დაცული მცენარეებისა და ცხოველებისთვის უკეთესი პირობებია შექმნილი. ჩვენს ქვეყანაში დიდი და მცირე კავკასიონის სუბალპურ ზონაში ბინადრობს კავკასიური როჭო, ხოლო კასპიის ზღვის სანაპიროს წყალსატევებში – შავი იხვი. ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში გვხვდება გარეული თხა და სამხრეთკავკასიური მუფლონი, შირვანის ნაკრძალში, ბიანდოვანსა და ქორჩაიში – ქურციკი (ჯერიანი), დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე – ბელაქანის, ისმაილის, ზაქათალისა და გაბალის რაიონებში – დაღესტნური (აღმოსავლეთკავკასიური) ჯიხვი.

აზერბაიჯანის მდინარეებსა და კასპიის ზღვაში მიმდინარეობს თევზის ზოგიერთი სახეობის რენვა. 1959 წელს მტკვარზე პიღროტექნიკური ნაგებობების მშენებლობამ, კასპიის ზღვის დაბინძურებამ და ა.შ. თევზის ზოგიერთი ძვირფასი სახეობის რიცხოვნობა მკეთრად შეამცირა. თევზის მარაგის აღდგენისა და მატებისთვის რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი სამუშაოები მიმდინარეობს. ზუთხისებრთა სხვადასხვა სახეობის გასამრავლებლად მწყობრში ჩადგა სამი საცდელი საწარმო – მტკვარგზინის, შირვანისა და მტკვრის.

### მიღებული ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

1. რა არის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია?
2. ამოხსენით ამოცანა. წყალსატევის წყლის ანალიზმა აჩვენა, რომ 10ლ-ში არის 1მგ ფენოლი. ფენოლის ზღვკ შეადგენს 10<sup>-3</sup>მგ/ლ-ს. შეიძლება თუ არა ამ წყალსატევიდან აღებული წყლის საყოფაცხოვრებო მიზნით მოხმარება?
3. ჩამოთვალეთ ლონისძიებები, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იშვიათი და გადაშენების ზღვარზე მყოფ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების შესანარჩუნებლად ხორციელდება.

„ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება ავტოტრანსპორტის მიერ ჰაერში გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების რაოდენობის მიხედვით“.

მიზნები:

1. მავნე ნივთიერებების რაოდენობის ალრიცხვა.
2. მიღებული შედეგების დამუშავება.
3. ჰაერის დაბიძურებაზე ავტოტრანსპორტის გავლენის შესწავლა.

**ალტურვილობა:** საწერი საშუალებები, კალკულატორი  
**სამუშაოს შესრულების მსვლელობა:**

1. აირჩიეთ სკოლასთან ან სახლთან მდებარე ქუჩის მონაკვეთი, რომელიც სკოლის ან სახლის ფანჯრიდან კარგად ჩანს.
2. გაზიომეთ მონაკვეთის სიგრძე, როცა იქ ავტომობილები ცოტაა.
3. დღეში ორჯერ – დღისით (12.00-დან 13.00-მდე) და საღამოს (18.00-დან 19.00-მდე) დათვალეთ ავტოტრანსპორტის რაოდენობა, რომელიც ამ მონაკვეთზე გავლის და დაახარისხეთ ისინი შემდეგ ტიპებად: მსუბუქი, სატვირთო, ავტობუსები, მიკროავტობუსები.

ტრანსპორტის ტიპი	ავტომობილების რაოდენობა ერთი საათის განმავლობაში (12.00 – 13.00)	ავტომობილების რაოდენობა ერთი საათის განმავლობაში (18.00 – 19.00)
მსუბუქი ავტომობილები		
სატვირთო ავტომობილები		
ავტობუსები		
მიკროავტობუსები		

**შენიშვნა:** ავტომობილების რაოდენობას საათის განმავლობაში ითვლიან შემდეგნაირად: ავტომობილების რაოდენობას 15ზთ-ში ამრავლებენ 4-ზე.

4. შემოთავაზებული მონაცემების გამოყენებით გამოთვალეთ სხვადასხვა ავტომობილების გამონაბოლქვი მხუთავი აირის რაოდენობა თქვენ მიერ არჩეულ ქუჩაზე შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$M_m = \frac{L}{1000} \cdot G_m \cdot k_m$$


სადაც  $L$  აირის მონაცეთის სიგრძე (მეტრებში),  $G_m$  – მხუთავი აირის რაოდენობა, რომელსაც გამოყოფს ერთი ავტომობილი 1კმ-ზე (გ/კმ) (მითითებულია ცხრილში);

$k_m$  – განსაზღვრული ტიპის ავტომობილების საშუალო რაოდენობა, რომელმაც გაიარა მოცემულ მოხაკვეთზე 1სთ-ის განმავლობაში; 1000 – 1კმ-ში მეტრების რაოდენობა.

ცხრილში მოცემულია  $G_m$  მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისთვის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისთვის.

ტრანსპორტის სახე	k – 1 სთ-ში გავლილი ავტომობილების რაოდენობა		$G_m$	M – ერთი ავტომობილის მიერ 1 სთ-ის გამონაბოლქვში მხუთავი აირის რაოდენობა	
	12.00 – 13.00	18.00 – 19.00		12.00 – 13.00	18.00 – 19.00
მსუბუქი ავტომობილები			19		
სატვირთო ავტომობილები			75		
ავტობუსები			97		
მიკროავტობუსები			57		
სულ:					

5. ცხრილის მონაცემების მიხედვით ააგეთ დიაგრამა, რომელიც გამოსახავს დღისა და საღამოს საათებში ავტოტრანსპორტის რაოდენობების შედარებას.



(მ/ა – მსუბუქი ავტომობილები, ს/ა – სატვირთო ავტომობილები,  
ა – ავტობუსები, მქ/ა – მიკროავტობუსები)

6. არჩეული მონაცემთის მიმართ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობების სიახლოვის გათვალისწინებით, გააკეთოთ დასკვნა თქვენ მიერ გამოკლეული ავტომაგისტრალის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

„აზერბაიჯანის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული პროგრამები“  
მიზნები:

1. სახელმწიფო ეკოლოგიური პროგრამების შესწავლა, რომლებიც განხორციელდა აზერბაიჯანში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში.
2. სახელმწიფოს მიერ ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების კლასიფიკაცია, ინფორმაციის სისტემატიზაცია.

#### წყაროები:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალური საიტი: <http://www.eco.gov.az/anket4.php>
2. <http://eco.preslib.az/>
3. სხვა ბეჭვდითი და ელექტრონული წყაროები.

#### სამუშაოს მსვლელობა:

1. ინფორმაციის დამატებითი წყაროების საშუალებით შეაგროვეთ ინფორმაცია აზერბაიჯანში ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელებული ეკოლოგიური პროგრამების შესახებ.
2. მოახდინთ სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებათა კლასიფიკაცია, შედეგები სისტემაში მოყვანეთ და შეიტანეთ (ცხრილში):

	თარიღი	დოკუმენტი	ჩატარებული სამუშაო	გეგმები
წყლის რესურსები				
ატმოსფერული ჰაერის დაცვა				
ნიადაგის რესურსების დაცვა				
საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა				
ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება				
ტყის რესურსების დაცვა				
გაუდაბნოებასთან ბრძოლა				

3. მოამზადეთ ანგარიში ჩატარებული სამუშაოს შესახებ ელექტრონული პრეზენტაციის, ბულეტის ან ფოტოალბომის ფორმით.

## 3. 3

„აზერბაიჯანის რესპუბლიკის წითელ წიგნი შეტანილი იშვიათი და დაცვის ქვეშ მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა შესწავლა“.

ამოცანები:

1. შესასწავლ რაიონში იშვიათი და დაცვის ქვეშ მყოფი მცენარეებისა და ცხოველების საბინადრო ადგილების გამოვლენა.
2. იშვიათი სახეობების მორფოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებების და საბინადრო გარემოსთან მათი შეგუების საშუალებების შესწავლა.
3. იშვიათ სახეობათა საბინადრო ადგილების შემცირებისა და მათი რიცხოვნობის კლების მიზეზების დადგენა.
4. შესწავლილი იშვიათი სახეობების შესანარჩუნებლად ღონისძიებების შემუშავება.

#### წყაროები:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის წითელი წიგნი.
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალური საიტი: <http://www.eco.gov.az/anket4.php>
3. სხვა ელექტრონული და ბეჭვდითი წყაროები.

#### სამუშაოს მსვლელობა:

1. საკუთარი ცოდნის, დაკვირვების, დამატებითი ინფორმაციის წყაროების და წითელი წიგნის მონაცემების გამოყენებით შეადგინეთ იშვიათი და დაცვის ქვეშ მყოფი მცენარეებისა და ცხოველების სახეობათა სია, რომლებიც თქვენს რაიონში ბინადრობენ. გააკეთეთ ჩანახატები, ფოტოები.
2. აღწერეთ ამა თუ იმ მცენარის (ცხოველის) სახეობა; მონაცემები ცხრილში შეიტანეთ:

სახეობის სახელწოდება	მორფოლოგიური დახასიათება	ბიოლოგიური დახასიათება	საბინადრო ტერიტორია	გარემოს პირობებთან შეგუებულობა

3. გაარკვიეთ შესწავლილი სახეობების რაოდენობის და მათი საბინადრო აღმილების შემცირების მიზეზები.
4. შემოგვთავაზეთ შესწავლილი იშვიათი სახეობების დაცვისა და რიცხოვნობის ზრდის ღონისძიებები.
5. მოაზიადეთ ანგარში ჩატარებული სამუშაოს შესახებ ელექტრონული პრეზენტაციის, ბუკლეტის ან ფოტოალბომის სახით.

### „საყოფაცხოვრებო ნარჩენების ხელმეორედ გამოყენება“

- ჩატარეთ მეგობრების, ნათესავების, მეზობლების გამოკითხვა ანკეტის საშუალებით:
  - ახარისხებთ თუ არა ნაგავს?
  - რა ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება წარმოშვას საყოფაცხოვრებო ნარჩენებმა?
  - როგორ შეიძლება ქალალდის, პლასტმასის ბოთლების, ალუმინის ქილების, პოლიეთილენის პარკების, ძველი საბურავებისა და ჭურჭლის ხელახალი გამოყენება?
  - იცით თუ არა საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ხერხები?
- როგორ შეიძლება დავიცვათ ეკოლოგიური სისუფთავე ჩვენს ქალაქში (რაიონში, სოფელში)?
- გაანალიზეთ ანკეტები, შემოგვთავაზეთ გამოუსადეგარი ნივთების გადამუშავების ან მათი სხვა დანიშნულებით გამოყენების საშუალებები.
- არსებობს თუ არა თქვენს რაიონში საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემები?
- რა სახის გარემოსდაცვითი ორნისძიებები შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ?
- საშუალოს შედეგი წარმოადგინეთ რეალური საგნების, ფოტოების, ნახატების, პლაკატების, ელექტრონული პრეზენტაციის სახით.

### „ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა მშობლიური მხარის გარემოზე“

- განსაზღვრეთ ატმოსფეროს დაბინძურების ანთროპოგენური წყარო იმ ტერიტორიაზე, სადაც თქვენ ცხოვრობთ.
- დაადგინთ, რა სახის ნარჩენებით (ქალალდი, მინა, მეტალი, პოლიეთილენის პარკები და სხვ.) არის ძირითადად დაბინძურებული თქვენ მახლობლად მდებარე წყალსატევები.
- განსაზღვრეთ ნიადაგის დაბინძურების წყაროები თქვენი საცხოვრებლის მახლობლად.
- ჩატარეთ მეგობრების, ნათესავების, მეზობლების, ნაცნობი ექიმების სოციოლიგიური გამოკითხვა და შეაგროვეთ ინფორმაცია თქვენს რაიონში მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის და ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებების შესახებ (სმისთვის შეგიძლიათ მიმართოთ უახლოეს პოლიკლინიკას).
- დაადგინთ კავშირი ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის ანთროპოგენურ დაბინძურებას შორის თქვენს საბინადრო გარემოში.
- მოამზადეთ თქვენი წინადადებები ამ პრობლემების გადასაჭრელად.
- თქვენი მუშაობის შედეგები წარმოადგინეთ ელექტრონული პრეზენტაციის, გრაფიკების, ცხრილების და ა.შ. სახით.

შემაჯამებელი დავალებები


**1. დაადგინეთ შესაბამისობა:**

- 1) აბიოტური ფაქტორები
- 2) ბიოტური ფაქტორები


- ა) წყლის ქიმიური შემადგენლობა
- ბ) მაღარის პლაზმოდიუმის გამრავლება
- გ) ნიადაგის ტემპერატურა, ტენიანობა
- დ) პარკისნების ფესვებზე კოურის ბაქტერიების არსებობა
- ე) წყლის დინების სიჩქარე
- ვ) ნიადაგის დამლაშება

**2. ეკოლოგიური სისტემის რომელი კომპონენტებია აღნიშნული ციფრებით 1-5?**

1...  
2...  
3...  
4...  
5...



**3. ჩამოთვლილი მაგალითები ბიოლოგიური რიტმების გამოვლენის მიხედვით დაყავით ორ ჯგუფად, დაარქვით თითოეულ ჯგუფს სახელი.**



- 1) დღისით მრავალძარღვას ფოთლებს ჰორიზონტალური მდგომარეობა აქვს, დამით კი ქოლგასავით იხურება.
- 2) ბალახოვანი მცენარეები მინისზედა ორგანოების გარეშე, ღეროს მინისქვეშა სახეცვლილებების ფორმით ისამთოებენ.
- 3) ცხოველთა უმრავლესობას დამით სძინავს, ზოგიერთი კი პირიქით, სწორედ ამ დროს აქტიურდება.
- 4) შემოდგომაზე ჭიები მიწაში ღრმად ჩადიან (ი.ე. სადაც მიწა არ იყინება).
- 5) დღის კაბკაბა შუქზე ბაბუანეერას ყვავილები ყვითლად გადაიშლება, სიბნელეში კი მათი ფურცლები მჭიდროდ იხურება.
- 6) ზამთრისთვის ცხოველებს ბენვი ხშირი და გრძელი ხდება, კანქვეშ ცხიმის ფენა წარმოიქმნება.
- 7) ზაფხულში კურდღლის ბენვი მუქი წაბლისფერი ხდება.

#### **4. აარჩიეთ პასუხის სწორი ვარიანტი:**

- წყლის ქიმიური დაბინძურების ძირითადი წყარო არის ადამიანი/ მცენარეების ლპობა.
- პატარა მდინარეების წყალმარჩხობის მიზეზია ტყის გაჩეხა/გზების მშენებლობა.
- დიდ ქალაქებში პაერის დაბინძურების ძირითადი წყაროა ნავთობ-ქიმიური სანარმოები/ავტოტრანსპორტი.
- ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა წყაროს წარმოადგენს მზის პატარები/ატომური ელექტროსადგურები.
- სათბურის ეფექტის შექმნას ხელს უწყობს დედამიწის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის/გოგირდოვანი გაზის არსებობა.
- წყალსატევებში ნავთობის ჩაღვრის შედეგად თევზების მასობრივი დაღუპვის მიზეზია წყალში ნახშირორჟანგის/ჟანგბადის რაოდენობის შემცირება.

#### **5. უპასუხეთ კითხვებს:**

- რატომაა აუცილებელი ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად საერთაშორისო თანამშრომლობა?
- რაში გამოიხატება მსოფლიო ოკეანის წყლის ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების საფრთხე?

# გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

7

## 45 გარემოს გავლენი უაქტორების გავლენა ადამიანის ორგანიზმები.

### სტრესი



- რომელი ფაქტორები მოქმედებს უარყოფითად ადამიანის ჯანმრთელობაზე?
- როგორ შეიძლება ამ ფაქტორების სისცემატიზება?
- რა შეიძლება გამოიწვიოს ამ ფაქტორების ზემოქმედებამ?

ადამიანი მუდმივად განიცდის გარემო ფაქტორების ზემოქმედებას. მასზე მოქმედებს როგორც ფიზიკური (სიცხე, სიცივე), ისე ფსიქოლოგიური (საფრთხე, კონფლიქტი) ფაქტორები. მათი ზემოქმედების დასაძლევად ადამიანის ორგანიზმში მიმდინარეობს ერთი ტიპის ბიოქიმიური რეაქციები. ადამიანის საერთო ნეიროპურენულ რეაქციას გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებაზე იმ სიტუაციებში, რომლებიც ხელსაყრელი პირობების ფარგლებს სცილდება, სტრესი ეწოდება.

საქმიანობა

1

ტესტი

„სტრესის ჩემი დონე“

უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს („+“ ან „–“)

უკანასკნელ თვეებში შენ:

1. სკოლაში დაწერე საკონტროლო სამუშაო;
2. ვინწესთან ძლიერ იკამათე ან იჩხუბე;
3. აგვანებდი სკოლაში (ან სხვაგან);
4. რაღაც ამაღლვებელი განიცადე;
5. გრძნობდი სევდას ან მარტოობას;
6. კლასის წინაშე გამოდიოდი;
7. ახალი ადამიანი გაიცანი;
8. მშობლებთან ურთიერთობაში პრობლემები გქონდა;
9. მთელი ძალით ცდილობდი შევიძრში გამარჯვებას;
10. ძალიან დაკავებული იყავი საქმეებით;
11. პრობლემები გქონდა გაკვეთილების მომზადებაში;
12. ვერ შეასრულე შენზე დაკისრებული ვალდებულებები;
13. რაღაც საქმეში პირველი უნდა გამზღვიულია;
14. დიდი ღონისძიების ორგანიზებაში ეხმარებოდი;
15. დაბნეული იყავი.

შეკრიბეთ თქვენი დადებითი პასუხები:

- 0-დან 5-მდე – სტრესის დაბალი დონე;
- 6-დან 10-მდე – სტრესის საშუალო დონე;
- 11-დან 15-მდე – სტრესის მაღალი დონე.

– კიდევ რომელ ფაქტორებს შეუძლია სტრესის გამოწვევა?

## საკვანძო სიტყვები

### • სტრესი

**სტრესი.** ცნება სტრესი (ინგ. „stress“ – ზეწოლა, დაძაბულობა) კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელიემ შემოიტანა. მან განმარტა სტრესი, როგორც დაცვითი რეფლექსები, რომელებიც ორგანიზმში რაიმე არახელსაყრელი ფაქტორის ზემოქმედების საპასუხოდ წარმოიქმნება. სტრესი – ეს არის ორგანიზმის ძლიერი გამლიზიანებლებით განპირობებული დაძაბული მდგომარეობა, თანაც დაძაბულობა უფრო მეტად იჩინს თავს ემოციური გამლიზიანებლების ზეგავლენით. ამას თან სდევს გარკვეული ფიზიოლოგიური ცვლილებები ორგანიზმში.


**სტრესის გამომზვევი ფაქტორები.** სტრესის გამომზვევ ფაქტორებს მიეკუთვნება ცხოვრებაში მომზდარი ცვლილებები, ემოციური შეჯახებები, შიში, დაღლილობა, ფიზიკური დაზიანებები, გარემოს ტემპერატურის მცვეთრი ცვლილება, ხმაური, დაავადებები და ა.შ. ამ ფაქტორების მოქმედებაზე ადამიანის საპასუხო რეაქცია დამოკიდებულია მის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე, მისი მომზადების დონეზე ამ ფაქტორების მოქმედების მიმართ. ემოციური სტრესი ცხოვრების რიტმის ცვლილებისა და კონფლიქტების შედეგია. თავისი ინტენსივობის მიხედვით მსგავსი სტრესები შესაძლებელია ადამიანს განუვითარდეს როგორც სერიოზული საფრთხის, ისე დიდი შემოქმედებითი წარმატების დროს.

## ეს საინტერესოა

- სტატისტიკის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების (ქვეყნის, რომელმაც პირველმა გააცნობიურა სტრესთან დაკავშირებული პრობლემა) მოსახლეობის 90% ძლიერი სტრესის მდგომარეობაშია. მათგან 60% სტრესს კვირაში 1-2-ჯერ განიცდის, 30% – თითქმის ყოველდღე.

**სტრესის ფაზები. ძლიერი სტრესის გავლენა ჯანმრთელობაზე.** სტრესს სამი ფაზა გააჩნია: ორგანიზმის მობილიზაცია (შფოთვის ფაზა), ორგანიზმის წინააღმდეგობა გამლიზიანებლის მიმართ (ადაპტაციის ფაზა) და ორგანიზმის დასუსტება (გამოფიტვის ფაზა).

მობილიზაციის ფაზაში ადამიანს გულისცემა უჩქარდება, მატულობს არტერიული წნევა, სისხლში ადრენალის დონე, კუნთებისაკენ იგზავნება სისხლის დიდი მოცულობა, სუსტდება მონელების პროცესები. ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანი მზად არის დაიცვას თავის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამის შედეგად სტრესის ფაქტორის მიმართ ჩნდება დაძაბულობა. ეს რეაქცია ორგანიზმს თავდაცვისთვის ამზადებს.



გამდიზიანებლის მიმართ წინააღმდეგობის სტადიაზე ორგანიზმი წინააღმდეგობას უწევს, რის შედეგადაც პირდაპირი საფრთხე მცირდება. ამ პერიოდში, სტრესის მოქმედებისგან თავდასაცავად, ადაპტაციის მაღალი უნარი მიიღწევა.

გამოფიტვის სტადიაზე სტრესის მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი ქვეითდება. ეს პროცესი მიმდინარეობს მაშინ, როცა სტრესი სანგრძლივად მოქმედებს. ამ სტადიაზე აღინიშნება გაურკვეველი შფოთვა, სწრაფი დალლა, უძილობა, გალიზიანება, დეპრესია, თავის ტკივილი და ა.შ. მაგრამ სტრესი ორგანიზმისთვის ყოველთვის საზიანო როდია, მაგალითად, საშუალო სიძლიერის სტრესი ორგანიზმის უფრო ეფექტურ მოქმედებას იწვევს და ადამიანი დასახულ მიზნებს თავისი ორგანიზმისთვის რაიმე ზიანის მიყენების გარეშე აღნევს. ნეგატიური სტრესი ამცირებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს, აუარესებს მის მდგომარეობას და ხელს უწყობს დაავადებების განვითარებას. მაგრამ თუ ორგანიზმის შეცვლილი ფუნქციები სწრაფად აღდგა, მაშინ სტრესი შეიძლება სასარგებლოც კი იყოს. სასარგებლო სტრესი იწვევს ორგანიზმის შესაძლებლობათა მობილიზებას, ამაღლებს დაავადებების მიმართ წინააღმდეგობის უნარს და აჩქარებს გარემოს ცვალებად პირობებში ორგანიზმის ადაპტაციას.

## საქმიანობა

2

**დაადგინეთ შესაბამისობა:**

– ხასიათის რომელი თვისებებია თქვენთვის დამახასიათებელი?

- ა. ახდენს კონფლიქტის პროვოცირებას
- ბ. ეწინააღმდეგება კონფლიქტის პროვოცირებას

**ხასიათის თვისებები:**

1. მოთმინება
2. გალიზიანებადობა
3. თავმდაბლობა
4. მიმნდობლობა
5. თვითკონტროლი
6. ეჭვიანობა
7. ბუტიაობა
8. სიფიცე
9. მიმტევებლობა
10. კეთილგანწყობა
11. უხეშობა
12. ბარიაბა
13. მოუთმებლობა
14. ზრდილობიანობა

**სტრესთან ბრძოლა.** ადამიანმა უნდა იცოდეს როგორ მართოს თავისი ქცევა სტრესის წინააღმდეგ ბრძილის საერთო პრინციპების გამოყენებით. აქტიური საქმიანობის ხელშესაწყობად მან უნდა შეძლოს სასარგებლო სტრესების ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნება. ამისთვის ის მუდმივად უნდა ავარჯვიშებდეს თავის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს, თავს არიდებდეს კონფლიქტებს.

**1. შესაბამისი ცნებების გამოყენებით დაასრულეთ სქემა:**

1. სიცივე;
2. კონფლიქტური სიტუაცია;
3. ნამლების ზედმეტად გამოყენება;
4. დაღლილობა;
5. გარემოს დაპინძურება;
6. მავნე ჩევევები;
7. დიდი ფიზიკური დატვირთვა;
8. სიცე;
9. შიში.

**ორგანიზაციის დამაპულობის გამომვლევი ვაკტორები**

ვისიმოლოგიური ...

ვიზიური ...

**2. თანამიმდევრობით განალაგეთ მოსაზრებები, რომელიც სტრესის სტადიებს აღწერს და დაასახელეთ ისინი:**

- ა. ორგანიზმი ეწინააღმდეგება გარემოს არახელსაყრელ და ძლიერ, სტრესის განმაპირობებელ ფაქტორს. მაგრამ მცირდება სხვა არახელსაყრელი ფაქტორების მიმართ ორგანიზმის მდგრადიბა და მნიშვნელოვნად სუსტდება იმუნიტეტი.
- ბ. ორგანიზმი სტრესის გამომწვევი ფაქტორის წინაშე უძლურია და ვითარდება სხვადასხვა დავადებები.
- გ. ხდება ორგანიზმის დაცვითი ძალების მობილიზება სტრესის გამომწვევი ფაქტორის დასათრვუნად.

1.	?	
2.	?	
3.	?	

**3. საკუთარი ცოდნის, დაკვირვების და ინფორმაციის დამატებითი წყაროების გამოყენებით შეადგინეთ კონსპექტი ერთ-ერთი შემოთავაზებული ფორმით:**

- რადიოგადაცემის სცენარი „როგორ დავიცვათ თავი სტრესისგან?“
- სტატია „როგორ დაიცვას თავი მოსწავლემ სტრესისგან?“ მოზარდებისთვის განკუთვნილ ჟურნალში.
- სარეკლამო რგოლის „სტრესისგან თავდაცვა“ სცენარი

## 46 პდამის მემკვიდრეობითობა და გარემოს როლი მის ფორმირებაში

- რა არის გენი?
- როგორია გენის ფუნქცია?

**ცვალებადობა და მემკვიდრეობითობა.** შეხედულებები მემკვიდრეობითობის შესახებ კაცობრიობისთვის ჯერ კიდევ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მაგრამ მხოლოდ XIX ს.-ში ავსტრიელმა ბიოლოგმა, გრეგორ მენდელმა აღმოაჩინა გენეტიკური მემკვიდრეობის ძირითადი კანონზომიერებები და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერება გენეტიკას.

მემკვიდრეობითობა არის ორგანიზმის თვისება შეინარჩუნოს და შთამომავლობას გადასცეს თავისი ნიშან-თვისებები და განვითარების თავისებურებები.

ორგანიზმის მიერ ახალი ნიშან-თვისებების შექმნის უნარს ან ერთი სახეობის ინდივიდებს შორის განსხვავებების გაჩენას ცვალებადობას უწოდებენ. ცვალებადობისა და მემკვიდრეობითობის კანონზომიერებებს გენეტიკა შეისწავლის.

**მემკვიდრეობითობის მატერიალური საფუძვლები.** ამა თუ იმ ნიშან-თვისების განმსაზღვრელი გენები ქრომოსომებშია განლაგებული. ისინი მემკვიდრეობითობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. ადამიანის გენების ნორმალური ნაკრები 46 ქრომოსომაშია მოთავსებული. ქრომოსომების რაოდენობას, რომელიც ერთ ბირთვშია მოთავსებული, კარიოტიპი ეწოდება. ადამიანის კარიოტიპში 46 ქრომოსომიდან 22 წყვილი აუტოსომა (არა-სასქესო) და 1 წყვილი სასქესო ქრომოსომაა. ქალისა და მამაკაცის აუტოსომები იდენტურია, მაგრამ სასქესო ქრომოსომები განსხვავებულია.


ადამიანის ქრომოსომულ ნაკრებში ყოველ ქრომოსომას იდენტური ჰომოლოგიური ქრომოსომა აქვს. ჰომოლოგიური ქრომოსომების ერთნაირ უბნებში მოთავსებულია წყვილი ალტერნატიული (საპირისპირო) გენები, რომლებიც ერთი ნიშან-თვისების ჩამოყალიბებას განაპირობებს. ასეთ გენებს ალელური გენები ეწოდება.

გამონაკლისს მხოლოდ სასქესო ქრომოსომები წარმოადგენს, რომლებიც არ ქმნის ჰომოლოგიურ წყვილს. მათ  $x$  და  $y$  ქრომოსომებს უწოდებენ.

**გენოტიპი და ფენოტიპი.** ორგანიზმის ყველა გენის ერთობლიობას გენოტიპი ეწოდება. დაადგინეს, რომ ადამიანის გენოტიპი 60 ათასამდე გენს შეიცავს.

გენოტიპში არსებული გენები, გარემო ფაქტორების გავლენით, სხვადასხვა ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. ნიშან-თვისება – ეს არის ორგანიზმის გარკვეული თავისებურების გამოვლენა. ორგანიზმის გარეგანი, ხილული ნიშან-თვისებების ერთობლიობას ფენოტიპს უწო-

ალელური გენების  
განლაგება ჰომოლოგიურ  
ქრომოსომებში



დებენ. ადამიანის ფენოტიპურ ნიშან-თვისებებს მიეკუთვნება: თმის ფერი, სიმაღლე, ცხვირის ფორმა და ა.შ.

**დომინანტური და რეცესიული ნიშან-თვისებები.** ძუძუმწოვრებში (მათ შორის ადამიანში) განაყოფიერების დროს ერთმანეთს ერწყმის მამრობითი სპერმატოზოდი და მდედრობითი კვერცხუჯრედი და მიიღება ზიგოტა. ამ დროს ერთმოსომებისა და მათი შემადგენელი გენების შემთხვევითი გაერთიანება სხვადასხვა გენეტიკურ კომბინაციას ნარმოქმნის. ბავშვის გენეტიკური ნიშან-თვისებების კომბინაციის ფორმირებაში დომინანტური (ძლიერი) და რეცესიული (სუსტი) გენები მონაწილეობს. მაგალითად, მუქ-თმიან და ქერათმიან მშობლებს მუქ-თმიანი შვილი უჩნდება. შთამომავლობაში გამოვლენილ ნიშან-თვისებას (მუქ-თმიანობას) დომინანტურს, ხოლო დათრგუნულ ნიშანს (ქერათმიანობას) კი – რეცესიულს უწოდებენ. ადამიანის დომინანტურ და რეცესიულ ნიშან-თვისებებს მიეკუთვნება:

#### დომინანტური ნიშან-თვისებები

მუქი თმა  
ხვეული თმა  
თაფლისფერი თვალები  
მუქი კანი  
ჭორფლიანი სახე  
დიდი ცხვირი  
სისხლის ნორმალური შედედება

#### რეცესიული ნიშან-თვისებები


ქერა თმა  
სწორი თმა  
ცისფერი თვალები  
ღია ფერის კანი  
უჭორფლო სახე  
პატარა ცხვირი  
სისხლის შეუდედებლობა (ჰემოფილია)

დომინანტური და რეცესიული გენებითაა განპირობებული აგრეთვე ზოგიერთი დაავადების მიმართ მიღრებილება.

#### საქმიანობა

##### დაათვალიერეთ სურათი.

- რა კანონზომიერება შეინიშნება ადამიანის ღია და მუქი თვალის ფერის დამემკვიდრებაში?
- როგორ შეიძლება ამის ახსნა?



გარემოს როღი ადამიანის მემკვიდრეობითობის ჩამოყალიბებაზე. ადამიანის ისეთი თავისებურებები, როგორებიცაა ხასიათი, ტემპერამენტი მემკვიდ-

რულ ფაქტორებს ეფუძნება. ინტელექტის დონე, ამა თუ იმ მეცნიერებისკენ მიღწეული და მუსიკალური, ცეკვის, სპორტული მონაცემები, მათემატიკური აზროვნების უნარი და სხვ. ასევე გენეტიკურადაა განპირობებული.

## ეს საინტერესოა

- ზოგიერთი ნიშან-თვისება, მაგალითად, **სისხლის ჯგუფი** და ზოგიერთი **მემკვიდრეობული დაავადება** განპირობებულია არა გარემოს ზემოქმედებით, არამედ მხოლოდ გენოტიპით. სხვა ნიშან-თვისებების გამოვლენა დამოკიდებულია, როგორც გენოტიპზე, ისე გარემო ფაქტორების მოქმედებაზე. მაგალითად, ადამიანის სიმაღლე გენოტიპზე დამიკავშირდება, მაგრამ ამავე დროს ის დამიკავშირდებულია გარემოზეც – კვებაზე ზრდის პერიოდში.



მაგრამ ამასთანავე ადამიანის მემკვიდრეობითობაზე გარკვეულად გარემო ფაქტორებიც მოქმედებს. ბავშვის ხასიათი დამოკიდებულია არა მხოლოდ მემკვიდრეობითობაზე, არამედ ალზირდაზეც, გარემოზეც, სოციალურ მდგომარეობაზეც და სხვ. მშობლებთან ურთიერთობისას ბავშვები მათი ხასიათის თავისებურებებს ითვისებენ, ამიტომ მშობლებმა ბავშვებს ქცევის მხოლოდ ღირსეული მაგალითები უნდა აჩვენონ.

### საკვანძო სიტყვები

- მემკვიდრეობითობა
- ცვალებადობა
- აუტოსომები
- კარიოტიპი
- გენოტიპი
- ფენოტიპი
- დომინანტური ნიშანი
- რეცესიული ნიშანი

## მიღებული ცოდნის შემოხერხა და გამოყენება

### 1. აარჩიეთ სწორი პასუხი:

1. გარეგანი, ხილული ნიშან-თვისებების ერთობლიობას ეწოდება ფენოტიპი/გენოტიპი.
  2. ორგანიზმის თვისებას შეიძინოს ახალი ნიშან-თვისებები ეწოდება მემკვიდრეობითობა/ცვალებადობა.
  3. მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს, ეწოდება ციტოლოგია/გენეტიკა.
  4. ადამიანის კარიოტიპში 22/23 წყვილი ქრომისომაა.
  5. ქალისა და მამაკაცის აუტოსომები განსხვავდება/არ ვანსხვავდება ერთმანეთისაგან.
  6. შთამომავლობაში გამოვლენილ ძლიერ ნიშან-თვისებას ეწოდება რეცესიული/დომინანტური.
  7. ინდივიდის ყველა მემკვიდრეული თავისებურებების ერთობლიობას ეწოდება ფენოტიპი/გენოტიპი.
2. განმარტეთ ცნებები და ასახეთ მათ შორის კავშირები სქემის ფორმით:

გენი

ფენოტიპი

გენოტიპი

ნიშან-თვისება

გარემო ფაქტორები

3. გამოიყენეთ ინფორმაციის დამატებითი წყაროები და მოაზადეთ პრეზენტაცია ცხოველებისა და მცენარეების დომინანტური და რეცესიული ნიშან-თვისებების შესახებ.

## 47 პდამიანის მეცნილეობითობის შესხვალის მეთოდები



- როგორია ადამიანის ქრომოსომული ნაკრები?
- როი განსხვავდება ერთმანეთისგან მამაკაცისა და ქალის ქრომოსომული ნაკრები?
- სად და როგორ განისაზღვრება მომავალი ბავშვის სქესი?

მეტკვიდრეობითობის კანონზომიერებები, რომლებსაც ადგილი აქვს სხვა ორგანიზმებში, ადამიანისთვისაც არის დამასასიათებელი. მაგრამ, სხვა ორგანიზმებისგან განსხვავებით, ადამიანის მეტკვიდრეობითობისა და ცვალებადობის კანონზომიერებების შესწავლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა შეუძლებელია ადამიანებზე პირდაპირი ექსპერიმენტების ჩატარება. გარდა ამისა, ადამიანი ნელა მრავლდება და მცირერიცხოვან შთამომავლობას ნარმოშობს. ამიტომ ადამიანის მეტკვიდრეობითობისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესასწავლად სპეციალური მეთოდები შემუშავდა.

**საგვარტომო ნუსხის გრაფიკული  
გამოსახულების შედგენისას,**



**დაიცავით შემდეგი ნუსხი:**

- საგვარტომო ნუსხა იწყება იმ ადამიანიდან, რომლისთვისაც მას ადგინენ;
- ქმები და დები განლაგდებიან დაბადების რიგითობის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ, დაწყებული უფროსიდან;
- ყოველი თაობის ნარმომადგენლები საგვარტომო ნუსხაში ერთ რიგში განლაგდებიან.

**გენეალოგიური მეთოდი** ეფუძნება გენეალოგიურ (საგვარტომო) ხის შესწავლას. ამ დროს საკვლევი ნიშან-თვისება სპეციალური პირობითი ნიშნებითა და ნათესაური კავშირების აღნიშვნით, გრაფიკულად გამოისახება. გენეალოგიურ (საგვარტომო) ნუსხას ადგენენ და შესასწავლო ნიშნის კვლევა ხდება, სულ მცირე, სამი თაობის მანძილზე.


ამრიგად, ხდება ნიშან-თვისების დომინანტური ან რეცესიული მეტკვიდრეობის დადგენა.

**საქმიანობა**

**ამონსენით მიოცნა.** ოჯახის საგვარტომო ნუსხაში ვხვდებით ნიშან-თვისებას „ჭალარა“ თმის კულული“, რომელიც მეტკვიდრეობს როგორც დომინანტური ნიშანი (იხ. სქემა). მშობლებიდან რომელს ჰქონდა ჭალარა კულული? რომდენი პროცენტია ამ ნიშნის შევილებში გამოვლენის ალბათობა? რატომ არ აქვთ ეს ნიშანი №5 და №7 შთამომავლებს?

**ნიშნის „ჭალარა თმის კულული“ მეტკვიდრეობა**

- |   |                                    |
|---|------------------------------------|
| <input type="checkbox"/> მამაკაცი                               | <input type="checkbox"/> ქორნინება |
| <input type="circle"/> ქალი                                     | <input type="checkbox"/> შვილები   |
| <input checked="" type="checkbox"/> შესასწავლი<br>ნიშან-თვისება |                                    |




**ტყუპების მეთოდი.** მართალია, გენეალოგიური მეთოდით შეიძლება ნიშან-თვისების დომინანტობის ან რეცესიულობის გარკვევა, მაგრამ სრულიად შეუძლებელია ამ ნიშან-თვისების დამეტკვიდრებაზე გარემოს გავლენის დადგენა. ამ გავლენას სწავლობენ ერთი ან სხვადასხვა კვერცხუჯრედიან ტყუპებზე, რის შემდეგაც ხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ტყუპების მეთოდით შესწავლიან ისეთი ნიშან-თვისების დამეტკვიდრებას, როგორებიცაა სახის ჭორფლიანობა, თითების ხაზები, ინფექციური დაავადებების მიმართ განწყობა და აშ.


## ტყუპების მეთოდი

ერთ  
კვერცხუჯრედიანი  
ტყუპები

- ტყუპების რაოდენობისგან დამოუკიდებლად განაყოფიერებაში მონაწილეობს 1 კვერცხუჯრედი და 1 სპერმატოზოიდი.



- ტყუპებს ერთი პლაცენტა აქვთ.




სხვადასხვა კვერცხ-  
უჯრედიანი ტყუპები

- იმისდა მიხედვით თუ რამდენი ტყუპისცა-ლია, განაყოფიერება-ში მონაწილეობს ორი ან მეტი კვერცხუჯ-რედი და ორი ან მეტი სპერმატოზოიდი.




- ყოველ ტყუპის-ცალს თავისი პლაცენტა აქვს.



**ციტოგენეტიკური მეთოდი.** ეს მეთოდი ქრომოსომების აგებულებისა და რაოდენობის შესწავლას ეფუძნება. ქრომოსომული დაავადებების ძირითადი მიზეზია ქრომოსომიდან უბინის ამოვარდნა, მისი სტრუქტურის შეცვლა, ერთით ზედმეტი ან ნაკლები ქრომოსომის არსებობა. ანომალიები შესაძლებელია მოხდეს, როგორც აუტოსომებში, ისე სასქესო ქრომოსომებშიც. ქრომოსომების აუტოსომური დარღვევის მაგალითია დაუნის სინდრომი.


**ციტოგენეტიკური მეთოდი.** ადამიანის ნორმალური კარიოტიპი



**ბიოქიმიური მეთოდი** გამოიყენება ნივთიერებათა ცვლის დარღვევების გამოვლენისთვის. ცვლილებები ადამიანის ორგანიზმში, ზოგჯერ, მემკვიდრული ფაქტორებით განპირობებული პათოლოგიური ცვლილებების შედეგად მეიოდება განვითარდეს; მაგალითად, შაქრიანი დიაბეტი სწორედ ასეთი დაავადებაა.

## ბიოქიმიური მეთოდი

ნამგლისებრუჯრედული ანემია (სისხლნაკლებობა)



ადამიანის გენეტიკური მრავალფეროვნება. გარეგნობა და გონებრივი შესაძლებლობები, ხასიათი, დაავადებების მიმართ განწყობა ან მდგრადობა, სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობა და ადამიანის სხვა თავისებურებები მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული გენებითაა განპირობებული.

გენეტიკური მრავალფეროვნება სახეობის ფარგლებში მომხდარ სხვადასხვა ცვლილებებს გულისხმობს. ამ მრავალფეროვნების გამო ორგანიზმს გარემო ფაქტორების ზემოქმედების მიმართ მდგრადობა უვითარდება. მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი მდგრადია გარემოს დაბინძურების მიმართ, მაშინ როცა სხვა გენთა ნაკრების მქონე პირებს, იმავე ფაქტორების მოქმედებით, წინააღმდეგობის უნარი უქვეითდებათ და დაავადებები უვითარდებათ, რომელიც, შესაძლოა, სასიკვდილო შედეგითაც დამთავრდეს. ამის გამო ადამიანის გენეტიკის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრული ნიშან-თვისებების გადაცემას და მათზე გარემო ფაქტორების გავლენას.

### საკვანძო სიტყვები

- გენეალოგიური მეთოდი
- ტყუპების მეთოდი
- ციტოგენეტიკური მეთოდი
- ბიოქიმიური მეთოდი

### აიღვაზლი ცოდნის შემთხვევა და გამოყენება

#### 1. დასვით მტკიცებების შესაპამისი პირობითი აღნიშვნები:

##### გ - გენეალოგიური მეთოდი

- ადამიანის მემკვიდრეობითობის შესწავლის მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს ქრომოსომების რაოდენობისა და აგებულების თავისებურებების შესწავლა.
- მეთოდი, რომლის საშუალებითაც გამოვლინდება ბავშვის განვითარებაზე გენოტიპისა და გარემოს გავლენა.
- მეთოდი, რომელიც გამოიყენება ადამიანში ნიშან-თვისებათა დამემკვიდრების კანონზომიერებების შესასწავლად.
- მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეისწავლეს ქრომოსომის დაკარგვით ან ზედმეტი ქრომოსომით გამოწვეული დაავადებები.
- მეთოდი, რომელიც ეფუძნება ადამიანის საგვარტომო ნუსხის შესწავლას.
- მეთოდი, რომელიც ჯანმრთელი და დაავადებული ადამიანების ქრომოსომული ნაკრებების შესასწავლად გამოიყენება.
- მეთოდი, რომელსაც ნივთიერებათა ცვლის მოშლით

##### ტ - ტყუპების მეთოდი

##### ც - ციტოგენეტიკური მეთოდი

##### ბქ - ბიოქიმიური მეთოდი

მიმდინარე დაავადებების აღწერისას იყენებენ.

2. გამოიყენეთ სახელმძღვანელოს ტექსტი და ინფორმაციის დამატებითი წყაროები, შეავსეთ ცხრილი „მეთოდები, რომლებიც ადამიანის მემკვიდრეობითობის შესასწავლად გამოიყენება“

მეთოდები	მეთოდის არსი	გამოყენების მაგალითები
გენეალოგიური		
ტყუპების		
ციტოგენეტიკური		
ბიოქიმიური		

3. იაპონიაში არსებული კანონმდებლობით, მამამ, რომელიც ქალიშვილს ათხოვებს, მას მიწის ნაკვეთი უნდა გამოუყოს. იმისთვის, რომ ოჯახის კუთვნილი მიწა არ დაიკარგოს, ქალიშვილისთვის სასიძოს ხშირად ნათესავებს შორის არჩევენ. მაგრამ ასეთ ოჯახებში მემკვიდრეული დაავადებების სიხშირის მკვეთრი მატება შეიძლება. ახსენით, რასთანაა ეს მოვლენა დაკავშირებული.

## 48 ბევრი დაავადებები



- ადამიანის რომელ მემკვიდრულ დაავადებებს იცნობთ?
- რა მეთოდებით შეიძლება ადამიანის გენეტიკური ანომალიების აღმოჩენა?

ნორმალური ნიშან-თვისებების გარდა, ადამიანს მემკვიდრეობით შესაძლებელია პათოლოგიური ნიშან-თვისებებიც გადაეცეს. ასეთი დაავადების მიზეზი, ჩვეულებრივ, ადამიანის გენებსა და ქრომოსომებში არსებული ცვლილებებია.


### საქმიანობა

გამოიკვლიერ ოჯახის ერთი შესასწავლი ნიშანის მიხედვით შედგენილი საგვარტომო ნუსხა.

ამ ოჯახის ნევრი (პრობანდი), რომელმაც ექიმში მიმართა, სქემაზე ისრითაა აღნიშნული.

#### უპასუხეთ კითხვებს:

1. რამდენი თაობის ნარმომადგენელია სქემაზე მოცემული?
2. რამდენი შვილი ჰყავდათ ბებიას და ბაბუას პრობანდის მამის მხრიდან?
3. რა სქესისაა პრობანდი?
4. აქვს თუ არა პრობანდს შესასწავლი ნიშანი?
5. საგვარტომო ნუსხის კიდევ არამდენ ნევრს აქვს პრობანდის მსგავსი ნიშანი?
6. შესასწავლი ნიშანი დომინანტურია თუ რეცესიული?



**გენებში მიმდინარე ცვლილებები.** ასეთი ცვლილებების შედეგია გენეტიკური დაავადებების ნარმოქმნა.

ზოგიერთი გენის მონაწილეობით გარკვეული ამინომჟავა გარდაიქმნება პიგმენტ მელანინად, რომელიც კანის ფერს განაპირობებს. ამ გენებში მომხდარი ცვლილების გამო ადამიანს პიგმენტი არ ნარმოექმნება და შედეგად ვითარდება ალბინიზმი. ალბინიზმის მქონე პირს პიგმენტი არ გააჩნია თმაში, წამწამებში, წარბებში, თვალებსა და კანში (სურ. 5). გენებში არსებული დარღვევებითაა გამოწვეული ქათმის სიბრმავე და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დიდი ნაწილი. დღეისთვის ცნობილია 4000-მდე გენეტიკური დაავადება.

**ქრომოსომული დაავადებები** დაკავშირებულია ქრომოსომების სტრუქტურულ და რაოდენობრივ დარღვევებთან. ეს ცვლილებები შეიძლება განვითარდეს დასხივების, სხვადასხვა წამლების, ნარკოტიკული სამუალებების მოხმარებისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. ქრომოსომული


დაავადებების დროს ადამიანებს აღენიშნებათ გონებრივი ჩამორჩენა, აღნაგობის ნაკლი. ქრომოსომული დაავადების მაგალითია დაუნის სინდრომი (სურ. 6). ეს დაავადება უჯრედის გაყოფისას აუტოსომათა 21-ე წყვილში ერთი ზედმეტი ქრომოსომის მოხვედრითაა განპირობებული. შედარებით ხანდაზმულ ქალებში ამ დარღვევის მქონე ბავშვის დაბადების ალბათობა მატულობს.

(5)



(ბ)

ქრომოსომებთან დაკავშირებული დაავადებები – დაუნის სინდრომი  
ქრომოსომები



- ზედქეტი ქრომოსომა 21-ე წყვილში

- ცხვირის ბრტყელი ძგიდე, ღარ პირი, კანის ნაკეცები ქუთუთოებზე



- განიერი არე ცერსა და მეორე თითოს შორის, ტერფის ნაკეცები

- ერთნაირი ნაკეცები ხელისგულებზე („მაიმუნის ხელისგული“), დამოკლებული ნეკა.



## ეს საინტერესოა

- ადამიანებში გვევდება მემკვიდრული დაავადება არაქნოდაქტილია („ობობას თითები“) – მეტისმეტად გრძელი და თხელი თითები. ამ დაავადების გამომწვევი გენი არღვეს შემაერთებელი ქსოვილის ჩამოყალიბებას და ოამდენიმე ნიშნის – თვალის რქოვანას და თითების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ანომალიების განვითარებას განაპირობებს. ეს დაავადება ჰქონდა გამოჩენილ მევიოლინეს ნიკოლო პაგანინის, აშ-ის პრეზიდენტს, აბრამ ლინკოლნს და საფრანგეთის პრეზიდენტს, შარლ დე გოლს.

**თალასემია.** სისხლის მემკვიდრული დაავადება – თალასემია – აზერბაიჯანში ფართოდაა გავრცელებული. დაავადება რეცესიულია და ერთ-ერთ აუტოსომურ გენში მომხდარი დარღვევისას იჩენს თავს. ამ დროს ირღვევა სისხლში ჰემოგლობინის სინთეზი.

არსებობს თალასემიის ორი ფორმა. პირველი არის თალასემიის მატა-რებლობა. ასეთი ადამიანები გარეგნულად ჯანმრთელად გამოიყურებიან, მაგრამ დაავადების გენის მატარებლები არიან და შეიძლება ის თავიანთ შვილებს მემკვიდრეობით გადასცენ.

ბავშვს, რომელსაც მემკვიდრეობით გადაეცა ეს გენი, უვითარდება ანემიის მსუბუქი ფორმა. ასეთი ბავშვი არ საჭიროებს სერიოზულ

მკურნალობას. მის სისხლში რკინის შემცველობა ნორმის ფარგლებშია.

#### საკვანძო სიტყვები

- თალასემია
- ალბინიზმი

დაავადების მეორე, უფრო მძიმე ფორმა, ცნობილია როგორც დიდი თალასემია. დიდი თალასემია გვხვდება ბავშვებში, რომლბმაც ეს გენი ორივე მშობლისგან მიიღეს. ეს დაავადება ითვლება სისხლის მემკვიდრულ დაავადებად, რომელიც ადრეული ბავშვობიდან ვითარდება. თალასემით დაბადებულ ბავშვებს დაავადება გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ აღნიშნებათ, ის ფარულად მიმდინარეობს – არ ვლინდება დაავადების ნიშნები. მოგვიანებით კი მათ სისხლში ჰემოგლობინის დონე ეცემა. შედეგად უანგბადის უკმარისობის გამო, ასეთი ბავშვები სწრაფად იღლებიან, კანი ფერმკრთალი აქვთ, ეკარგებათ მადა და ერღვევათ ძილი. დროთა განმავლობაში ისინი თანატოლებს ფიზიკურ განვითარებაშიც ჩამორჩებიან. მათ აღნიშნებათ ცვლილებები ღვიძლში, ელენთაში, გულსა და სხვა შინაგან ორგანოებში. თალასემით დაავადებული ბავშვებისთვის აუცილებელია თვეში ერთხელ სისხლის გადასხმა, მაგრამ ამ პროცედურას თან ახლავს სხვა პრობლემები. ბავშვებს, რომელებსაც ამ მეთოდით მკურნალობენ, სისხლში რკინის შემცველობა ეზრდებათ. ჭარბი რკინა შინაგან ორგანოებში ინახება, რაც, საბოლოოდ, გულ-სისხლძარღვთა და ენდოკრინული სისტემების დარღვევას და ღვიძლის დაავადებებს იწვევს. ამის გამო, ზედმეტი რკინის მოცილების მიზნით, ავადმყოფები სხვადასხვა ძლიერმოქმედ სამკურნალო პრეპარატებს იღებენ.

აზერბაიჯანში თალასემის გავრცელების ძირითადი მიზეზი ახლონა-თესაური ქორწინებებია. დაავადება უფრო ხშირად სწორედ ასეთ ოჯახებში დაბადებულ ბავშვებში ვლინდება.

#### აიღვანული ცოდნის შაომრეაპა და გამოყენება

##### 1. ლოგიკურად განსაზღვრეთ ცნებები, რომელიც კითხვის ნიშის მაგივრად უნდა იყოს:

- დარღვევები გენებში – ალბინიზმი  
? – დაუნის სინდრომი
- გენის დომინანტობა ან რეცესიულობა – გენეალოგიური მეთოდი გენოტიპზე გარემოს გავლენის განსაზღვრა – ?
- დაუნის სინდრომი – ?  
ჰემოფილია (სისხლის შეუდედებლობა) – სასექსო ქრომოსომები
- ბიოქიმიური მეთოდი – შაქრიანი დიაბეტი  
? – ქათმის სიბრმავე
- ნორმალური ადამიანი – 46  
ადამიანი დაუნის სინდრომით – ?

2. სქემა რვეულში გადაიხაზეთ. სქემის შესაბამის გრაფებში გაანაწილეთ მემკვიდრული დავადების გამომწვევი რისკ-ფაქტორების ნომრები.

### ფაქტორები

ფიზიკური ფაქტორები ...

ქიმიური ფაქტორები ...

ბიოლოგიური ფაქტორები ...

1. მაიონიზებელი რადიაციის სხვადასხვა სახეები;
  2. ყვავილის ვირუსი;
  3. ზოგიერთი სამჯურნალო პრეპარატი;
  4. ალკოჰოლი;
  5. გრიპის ვირუსი;
  6. ულტრაიისფერი გამოსხივება;
  7. ნარკოტიკები;
  8. ტუბერკულოზის ჩირი.
3. ორი ძმა – ერთ კვერცხუჯრედიანი ტყუპები (პ და პ) – იზრდებოდნენ ცალ-ცალკე, სხვადასხვა საბაზო სახლებში, სხვა ძმები (ბ და ბ) – ისინიც ერთ კვერცხუჯრედიანი ტყუპები – იზრდებოდნენ ერთ აჯახში. ტყუპების გამოკვლევამ შემდეგი შედეგები აჩვენა:

ნიშან-თვისახები	ტყუპები			
	აღიზარდნენ სხვადასხვა პირობებში		აღიზარდნენ ერთნაირ პირობებში	
	პ	ბ	პ	ბ
1. სიმაღლე (სმ)	150	152	160	161,6
2. წონა (კგ)	50	51	54	56
3. მრუდე ფეხები	+	-	-	-
4. სწავლით გატაცება	-	+	+	+
5. მათემატიკური აზროვნება	-	+	+	+
6. გონებრივი განვითარება	საშუალო	მაღალი	საშუალო	საშუალო

- ამ მონაცემების ანალიზისა და შედარების საფუძველზე გააკეთეთ დასკვნა:
- თქვენი აზრით, მოცემული ნიშან-თვისახებიდან რომლებია მემკვიდრული და გენოტიპზე დამოკიდებული?
4. თალასემია რეცესიული გენით გამოწვეული დაავადებაა, მიუხედავად ამისა, ის შეიძლება შთამომავლობაში გამოვლინდეს. ახსენით ამ ფაქტის მიზეზი გენეტიკური თვალსაზრისით.

49

## სქესის ქრომოსომული განსაზღვრა.

### სქესთან შეჯიდული ეფექტიდრეობა



– როგორ განისაზღვრება გენეტიკურად ორგანიზმის მიკუთვნება ამა თუ იმ სქესის მიმართ?


ცხოველების უმრავლესობაში არის ორი სქესის ინდივიდები – მდედრები და მამრები. ამა თუ იმ სქესის მიმართ მიკუთვნება მათ ძირითად ფენოტიპურ თავისებურებას წარმოადგენს.

#### საქმიანობა

**დააკვირდით სქემა.** გადაიხაზეთ ცხრილი რვეულში და კითხვის ნიშნების მაგივრად ჩასვით შესაბამისი ცნებები და ტერმინები.

– რა დასკვნის გაკეთება შეიძლება შევსებული ცხრილის საფუძველზე?

44	?..
22	?..
x	?..
y	?..
44+xy	?..
44+xx	?..
22+X	?..
22+X	?..
22+y	?..



**სქესის ქრომოსომული განსაზღვრა.** ბავშვის სქესი განაცოფირების მომენტში განისაზღვრება. ქრომოსომების საშუალებით ორგანიზმის სქესის დადგენას სქესის ქრომოსომულ განსაზღვრას უწოდებენ.

ქალის კვერცხუჯრედი შეიცავს 23 ქრომოსომას, რომელთაგან 22 აუტოსომაა, ხოლო ერთი – X-ქრომოსომა. შესაბამისად, ყველა კვერცხუჯრედი შეიცავს მხოლოდ X სასქესო ქრომოსომას. მამაკაცებში წარმოიქმნება ორი სახის სპერმატოზოიდები, X- და Y-ქრომოსომიანი; გარდა ამისა, თითოეული 22 აუტოსომას შეიცავს. Y-ქრომოსომა ბავშვის მამრობით სქესზეა პასუხისმგებელი. ამრიგად, თუ ქალის X-ქრომოსომიან გამეტას შეერწყა მამრობითი X-ქრომოსომიანი გამეტა, მაშინ დაიბადება გოგონა, ხოლო თუ Y-ქრომოსომიანი, მაშინ – ბიჭი.

**სქესთან შეჯიდული მემკვიდრეობა.** თუ რაიმე ნიშან-თვისების განმსაზღვრელი გენი აუტოსომაშია მოთავსებული, მიუხედავად იმისა, მისი მატარებელი

#### საკვანძო სიტყვები

- სქესთან შეჯიდული მემკვიდრეობა
- ჰემოფილია
- ფენოტიპი სიბრძმავე

გენი აუტოსომაშია მოთავსებული, მიუხედავად იმისა, მისი მატარებელი

დედაა თუ მამა, ის გადაეცემა როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს (მაგ. თვალი ფერი). ამის მიზეზი ქალისა და მამაკაცის უჯრედებში აუტოსომების მსგავსებაა.


ნიშან-თვისების მემკვიდრეობას, რომლის განმსაზღველი გენიც  $X$ - ან  $Y$ -ქრომოსომაშია მოთავსებული, სქესთან შეფიდულ მემკვიდრეობას უწოდებენ, ხოლო ასეთ გენს, სქესთან შეფიდულ გენს. სქესთან შეფიდული მემკვიდრეობისას ნიშან-თვისება ვლინდება უპირატესად ვაჟებში.

გენები, რომლებიც განაპირობებს ადამიანის ისეთ დაავადებებს, როგორბიცაა ჰემოფილია, ფერითი სიბრძავე (დალტონიზმი),  $X$ -ქრომოსომასთანა შეფიდული.  $Y$ -ქრომოსომაშია გენები, რომლებიც განსაზღვრავს ყურის ბიბილოს თმიანობას, კანის ქერცლიანობას (თევზის მსგავსად).

## ეს საინტერესოა

- ფერითი ალქმის დარღვევის დასადასტურებლად გამოკლევას პოლიქრომატული (ბერძ. „polys“ – მრავალი, „chroma“ – ფერი) ცხრილების, სპეციალური ტესტებისა და აპარატურის გამოყენებით ატარებენ.

**პოლიქრომატული ტესტი** ნახატები  
შესრულებულია სხვადასხვა ფერის,  
მაგრამ ერთნაირი სიმკეროს მქონე  
ნრეებისა და ნერტილების  
საშუალებით. ფერითი სიბრძავეს  
მქონე ადამიანები ვერ არჩევენ  
ნახატს, ისინი ხედავენ მხოლოდ  
ნრეებითა და ნარტილებით  
შევსებულ არეს.



განვიხილოთ ჰემოფილის დამემკვიდრება – დაავადებისა, რომელიც სქესთანა შეფიდული. დომინანტური გენი  $H$ , რომელიც  $X$ -ქრომოსომასთანა შეფიდული, სისხლის ნორმალურ შედედებას უზრუნველყოფს. რეცესიული  $h$  გენი, კი – სისხლის შედედების უნარის დაქვეითებისა და ჰემოფილის გამომწვევი მიზეზია.

სისხლის ნორმალური

შედედების გენი –  $H$

ჰემოფილის განმსაზღვრელი გენი –  $h$



მიუხედავად იმისა, რომ ჩ გენი რეცესიულია, სისხლის შეუდედებლობა უპირატესად მამაკაცებს ალენიშებათ, ვინაიდან ყ-ქრომოსომაში მას არ აქვს ალელური გენი. ქალი, რომლის გენოტიპში ჰემოფილის ერთი გენია, ფენოტიპურად ჯანმრთელია.

ჰემოფილია ბავშვობის ასაკში ვლინდება. ამ დროს მცირე დაზიანებაც კი, შესაძლებელია, კანქეცეშ და კუნთებში ძლიერი სისხლჩაქცევების მიზეზი გახდეს. უბრალო ჭრილობამ ან კბილის ამოღებამ შეიძლება სიცოცხლისთვის საშიში სისხლდენა გამოიწვიოს და მძიმე შემთხვევაში, სიკვდილითაც დასრულდეს.

**დაავადებებისადმი მემკვიდრული განწყობა.** ზოგ შემთხვევაში დაავადების მიმართ მემკვიდრული განწყობა გარემოს გავლენით მუდავნდება. ასე, მაგალითად, ადამიანებში, რომლებსაც ფილტვის კიბოს მიმართ მემკვიდრული განწყობა აქვთ, დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მოწევა.

როცა ადამიანი უარს ამბობს მავნე ჩვევებზე, დაავადების მიმართ მემკვიდრული განწყობა სუსტდება და ქრება კიდეც. ადამიანებს მემკვიდრული განწყობა ალენიშებათ ისეთი დაავადებების მიმართ, როგორებიცაა შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონია, კუჭის წყლული.

**სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაციები.** მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაციები. ამ კონსულტაციების მიზანი ახალგაზრდა ოჯახებში მემკვიდრული დაავადებების მქონე ბავშვების დაბადების რისკის შემცირებაა. რეკომენდაციების გაცემის მიზნით ადგენენ საგვარტომო ნუსხას, იკვლევენ ქრომოსომულ ნაკრებს, ატარებენ გარკვეულ ბიოქიმიურ გამოკვლევებს და ა.შ. ასეთი კონსულტაციები განსაკუთრებით საჭიროა იმ ახალგაზრდა ოჯახებისთვის, რომლებსაც მსგავსი დაავადებების (მაგ. გულის მანკი, ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენა) მქონე ნათესავები ჰყავთ.

## აილაგული ცოდნის შემონახა და გამოყენება

### 1. დაადგინეთ შესაბამისობა:


- |                                  |  |
|----------------------------------|--|
| 1. კარიოტიპი                     | a. ქრომოსომების წყვილი, რომელიც განსხვავებული აქვს მდედრს და მამრს.  |
| 2. სასქესო ქრომოსომები           | b. უჯრედის ერთ ბირთვში არსებული ქრომოსომების საერთო რაოდენობა.       |
| 3. აუტოსომები                    | c. ცალსქესიანი ორგანიზმების უჯრედებში გარეგნულად მსგავსი ქრომოსომები |
| 4. ქალის სასქესო ქრომოსომები     | d. XY  |
| 5. მამაკაცის სასქესო ქრომოსომები | e. XX  |

### 2. ამოარჩიეთ მართებული დებულებები:

- 1) ქრომოსომების მიხედვით ორგანიზმის გენოტიპის განსაზღვრას სქესის ქრომოსომულ განსაზღვრას უწოდებჩნ.
- 2) ალელური გენები ერთი გენის განსხვავებული ალტერნატივული ფორმებია, რომლებიც ჰომოლოგური ქრომოსომების ერთნაირ უწებებში მდებარეობენ.
- 3) X ქრომოსომაში არის კანის თევზის მსგავს ქერცლიანობაზე პასუხისმგებელი გენი.

- 4) გამეტები მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმში არსებული სასქესო უჯრედებია, რომლებიც წყვილი ალელური გენებიდან მხოლოდ ერთს ძეიცავს.
- 5) გენი ცილის მოლეკულის მონაკვეთია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას უჯრედის აგებულების შესახებ.
- 6) ფერითი სიბრმავის განმსაზღვრელი გენები  $X$ -ქრომოსომაში მდებარეობს.
- 7) ქრომოსომებს, რომლებიც ქალსა და მამაკაცს განსხვავებული აქვთ, აუტოსომებს უნიდებენ.
- 3) დამატებითი ინფორმაციის წყაროების გამოყენებით მოამზადეთ პრეზენტაცია ჰემოფილისა და ფერითი სიბრმავის შესახებ (ალმოჩენა, შესწავლა, საინტერესო ფაქტები და ა.შ.).
- 4) ფერების ნორმალური ალქმა განპირობებულია დომინანტური  $D$  გენით, რომელიც  $X$ -ქრომოსომაშია ლოკალიზებული, ხოლო ფერითი სიბრმავის განმსაზღვრელი გენი  $d$  კი რეცესიულია. გამოიყენოთ ჩანერის ისეთივე ფორმა, როგორც ჰემოფილის დროს და ჩანერეთ მშობლებისა და პირველი თაობის ინდივიდების გენოტიპები.

- ფერითი სიბრმავის გენის მატარებელი  $X$ -ქრომოსომა
- ნორმალური მხედველობის გენის მატარებელი  $X$ -ქრომოსომა
- $Y$ -ქრომოსომა
- ფერითი სიბრმავე
- ნორმალური მხედველობა



## 50 ქაქტორებზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა?



– რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა?

ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას, რომელშიც შედის ჩვეული საკების მიღება, შრომისა და დასკვენების მონაცემებია და ა.შ., ცხოვრების წესს უწოდებენ. ადამიანს ჯანმრთელობის შენარჩუნება მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით შეუძლია. ამისთვის მან, გარდა გარკვეული ჰიგიენური წესების დაცვისა, თავის ჯანმრთელობაზეც უნდა იზრუნოს. თუ ადამიანი ამას არ აკეთებს, ის საკუთარ ჯანმრთელობას საფრთხეში აგდებს.

საქმიანობა

პრაქტიკული სამუშაო

ეთილის სპირტის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე

სამუშაოს მსვლელობა:

**პ. დაამატეთ სპირტი შეფერილ წყალს.**

- რას ამჩნევთ? ჩატარებული ცდის მაგალითზე რა დასკვნის გაკეთება შეიძლება სისხლში გახსნილი სპირტის ადამიანზე ზემოქმედების შესახებ?

**პ. დაამატეთ სპირტი ჭურჭელში ჩასხმულ ქათმის კვერცხის ცილას.**

- რას ამჩნევთ? ჩატარებული ცდის მაგალითზე რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ადამიანის ორგანიზმის შებადებენელ ცილებზე (მაგალითად, ფერმენტებზე) სპირტის ზემოქმედების შესახებ?

**მავნე ჩვევები.** ადამიანის მოქმედებებს (ქცევას), რომელიც მიმართულია საკუთარი ჯანმრთელობის წინააღმდეგ, მავნე ჩვევები ეწოდება. მავნე ჩვევები ხელს უშლის ადამიანის, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებას. ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ძირითადი მავნე ფაქტორებია: თამბაქოს მონევა, ნარკოტიკების მიღება და ალკოჰოლური სასმელების მოხმარება.


თამბაქო შეიცავს ნიკოტინს, მხუთავ აირს, ციანიდებს, ამიაკს, მცირე რაოდენობით რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, კუპრს, მომნამლავ აირებს. მონევის მავნე ჩვევის ფართო გავრცელების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ნერვულ სისტემაზე ნიკოტინის ამგზები მოქმედება ითვლება. ეს მოქმედება ხელს უწყობს ცრუ დადებითი შეგრძნებების წარმოშობას, რაც თამბაქოს მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ორგანიზმი ნიკოტინის მოხვევისას მის მავნე გავლენას, პირველ რიგში, გემოსა და ყნოსვის რეცეპტორები განიცდის. ზიანდება პირისა და საყლაპავის ეპითელური ქსოვილი; ყვითლდება და მოგვიანებით იბზარება კბილის მინანქარი. მწეველის სისხლძალვები შევიწროვებულია, რის გამოც ქსოვილები უანგბადით ცუდად მარგდება. სტაურან მწეველებს უვითარდებათ გასტრიტი და კუჭის წყლული.

ერთ-ერთი მავნე ჩვევათაგანი ალკოჰოლის მიმართ მიღრეკილებაა. ფერმენტები ორგანიზმი მოხვედრილი ალკოჰოლის მხოლოდ მცირე რაოდენობას შელის. დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღებისას სისხლში დაშლის ძლიერ შეამიანი პროდუქტები გამოიყოფა. ალკოჰოლის მავნე ზემოქმედე-

ბას ყველაზე მეტად საჭმლის მომნელებელი სისტემა განიცდის. კუჭის გაღიზიანების გამო კუჭის წვენი ჭარბი რაოდენობით გამოიყოფა, რაც, საბოლოოდ, გასტრიტის მიზეზი ხდება. საჭმლის მომნელებლ სისტემაში ყველაზე მეტად ღვიძლი ზიანდება, რომელიც ალკოჰოლის 95%-ს აუვნებლებს. ეს ცუდად მოქმედებს ღვიძლში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის სხვა პროცესებზე. საბოლოოდ, იქ გროვდება ცხიმის წვეთები, რაც ღვიძლის მოცულობაში მატებას და მისი უჯრედების თანდათანობით შემაერთებელი ქსოვილის უჯრედებით ჩანაცვლებას იწვევს. შედეგად ვითარდება ალკოჰოლური ჰეპატიტი, რომელიც, თავის მხრივ, ცირრზის განვითარების მიზეზი ხდება. ალკოჰოლი ნერვულ სისტემასაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ეს იმით აიხსნება, რომ ალკოჰოლი ცხიმის მსგავს ნივთიერებებში კარგად იხსნება, ნერვული სისტემა კი დიდი რაოდენობით ასეთ ნივთიერებებს შეიცავს. ადამიანებს, რომლებიც სპირტიანი სასმელების ხშირი მომხმარებლები არიან, თავის ტვინის ქერქის დაზიანების გამო, ხშირად უკანკალებთ ხელები და თუ მკურნალობას დროზე არ დაიწყებენ, მძიმე ფსიქიკური დაავადება – თეთრი ცხელება უვითარდებათ.

### სქემა, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ნიკოტინის გავლენას ასახავს



ნარკოტიკული ნივთიერებები მნიშვნელოვანი ფსიქიკური ცვლილებების მიზეზი შეიძლება გახდეს. ნარკოტიკების მოხმარება მათ მიმართ, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური დამოკიდებულების განვითარებას იწვევს. ნარკოტიკები ადამიანის ორგანიზმში მთელ რიგ უარყოფით ცვლილებებს განაპირობებს, აძლიერებს სისასტიკეს, შეიძლება გახდეს გონებრივი აძლილობის მიზეზი. ნარკოტიკების მოხმარებელს სახეზე

მინისფერი დაპკრავს, კანი დანაოჭებული უხდება. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ადამიანმა ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა იცხოვროს.

### მიღებული ცოდნის შემონაბა და გამოყენება

1. სახელმძღვანელოს ტექსტისა და ინფორმაციის დამატებითი წყაროების გამოყენებით შეავსეთ ცხრილი:

სპირტიანი სასმელების გავლენა ორგანიზმე	
ორგანო	წარმოქმნილი დარღვევები
თავისა ტვინი	
გული	
ლვიძლი	
კუჭი	
თირკმლები	
სასქესო ჯირკვლები	

#### 2. უპასუხეთ კითხვები:

- რა არის მავნე ჩვევების წარმოშობის მიზეზი?
  - როგორ შეიძლება მავნე ჩვევების თავიდან აცილება?
  - რატომ ებრძვიან მავნე ჩვევებს აქტიურად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში?
3. მოიძიეთ ინფორმაცია ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მიზეზესა და შედეგებზე. გააკეთეთ ამ თემაზე 5-6 სლაიდისგან შედგენილი ელექტრონული პრეზენტაცია.

## 51 რეპროდუქციული ჯანმრთელობა

- რა ფაქტორებმა შეიძლება იმოქმედოს მემკვიდრულ მასალაზე, უჯრედების ფორმირებაზე, ნაყოფის განვითარებაზე?

**რეპროდუქციული ჯანმრთელობა.** ოჯახის შექმნაზე, ჯანმრთელი ბავშვის დაბადებაზე, სრულფასოვანი პიროვნების აღზრდაზე ორივე მშობელია პასუხისმგებელი. სწორედ ამიტომ, ამ ბოლო დროს, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. რეპროდუქციული ჯანმრთელობა – ეს არის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა, რეპროდუქციული სისტემის დაავადებების გარეშე.

### საქმიანობა

გადაიხაზეთ ცხრილი რეეულში და დააჯგუფეთ ნაყოფის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები: **მექანიკური ზემოქმედება, ალკოჰოლი, საკვეპ პროდუქტებში არსებული საკვეპი ნივთიერებები, ვირუსები, ვიბრაცია, ნიკოტინი, ფიზიკური დატვირთვა, ჰაერის ტემპერატურა, მზის სხივები, ბაქტერიები, სამკურნალო პრეპარატები.**

ფიზიკური	ბიოლოგიური	ქიმიური

- რა გავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანის რეპროდუქციულ სისტემასა და ნაყოფის განვითარებაზე ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა?

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ფორმირება ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით იწყება და მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება: სწორი კვება, დღის რეჟიმის დაცვა, მოძრაობითი აქტიურობა და სხვ.

**რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე მავნე ჩვევების გავლენა.** რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ისეთი მავნე ჩვევები, როგორებიცაა: თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და ნარკოტიკების მიღება. მავნე ჩვევების მქონე ფეხმძიმე ქალის ნაყოფზე მოქმედებს ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და ნარკოტიკების შემადგენლობაში მყოფი შხამიანი ნივთიერებები, რის შედეგადაც ნაყოფის განვითარება ფერხდება. ნერვული უჯრედების ფორმირების პროცესების დარღვევის შედეგად იბადებიან სხვადასხვა პათოლოგიის მქონე ბავშვები, რომლებიც ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარებით ჩამორჩინილები არიან. მაგალითად, მწეველი ორსული ქალის პლაცენტაში ქვეითდება სისხლის მიმოქცევის პროცესი და, შესაბამისად, ნაყოფი საკვებ ნივთიერებებს საკმაო რაოდენობით ვერ იღებს. ამის გამო იბადება პატარა, სუსტი, მცირენინანი ბავშვი.

**ინფექციების გავლენა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.** რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სასქესო სისტემის დაა-

ვადებებმაც. ამ დაავადებების გამომწვევები ორგანიზმში მოხვედრისას, პირველ რიგში, სასქესო ორგანოებს აზიანებენ. თუ მკურნალობა დროულად არ ჩატარდა, უმეტეს შემთხვევაში ეს უშვილობას გამოიწვევს.

დაავადებებს, რომლებიც სქესობრივი გზით გადაეცემა, ვენერიულ დაავადებებს უწოდებენ. ადამიანს მათ მიმართ იმუნიტეტი არ გამოუმუშავდება.

**რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი პირობები.** რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი პირობებია: სწორი კვება, სპორტული უნარ-ჩვევები, შრომისა და დასვენების რეჟიმის სწორი ორგანიზება. აუცილებელია კვების ნორმების დაცვა, რაც გულისხმობს, როგორც საკვების საერთო რაოდენობას, ისე იმ კომპონენტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს იგი ნორმალური კვებისას. ეს ნორმები იცვლება ასაკთან, სქესთან და სამუშაოს ტიპთან დაკავშირებით. კვების ნორმების დარღვევისას იქმნება სხვადასხვა დაავადების წარმოშობის პირობები. მაგალითად, ცხიმებისა და ნახშირწყლების ჭარბი მოხმარებისას შეიძლება განვითარდეს ისეთი დაავადები, როგორებიცაა: ათეროსკლეროზი, სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი და სხვ. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ადამიანი უნდა მისდევდეს სპორტს. ვარჯიშის წყალობით ძლიერდება გულის მუშაობა, კუნთები სისხლით უკეთ მარაგდება, უმჯობესდება სუნთქვის პროცესი.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ადამიანმა ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა იცხოვოს, იზრუნოს მომავალი თაობების ჯანმრთელობაზე.

#### მიღებული ცოდნის შაორინება და გამოყენება

1. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, ინფორმაციის დამატებითი წყაროები და მოამზადეთ რეფერატი ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის შესახებ:
  - რომელი ძირითადი ფაქტორები მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე?
  - როგორ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები?
  - როგორ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე სოციალური ფაქტორები?
  - როგორ შეიძლება იმოქმედოს ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა მომავალი დედის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე?
2. შეადგინეთ სამახსოვრო წესებით, რომელიც ეხება ჯანსაღი ცხოვრების წესს. შექმნით რეკომენდაციები (წესები) მავნე ჩვევების თავიდან ასაცილებლად. ჩაატარეთ სააგიტაციო ლონისძიებები ამ პრობლემის გარშემო.
3. დედის მიღებული ალკოჰოლი, ნარკოტიკები ნაყოფის განვითარებას აფერებს. ასეთი ნაყოფის ზრდისა და განვითარების სიჩქარე იკლებს, მცირდება თავის ტვინის მოცულობა, ვითარდება ისეთი დაავადებები, როგორებიცაა გონებრივი ჩამორჩენა, „კურდღლის ტუჩი“, „მგლის ხახა“.

- შეეცადეთ, ახსნათ ნაყოფის განვითარებაში ასეთი ცვლილებების მიზეზები.

### პროექტი

1. დაწერეთ სცენარი ქვემოთ შემოთავაზებულ ნებისმიერ თემაზე რადიოთი გამოსვლისთვის, სარეკლამო რგოლისთვის ან მოზარდების ჟურნალის სტატიისთვის:
  - რა არის სტრესი?
  - როგორ შეუძლია მოსწავლეს სტრესისგან თავდაცვა?
  - როგორ მოქმედებს სტრესი ცოცხალ არსებებზე?
2. შეადგინეთ მავნე ჩვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა სია (სკოლის, ქვეყნის, კაცობრიობის დონეზე).
3. მოამზადეთ სააგიტაციო პლაკატი თამბაქოს მოწევის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ.
4. შეადგინეთ რეკომენდაციების სია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ რაიმე მავნე ჩვევისგან თავის დაღწევა.
5. შეაგროვეთ ინფორმაცია ინტერნეტიდან და მოამზადეთ ელექტრონული პრეზენტაცია ნებისმიერ ქვემოთ მოცემულ თემაზე:
  - „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ადაპტაციის ბიოლოგიური და სოციალური ასპექტები“.
  - „მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების დამოკიდებულება ალბინოსების მიმართ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ალბინოსების სოციალური ადაპტაციის ასპექტები“.
6. „ჩემი ოჯახის გენეალოგიური ხე“  
დავალება:
  - 1) გაესაუბრეთ ნათესავებს, გაეცანით საოჯახო ფოტოებს, დოკუმენტებს.
  - 2) გააანალიზეთ მოპოვებული ინფორმაცია და შეადგინეთ თქვენი ოჯახის გენეალოგიური ხე.
  - 3) სქემაზე ნათესავებს შორის დამაკავშირებელ ხაზებზე გააკეთეთ ალნიშვნები მათ შორის გარეგნობის, ხასიათისა და შესაძლებლობების მსგავსების და საერთო დაავადებების შესახებ.
  - 4) გამოყავით მთელი სანათესაოს საერთო ნიშნები (თუ ასეთი არსებობს). შედეგები წარმოადგინეთ ილუსტრირებული რეფერატის, ელექტრონული პრეზენტაციის ან პლაკატის სახით.

**1. დაადგინეთ შესაბამისობა:**

- 1) ორგანიზმის  
მობილიზების ფაზა
- 2) გამლიზანებლის  
მიმართ წინააღმდეგობის ფაზა
- 3) ორგანიზმის  
გამოფიტვის ფაზა

- ა) იკლებს ორგანიზმის წინააღმდეგობა სტრუქტურის მიმართ. ამ სტადიაზე შეიმჩნევა ისეთი მოვლენები, როგორებიცაა წევროზულობა, აუხსნელი შფოთვა, სწრაფი დალლა, უძილობა, თავის ტკივილები და სხვ.
- ბ) ორგანიზმი სტრუქტას წინააღმდეგობას უწევს და ამის შედეგად პირდაპირი საფრთხე სუსტდება. ამ პერიოდში მიიღწევა მაღალი ადაპტაცია სტრუქტის მოქმედების მიმართ.
- გ) ჩქარდება გულისცემა, მაღლა იწევს არტერიული წევა, იმატებს სისხლში ადრენალინის შემცველობა, კუნთებისკენ იგზავნება სისხლის მეტი რაოდენობა, ფერხდება საჭმლის მონელების პროცესები.

**2. გადაიხაზეთ რვეულში და შეავსეთ ცხრილი „ორგანიზმზე სპირტიანი სასმელებისა და მოწევის გავლენა“:**

სპირტიანი სასმელები	თამბაქოს მოწევა
სუნთქვის სისტემა	
სისხლის მიმოქცევის სისტემა	
საჭმლის მომნელებელი სისტემა	
საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა	
ნერვული სისტემა	
შარდ-სასქესო სისტემა	
გრძნობათა ორგანოები	

**3. გაეცანით მტკიცებების მაგალითებს. კითხვის ნიშნების მაგივრად განმარტეთ ცნება ან დაადგინეთ საჭირო ცნება მოყვანილი ალერილობის მიხედვით.**

- ციტოლოგია – უჯრედის აგებულება.  
გენეტიკა – ?

უჯრედის ბირთვში ქრომოსომების რიცხვი – კარიოტიპი.  
? – გენოტიპი.

- 44 ქრომოსომა – აუტოსომები.  
2 ქრომოსომა – ?
- მშობლების მიერ თავისი მსგავსი შთამომავლობის წარმოქმნა – მემკვიდრეობითობა. ორგანიზმის უნარი შეიძინოს ახალი ნიშან-თვისები – ?
- რუცესული ნიშან-თვისება – ნიშან-თვისება, რომელიც შთამომავლობაში არ გამოვლინდება.  
? – ძლიერი ნიშან-თვისება, რომელიც შთამომავლობაში გამოვლინდება.


- სისხლის ნორმალური შედედება – დომინანტური ნიშანი.  
? – რეცესიული ნიშანი.

#### 4. განსაზღვრეთ პასუხის სწორი ვარიანტი:

- 1) გენეალოგიური /ბიოქიმიური მეთოდი ეფუძნება ადამიანის გენეალოგიური ხის შესწავლას.
- 2) ადამიანის გენოტიპზე გარემოს ზემოქმედების შესწავლისას იყენებენ ცოტოგენეტიკურ/ტყუპების მეთოდს.
- 3) ტყუპების/ბიოქიმიური მეთოდი გამოიყენება ნივთიერებათა ცვლის მიზე-ზების დასადგენად.
- 4) ადამიანის ქრომოსომულ ნაკრებში ერთი ზედმეტი ქრომოსომა შაქრიანი დიაბეტის/დაუნის სინდრომის მიზეზია.
- 5) ისეთი ნიშან-თვისებების შესწავლა, როგორებიცაა სახის ჭორფლიანობა, თითების ხაზების სახე და სხვ. შეისწავლეს ტყუპების/გენეალოგიური მეთოდით.
- 6) აუტოსომული/სასქესო ქრომოსომებში მომხდარი დარღვევის მაგალითია დაუნის სინდრომი.

#### 5. რა სიმბოლოები – X, Y, XX, თუ XY – უნდა იყოს აღნიშნული სქემაზე კითხვის ნიშნების (1-8) მაგივრად?

სქემა



## ა

**ავტოტროფები** (ბერძ. „*autos*“ – თვით, „*trophe*“ – კვება) – ორგანიზმები, რომლებიც თვითონ ქმნის ორგანულ ნივთიერებებს არაორგანულისგან მზის ან ქიმიური ბმების ენერგიის გამოყენებით.

**ადრენალინი** – ჰიორმონი, რომელსაც თირკმელზედა ჯირკვლები გამოყოფს; ამაღლებს სისხლში გლუკოზის შემცველობას, ზემოთ წევს არტერიულ წნევას. აძლიერებს სისხლით ღვიძლის მომარაგებას და მონანილეობს ნივთიერებათა ცვლის რეგულაციაში.

**ალელი** (ბერძ. „*allelon*“ – ურთიერთ, ერთმანეთს) – გენის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც გარკვეულ ნიშან-თვისებას აკონტროლებს.

**ალბინიზმი** (ლათ. „*albus*“ – თეთრი) – ორგანიზმში ნორმალური პიგმენტაციის არქონა.

**ანაბოლიზმი** (ბერძ. „*anabole*“ – აღმავლობა) – ნივთიერებათა ცვლის ერთ-ერთი ეტაპი; ეფუძნება ორგანული ნივთიერებების წარმოქმნას. ხელს უწყობს უჯრედის მიერ საკვების შეთვისებას.

**ანემია** – სისხლნაკლებობა. ამ დაავადების დროს სისხლში იკლებს ერთ-როციტების რაოდენობა ან ჰემოგლობინის რაოდენობა ერითროციტებში.

**ანტიბიოტიკი** (ბერძ. „*anti*“ – საწინააღმდეგო, „*bios*“ – სიცოცხლე) – ნივთიერება, რომელიც ხოცავს მიკროორგანიზმებს ან ამცირებს მათ სიცოცხლისუნარიანობას. ანტიბიოტიკებს ასინთეზებენ ობის სოკოების, აქტინომიცეტებისა და უმაღლესი მცენარეებისგან.

**ასიმილაცია** (ლათ. „*assimilation*“ – გაიგივება) – ნივთიერებათა ცვლის ერთი მხარე. ორგანიზმისთვის აუცილებელი ნივთიერებების სინთეზი გარედან მიღებული ნივთიერებებიდან. სინთეზი რეაქციების ერთობლიობა.

**აუტოსომები** (ბერძ. „*autos*“ – თვით, „*soma*“ – სხეული) – არასასქესო ქრომოსომები, ერთნაირია მამრ და მდედრ ინდივიდებში, თავისი ჰიმოლოგიური ნუკლის იდენტურია.

## ბ

**ბიოგენეზი** (ბერძ. „*bios*“ – სიცოცხლე, „*genesis*“ – წარმოშობა) – ცოცხალი ორგანიზმების ცოცხალისგან წარმოშობის ევოლუციური პროცესი.

**ბიოგენური** ნივთიერებები (ბერძ. „*bios*“ – სიცოცხლე, „*genos*“ – გვარი, წარმოშობა) – ნივთიერებები (ელემენტები), რომლებიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმებისთვის ან მათ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

**ბიოგეოცენოზი** (ბერძ. „*bios*“ – სიცოცხლე, „*geo*“ – მიწა, „*koinos*“ – საერთო) – ევოლუციის პროცესში წარმოქმნილი და სივრცობრივად შეზღუდული ერთგვაროვანი სისტემა, რომელსაც შეუძლია თვითრეგულირება ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

**ბიოპოლიმერები** – მაღალმოლეკულური ორგანული ნივთიერებები, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმების შემადგენლობაში შედის და ნივთიერებათა ცვლის პროცესებში მონაწილეობს.

**ბიოსინთეზი** – ორგანიზმისთვის აუცილებელი ნივთიერებების სინთეზი, რომელიც მიმდინარეობს უჯრედებში და ფერმენტებით რეგულირდება.

**ბუნებრივი რესურსები** – ბუნების კომპონენტები (მინერალები, ნიადაგი, კლიმატი, წყალი, ბიოლოგიური კომპონენტები), რომლებსაც ადამიანი იყენებს.

## გ

**გამეტა** – (ბერძ. „*gamete*“ – ცოლი, „*gametes*“ – ქმარი) – სასქესო მდედრობითი (კვერცხუჯრედი) ან მამრობითი (სპერმატოზოიდი – ცხოველებში, სპერმია – მცენარეებში) უჯრედი ქრომოსომების ერთმაგი (ჰაპლოიდური) ნაკრებით.

**გენი** – მეტკვიდრეობითობის ელემენტარული ერთეული, დნმ-ის ფრაგმენტი, რომელშიც კოდირებულია ინფორმაცია ერთი პოლიპეტიდური ჯაჭვის ან რნმ-ის ერთი მოლეკულის შესახებ.

**გენომი** – ქრომოსომათა ჰაპლოიდურ ნაკრებში ყველა გენის ერთობლიობა.

**გლიკოგენი** – პოლისაქარიდი, რომელიც გლუკოზის ნაშთებისაგან შედგება. წარმოქმნის ადამიანისა და ცხოველების საკვების მარაგს. გროვდება ძირითადად კუნთებსა და ღვიძლში.

## დ

**დიპლოიდი** (ბერძ. „*diploos*“ – ორმაგი, „*eidos*“ – გვარი) – სომატურ უჯრედებში ქრომოსომების ორმაგი ნაკრები.

**დომინანტობა** (ლათ. „*dominans*“ – გაბატონებული) – 1. ერთი ალელის მიერ მეორე ალელის გამოვლენის დათრგუნვა; 2. ზოგიერთი მცენარის სახეობის თვისება დაიკავოს თანასაზოგადოებაში უმაღლესი მდგომარეობა; 3. გაბატონებული მდგომარეობა, ძალიან მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში.

**დაკვირტვა** – უსქესო გამრავლების ფორმა. დედისეულ ორგანიზმს უწინდება ამობურცულობა – კვირტი, რომლიდანაც ვითარდება ახალი ორგანიზმი.

## ე

**ეკოლოგიური პირამიდა** – გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ასახავს სახეობათა რიცხვის, ბიომასის ან ენერგიის თანდათანობით კლებას კვებითი ჯაჭვის ყოველ შემდეგ საფეხურზე ბიოგეოცენოზში. არსებობს ბიომასის, ენერგიისა და სახეობათა რიცხვენობის ეკოლოგიური პირამიდები.

**ეკოსისტემა** (ბერძ. „*oikos*“ – სახლი, „*sistema*“ – მთელი, ნაწილებისგან შედგენილი, შეერთება) – ცოცხალი ორგანიზმებისა და მათთან დაკავშირებული საბინადრო გარემოს ბუნებრივი ან ბუნებრივ-ანთროპოგენური კომპლექსი.

**ენცეფალიტი** – თავის ტვინის ანთება, რომელიც ვითარდება ენცეფალიტის ვირუსის სისხლში მოხვედრის შედეგად. ენცეფალიტის გადამტანია საძოვრის ტკიპა.

**ეპიდემიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დაავადებების წარმოშობის მიზეზებს და მათი მიმდინარეობის კანონზომიერებებს, იმ ღონისძიებების ორგანიზების წესებს, რომლებიც დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლისკენაა მიმართული.

### 3

**ვეგეტატიური გამრავლება** – უსქესონ გამრავლების ფორმა; გამრავლება ზრდა-სრული ორგანიზმის ვეგეტატიური ორგანოებით ან მათი სახეცვლილებებით (ფესურით, გორგლით, ბოლქვით, პწვალით).

**ვიტამინები** (ლათ, „*vita*“ – სიცოცხლე) – სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის მქონე დაბალმოლეკულური ორგანული ნივთიერებები. ვიტამინების მცირე რაოდენობები ნივთიერებათა ცვლას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ორგანიზმის ცხოველებების პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას.

### 4

**თიროქსინი** – ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონი. აჩქარებს უჯრედში მიმდინარე ჟანგვის პროცესებს. ჰორმონის უკმარისობა ბავშვებში იწვევს დაავადება კრეტინიზმს.

### 5

**ინსტიქტი** – ორგანიზმის თანდაყოლილი რეაქციების ერთობლიობა შინაგანი ან გარეგანი გამლიზიანებლების ზემოქმედებაზე საპასუხოდ.

**ინსულინი** – ცილოვანი ბუნების მქონე ჰორმონი, რომელსაც კუჭქვეშა ჯირკვალი გამოყოფს; არეგულირებს ნახშირწყლების ცვლას და ამცირებს სისხლში გლუკოზის დონეს.

### 3

**კვებითი ჯაჭვი** – ორგანიზმებს შორის წარმოქმნილი კვებითი კაცშირები ევოსისტემაში.

### 6

**ლიპიდები** (ბერძ. „*lipos*“ – ცხიმი) – წყალში ცუდად ხსნადი ცხიმები და ცხიმის მსგავსი ნივთიერებები.

### 7

**მეტაბოლიზმი** – ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისა და ენერგიის გარდაქმნის პროცესების ერთობლიობა.

**მეიოზი** (ბერძ. „*meiosis*“ – შემცირება) – სასქესო უჯრედების გაყოფის პროცესი, რომლის შედეგად ხდება ქრომოსომების რიცხვის ორჯერ შემცირება (რედუქცია). ამის გამო მეიოზის რეალური გაყოფასაც უწოდებენ.

**მიტოზი** (ბერძ. „*mitos*“ – ძაფი) – სომატური უჯრედების გაყოფა ქრომოსომების რიცხვის შემცირების გარეშე.

### 6

**ნაკრძალი** – ტერიტორიის (აკვატორიის) უბანი, რომელიც შექმნილია ბუნებრივი კომპლექსების გარკვეული კომპონენტების დაცვის მიზნით და რომელზეც აკრძალულია ადამიანის ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა.

**ნაციონალური პარკი** – ტერიტორიის ან აკვატორიის დიდი უბანი, რომელიც ბუნებრივი კომპონენტების დაცვის გარდა, ადამიანების დასვენების ორგანიზებასაც ისახავს მიზნად.

### ო

**ონფოგენეზი** – ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება

**ორგანიზმი** (ლათ. „organismus“ – იარაღი) – ტერმინი, რომელიც ძალიან ზოგადი მნიშვნელობით ცოცხალ არსებას აღნიშნავს.

### პ

**პოლისაქარიდი** – პოლიმერული ნაერთები, რომელთა მონომერები მარტივი ნახშირწყლებია.

### ტ

**ტრიპლეტი** – სამი ნუკლეოტიდის თანამიმდევრობა, რომელიც ცილის სინთეზის დროს ერთ ამინომჟავას აკოდირებს.

**ტურგორი** (ლათ. „turgere“ – გაბერილი, სავსე) – წარმოიქმნება მაშინ, როცა უჯრედის შიგთავსი უჯრედის კედელს აწვება და უჯრედს სიმტკიცეს ანიჭებს.

### უ

**უტილიზაცია** (ლათ. „utilis“ – სასარგებლო) – საყოფაცხოვრებო ნარჩენების მეორადი გადამუშავება.

### ფ

**ფენოტიპი** – ორგანიზმის ყველა ნიშან-თვისებების ერთობლიობა.

**ფერმენტი** – ცილოვანი ბუნების ბიოლოგიური კატალიზატორი, რომელსაც შეიცავს ყველა უჯრედი; მონაწილეობს უჯრედში მიმდინარე ქიმიურ გარდაქმნებში, აჩქარებს მათ.

**ფოტოპერიოდიზმი** – ცოცხალი ორგანიზმების ზრდასა და განვითარებაში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც დღის ხანგრძლივობასთანაა დაკავშირებული.

### ქ

**ქრომატიდი** – ქრომოსომის ნახევარი დნმ-ის გაორმაგების შემდეგ. ყოველი ქრომატიდი შეიცავს დნმ-ის ერთ მოლეკულას.

**ქრომატინი** – მეტკვიდრული მასალის მატარებელი წრილი ძაფისებრი წარმონაქმნი; უჯრედის გაყოფის დროს მისგან იქმნება ქრომოსომები.

**ქრომოსომა** (ბერძ. „chroma“ – ფერი, „soma“ – სხეული) – ბირთვის შემადგენლობაში მყოფი სტრუქტურა, რომელიც მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელი დნმ-ისა და ცილებისაგან შედგება.

### ც

**ცენტრომერი** (ლათ. „centrum“ – შუაწერტილი, ცენტრი და ბერძ. „meros“ – ნაწილი) – ქრომოსომის უბანი, რომელსაც მიტოზისა და მეიოზის დროს გაყოფის თითისტარას ძაფები (მიკრომილაკები) უკავშირდება.

**ცხიმები** – ორგანული ნივთიერებები, რომლებიც გლიცერინისა და ცხიმოვანი მჟავების რთულ ეთერებს წარმოადგენს. ორგანიზმის ენერგიის წყაროს როლს თამაშობს.

### 3

**ჰაპლოიდი** (ბერძ. „*haploos*“ – ორმაგი, „*eidos*“ – სახეობა) – რედუქციული გაყოფის (მერიზის) შედეგად წარმოქმნილი უჯრედი ან ინდივიდი ქრომოსომების ერთმაგი ნაკრებით.

**ჰემიფილია** – მეტკვიდრული დაავადება, რომელიც სისხლის შეუდედებლობის გამო სისხლდენებს იწვევს. ნიშან-თვისება სქესთანაა შეჭიდული და დედისგან ვაჟს გადაეცემა.

**ჰეტეროტროფი** – (ბერძ. „*heteros*“ – სხვა, „*trophe*“ – საკვები) – ორგანიზმები, რომლებიც მზა ორგანული ნივთიერებებით იკვებებიან.

**ჰიბრიდი** (ლათ. „*hibrida*“ – ნარევი) – ერთი ან რამდენიმე ნიშნით განსხვავებული მშობლიური ფორმების შეჯვარების შედეგად მიღებული შთამომავალი.

### მცენარეები



ჰირკანული ბზა	კასპიის ზაფრანა	ჩვეულებრივი ხურმა
ჰირკანული თაგვისარა	ჰირკანული ლელვი	ურთხელი
ნახიჩევანის გლერძი	პასტუხოვის სურო	გულისებრი მურყანი
პაროტია	დუმბარა	კავკასიური თეთრყვავილა
ბიჭვინთის ფიჭვი	კასპური გლედიჩია	სპარსული პაროტია
კორპის მუხა	ლაგოდეხის ნალველა	დანიაა
წაბლიულოთოლა მუხა	ალმოსავლური ჭადარი	ჭანჭყატი
დეკა	ტირიფისებური აკაცია	ჰირკანული პანტა

### ცხოველები



ხოხობი	ხმელთაშუა ზღვის კუ
ნიამორი	ბატკანძერი
ჰირკანული წიგნივა	ჯოჯო
ამიერკავკასიური მურა დათვი	ვარდისუერი ვარხვი
ოშხვარი	ზოლიანი შიშველთვალა
აფთარი	სარსარაკი
ხუჭუჭა ვარხვი	მრგვალთავა
ფოცხვერი	საგათი
იხვინჯა	გაგაზი
თეთრკუდა არწივი	ხონთქრის ქათამი
ბექობის არწივი	თეთრი წერო
მთის არწივი	ნითეგულა
შავარდენი	ღერლეტი შაკი
მანული	სისინა გედი
დურაჯი	წვრილნისკრტა კრომწნები
გრძელერთება ლამურა	მყვანი გედი
კალმახი	გველიჭამია (ძერბოტი)
სამხრეთული ნალცხვირა	ქურციკი (ჯეირანი)
გარეთხა	ქორი
სირიული ყოტი	კოკორინა
არჩევი	ქორცევიტა
ჩვეულებრივი ტრიტონი	თეთრკუდა პრანნია
მუფლონი	შატმუცელა გვრიტჩიტა
სავარცხლიანი ტრიტონი	მერცხალა
კავკასიური როჭო	თეთრყელა ბულბული
ჩვეულებრივი გომბეშო	თურანის ვეფხვი
კავკასიური შურთხი	უდაბნოს სტვენია
მცირეაზიური გველგესლა	ტყის კატა
ველის არწივი	ნინააზიური ლეოპარდი
ესკულაპის მცურავი	არხარი
ალალი	



ხოხობი	ხმელთაშუა ზღვის კუ
ნიამორი	ბატკანძერი
ჰირკანული წიგნივა	ჯოჯო
ამიერკავკასიური მურა დათვი	ვარდისუერი ვარხვი
ოშხვარი	ზოლიანი შიშველთვალა
აფთარი	სარსარაკი
ხუჭუჭა ვარხვი	მრგვალთავა
ფოცხვერი	საგათი
იხვინჯა	გაგაზი
თეთრკუდა არწივი	ხონთქრის ქათამი
ბექობის არწივი	თეთრი წერო
მთის არწივი	ნითეგულა
შავარდენი	ღერლეტი შაკი
მანული	სისინა გედი
დურაჯი	წვრილნისკრტა კრომწნები
გრძელერთება ლამურა	მყვანი გედი
კალმახი	გველიჭამია (ძერბოტი)
სამხრეთული ნალცხვირა	ქურციკი (ჯეირანი)
გარეთხა	ქორი
სირიული ყოტი	კოკორინა
არჩევი	ქორცევიტა
ჩვეულებრივი ტრიტონი	თეთრკუდა პრანნია
მუფლონი	შატმუცელა გვრიტჩიტა
სავარცხლიანი ტრიტონი	მერცხალა
კავკასიური როჭო	თეთრყელა ბულბული
ჩვეულებრივი გომბეშო	თურანის ვეფხვი
კავკასიური შურთხი	უდაბნოს სტვენია
მცირეაზიური გველგესლა	ტყის კატა
ველის არწივი	ნინააზიური ლეოპარდი
ესკულაპის მცურავი	არხარი
ალალი	



ხოხობი	ხმელთაშუა ზღვის კუ
ნიამორი	ბატკანძერი
ჰირკანული წიგნივა	ჯოჯო
ამიერკავკასიური მურა დათვი	ვარდისუერი ვარხვი
ოშხვარი	ზოლიანი შიშველთვალა
აფთარი	სარსარაკი
ხუჭუჭა ვარხვი	მრგვალთავა
ფოცხვერი	საგათი
იხვინჯა	გაგაზი
თეთრკუდა არწივი	ხონთქრის ქათამი
ბექობის არწივი	თეთრი წერო
მთის არწივი	ნითეგულა
შავარდენი	ღერლეტი შაკი
მანული	სისინა გედი
დურაჯი	წვრილნისკრტა კრომწნები
გრძელერთება ლამურა	მყვანი გედი
კალმახი	გველიჭამია (ძერბოტი)
სამხრეთული ნალცხვირა	ქურციკი (ჯეირანი)
გარეთხა	ქორი
სირიული ყოტი	კოკორინა
არჩევი	ქორცევიტა
ჩვეულებრივი ტრიტონი	თეთრკუდა პრანნია
მუფლონი	შატმუცელა გვრიტჩიტა
სავარცხლიანი ტრიტონი	მერცხალა
კავკასიური როჭო	თეთრყელა ბულბული
ჩვეულებრივი გომბეშო	თურანის ვეფხვი
კავკასიური შურთხი	უდაბნოს სტვენია
მცირეაზიური გველგესლა	ტყის კატა
ველის არწივი	ნინააზიური ლეოპარდი
ესკულაპის მცურავი	არხარი
ალალი	



ხმელთაშუა ზღვის კუ	ბატკანძერი
ჯოჯო	ვარდისუერი ვარხვი
ვარდისუერი ვარხვი	ზოლიანი შიშველთვალა
სარსარაკი	სარსარაკი
მრგვალთავა	მრგვალთავა
საგათი	საგათი
გაგაზი	გაგაზი
ხონთქრის ქათამი	ხონთქრის ქათამი
თეთრი წერო	თეთრი წერო
ნითეგულა	ნითეგულა
ღერლეტი შაკი	ღერლეტი შაკი
სისინა გედი	სისინა გედი
წვრილნისკრტა კრომწნები	წვრილნისკრტა კრომწნები
მყვანი გედი	მყვანი გედი
გველიჭამია (ძერბოტი)	გველიჭამია (ძერბოტი)
ქურციკი (ჯეირანი)	ქურციკი (ჯეირანი)
ქორი	ქორი
კოკორინა	კოკორინა
ქორცევიტა	ქორცევიტა
თეთრკუდა პრანნია	თეთრკუდა პრანნია
შატმუცელა გვრიტჩიტა	შატმუცელა გვრიტჩიტა
მერცხალა	მერცხალა
თეთრყელა ბულბული	თეთრყელა ბულბული
თურანის ვეფხვი	თურანის ვეფხვი
უდაბნოს სტვენია	უდაბნოს სტვენია
ტყის კატა	ტყის კატა
ნინააზიური ლეოპარდი	ნინააზიური ლეოპარდი
არხარი	არხარი

## **BİOLOGİYA – 9**

Ümumtəhsil məktəblərinin 9-cu sinfi üçün Biologiya fənni üzrə dərslik  
Gürcü dilində

### **Tərtibçi heyət:**

**Müəlliflər:** **Yaşar Mədət oğlu Seyidli**  
**Xumar Elçin qızı Əhmədbəyli**  
**Nailə İlyas qızı Əliyeva**

Tərcüməçi	<b>C.Nozadze</b>
Redaktor	<b>L.Bakradze</b>
Bədii redaktor	<b>T.Məlikov</b>
Texniki redaktor	<b>Z.İsayev</b>
Dizayner	<b>E.Çikarişvili</b>
Rəssamlar	<b>P.A.Jiliçkin, M.Hüseynov, E.Məmmədov</b>
Korrektor	<b>N.Mçedlişvili</b>

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin 03.06.2016-cı il tarixli  
369 Nö-li əmri ilə təsdiq olunmuşdur.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud  
onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmek, surətini çıxarmaq,  
elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 10,75. Fiziki çap vərəqi 12,75. Səhifə sayı 204.  
Kağız formatı  $70 \times 100^{1/16}$ . Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

“Bakı” nəşriyyatı  
Bakı, AZ 1001, H.Seyidbəyli küç. 30